



ISSN 0132-0023

საქართველოს  
რეპუბლიკის  
საქართველოს  
საქართველოს


# ცისკარი



2 / 92



70



60

შურნალ „ცისკრის“ რედაქცია ულოცავს ბატონ ჭაბუა ამირეჯიხასა და ბატონ ჯანსუღ ჩარკვიანს ამ ღირსშესანიშნავ თარიღს და უსურვებს ახალ-ახალი ნაწარმოებებით გამხარებინოთ ჩვენი მრავალათასიანი მკითხველი.

# ცისკარი



## 2

თებერვალი

1992

თბილისი

საქართველოს ვაჭარულთა კავშირის სალიბერატურო და  
საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვოკალთვიური ჟურნალი



# ენციკლოპედია

ქართული  
ენციკლოპედია

## საღიგებრეწველო ეურნალი

გამოცემის ი. კერესელიძის მიერ

იანვარი.

წელიწადი მეხუთე.

«თუ შევეცადო სხუანდ — შიფოლე და  
უვეუ შეუყრა უური შენი. სისეს იქნე »  
(წიგ. ისო შან. თაი 6, შუბ. 33.)

### ქეილისს.

კერესელიძის ტიპოგრაფიაში.

1861

მთავარი რედაქტორი

დათო მაღრაძე

სარედაქციო საბჭო

ბალთარ არაბული, ბაადურ ბალარჯიშვილი, ირაკლი ბაზაძე, თედო ბაქიშვილი (მთავარი რედაქტორის მოადგილე); ვთარ თვარაძე, ზარ კალანდია, ლევან მაღარონია, ელზა მებრევილი, ზარაზ ნარმანია, ვარა ჩორბედი (ახსუხისმგებელი მდივანი), ნანა ჯაფარიძე.

სარედაქციო კომლეგია

ნოდარ გრიგალაშვილი, ბათო დანიელი, ვახტანგ რურუა, მამუკა სალუქვაძე ჯალ სამაღაშვილი, ზარაზ სამაღაშვილი, ირაკლი სამსონაძე, ვივი სულაბაური, ვახტანგ ლლონდი, თამარ შავლაძე, ნუგზარ შაბაძე, მანანა ჩიტიშვილი, ედრუარ შილიძე, კოტე ჯანდიერი, მამა ქოხაძე.



## გივი მალულარია

# ბელი არ ბინდა?!

მოთხრობა

თავი მისამი

ბანკის სადარბაზო კარის წინ მილიციელები იდგნენ და შენობაში ისე ვერ შეხვიდოდნი, თუ საშვი არ გქონდა. ამგვარი საშვი ჰქონდა ბანკის ყველა თანამშრომელს და იმათაც, ვისაც ბანკიდან ფული ან გაჰქონდა, ან შემოჰქონდა. იყო ერთჯერადი საშვიც, მაგრამ მისი მიღება იმ შემთხვევაში, თუ შენ გქონდა საქმე ბანკთან, უამრავ ბიუროკრატიულ ფორმალობასთან იყო დაკავშირებული, ხოლო თუ ბანკს შენთან, საქმე უფრო იოლად გვარდებოდა. ბოლო დროს ბანკში შემოდის და საქმეოდ ბევრი ისეთი ფული, რომლის წყარო მიფიქრებული არ იყო და ის ფული ცალკე ბალანსზე ირიცხებოდა. მან არ იცოდა, ვისგან ან საიდან მოდიოდა ეს ფული, მაგრამ იმას კი გრძნობდა, რომ ამ ფულს სისხლის სუნი უფრო უდიოდა, ვიდრე ოფლის. სისხლი იღვრებოდა სადღაც სხვაგან, სხვა ჯურღმულებისა და საპყრობილების იატაკზე, შეიძლება მივარდნილ მინდვრებსა და ქაობებშიც. იღვრებოდა დაუზოგავად, განუკითხავად, ისე, თითქოს ტიკიდან უშვებდნენ ღვინოს და არა ადამიანის სხეულიდან სისხლს, იღვრებოდა ღამე ან განთიადისას, იღვრებოდა ჩუმად, მოწმეების გარეშე, მაგრამ მისი წვრილი ღარები ბანკამდეც აღწევდა და მას არა-

ერთხელ მოსჩვენებია, როგორ მოწანქარებს მარმარილოს კიბეებზე სისხლი ან როგორ წვეთავს სხვენიდან და ქალღმერთად მოუხდა სუფთა ქალღმერთის დაჰმუქნა და კალათში ჩაგდება და ამ უცნაურ საქციელს მხოლოდ მას შემდეგ მოეშვა, როცა თანამშრომლების ყურადღება მიიქცია. დრო იყო ისეთი, რომ ყოველგვარი უცნაურობა, სულ უმნიშვნელოც კი, ყურადღებას იქცევდა, ეჭვს იწვევდა, სხვა ადამიანის თვალში ისე ჩანდა, თითქოს რაღაცას უარყოფ, უგულუბელყოფ, შენი უცნაურობით არსებული წესწყობილების წინააღმდეგ პროტესტს აცხადებ. ყოველგვარი წარმოსახვა ან ასოციაციით გამოწვეული მოჩვენება, ზემდგომი ორგანიზაციების აზრით, დაწესებულების შინაგანაწესს არღვევდა, არანორმალურ, ფანტასტიკურ სიტუაციებს ქმნიდა და არა მარტო თანამშრომლების მოცდენასა და შრომის ნაყოფიერების დაქვეითებას იწვევდა, არამედ მისტიციზმის აღორძინებასაც და იმგვარ შარლატანობასაც, უწინ მღვდლებს რომ სჩვეოდათ. ასეთი რამ მხოლოდ იმთ ეპატიებოდა, ვინც ეკიმების მოწმობის თანახმად, შეურაცხადად ითვლებოდა, ანდა იმ დიდ მეცნიერს (და ისიც კინოში და არა ცხოვრებაში), მეცნიერების მეტი რამ არაფერი ახსოვდა. მაგრამ არც შეურაცხადი

\* დასასრული. დასაწყისი „ცისკარი“ № 1.

საქართველოს  
მწერთა კავშირი  
ბელი მალულარია

არც დიდ მეცნიერს არაფერი ესაქმებოდა ისეთ დაწესებულებაში, ბანკი რომ იყო. აქ ყველა ათვისტი, ფიზიკელი, ქვეყნისა და საქმის ერთგული უნდა ყოფილიყო, რადგან ფულთან ჰქონდათ საქმე. ფული და უცნაურობა კი, იმავე ზემდგომი ორგანოების აზრით, სახიფათო ელემენტებს შეიცავდნენ და ერთმანეთს გამოირიქხავდნენ. ფულს რომ დაცვა და ცხრაკლიტულში წაქეცთა სჭირდებოდა, ამას ჯერ კიდევ მაშინ მიხვდნენ, როცა ფული გამოიგონეს, მაგრამ ის, რასაც საბჭოთა ბანკში ანგარიშობდნენ, გასცემდნენ და ღებულობდნენ, ფულის ნიშანი უფრო იყო, ვიდრე მისი ეკვივალენტი. ქვეყნის გარეთ მას არავითარი ფასი არ ჰქონდა და არც არავის სჭირდებოდა. თავისუფალ მიმოქცევაში არც ქვეყნის შიგნით იყო. ამ ფულით შეგედლო გეყიდა მხოლოდ პირველი მოთხოვნილების საქონელი, რაც ადამიანს საარსებოდ სჭირდებოდა, სხვა დანიშნულება მას არ გააჩნდა. ფული, თუ ვინმეს იმაზე მეტი ექნებოდა, რამდენსაც სახელმწიფო ძუნწად იმეტებდა, დასამალი და დასამარხი ფასეულობა უფრო იყო, ვიდრე სამოქმედო. ფულის ასეთი იზოლირება და მისი ფიქციად ქცევა აუცილებლობით კი არ იყო გამოწვეული, არამედ ადამიანის დასამორჩილებლად და გასაუკაცურებლად. ის ვისაც ხელში ნამდვილი ფული უჭირავს, ძლიერი და დამოუკიდებელია, შეუძლია პირადი თავისუფლებისა და სახელმწიფოს საზიანოდ გამოიყენოს, შეუძლია ვინმე მოისყიდოს, შეთქმულება მოაწყოს, საზღვარგარეთ გაიქცეს და მერე სახელმწიფომ მართლა უნდა დახარჯოს მის მოსაკლავად, ანდა შესაძრობად და უკან დასაბრუნებლად ნამდვილი ფული, რასაც დიდი გაჭირვებით შოულობდა. ამისა და სხვა მრავალი მიზეზის გამო, სახელმწიფოს ერჩია, ნამდვილი ფულის ნაცვლად, მისი ფიქცია გამოეშვა.

მილიციელები არც ისე ხშირად იცვლებოდნენ, ზოგი მათგანი მას ცნობდა კიდევ, მაგრამ ეს არაფერს ცვლიდა. გცნობდა თუ არა, საშვი მიანიც უნდა

ამოგელო, მილიციელისათვის გაგეწოდებინა, შემოწმების შემდეგ ისევ საიმედოდ შეგენახა და მერეღა გეძლეოდა უფლება შენობაში შესულიყავი. აი, ამიტომ, და არა მარტო ამიტომ, არ მოსწონდა ცენტრალურ ბანკში მუშაობა. ეს არ იყო იმგვარი დაწესებულება, თავისუფლად, ჩვეულებრივ სამუშაო გარემოში რომ ეგძინო თავი. ცოტაოდენი თავისუფლების მოპოვების ერთადერთი გზა დაწინაურება იყო, იმ უღლის შემსუბუქება, მძიმედ რომ აწვა კისერზე, მაგრამ, ჯერ ერთი, მისთანებს არ აწინაურებდნენ, მეორეც, პირადად მას ერთი ისეთი ნაკლი ჰქონდა, რომ დაწინაურებაზე ფიქრს ძირშივე აქარწყლებდა. მისი სახის გამომეტყველება და თავდაჯერებული, თვითკმაყოფილი კაცის იერი დიამეტრალურად ეწინააღმდეგებოდნენ ერთმანეთს. ამიტომ, როცა მილიციელები მას გზას უთმობდნენ და შენობაში შესვლის უფლებას აძლევდნენ, ეს უფრო თრგუნავდა, ვიდრე ამხნევებდა. მართალია, იგი თავის თავს ფამილარობის უფლებას არ აძლევდა, არავის უღიმოდა, არავის კეთილგანწყობის მოპოვებას არ ცდილობდა, სახე მკაცრი, მიუკარებელი ჰქონდა, მაგრამ ამას შეცდომაში არავინ შეჰყავდა. მიუხედავად მკაცრი სახისა და ძუნწისტყვაობისა, ბანკში შესვლა რომ თრგუნავდა, ამას მილიციელებიც გრძნობდნენ და ისინიც, გაფაციცებით რომ ადევნებდნენ ერთმანეთს თვალყურს. თუმცა გარეგნულნიშან-თვისებებზე უფრო მნიშვნელოვანი ის კომპლექსური მოთხოვნილებები იყო, გარედან რომ არ ჩანდა, მაგრამ რომელთა არმოდება ან მათ კომპლექსურობაში დაეჭვება, ადამიანს არა მარტო უცხოთა და უმწუროს ხდიდა, არამედ ყრუსაც იმ ღოზუნგების მიმართ, ცენტრიდან რომ ყველას გასაგონად ისროდნენ ლოდებივით. მოხდა რევოლუცია, გამოცხადდა ერთა თანასწორუფლებიანობა, მაგრამ ამ დეკლარაციას მუშათა და გლეხთა სახელმწიფოში არაფერი შეუცვლია. ცენტრი ცენტრად დარჩა, პროვინცია კი პროვინციად. პროვინცი-

ელებს თვალის ერთი შევლვებით ცნობდნენ იმ მეჭლისებზე, ცენტრში რომ იმართებოდა. თუმცა თავის ცენტრები პროვინციებსაც ჰქონდათ და თამაშის წესი აქაც ისეთივე იყო, როგორც ცენტრში. თუ კომპლექსურ მოთხოვნები უყურად იღებდი, საერთო თამაშში მონაწილეობას ვერ მიიღებდი. ყოველივე ამას ამ ბოლო დროს არა მარტო გრძნობდა, არამედ თითქმის თვალნათლივ ხედავდა და წარმოდგენილ უაზრობად ეჩვენებოდა ერთი სახელმწიფოს მოქალაქეების დაყოფა „ჩვენებად“ და „უცხოებად“. მაგრამ ყველაზე საშინელი ის იყო, რომ ამგვარი ხელოვნური დაყოფა ისე მკვიდრდებოდა ადამიანების შეგნებაში, ისე ღრმად იღვამდა ცხოვრებაში ფესვებს, რომ კარგა ხანს არც საღ აზრს დაემორჩილებოდა და არც ადვილად აღმოსაფხვრელი იქნებოდა. რაც უფრო მეტი დრო გადიოდა, ამის ნიშნები სულ უფრო თვალსაჩინო ხდებოდა და ამიტომაც თვლიდა თავს წინდაუხედავ, ჩამორჩენილ კაცად, ამიტომაც უღრღნიდა ტვინს ის აზრი, რომ მას არა მარტო მეჭლისზე არ შეუშვებდნენ, არამედ გარედანაც არ აყურებინებდნენ, რადგან უნდოდა თუ არა, მაინც იმ კედლის მიღმა აღმოჩნდა, რომელსაც ანგრევდნენ და მიწასთან ასწორებდნენ.

სახელმწიფო დაწესებულების ოფიციალობა და ის არაშემოქმედებითა, მხოლოდ და მხოლოდ ფუნქციონალური დანიშნულება, სადაც მისტიკურ სამყაროში რომ იღებდა სათავეს, ბანკში შესვლისთანავე იგრძნობოდა. ფეხი სხვაგვარად ეხებოდა იატაკს, ხელი სხვაგვარად მიიწვედა პიჯაკის ღილისაკენ, საგნები უცხოვდებოდნენ და იმ სიცივეს იძენდნენ, მიუკარებლობას რომ ანიჭებს კაცსა თუ ნივთს. ბანკის ფართო, მარმარილოს კბეები ხალვათად მიიწვევდა მაღლა, ხუფებჩამოფარებული ფარნები თანაბარ, შერბილებულ შუქს გამოსცემდნენ, მოხატული კედლები ჯერ კიდევ ინარჩუნებდნენ უწინდელ ფერთა სიუხვეს, სიმკვეთრესა და სურნე-

ლებას, რაც უცხო კაცზე. და არა მარტო უცხოზე, მართლაც ახდენდა ერთგვარ შთაბეჭდილებას. ამ შთაბეჭდილებას კიდევ უფრო აძლიერებდა დიდი დარბაზი თავისი კოლონებით, მაღალი, მოვარაყებული ჭერით და ფულის გასაცემი თუ მისაღები ძვირფასი ხისაგან დამზადებული სალაროებით. თუ ამ შენობაში რაიმეს თავისი პირვანდელი, უცვლელი სახე შერჩა შეურყვნელად, მხოლოდ ამ დარბაზს, კვლავაც ახარებდა თვალს ბუნებრივი ინტერიერი, მაღალი ფანჯრები, სულის მოსათქმელი სივრცე და ოქროს ვარაყი. მაგრამ ყველაფერი ეს შერჩა არა იმიტომ, რომ შესავიწროებლად და შესარყვნელად ვერ გაიმეტეს, არამედ იმის გამო, რომ ვერაფერი მოუხერხეს, ვერ შეძლეს მისი დაჩეხვა, გადატიხვრა, სოროებად გადაკეთება. სულ სხვა მდგომარეობა იყო ამ შენობის მივარდნილ კუთხე-კუჩქულებში, განსაკუთრებით, მესამე სართულზე, სადაც მას სამუშაო ადგილი ჰქონდა მიჩენილი. ამ ოთახში, მის გარდა, კიდევ სამი თანამშრომელი იჯდა. ერთი სომეხი, რომელსაც ფინანსებისა და კომერციის დარგში არაფერი ესწავლებოდა. შეეძლო მარტოს ემართა ბანკი და თუ გამდიდრებდა, თორემ არავითარ შემთხვევაში არ გააკოტრებდა. ამისათვის მას გამოცდილებაც ჰყოფნიდა, ცოდნაცა და უნარიც. მიუხედავად ამისა, დაწინაურებით მაინც ვერ დაწინაურდებოდა, რადგან, ჯერ ერთი, პარტიული არ იყო, მეორეც — წარმოშობა არ ჰქონდა პროლეტარული. გარდა ამისა, მისი პროფსიონალიზმი ფუნქციონერებს საექსპლუატაციოდ სჭირდებოდათ და არა სამოქმედოდ. პარადოქსი ის იყო, რომ ყველა ზემოჩამოთვლილი თვისება მას საფრთხეს უფრო უქმნიდა, ვიდრე სახელს და ამიტომ არც ეჩრებოდა თვალში უფროსებს, არ ეტეოდა მითქმა-მოთქმაში, არ სცდებოდა იმ ფარგლებს, სამსახურებრივი მოვალეობა რომ აკისრებდა. მისი „დიდი, მთავარი მიზანი“ თავის გადარჩენა იყო და რამე რომ შემთხვეოდა, ტრაგედია ამ მიზნის მიუღწევ-



ლობა უფრო იქნებოდა, ვიდრე სასჯელი. ვიწრო, მუდამ ელექტრონის შუქით განათებულ ოთახში ისინი ერთმანეთის პირისპირ ისხდნენ, სხვების თვალწინ ისე იქცეოდნენ, როგორც ამას დრო მოითხოვდა — ოფიციალურად, კორექტულად, ყოველგვარი ფამილარობის გარეშე, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მათ მაინც აკავშირებდათ რაღაც ისეთი, რაც დანარჩენი ორისათვის არ არსებობდა და ერთხელ, როცა დღის ბოლოს ბანკიდან გამოვიდნენ, ვაგან პირუშომვაძა, გარკვეული მიზეზის გამო უგუნებოდ რომ გამოიყურებოდა, ვახშამზე დაპატიჟა. დაპატიჟება იმდენად მოულოდნელი აღმოჩნდა, რომ ოგი ერთი წამით შეცბა კიდევ, მაგრამ არ შეიძინია და, რადგან შესაშვ არავინ ახლდათ, უყოყმანოდ დათანხმდა. სხვა დროს, სხვა ვითარებაში შეიძლება არც ვაგანს გამოეჩინა ინიციატივა და არც თვითონ დათანხმებულიყო, მაგრამ ამჯერად ამ მიპატიჟებასა და თანხმობაში იყო რაღაც ამბობის მაგვარი, რაღაც ისეთი, რაც შიშს, სიფრთხილესა და უნდობლობას უგულვებელყოფდა.

შორს წასვლა არ დასჭირებიათ. ვაგანმა მკლავი გაუყარა და იქვე, სოლოლაკში, ერთ სარდაფში ჩაიყვანა. საკმაოდ მოზრდილი, ნახევრად ბნელი სარდაფის კედლები წითელი, გამომწვარი აგურით იყო ნაგები. კედლების წყობაში არა მარტო სიმკვრივე იგრძნობოდა, არამედ იმ ოსტატის პროფესიული ღირსებაც, ვინც ისინი ამოიყვანა. არც ერთი გამარჯვებული ხაზი, არც ერთი ბზარი, არც ერთი მოცვეთილი კიდე. ამ კედლებთან შედარებით ის მაგიდები და სკამები, სარდაფში რომ იდგა, არაერთსახოვანი და არამყარი ჩანდა, აღრეული იყო არა მარტო სტილი, არამედ ნაქეთობათა ხანდაზმულობაც და ხარისხიც. სარდაფი წარმოადგენდა ძველი და ახალი დროის რაღაცნაირ ნაჯვარს, აღარც იქით რომ აღარაა და აღარც აქეთ და ეს არა მარტო უსიამო შთაბეჭდილებას ახდენდა, არამედ მათი შეუთავსებლობა

ყოველგვარი ფასეულობის გაუფასურებასაც იწვევდა.

ქუჩიდან სარდაფში არავითარი ხმაური არ შემოდოდა, მაგრამ იგრძნობოდა, რომ ავად დამუხტულმა ჰაერმა და შიშმა აქაც მოიკიდა ფეხი. არავინ ქეიფობდა, არავინ წარმოთქვამდა სადღეგრძელოებს, არსად ჩანდნენ მედუღუკეები. თითო-თითო კაცი თუ უჯდა აქა-იქ მაგიდას და თავისთვის ჭამდა პურს. ვაგანმა კუთხისაკენ წაიყვანა და შუა დარბაზიდან ყველაზე მოშორებულ მაგიდასთან დასვა. მის თანამშრომელს ქცევანზე ეტყობოდა, რომ აქ შინაური კაცი იყო. ოფიციალტმა მაშინვე მოიბრინა, სხვა ვითარებაში, ალბათ, მოიციტხავდა, შეიძლება გადახვევოდა კიდევ, მაგრამ ამჯერად თავი შეიკავა, ზედმეტი არაფერი დასცდენია, მხოლოდ ის ჩაიწერა, რაც ვაგანმა შეუტკვთა. შემდეგ უხმოდ გატრიალდა და ბუფეტისაკენ წავიდა. იცვლებოდა თბილისის ადამ-წესები, იხურებოდა ის გული, ასე ფართოდ რომ იყო ყოველთვის ღია სტუმრისა და მუშტრისათვის, იხშობოდა ის ხმა, მკერდში რომ ვეღარ ეტეოდა და სიტყვების კორიანტელს აყენებდა. სიტყვამ დაკარგა სილაღე, სიხალისე, პოეტურობა და შეიძინა სიმძიმე, პლაკატურობა და ორჭოფულობა. საცოდავი იყო ამ დღეში ჩავარდნილი თბილისი, საცოდავები იყვნენ სარდაფში შეკუჭული მისი მკვიდრნიც, რადგან თითო ბოთლი ღვინო რომ დაეღიათ და ორიოდვე სიტყვა ეთქვათ ერთმანეთისათვის, შორებლებსაც უნდა მორიდებოდნენ და ახლობლებსაც.

ოფიციალტს საქმე თითქმის არაფერი ჰქონდა და ამიტომ სწრაფად მოარბენინა ყველაფერი, რაც ვაგანმა შეუტკვთა — ყველი, პური, მწვანილი, მწვანილი, თევზი და ღვინო. მოსართმევი მხოლოდ მწვადილა დარჩა. ვაგანს ეტყობოდა, ღვინო სწყუროდა და ამიტომ სანამ პურს პირს დააკარებდა, თლილი ჭიქები პირამდე გაავსო. ისინი ერთ სუფრასთან არასოდეს მსხდარან, არც ამხანაგურად, გულდიად უსაუბრიათ ოდესმე და ამან ერთგვარი უხერხულობა გამოიწვია,



მაგრამ ვაგანი ისეთ ხასიათზე იყო, რომ ამ უხერხულობას ანგარიში არ გაუწვია, ჭიქა ჭიქაზე მიუჯახუნა და იმ კაცის გამოძევებულებით უთხრა „გაგიმარჯოსო“, რომელმაც თუ გული არ მოიოხა, რაღაც გამოუტყორებელ სისულელეს ჩაიდენს.

ღვინით სავსე ჭიქა მანაც ბოლომდე დასცალა. არ ამტლავებდა, თორემ ვაგანზე ნაკლებად გულამღვრეული და მოშხაპული არც თვითონ იყო. იმ დღეს ბანკში საერთო კრება მოიწვიეს, დაასწრეს ყველა, ვისაც სურდა და არ სურდა. კრება სასამართლოს უფრო ჰვავდა, ვიდრე თათბირს. კიდევ ერთხელ ასამართლებდნენ უმკაცრესად უკვე გასამართლებულ და დახვრეტილ ხალხის მტრებს. სალანძღავ, უხამს ეპითეტებს ბოლო არ უჩინდა, მაგრამ ყველაზე უსიამო მაინც ის იყო, ემუქრებოდნენ არა იმდენად დასჯილთ, რამდენადაც იმათ, ვისი გამომჟღავნებაც კოლექტივის ვალად ედო, ვინც ჭერ კიდევ თვალთმაქცობდა, ინიღბებოდა და შავნებლობას სჩადიოდა. ორატორი ორატორს ცვლიდა, დეკლარაცია — დეკლარაციას, პათეტიკა პათეტიკას და ბოლოს, როცა ხალხის მტრები კიდევ ერთხელ ჩადეს მიწაში, იქუხა ტაშმა, მაგრამ რა ტაშმა, ლამის ბანკის სააქტო დარბაზის მალალი ჭერის კი ჩამოიღო. აი, ამ კრების შემდეგ იყო, ვაგანმა რომ ვანშამზე დაპატიჟა და ეს ნდობა იმას ნიშნავდა, რომ ისინი ერთი ჩრდილის ქვეშ იდგნენ.

— ყველაფერს ვიფიქრებდი, მაგრამ არაფრით არ მეგონა, თავისუფალ კაცს თუ თავისუფალ კაცთან დალაპარაკება მონატრებოდა, — უთხრა ვაგან პირუბომვა ხმადაბლა და ხელი ბოთლისაკენ წაიღო. ვაგანმა ქართულიც ისევე კარგად იცოდა, როგორც ბუხბალტერია.

— ამის თქმის უფლება მხოლოდ იმ კაცს აქვს, ვისაც აღამიანად თვლიან და არა სახელმწიფოს საკუთრებად, — უპასუხა მან, როცა პურსა და ყველს მწვნილი შეატანა.

— რა მნიშვნელობა აქვს, აღამიანად მთელიან თუ არა. მთავარი ისაა, რომ მე

არც მუხჯად დავბადებულვარ და არც გონება მაქვს ისეთი ჩლუნგი, ორიოდ სიტყვა ვერ ვუთხრა კაცს. ენა გამჩენმა სალაპარაკოდ მომცა და არა პირში სატრიალებლად.

— ის დრო წაიდა, ჩემო ვაგან, გამჩენის მოცემული რომ გაჩენილს ეკუთვნოდა. შენ, ალბათ, ჩემზე მეტი იცი ისეთი შემთხვევა, კაცი რომ ენამ დალუბა.

— ვიცი, როგორ არ ვიცი, მაგრამ სულ მარტო ყოფნა და მარტო ფიქრი საშინლად დამქანცველია. ამ ბოლო დროს ვერც შინ ვბოულობ ადგილს და ვერც გარეთ. განსაკუთრებით ისეთი კრების შემდეგ, დღეს რომ გაიმართა. იქიდან ნაცემი ძალღვივით გამოვედი, ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს პირადად მე შემუქრებოდნენ. მაშინვე რომ შეწარმე და ფულიანი კაცი, ანუ „კაპიტალისტი“ არ ყოფილიყო, შეიძლება დღეს არც მე ვმჯდარიყავი ნემსებზე, მაგრამ როგორ დავწყველო მეკდარი კაცი იმისათვის, რომ მისმა წარსულმა საქმიანობამ ისიც გაამათხოვრა და მეც მოუშორებელი ჩიჩქი მომცხო?

— იმის გათვალისწინება, რაც მოხდა და ხდება, მამაშენმა კი არა, იმთაც ვერ შეძლეს, ვინც ამ საქმეს სათავეში ედგა. გაურკვეველობის სფერო ყოველწლიურად ფართოვდება და დღეს ისეთი მასშტაბები მიიღო, რომ რაიმეს წინასწარ განჭვრეტაზე ფიქრი თუ მოგშლის და მოგშხამავს, თორემ ვერაფრით დაგამშვიდებს.

— სიმშვიდეს ვინ დაეძებს, მშვიდად ჩვენ აქაც არა ვართ, ამ ბნელ სოროში, მაგრამ ჩვენ ციფრებთან გვაქვს საქმე და შენ კარგად იცი, რას ნიშნავს ციფრი ისეთ ქვეყანაში, სადაც კაცს კაცად კი არ თვლიან, არამედ ერთეულად, მუშა საქონლად, რომელიც უნდა დაიანგარიშო და ციფრებით გამოხატო. სწორედ ამან გამოიწვია ის, რომ გაჩნდა აღამიანთა სასაკლოები და თანაც იმდენი, მათ დაკმაყოფილებას ერთი და ორი მილიონი არ ეყოფა. მერედა, საიდან მოუყარონ ამ მილიონებს თავი? ყიდვით ვერ იყიდიან და გარედან არავენ შემოუღვა-



ნით, ამიტომ მილიონებში პოტენციურად ჩვენც ვიგულისხმებით, რადგან მოთხოვნილება ჩვენისთანებზე კი არ კლებულობს, არამედ ყოველწლიურად მატულობს. არავითარი მნიშვნელობა არა აქვს იმას, დამნაშავე ხარ თუ არა, თავდახრილი დადიხარ ამ ქვეყანაზე თუ თავადერილი, იწონებ ამ ცხოვრებას თუ იწუნებ. მთავარია, ვინ გახვევია გარშემო, რა თვლით გიყურებენ, გწყალობს ბედი თუ არა. იქ, სადაც სასამართლო ზედმეტ დანაშაულად მიაჩნიათ, არც სა-მართალი სჭირდებათ, რადგან სასამართლისა და სასამართლოს მეშვეობით მილიონებს ვერ დაიჭერ, ვერ შერეკავ სასაკლაოებში, სასაკლაოები კი კონვეიერივითაა, აქვთ ნელნელა — მუშაობენ, არა აქვთ — ჩერდებიან. ჩვენში ხომ სასაკლაოებიც და სასაკლაოებიც გეგმიური საწარმოებია. კაი ბიჭი ხარ და, გეგმას ნუ შეასრულებ. თუმცა მათი გაჩერება ახლა, ალბათ, ბევრს არ აძლევს ხელს, ყველაზე მეტად კი იმათ, ვინც ხელისუფლებამ ისე გარყვნა, რომ უმსხვერპლოდ არსებობა აღარ შეუძლიათ.

— ადრე უსამართლობას, უკეთურობას, უგუნურობას გარეშე ძალად მიიჩნევდნენ და თუ საქმით არა, სიტყვით მაინც ებრძოდნენ, ახლა კი ჩვენშია შემოსული და გვთრგუნავს, გვიმორჩილებს, გარეწერებისა და ჯალათების მეხოტბედ გვხდის.

— სადაც ტახტი და მბრძანებელია, იქ მეხოტბეობა ისეთივე ჩვეულებრივი მოვლენაა, როგორც მდაბლად თავის დაკვრა, ჩვენი, — შენი და ჩემი უბედურება ისაა, რომ ქურუმებმა არ იციან, რა გვიყონ, ვის მიგვატმასნონ, რა დამლა დაგვასვან.

— დამლასა და დამლას შორის ჩვენში იმხელა განსხვავებაა, რამხელაც სიკვდილსა და სიცოცხლეს შორის.

— სხვაგვარად არსებობა მათ არ შეუძლიათ. უდამლოდ როგორ უნდა განასხვავონ, ვინ მტერია და ვინ მოყვარე.

— მე მგონი, მათ ეს არ ესწავლებათ. მტრების გამოჩხრეკა და ბუზების სპი-

ლოდ გადაქეცვა ისე ეხერხებათ, როგორც ამქვეყნად არავის.

— ამაში მართალი ხარ. სწავლით არც ადრე ესწავლებოდით რამე და არც ახლა ესწავლებათ, მაგრამ სწავლა სჭირდება ხალხს და არა მათ, ხალხმა უნდა ისწავლოს მტრისა და მოყვრის გარჩევა.

— ხალხმა რომ მართლა იცოდეს, რა დღეშია, თავში უნდა იცემდეს ხელს და არა ტაშს უკრავდეს.

— ეს იმ შემთხვევაში, ხალხი რომ ბრბო არ იყოს, მაგრამ ბრბოს თვალსაზრისით ის, რაც დღეს ჩვენში ხდება, კანონზომიერია და თუ სიგიჟეს გამოვრიცხავთ, ამაში მას მეც დავეთანხმებოდი.

— უწინ კანონზომიერებას თუ ლოგიკა არა, სალი აზრი მაინც ელო საფუძვლად, ახლა კი ესეც დაკარგა.

— სალი აზრი ვერ იარსებებს იქ, სადაც უაზრო და უსასტიკესი ტერორი მძვინვარებს.

— ამიტომაცაა ძნელი დასაჯერებელი იმ კაცის აზრი, ვინც თქვა, ადამიანი გონიერი არსებააო.

— გონიერი ერთეულებია, უგუნური კი მილიონები. დღეს ყველაფერი იმიტომ დგას თავდაყირა, რომ გონიერების ბედს უგუნურები განაგებენ.

— რომ განაგებდნენ, ასე არ გამრუდებოდა ცხოვრება, რაღაც გამოსავალს კიდევ იპოვიდა კაცი იმ ჩიხიდან, მაგრამ კი არ განაგებენ, ძალცივით გყნოსავენ, გიდის მათი სუნი თუ არა. ამიტომაც არ ჭრის თავის მოკატუნება და თვალთმაქცობა.

ვაგანმა მწვადის ნაჭერი გადაიღო და დანა-ჩანგალი ისე ოსტატურად მოიმარჯვა, რომ ეტყობოდა, ჰამა-სმა საგანგებოდ ჰქონდა ნასწავლი თუმცა მამამისი შეძლებული კაცი იყო და თუ შვილი რამეს ისწავლიდა, ფულს არ დაზოგავდა. ვაგანმა ხმა მხოლოდ მას შეძგამოიღო, როცა ტუჩები ხელსახოცით შეიწმინდა.

— მე ცოტათი ის მამშვიდებს, ჩვენი გამოაშვარავების გარდა, მათ ერთმანე-

თის ქამაც ძალიან უყვართ და სანამ სამკვდრო-სასიცოცხლოდ იბრძვიან, შეიძლება ჩვენ მხედველობიდან გამოვრჩეთ.

ლმერთმა გასმინოს, მაგრამ იმათი, ერთმანეთს რომ ჭამენ, ისე არ მეშინია, როგორც პატარა, ნამუსგარეცხილი, უფრო ვანო დამბეზღებლებისა, ვირთხებივით რომ არიან მომრავლებულნი და თავიანთი საკბილო ყოველდღე სჭირდებათ. ყველაზე ძნელი სწორედ მათგან თავის დახსნაა.

— ამაშიც მართალი ხარ. დიდ მხეცებს ჩვენ არ ვაინტერესებთ, ჩვენი არსებობა არც კი იციან. ჩვენი თანები იმ მსუენავი ვირთხეების საკბილოა, ჭუჭყრუტანებიდან რომ გითვალთვალებენ და მოულოდნელად გესხმიან თავს.

— უბედურება ისაა, ჩემო ვაგან, რომ ისინი მაძებარი ძალებივით არიან მიშვებული ხალხზე და, უნდათ თუ არა, კერძო მანაც უნდა დაიჭირონ, თორემ მათ არსებობას გამართლება არ ექნება. ასე იყო შუასაუკუნეებში და ასეა ახლაც. თუმცა შუასაუკუნეებში ნადირის შერჩევა მანაც იცოდნენ, ახლა კი ამაზეც აიღეს ხელი.

— ხელი იმიტომ აიღეს, რომ სიტყვა „შევციდი“ ან „შევციდით“ მათთვის არ არსებობს. ასე რომ არ იყოს, ვერც ვირთხებს მოამრავლებდნენ და ვერც სასაქლაოებს შეჭმნიდნენ.

— რალა გვიჭირს, — თქვა მან და მის და უნებურად გაეღიმა. — კაცი რომ ვირთხებსა და სასაქლაოებს შორის აღმოჩნდები და არ აყვირდები, როგორც ჩვენ არ აყვირდით დღევანდელ კრებაზე, მას უკვე წინასწარ აქვს გამოუტანელ განაჩენზე მოწერილი ხელი.

— ასეთ განაჩენზე მილიონებს აქვს მოწერილი ხელი. ამიტომ ჭერჭერობით არავინ იცის, ვინ აღმოჩნდება შავ სიასში, ვინ გაისრისება უზარმაზარი მანქანის კბილანებს შორის, წინასწარ ნუ დავითხრით თვალებს. მოდი, ამ ჭიქით ისინი ვახსენოთ, ვინც ჩვენზე ადრე წავიდა ამ ქვეყნიდან და უამრავი თავსატეხი დაგვიტოვა, ვინც ვირთხებმა დახ-

რეა და სასაქლაოებმა შეიწირეს.

ვაგანმა ჭიქა დასცალა და ისე დადგა მაგიდაზე, თითქოს დარდი კოტათი გაუქარწყულაო. ადამიანი ამ ნახევარდბნელ სოროშიც კი არ კარგავდა გამოშუქების იმ უნაჩს, ღვინო რომ ანიჭებს პირველ წუთებში. ამიტომ მათ შორის არსებული უხერხულობაც საგრძნობლად შერბილდა, გამძკეუნიურდა. ღვინომ მათ ჩამუქებულ გონებაში პატარა ნაპერწყალი გააღვივა. ამ ნაპერწყლის ბუტუტვამ კი ენა ამოადგმევინათ. გულის კარი გაახსნევინათ, ეს მასზე უფრო ითქმოდა, ვიდრე მის შეინახეზე, რადგან, ეტყობა, ვაგანი ღვინოს სმას არ ერიდებოდა, მას კი ხეირიანად არც ახსოვდა, როდის დალია უკანასკნელად.

— ღვინო გამოაქეთეს, აღარაა ისეთი მუავე და მწკლარტე, ადრე რომ იყო, — უთხრა ვაგანმა, როცა მანაც დაცალა ჭიქა.

— შეიძლება მართლაც გამოაქეთეს, ამ ამბებში მე დიდად ვერ ვერკვევი, რადგან ქეიფისა და თავდავიწყების უფლებას არც ჯანმრთელობა მაძლევს და არც ირგვლივ გამეფებული ყოვლისშემძმუსერელი ძალმომრეობა, რაც ჩემთვის არა მარტო გაუგებარი და მიუღებელია, არამედ შინაგანად გამაჩანაგებელიც და განშიაირალეველიც. სიჩუმე სიჩუმეს აღარ ჰგავს და ხმაური ხმაურს. ყველფერს თან ახლავს სიბნელე, სიჩლუნგე, სიმუხთლე, რაც კომშარულ ასოციაციებს იწვევს. ის, რაც გუშინ მისასალმებელი იყო, დღეს დასაგმობია, გუშინ რომ ერთი ნაპირიდან გიღრენდნენ, დღეს მეორედან გისისინებენ. უწინ თუ ჭონებას გართმევდნენ, ახლა სიცოცხლის წართმევასაც აღარ სჯერდებათ. სანამ წამებით სულს არ ამოგხდიან, უსახელო საფლავს არ გაღირსებენ. ცხოვრება ყოველდღიურად ილვარკნება, ბლაგვდება, დედამიწაზე ფეხის მოსაკიდებელი ადგილი სულ უფრო და უფრო ნაკლები რჩება და მომვავებული დრო არა მარტო მოვლენათა თანამიმდევრობას არღვევს, არამედ იმის დავიწყებასაც

მოითხოვს, რასაც გონებიდან ფრჩხილებითაც ვერ ამოიჩქნი. ასეთ რამეს კი ჩვენ მიჩვეულნი ვართ, როცა ტვინის ჩიჩქნას ვიწყებთ, ამ ფუჭ საქმეს გონები დაბნელებამდე მივყავართ და ხელში გერჩება მხოლოდ გასისხლიანებული ფრჩხილები, რომელთაც შემდეგ ვმაღავთ, რადგან ვიცით, რომ მზავრობა და მკრეხელობა შეიძლება ფრჩხილების დასისხლიანებაშიც დაინახონ. როცა ამ ქიქის ვეცლიდი, იმაზე კი არ ვფიქრობდი, მყავდა ღვინო თუ ტყბილი, არამედ იმაზე, მოჟონავს ჩემი ფრჩხილებიდან სისხლი თუ არა.

როცა სიტყვა დაამთავრა, ისეთი გრძნობა დაეუფლა, თითქოს ნათქვამი თვითონ კი არ მოიგონა, არამედ ვიღაცამ უჯარნახა, თანაც უჯარნახა. შიგნიდან და არა გარედან. ამ აღმოჩენამ ჯერ გააკვირვა, შემდეგ კი უფრო გაათამამა, ვიდრე დააფრთხო. ის, ვისაც იგი საკუთარ თავში ყოველდღიურად კლავდა, ჯერ კიდევ ცოცხალი ყოფილა, ჯერ კიდევ შესძლებია სიტყვის ამოღერღვა და კაცურად იმის თქმა, რაც შეგნებაში კვალს ტოვებს. ამ გრძნობას კიდევ უფრო ამძაფრებდა ის, რომ წინ ეჯდა კაცი, რომელიც ყურს უგდებდა, ესმოდა მისი, თუ თავს არ უქნევდა, სიტყვას მაინც არ აწყვეტინებდა და ერთსა და იმავე დროს მასთანაც იყო და აადლაც, სხვაგანაც, საიდანაც სისხლისა და შრომის სუნი მოდიოდა, ქარის წივილი ისმოდა და ბურუსიდან იკვეთებოდა პირდაღებული საშინელება, რომელსაც შეეძლო დაუკითხავად შემოვარდნილიყო ამ სარდაფში, აყვებულიყო, აძალღუბებულიყო, იქაურობა მიეღწეწ-მოეღწეწ, დასაღვრელი სისხლი დაეღვარა და ვისაც აქ ვერ მოუღებდა ბოლოს, საწინებლად თან წაეყვანა. ეს არ იყო იმ ადამიანთა გაზვიადებული წარმოდგენის ნაყოფი, ყოველ ღამე კიბეზე ამოძავალფების ხმას რომ უგდებდნენ ყურს. ეს იყო ვარირებული მოლოდინი, რომელსაც სარდაფშიც შემოჰქონდა აუცილებლობად ქცეული მარტობა, უიმედობა და უსუსურობა, რაც გასაგებს ხდიდა იმ

გამომეტყველებას, გამოხედვასა და ურთიერთობას, მათ შორის რომ დამყარდა ამ ცოტა ხნის წინათ.

ღვინო რომ სისხლის ასრციაკრას იწყევს, ეს ახალი ამბავი არაა. — უთბრა ვაგან პირუშოვმა და სანამ სიტყვას განაგრძობდა, დარბაზს ცალი თვალით გახედა. — და იცი რატომ? ზოგისათვის სისხლი და ღვინო სიწმინდისა და ღმერთთან სიახლოვის სიმბოლოა; ზოგისათვის კი თრობის, აღვირახსნილობისა და გახელების ფერი, როცა ხალხი შორილებისა და სიწმინდისაგან დაიღლება — სისხლი ენატრება, როცა სისხლის სმისაგან — სიწმინდე ერთი სიტყვით, ცოდვას მაღლი მოსდევს და მაღლს ცოდვა ახლა ჩვენ ისეთ დროში ვცნობრობთ, როცა ხალხს თრობა და სისხლი მოენატრა, მოენატრა უშომოდ, გამმაგებით, თავდავიწყებით, რადგან დიდხანს იყო დამწყვედეული, დამშეული, დაბოროტლი. ამ ცოტა ხნის წინათ კი თავი აიშვა, უფრო სწორად, აიწყვიტა და ამიტომ პეშვით კი არ თხოულობს სისხლს, არამედ თავებით, ტანტებით, კასრებით და მანც ვერ იკლავს წყურვილს, ვერ ძლებს მისი თვალ და სტომაქი სიხარბემ და დაუსჯელობამ გაათავებდა. გამხეცა, გამშლტრეა რაც უფრო მეტს სკამს, მით უფრო ეცოტავება, მით უფრო იღეშება, მურდალდება, იოყვება, მით უფრო გამეტებით ლეწავს და ანგრევს იგვლივ ყველაფერს და მანამდე არ მოვა გონს, სანამდე არ ამოანთხევს სისხლსა და ლორწოს, სანამ ნამოკვცის თქვლივით გადაგენერატებული, საკუთარ სიმრუშესა, სიბილწესა და სიბინძურეში არ ამოიგანგლება.

ღვინის ქება და სისხლთან გაიგივება ღვინის მსმელი ხალხების ძველისძველი რომანტიკაა, იმ დროისა, როცა ბერძენები დიონისეს კულტსა და შითებს ქმნიდნენ. დღეს ღვინოს ის ფასი არა აქვს, ოდესღაც რომ ჰქონდა დღეს ფასობს არაყი, კონიაკი, სპირტი, მათი სისხლთან გაიგივება კი არაფრით არ შეიძლება, არც ფერით, არც გემოთი და არც სიმაგრით. ღვინო ნელ-ნელა იწმინდება.

სისხლძარღვებში იღვწებება და ტვინამდე გვიან აღწევს, არაყი კი პირდაპირ ტვინში იჭრება, ისედაც მორყეულ ზნეობრივ ჯებირებს ანგრევს, მცონარე მხეცს აღვიძებს და ეს მხეცი გამოღვიძებას მხოლოდ მაშინ იწყებს, როცა თარეშითა და ავკაცობით დაიღლება. რამდენი ასეთი ჯებირმორღვეული ტვინია ჩვენს უკიდვანო ქვეყანაში, რამდენი გაბოროტებული ნაძირალა, რამდენი სადისტური მკვლელობა ხდება ყოველდღე. ახლა წარმოიდგინე, რა შეიძლება ხდებოდეს იქ, სადაც სასაკლაოებია განლაგებული, სადაც კაცის მოკვლა დანაშაულად არც კი ითვლება, სადაც ქალი ისევე პატივყარია, როგორც მამაკაცი, სადაც ზედმეტი სისხლის სმით გამოწვეულ გულისრევას არყითა და სპირტით იხშობენ და, გაღუშოლები, კიდევ უფრო საშინელ დანაშაულს სჩადიან. ღვინოს მაშინ ჰქონდა ფასი, როცა დიონისეს ძარღვებში სჩქედდა, ანდა, როგორც ქრისტეს სისხლი, ევქარიზმის სიმბოლოდ ითვლებოდა. დღეს კი, როცა სისხლი წყალივით იღვრება, აღარც ღვინოს აქვს ფასი და აღარც სისხლს.

ვაგანმა მისი სიტყვები ბოლომდე მოისმინა, კიქები შეავსო და მხოლოდ ამის შემდეგ განაგრძო საუბარი.

— იცი, რას გეტყვი, ჩვენმა გამბედნიერებლებმა ღმერთი და ეკლესია კი უარყვეს, მაგრამ სისხლზე, ანუ სისხლის ფერზე მაინც არ აიღეს ხელი, მაინც დაიტოვეს თავიანთ ხატად და სიმბოლოდ. იმდენი წითელი დროშა, ახლა ქუჩებსა და მოედნებზე რომ ფრიალებს, არავის აუფრიალებია არასოდეს. მე მხოლოდ ის არ ვიცი, რას გულისხმობენ ისინი ამ ფერში — მტრის დაღვრილ სისხლს თუ საკუთარი სისხლის ფასად მოპოვებულ გამარჯვებას. თუმცა, განსხვავება ამ ორ თვალსაზრისს შორის არც ისე მნიშვნელოვანია. მთავარი ისაა, რომ არსებობს და ყოველთვის იარსებებს მტერი, რომლის სისხლიც უნდა დაიღვაროს, მოისპოს, გაცამტვერდეს, ზოლო სამკვდროსანიცოცხლო ბრძოლაში ვისი სისხლი დაიღვრება და რამდენი, ამას გადაწყვე-

ტი მნიშვნელობა არა აქვს. სისხლმამართლაც დაკარგა იღუშალება, ღვთაებობა, სიმბოლოებობა და ჩვენს აყვავებულ ქვეყანაში მხოლოდ ფერი და ხრწნის უნარი შეინარჩუნა. წითელი ფერი მტრობის, შეუთრგებლობის, სისასტიკის ფერი გახდა, ზოლო ღვინო, ანუ იგივე არაყი, მხოლოდ ცოცხლად დარჩენილთა და გამარჯვებულთა სასმელი. მკვდრებს რომ სასმელი არ სჭირდებათ, საიქიოს რომ არაფერი გამოადგებათ, ამას ჯერ კიდევ ძველი ბერძნები მიხვდნენ და ამიტომ ჰადესის მკვიდრთ, ან უფრო სწორად, მიწის ქვეშეთში მცხოვრებ ღმერთებს ღვინის სმა აუკრძალეს და სწორადაც მოიქცნენ. თუ მათ წესს ჩვენს დროზე გავავრცელებთ და იმ იდეოლოგიას მივუსადაგებთ, ძალად რომ მოგვახვიეს თავს, პერიფრაზი დაახლოებით ასეთი იქნება — ღვინის სმის უფლება აქვთ გამარჯვებულებს და არა დამარცხებულებს, რადგან დამარცხებული იგივე მკვდარია და ღვინო არაფერში სჭირდება.

— ზოგჯერ გამარჯვება დამარცხებებზე უფრო წამგებიანია და გამომფიტაეია, განსაკუთრებით მაშინ, როცა სამკვდროსანიცოცხლო ბრძოლა ხელისუფლების მონოპოლიისთვისააა გაჩაღებული, — უთხრა მან ვაგანს და კუქის წვას რომ არ შეეწუხებინა, ბორჯომი დაიხსა.

— რას იზამ, მონოპოლია ჩვენი დროის ყველაზე გავრცელებული სენია.

— ეს სენი მეტ-ნაკლები სიმწვავით ყოველთვის არსებობდა ამ ქვეყანაზე.

— ისევე, როგორც გამარჯვება და დამარცხება.

— როცა გამარჯვება თვითმიზანია, გამარჯვებული სულ უფრო მეტად და მეტად კარგავს პასუხისმგებლობის გრძობას, საკუთარი თავისა და ცხოვრების შეცნობის უნარს, რაც ექვს, ცინიზმსა და უნაყოფობას იწვევს.

— უნაყოფობას უფრო ის იწვევს, როცა წესრიგს უწესრიგობად აქცევენ და ახალი წესრიგის დამყარება ვერაფრით მოუხერხებიათ.

— მათ ზუსტად ისეთი წესრიგი დაამ-

ყარეს, როგორც სურდათ. ხელისუფლება ხელში ჩაიგდეს და თავცოცხალი არავის დაანებებენ. მხოლოდ ესაა, ამგვარი წესრიგის დამყარება არა მარტო უამრავ მსხვერპლს მოითხოვს, არამედ უზომოდ ძვირიც ღდება.

— დაჯდება, აბა, რა იქნება, როცა ამდენი მუქთახორა, გარეწარი და ჯალათი გყავს მოსასყიდი. არ მოისყიდი და, სხვას მიუყიდებიან. მე შენ გეტყვი, სინდისი დაუშლით, პატროსნება თუ კაცობა. გარდა ამისა, იაფი, ალბათ, არც ბრბოს მოტყუებაა.

— შენ წარმოიდგინე, მოსყიდვა უფრო ძვირი ღდება, ვიდრე მოტყუება.

— ამბობენ, ბელადს თანამებრძოლებზე მეტად ბრბო უყვარსო.

— ეს არცაა გასაკვირი. თანამებრძოლი, რა ერთგულიც უნდა იყოს, პოტენციურად მაინც მეტოქეა. ხოლო ბრბოში ჰქვიანი კაციც კი ყუყურდება.

— ერთ კაცს ვიცნობდი, უფრო სწორად, შორეული ნათესავი იყო ჩემი. როცა სახლში იჯდა, ადამიანს ჰგავდა, საღად მსჯელობდა, ეჭვებს გამოთქვამდა, ავსა და კარგს ერთმანეთში არ ურევდა, მაგრამ როგორც კი შინიდან გავიდოდა და ბრბოში გაერეოდა, უკან გაღიზიანებული, გაგულსებული, ჰქუანაღრძობი ბრუნდებოდა. ყველგან მტერი ელანდებოდა, რაც კი ირგვლივ ცუდი ხდებოდა, ყველაფერს მავნებლებს აბრალებდა, დაჭერებსა და დახვრეტებს ამართლებდა. ამ დროს მის აღშფოთებასა და გამკითხაობაში ყალბი პათოსი ქლერდა და ყოველთვის მაკვირვებდა, თვითონ როგორ ვერ გრძნობდა ამ სიყალბეს.

— ასეთები იმიტომ ექცევიან ადვილად ბრბოს გავლენის ქვეშ, რომ ინდივიდუალობას კარგავენ და ცხოველურ ინსტინქტებს იძენენ, ხოლო როცა გამოერკვევიან, სისულელეებს რომავენ და თავს აგებენ.

— არ ვიცი, დახვრიტეს თუ არა, მაგრამ დაჭერით რომ დაიჭირეს, ამის მოწმე მე თვითონ ვაგზდი. იმ დღეს ცოტა შეზარხოშებული ვიყავი, მის ქუჩაზე მომიხდა გავლა და ჩემი თვალით დავი-

ნახე, როგორ გამოიყვანეს სახლშიდან იქვე გაჩერებულ მანქანაში ჩასვეს.

— როგორ გამოიყურებოდა?

— ნაცემ ძალზე უარესად.

— შენი შორეული ნათესავი იცი რამ დალუბა?

— რამ?

— შეგნებულად რომ უნდოდა სცოდნოდა ის, რაც მას არ ეკითხებოდა.

ვაგანმა პაპიროსს მოუყიდა, ძლიერად მოქაჩა და კვამლი ისე გამოუშვა პირიდან, როგორც გამონაბოლქვი ორთქლი. პაპიროსის წვევა რომ სიამოვნებას ჰგვრიდა, თვალეზე დაეტყო, ოდნავ გაუმუქდა, დაენისლა. მას ცოტათი შემურდა კიდევ ამ კაცისა, რადგან თვითონ არც თამბაქოს გემო იცოდა და არც იმ სიამოვნებაზე ჰქონდა წარმოდგენა, პაპიროსი რომ ანიჭებს ადამიანს. სანამ ვაგანი პაპიროსს ეწეოდა, მან თვალი დარბაზისაკენ გააპარა. ნათურები ძველებურად ბუტბადენენ, ჩასუქებული დედაკაცი, რომელსაც მგლოვიარე სახე ჰქონდა, დასვრილ ჯამ-ჭურჭელს ალაგებდა, სარდაფის მძიმე კარი ჭრიალით იღებოდა, ისეთი ჭრიალით, კენესას რომ ჰგავდა და როცა მისი გამოძახილი კუთხეებამდე აღწევდა, სასაუზმესა თუ სასადილოში ჩამორბოდნენ დამუნჯებულნი აჩრდილები, სახელდახელოდ წაიხემსებდნენ და ისევ უხმოდ ტოვებდნენ იქაურობას. შეიძლება ეს მას ეჩვენებოდა, იმ ხანებში ამგვარი რამ გასაკვირი არ იყო, ერთხელ კლანჭებიანი თათიც კი მოეჩვენა, რომელიც სახეში უნდა სწვდომოდა და დაესისხლიანებინა, მაგრამ ყველაზე მეტად მაინც ის აწუხებდა, რომ გადაჩვეული იყო სხვებთან პურის ჭამას, საზოგადოებრივ დაწესებულებებში სიარულს, უშუალო, ადამიანურ ლაპარაკს და ახლა თავს ისე გრძობდა, როგორც შეთქმული, რომელიც იმიტომ ჩამოვიდა ამ სარდაფში, რომ შინ მისვლა უჭირდა, სხვაგან წასასვლელი კი არ ჰქონდა.

ვაგანმა პაპიროსი საფერფლეში ჩაყლიტა, ჰქიები გაავსო და ისევ დარდ-

მორეული კაცის გამომეტყველებით თქვა:

— ამ ბოლო დროს ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს ჰაერიც კი გამწარდა და ამ სიმწარეს მხოლოდ ღვინო აქარწყლებს.

— თუკი აქარწყლებს, წამლისათვის მოგონია, მაგრამ ამ ცხოვრებაში ბევრია ისეთი სიმწარე, ვერავითარი ღვინო რომ ვერ გააქარწყლებს, თორემ ღვინოს, თუნდაც საუცხოოს, როგორმე იშოვიდა კაცი, — უპასუხა მან.

— შოვნით კი იშოვი, მაგრამ მარტო სმა არ მიყვარს, ჩვენს დროში კი ღვინოს შოვნაზე უფრო კაცის, ანუ მეინახის შოვნა ჭირს.

— ამიტომ დამპატიე?

— ამიტომაც და იმის გამოც, თუ პრაქტიკულად არა, თეორიულად ორივე წყალწალღებულ ვართ და ხომ გაგიგონია, წყალწალღებული წყალწალღებულს ეკიდებოდაო.

— ძველი ანდაზებიც ისევე ჩაბარდა დროს, როგორც ძველი სიტყვა-პასუხი, ჩემო ვაგან. ის ანდაზები გადარჩენის რაღაც შანსს მაინც უტოვებდნენ კაცს, თუნდაც იმავე წყალწალღებულს, ახლა კი შემთხვევითაც რომ გადარჩე, პასუხს მაინც აგებინებენ ვინმეს.

— ამიტომაც მოდი ამ ჭიქით...

— არ მოთხრა ახლა, წყალწალღებულებს გაუმარჯოსო! — შეაწყვეტინა მან.

ვაგანს გაეცინა, გაეცინა გულიანად, ადამიანურად, მაგრამ ეს გულია სიცილი ვერ მალავდა იმ სიმწარეს, ჰაერში რომ იგრძნობოდა და მის თვალეში ირეკლებოდა.

— რა დრო დაგვიდგა თბილისელებს, — თქვა ვაგანმა, — კაცი სადღეგრძელოს ჩურჩულით ამბობდენ და არც ამის თქმა შეგეძლოს კაცურად? სუფრასა და სადღეგრძელოებს რომ ეშხი არ დაეკარგათ, ცოტა ხანს კიდევ გავძლებდი ამ ქვეყანაზე.

— ეჰ, ჩემო ვაგან, მე და შენ ჩამორჩენილი ხალხი ვართ. დღეს წარსულს კი არ მისტირებ, პირიქით, აბუჩად იგდებენ, წიხლავენ, თელავენ.

— მომავალზე ფიქრი არ შემეძლებოდა, წარსულზეც რომ ხელი ავიღო, რითღა ვისულდგამულო?

— რა გესულდგამულება, შე მამაცხოვრებულო, როცა ნათელი დღეც კი შავად თენდება, შენი ყველაზე დიდი მამხილებელი, სწორედ შენი წარსულია. იმ ბრალდებების მიხედვით, რასაც დღეს წარსულის მოტრფიალებს უყენებენ, შენ დასაფლავებაც კი არ უნდა გერგოს ადამიანურად.

— დასწყევლოს ეშმაკმა, რალა ჩემი წარსული აღმოჩნდა ასე საბედისწერო. ამას წინათ ერთი ყარაჩოხელი თუ კონტო გარდაიცვალა და უნდა გენახა, რა დარბაისლურად იგლოვეს, რა მამაპაპურად დასაფლავეს მისმა ძმაკაცებმა.

— ეს იმიტომ, რომ დამსაფლავებლები მიცვალბულთან ერთად თავიანთ თავსაც ასაფლავებდნენ. ამიტომაც არ შეუშალეს ხელი, თორემ დასაფლავება ახლა ჩვენში უფრო დიდი პრივილეგიაა, ვიდრე ძველ მონათმფლობელურ სახელმწიფოებში იყო. მგონი, მკვდრის კერპად თუ ღმერთად გამოცხადებაც იმ სახელმწიფოებიდან მოდის.

— აი, ეს უკვე მართლაც სიხარბე და გაუმამძღრობაა.

— რატომ?

— რა დიდი და სახელოვანი კაციც უნდა ყოფილიყო, ხომ იბატონა ერთხელ ამ ქვეყანაზე, ეყოფა, რალა უნდა კიდევ?

— მკვდრის გაღმერთება ცოცხლებს სჭირდებოდა და არ მკვდარს, ჩემო ვაგან. აბა, გადახედე კაცობრიობის ისტორიას, თითქმის ყველა ახალი რელიგია მკვდრის გაღმერთებით იწყება.

— ვაი, თუ ძმა ხარ, ისეთ რამეს ნუ მეტყვი, არც ერთ ჭკუათმყოფელს რომ არ მოუფა აზრად. ჩვენს დროში ახალი რელიგიის შექმნა სიგიჟეა და მეტი არაფერი.

— განა ცოტა სიგიჟეს ხედავ ირგვლივ. რატომ გგონია, რომ იმას, რასაც შენ არ იჯერებ, არც სხვები დაიჯერებენ?

— თუ ასეა, ჩემი საქმე კიდევ უფრო ცუდად ყოფილა, ვიდრე შეგონა. ასეთ

საძაგლობაში მე-მონაწილეობას ვერ მივიღებ. მე ერთი ღმერთი მწამს, ჩემი წინაპრების ღმერთი და სხვას ვერ მამებინებენ.

— შენ არც გაწამებინებენ. შენისთანებს სხვანაირად მოუვლიან, მაგრამ არიან ისეთები, რომელთაც შეუძლიათ არა მარტო მკვდარი, ცოცხალი კაციც კი გააღმერთონ.

— უფალო, შენ დაგვიფარე ამ განსაცდელისაგან! — თქვა ვაგანმა, ჭიქა დაცალა და ისე ჩაფიქრდა, თითქოს ყველაფერი, რაც მის ირგვლივ ხდებოდა, მხოლოდ ახლა გაიაზრა ბოლომდე.

ჭიქა მანაც დაცალა და ვაგანს თვალი შეავლო, ძნელი იყო იმის ამოკითხვა, თუ რაზე ფიქრობდა იმ წუთში მისი მასპინძელი და მეინახე, მაგრამ თვითონ საბოლოოდ დარწმუნდა, იმ პრობლემების გადაჭრა, ბოლო დროს რომ ტვინს უბურღავდა, არც დროს შეეძლო, არც სხვას და არც პირადად მას. უძლურება, რასაც უიშვებოდა კი არ იწვევდა, არამედ ბევრ ისეთ რამეზე თვალის დახუჭვა, რაც დასაინახი და გასათვალისწინებელი იყო, ნელ-ნელა შემოეჩვიდა და ახლა იმას, რასაც ფიქრობდა და ამბობდა, ნაფიქრალი და ნათქვამიც კი არ შეიძლებოდა რქმეოდა. უზარმაზარი მოვლენები, მის თვალწინ რომ გათამაშდა, თავიდანვე არ ჰქმნიდა სტაბილურობის, მარადიულობის შთაბეჭდილებას; არც აღამიანებს ჰქონდათ მოციქულების, წმინდანების, იდეური ბელადების სახე. ისინი უფრო ომში გამარჯვებულ ლეგიონერებს ჰგავდნენ, რომელთაც სახელმწიფოები დაიპყრეს, ქალაქები აიღეს და ძველი წესისამებრ დაიწყეს მათი უმოწყალოდ ძარცვა, ურჩთა ხოცვა, მორჩილთა დამონება. აი, ამიტომ ვერ აუწყო მათ ფეხი, ვერ გაიზიარა გამარჯვების გამაყრუებელი ყიყინი, ვერ მიიღო შავი თეთრად და თეთრი შავად. მის თვალწინ მოხდა ისიც, რომ გამარჯვებულებს მარტო ნადავლი ეცოტავათ და ახლა სახელი და დიდება მოუწდათ. დაიწყეს ქალაქებისა, მოედნებისა და ქუჩებისათვის სახელის შეცვლა, დღესას-

წაულების ნაცვლად, ტრიუმფალური სვლების მოწყობა, ქადაგებებისა და შეგონებების ნაცვლად, გრანდიოზული მიტინგების გამართვა და მანამდე გაუგონარი ლოზუნგების სამოქმედო პროგრამად დასახვა. პატარა და მოვლილი ცხოვრებიდან ყველაფერი იდევნებოდა, დაიხურა სამიკიტნოები, გავერანდა ბალები, გაქრნენ მეწვრილმანეები, გაეცალნენ ქალაქს მოკლურტულე ჩიტები და მოხატული ყვავილები, მოედალნენ ვირთხები, ბაღინჯოები, ტილები, ჭილყვავები, გარეთ გამოიჩინა წლების მანძილზე დაგროვილმა ღვარძლმა და ბოლომდე, აყროლდა ასაყროლებელი, აშშორდა ასაშშორებელი და ახლა, როცა სიმაართლე ისეთივე მარტივი იყო, როგორიც უნდა იყოს და სიცრუე ისეთივე მტყნარი, როგორიც არის, იგი იმ კაცს ჰგავდა, ჩიხის ღობესთან რომ მიმდგარა და ცალი თვალით გარეთ იყურება.

ვაგანმა თავი ისე ასწია, თითქოს რაღაც დასკვნამდე მივიდა, ჭიქები შეავსო და სანამ რამეს იტყოდა, პაპიროსს მოუკადა. ვაგანისათვის ეს სარდაფი, ალბათ, ის თავშესაფარი იყო, სადაც თავს თუ კარგად არა, ცოტათი უკეთ მიინც გრძნობდა, ვიდრე სხვა ამდაგვარსავე დაწესებულებაში. ნახევარბნელი, ირგვლივ რომ იყო გამეფებული, საგანთა მოხაზულობას არბილებდა და გზას უხშობდა იმ სიმბოლურ ნიშნებს, გარეთ რომ თვალს მოსვენებას არ აძლევდა. ეტყობა, მისთვის აქ არც მომავალზე ფიქრი იყო ისე საშინელი, როგორც სახლში ან საერთო კრებაზე. ამას ისიც აღსატურებდა, რომ იგი აქ უფრო თავისუფალ, უფრო ღირსეულ კაცად გრძნობდა თავს, ვიდრე იმ სოროში, სადაც ვერც პაპიროსს ეწეოდა და ვერც გადიოდა დაუკითხავად. თუ მას ის დღე დაუდგებოდა, რომ მოაკითხავდნენ, ალბათ, ერჩია აქედან წაეყვანათ, ვიდრე სახლიდან ან სამსახურიდან.

— ჩვენ ცოტათი იმ მგზავრებს ვგავართ, მატარებლის მოსვლას რომ ელოდებიან და მოუთმენლად ცქმუტავენ, — უთხრა ვაგანმა და ჭიქას ისე მოუცაცუა:



ნა ხელი, რომ, ეტყობოდა, ღვინო სწყურ-  
როდა.

— მე მგონი, ამ ქვეყანაზე არაფერი  
არაა ისე დაქანცველი და გამოფიტა-  
ვი, როგორც ყოველ წუთს იმაზე ფიქ-  
რი, მოვა შატარებელი თუ არა. დადი-  
ხარ, წევხარ თუ მუშაობ, ერთი ხმა  
ერთი მხრიდან ჩაგძახის — მოვა, მოვა,  
მოვა, მეორე ხმა კი მეორე მხრიდან —  
არა, არა, არა! — უპასუხა მან.

— მე რომ ჭკუა მქონოდა, დღეს ამ  
ღიღემის წინაშე არ ვიდგებოდი, ოკე-  
ანის გაღმა დავიდებდი ბინას, მაგრამ ახ-  
ლა გვიანაა თითზე კბენანი.

— ცოლ-შვილი თუ გყავს, ვაგან?

— მყავდა, მაგრამ აღარა მყავს, წა-  
ვიდნენ, გამეკენენ და სწორადაც მოიქ-  
ცნენ. ჯერ ერთი, ჩემს მდგომარეობაში  
მყოფ კაცს რა ეცოლშვილება, მეორეც,  
მე რომ რამე შემემთხვას, ისინიც უზო-  
მოდ დაიჩაგრებოდნენ.

— უშენოდ არ უჭირთ?

— ჩემი ყოფილი სიმაზრი ისეთი კა-  
ცია, ნემსის ყუნწში გაძვრება და ოჯახს  
არაფერს მოაქვებს.

— დროდადრო თუ ნახულობ მაინც  
ცოლ-შვილს?

— არა, მომიშორეს, მომიძულეს, ახ-  
ლოსაც არ მიკარებენ.

— იქნებ სმის გამო?

— არც უმაგისობაა, მაგრამ გულწრ-  
ფელად რომ გითხრა, მე დიდ ბედნიე-  
რებად არ მიმაჩნია ცოლ-შვილში ტრია-  
ლი და მათთან „სიამტკბილობა“. უფ-  
რო ის მაცოფებს, საერთო ბალანსი რომ  
ირღვევა და, რაც უფრო მეტ დეფორ-  
მაციას განიცდის, მით უფრო მხურვა-  
ლედ უყრავენ ტაშს.

— ჯერ ერთი, ტაშის დაკვრა დღეს  
ისევე აუცილებელია, როგორც სუნთ-  
ქვა, მეორეც, ბალანსი იმ ვაგებით, შენ  
რომ გულისხმობ, მათთვის არ არსე-  
ბობს.

— სადაც ეს ცნება იმ ვაგებით არ არ-  
სებობს, მე რომ ვგულისხმობ, იქ პროს-  
კრიპციები ისეთივე ჩვეულებრივი მოვ-  
ლენაა, როგორც მგლების მიერ ცხვრე-  
ბის დაჭმა. ამ მხრივ, მე მგონი, ჩვენ

სულას დროინდელი წესწყობილების  
ღირსეული გამგრძელებლები ვართ.

— შენ თუ გგონია, ჩვენი საზოგადო-  
ება მონათმფლობელობისაკენ არ მიე-  
ქანება და მგლები ცხვრებს არ ჭამენ,  
ცოტადენი ილუზია კიდეც შეგარჩენია.  
განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ ცხვრებს  
მგლებისაგან დაცვას ჰპირდებიან,  
მგლებს კი მადას უღვიძებენ და კბი-  
ლებს უღვსავენ. აი, ასე ესმით მათ  
ბალანსი.

— იმათ რაღა ქნან, ვინც არც მგლებ-  
ში ურევია და არც ცხვრებში?

— ასეთები არ უნდა არსებობდნენ და  
ის, რაც ახლა ხდება, სწორედ იმისკენაა  
მიმართული, რომ ასეთი შუალედური  
ფენა მოსპონ. არჩევის უფლება ყველას  
აქვს, მხოლოდ ეს უნდა მოხდეს მკაცრად  
დიფერენცირებულ საზღვრებში, ერთი  
სიტყვით, ან მგელი უნდა იყოს, ან ცხვა-  
რი.

— მგლებიც ხომ ჭამენ ერთმანეთს,  
თანაც ისე ხარბად, რომ მათი ძვლების  
ხრამუნი ჩვენს ყურებამდეც აღწევს. მე  
მგონი, ჩვენამდე ჯერჯერობით იმიტომ  
ვერ მოაღწიეს, რომ ერთმანეთს უსწო-  
რებენ ანგარიშს.

— ერთმანეთს მგლებიც ჭამენ და  
ცხვრებიც. მხოლოდ ესაა, რომ მგლებს  
უაღრესად განვითარებული აქვთ ჩრო-  
ვის გრძნობა, ცხვრებს კი არა. მგლები  
მგლებს მხოლოდ მაშინ ჭამენ, როცა  
ხროვა ხროვას ან რამდენიმე ხროვა  
ერთმანეთს დაუპირისპირდება. ასეთ  
შემთხვევაში, მათ სისასტიკეს საზღვარი  
არა აქვს. ცხვრები კი ამას უხმაუროდ  
და ყოველდღიურად აკეთებენ, რადგან  
მათ არ ამოძრავებთ ურყევი დოგმებით  
გაჯერებული მიზნები.

— რატომ ხდება, რომ ცხოვრების ამა  
თუ იმ პერიოდში ადამიანებს ადამიანუ-  
რი ცხოვრება აღარ შეუძლიათ?

— ესეც ჩამორჩენილობისა და უსა-  
ფუძვლო ილუზიების შედეგია. მათ ბე-  
ლადებს ჰგონიათ, რომ ძველს დაანგრე-  
ვენ და ნანგრევებზე ბევრად უკეთეს  
ცხოვრებას ააშენებენ. მაგრამ ცხოვრე-  
ბის მთლიანად, საფუძვლიანად დაანგრე-

ვა ცხოვრების მოსპობას უდრის, ამიტომ ანგრევენ იმას, რაც ზედაპირზეა განლაგებული, რაც თვალთ ჩანს, ეს კი არათუ სასურველ შედეგებს იძლევა, არამედ კიდევ უფრო აუარესებს ცხოვრებას, რადგან ნანგრევებზე ყველა იმას აშენებს, რისი აშენების უნარიც შესწევს.

— მე ყველაფერს ის მიჩრევნია, ბალანსი რომ არ ირღვეოდეს, მაგრამ რადგან არჩევანი მკაცრად დიფერენცირებულ საზღვრებს შორისაა მოქცეული, ცხრობას მე ისევ მგლობას ვარჩევდი, — უთხრა ვაგანმა და საყულო შეიხსნა. — მხოლოდ ესაა, მგლები აღმაცერად მიყურებენ, წარსულს დანაშაულად მითვლიან, მისაფრდებიან და, თუ ეს ასე გაგრძელდა, ბოლოს და ბოლოს, სასაქლოზე ამომყოფინებენ თავს.

— შენს წარსულს, ჩემო ვაგან, მაშინ მიუცემა შეფასება, როცა ამას საჭიროდ მიიჩნევენ. მანამდე კი შენ ისეთივე უფლება გაქვს არჩევანისა, როგორც ყველას. რამდენ მგელს აქვს შენზე უარესი წარსული და დღეს არა ერთსა და ორ ხროვას მეთაურობენ. მთავარია, ნამდვილად გინდოდეს მგლობა, შეგეძლოს უდანაშაულო კაცის გაცემა, სისხლის დაღვრა, ერთი სიტყვით, დანაშაულის ჩადენა, თანაც ისე, რომ ამისათვის არავითარი ახსნა-განმარტება არ მოითხოვო. თუ ამას შეძლებ საქმით და არა სიტყვით, დანაშაულის ჩადენა, თანაც ისე, რომ ამისათვის არავითარი ახსნა-განმარტება არ მოითხოვო. თუ ამას შეძლებ საქმით და არა სიტყვით, შენს წარსულს ისე შეაღამაზებენ, როგორც ვოლჟუციონერადაც კი გამოგიყვანენ.

— ეს რომ გააკეთო, უნდა გჯეროდეს იმ იდეებისა, ყოველ გზაჯვარედინზე ასე ხმაბალა რომ გაკვირიან.

— იდეები მგლებისათვის საფარია, ცხვრებისათვის კი მისატყუარი, მე ჯერ არ მინახავს ისეთი მგელი, ცხოვრებაში იდეებით რომ ხელშეშვანლობდეს.

— მე რომ ბოსელში გაზრდილი, უნახავი, ცხოვრებას დაზარბებული კაცი ვიყო, მაშინ ეს საკითხი ჩემთვის იოლი

გადასწყვეტი ღწნებოდა. მაგრამ რა უნდა მომცეს ცხოვრებამ ისეთი კაცის გაცემად, სისხლისღვრად და დანაშაულის ჩადენად რომ ღირდეს. ამას მე ისევ სარდაფში ჯდობა, ღვინის სმა და ჩემი ჭირის გახარება შირჩევნია. შეიძლება, არც ეს შემარჩინონ, ღვინოც მომინატრონ და პაპიროსიც. მაგრამ იმის დარდი მაინც არ მომკლავს, ეპ, რა ცხოვრება დაკვარგეო ამიტომ, მოდი, იმ კაცს გაუმარჯოს, ვისაც სისხლის ღვრას ღვინის სმა ურჩევნია.

მას ისე მოუწია ჭიქის დაცლა, ღვინო ცოტათი გაუტყვა, მაგრამ თრობის ეშში არ ესმოდა, არ იცოდა, რომ ამისათვის შინაგანად მრღუნება, ერთგვარი თავდავიწყება იყო საჭირო და ამიტომ არ ეკიდებოდა, შინაგანი დაძაბულობისა და სალი აზრისაგან ვერა თავისუფლებდა. თრობას იმტომ ეწირაღმდეგებოდა, რომ არ უნდოდა სისამდვილეს გამოთქმოდო, ცხოვრება იმაზე უკეთესი მოსვენებოდა, ვიდრე იყო სიტყვა, რომელიც მისკენ იყო მიმართული, მის ყურს უნდა გაეგონა, აზრი, რომელიც ჩაწვდომასა და ამოხსნას საჭიროებდა, მის გონებას უნდა ამოეხსნა სიტყვა მისთვის ჯერ კიდევ არ იყო ისე გაუფასურებული, რომ ერთ ყურში შეეშვა და მეორედან გამოეშვა, აზრს ჯერ კიდევ არ ჰქონდა დაკარგული სისხარტე, მოქნილობა, ტევადობა. ამიტომაც ვერ აპყვა ვაგანს, ვერ შეუმსუბუქა დარდი და კაეშანი, მათ კეთილსინდისიერად სცადეს საერთო ენა გამოენახათ, გააწყობილებისათვის ტოლფასოვანი ელერადობა მიენიჭებინათ. მაგრამ საუბარი მაინც რალაცნაირი განყენებული, ხელოვნური, სიტბოსა და სიმწყობრეს მოკლებული გამოუვიდათ. შეიძლება ამის მიზეზი მის სხეულში ჩაბუდებული სენი იყო, რომელიც უფლებას არ აძლევდა საკუთარი თავისათვის ელატა: იმ გაველო ზღვარი, სადაც მისი გაცლება არ შეიძლებოდა, დაეჭიმა ის ძაღვი, საიდანაც ტყვილი იწყებოდა.

— გახედე ჭკაურობას, ირგვლივ ყველაფერი სიკვდილის დაღითაა დაშან-

თელი და ეს უფრო დიდ შთაბეჭდილებას ახდენს, ვიდრე რომელიც გინდა ქადაგება. — უთხრა მან ვაგანს და სანამ ჭიქას უარს ნიშნად ხელს დააფარებდა, ვაგანმა უკვე გაუვსო.

— როცა ადამიანს ართმევენ ყველაფერს, რაც მასში ადამიანურია, იგი სიკვდილის წინაშე მარტოდმარტო რჩება და ეს აქ იმიტომ იგრძნობა მწვევედ, რომ ეს დაწესებულება კაცს კი არ უნდა თრგუნავდეს, არამედ ახარებდეს, ახალისებდეს, დარდს უქარვებდეს. ამიტომაცაა ასეთი ცივი და ამაზრზენი.

— არამარტო ამაზრზენი, არამედ უფუნქციოც და, ამდენად, რალაც ისეთის თავზე მომხვევი, რასაც ლეშის სუნი უდის.

— ყველა ამით, ვისაც აქ ხედავ, რალაც გაანდათ თავისი და ამ თავისისათვის ცხოვრობდნენ. ახლა კი თავისი აღარაფერი გააჩნიათ და ამიტომ არა მარტო სხვები ჰკიდიათ ფეხებზე, არამედ საკუთარი თავიც.

— უბედურება ისაა, საკუთარი თავის ფეხებზე იმგვარად დაკიდება, ამით რომ ჰკიდიათ, შიშს კი არ აქარწყლებს, პირიქით, ამძაფრებს.

— ამიტომაცაა ყველა უქონელი და მათხოვარი უფრო მშობარა, ვიდრე ის, ვისაც მცირედი საკუთრება მაინც გააჩნია.

— მათ შორის შენცა და მეც.

— ჰოდა, მოდი, შენი და ჩემი სადღეგრძელო დავლიოთ. ავად თუ კარგად, ერთი საღამო მაინც დაეტყუეთ ამ პირსისხლიან ქვეყანას.

ვაგანმა ჭიქა დაცალა, კარისკენ გაიხედა. ვილაც დალანდა, წარბები შეიკრა და რალაცნაირად გაუტხოვდა. სარდაფი ნელ-ნელა ივსებოდა ხალხით, მაგრამ ახალშემოსულთა შორის იყო ვილაც ისეთი, ვისაც ვაგანი ან ვერ იტანდა, ანდა იმ კაცად თვლიდა. ასეთ დაწესებულებებში სპეციალურად რომ აგზავნიან თვალყურის სადევნებლად და დასასმენად, თბილისში არ იყო დაწესებულება, სადაც რამდენიმე ასეთი დამსმენი არ ჰყოლიდათ გაფორმებული ან მიჩენი-

ლი. ამიტომ, ცხადია, უმეთვალყურედ არც ამ სარდაფს დატოვებდა ვინმე. ეტყობა, აქაურებმა იცოდნენ, ვინ იყო აქ მეთვალყურედ შემოგზავნილი და ალბათ, მათგან იცოდა ვაგანმაც. მისი ვარაუდი მხოლოდ მას შემდეგ დადასტურდა, როცა ვაგანმა უთხრა:

— აქ ქლომა აღარ ღირს. პურის ჭამასაც არ გაცლიან ძალღიშვილები. სანამ ჩვენით დაინტერესდება, სჯობია, აქაურობას გავეცალოთ, თანაც ცალცალკე. ჯერ შენ გახვალ, მერე მე. ის ვირთხა ვერ უნდა მიხვდეს, რომ ერთად ვჭამდით პურს, თორემ ხვალ მის ანგარიშში ორივე აღმოვჩნდებით.

ადამიანზე ფსიქოლოგიური ზემოქმედება ციხეში კი არ იწყებოდა, არამედ გარეთ, ჯერ გარეთ ბლაღვდნენ მის კაცურ ღირსებას, აცლიდნენ ნიადაგს, უღუნებდნენ ნებისყოფას და ციხეში იგი უკვე კაცურად კი არ შედიოდა. არამედ გლახაკურად, მბრძანებლების ყოვლისშემძლებლობაში და საკუთარ უძლურებაში დარწმუნებული. ამის კიდევ ერთი საბუთი ის იყო, რომ თითქმის მთლიანად გამოფხიზლდა, ხელში ჩაიჭრა აიღო და ფეხზე წამოდგა.

— გმადლობ, ვაგან.

— ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი.

იცოდა, სარდაფიდან შემოჩნვეელი რომ ვერ გავიდოდა, მაგრამ თავის ისე დაიჭირა, თითქოს სარდაფში შემთხვევით შემოეხეტა, მარტომ ისადილა და ახლა საქმეზე მიეჩქარებოდა. შემთხვებელ მზერას მანამდე გრძნობდა, სანამ ქუჩაში არ გავიდა.

## თავი მეოთხე

მათ სამუშაო ოთახს ერთი პატარა საარკმელი ჰქონდა და ისიც მოგვიანებით გაჭრეს. მაშინ, როცა შენობის გადაკეთება-გადმოკეთება დაიწყო. ამიტომ უაბაურო ელექტრონათურა მთელი დღე ერთო ციკლოპის თვალვიით და რალაცნაირად, თავისებურად ამკეთებდა იმ სივიწროვეს, ყველას რომ ბოქავდა. მაგრამ ეს სივიწროვე ყველას

აივი პალუარი

როდენ დაწესებდა. ზოგიერთისათვის მეტად სივრცე ერთგვარი ფუფუნებაც კი იყო. რადგან დიდი სივრცე სხვაგვარ განწყობას, სხვაგვარ თვალთახედვას, მტკიცეობას, რისიც ეწინააღმდეგება არა იმიტომ, რომ სუფთა ჰაერი ან ფეხის თავისუფლად გაშლა არა ენატრებოდათ, არამედ იმის გამო, რომ დიდ სივრცეში თვითონაც დაიკარგებოდნენ და იმასაც დაჰკარგავდნენ, რეველუციის შედეგად რომ მოიბოვეს. ამიტომაც ერთიან სიფართოვეს სივიწროვე დაწოდებას უწოდებდნენ.

იმ ოთახში, რომლის კარიც მან შეაღო, ოთხი საწერი მაგიდა იდგა ერთმანეთის პირდაპირ — ორი მარჯვნივ, ორიც მარცხნივ, მაგიდასა და მაგიდას შორის კაცი კაც გვერდს ვერ აუვლიდა, ვერც სკამზე დადებოდა თავისუფლად, რადგან უკან დასახვევი ადგილი არ იყო. თუ ვინმეს რაიმეს გამოღება დასჭირდებოდა კედელთან ჩამწკრივებულ კარადებიდან, მაგიდასთან მჯდარი ფეხზე უნდა წამოდგარიყო, სკამი გაეწია, კარადის კარი გამოეღო, ისევ დაეხურა და მხოლოდ ამის შემდეგ შეეძლო დაჯდომა. ამ ვიწრო სოროში არსაიდან იჭრებოდა სუფთა ჰაერი, იმ პატარა სარკმლიდანაც კი არა, სულის მოსათქმელად რომ გაჭრეს. ამ სარკმელს არასოდეს არავინ აღებდა. ეს კი ისეთ შთაბეჭდილებას ჰქმნიდა, თითქოს სარკმელი მონუსხული, მოჯადოებულ იყო და გაღების შემთხვევაში ოთახში სუფთა ჰაერი კი არ შემოიჭრებოდა, არამედ შხამი და საწამლა-

მი ადო ნიქი  
ამ ოთახის ირგვლივ ცხოვრება ინალმებოდა, კივილისა და ღრიანცელის აღსაქმელად ემზადებოდა. აქ კი, ამ ოთახკაცთან სენაკა თუ საკანში არაფერი იცვლებოდა, არაფერი იძვროდა ადგილიდან, სიტყვაც კი ისე ქდერდა, თითქოს გამოფიტული, გამოშიგნული იყო. მთელ იმ დერეფანში, მან რომ გამოიარა, მტერისა და ფეხსადგლის სუნი იდგა. მარჯვნივაც და მარცხნივაც ერთნაირი ფორსის, ერთნაირად შეღებილი კარი იყო ჩამწკრივებული, ყოველ კარს უკან

ნაცხრებოდათ ფერმკრთალი ადამიანები ისხდნენ, ერთი დარგის, ერთი დაწესებულების თანამშრომლები, რომელთაც თანაბრად უწევდნენ ექსპლუატაციას, მაგრამ ერთმანეთთან საერთო მათ მიეცა არაფერი ჰქონდათ, ყოველი ოთახი ცალკე უჭრედი იყო თავის ავითა და კარგით, სიმპათიებითა და ანტიპათიებით, მსგავსებებითა და განსხვავებებით. მიუხედავად ამგვარი სიმჭიდროვისა, ერთმანეთთან მიმოსვლა, ადამიანური ურთიერთობის დამყარება, მეგობრული საუბარი არა მარტო უდისციპლინობად ითვლებოდა, არამედ ზედმეტ დაინტერესებადაც, რაც ცნობისმოყვარე კაცსა თუ ქალს კარგს არაფერს უქადდა. ოთახები ისევე უნდა ყოფილიყო გამოიწვნილი ერთმანეთისაგან, როგორც იქ მსხდარი ადამიანები. არც ამ დაწესებულების კედლებს, არც მათ შორის დაგუბებულ ჰაერს და არც იმათ, ვისაც ეს დაწესებულება ეკუთვნოდა, აქ არ სჭირდებოდათ არც ადამიანური ატმოსფერო და არც თანამშრომლებს შორის მეგობრული ურთიერთობა.

ეს იყო პირველი შემთხვევა, მას რომ სამივე თანამშრომელმა მოასწრო სამსახურში მოსვლა. სხვა დროს ამას გულთან ახლოს მიიტანდა, გაითვალისწინებდა, დღეს კი არაფრად ჩაუგლია და მისალმების შემდეგ ისე წავიდა თავის მაგიდისაკენ, როგორც მოშინაურებული პირუტყვი ბოსლისაკენ. დღის მკრთალი შუქი, სარკმლიდან რომ იჭრებოდა ოთახში, უცხო, სხვა სამყაროდან მოსულ სტუმარს ჰგავდა, რომელსაც არაფერი ესაქმებოდა ამ სქელი კედლებით შემოზღუდულ ხელოვნურ სამყაროში და ამიტომ არა მარტო დისონანსი შემოჰქონდა, არამედ განუყოფელ სივრცეს შუაზე ჰყოფდა და არღვევდა რაღაც ისეთს, რისი დარღვევაც დღის შუქს კი შეეძლო, მაგრამ აქაურ თანამშრომელს არ ებატებოდა.

მის გვერდით იჯდა ვაგან პირუტყვი, ვაგანის პირდაპირ — განუყოფლების გამგე ვერა პრისტავკინა, ორმოც წელს მიტანებული, მკერდმაღალი, ხორცსავ-

სე დედაკაცი, პრისტაყინას გვერდით კი, გამხდარი, შავგვრემანი, სახედამუწუკებული ახალგაზრდა, რომელსაც გვარი კი ჰქონდა ქართული, მაგრამ არც ნაკეთებით, არც ქცევით და არც გამოუმეტყველებით ქართველს არ ჰგავდა. მის გულჩათხრობილობას მისივე შინაგან წინააღმდეგობებთან საერთო არაფერი ჰქონდა, მის ცივ გამოხედვას — გარემოს ჩვეულებრივ აღქმასთან, მის ბუნებრივ მონაცემებს — საკუთარი თავის მიმართ დამოკიდებულებასთან. ეს იყო მარტო კაცი, რომელსაც არა მხოლოდ მარტოობა თრგუნავდა, არამედ ის უუფლებო მდგომარეობაც, ბედმა რომ არ გუნა წილად.

მოუხედავად ამისა, იგი მაინც ისეთ დროს იყო დაბადებული და ისეთ ქვეყანაში, სადაც მისთანები სჭირდებოდათ, სჭირდებოდათ არა მარტო იმიტომ, რომ რაიმეს წარმოადგენდა, ვინმე რამედ ავდებდა, არამედ იმის გამო, რომ არარაობა იყო და არარაობებისაგან კარგი დამსმენლები და ჯალათები გამოდიოდნენ. ამ ახალგაზრდა კაცს შეგნებული ჰქონდა, თუ უნდოდა დაწინაურებულყო, ან უკეთეს თანამდებობაზე გადაეყვანათ, რაღაც უნდა ეღონა, დროზე დაენახებინა ძლიერთათვის ამა ქვეყნისა, რომ საკუთარი თავის გარდა, ყველა და ყველაფერი ფეხებზე ეკიდა, რომ ცხოვრების ზურგით თრგვას, მისი ჯიჯნა ერჩია, მის ფართულ ზრახვებს ისიც უწყობდა ხელს, რომ ცხოვრება ხელსა და თვალს შუა უხემდებოდა, უკუღმართდებოდა, დაწინაურებულთაგან არც დიდ განათლებას მოითხოვდა და არც პროფესიულ დაოსტატებას, რისკენაც მას არავითარი მიდრეკილება არ ჰქონდა. ამიტომ მთავარი იყო, გამურღლებულიყო, დროს მორგებოდა, თუ რამე გასაყიდი ჰქონდა, სარფიანად გაეყიდა. მლიქვნელობას, მოჩვენებით თავმდაბლობას და მდგომარეობის საკუთარი ინტერესებისათვის გამოყენებას არც დიდი გამჭრიახობა სჭირდებოდა და არც წამდაუწყუმ გულის ხეთქა. წინ არაფერი ეღობებოდა ისეთი, რის გადალახვასაც ვერ შეძ-

ლებდა, არჩეული გზა მომგებიანი ჩანდა და რისკის გაწვევასაც კი არ მოითხოვდა. საერთოდ, რისკის გაწვევა მინიმუმამდე დაიყვანეს იმათ, ვინც ცხოვრების სადავეები იგდო ხელთ. ხელქვეითებისაგან ისინი თავის გაწირვას კი არ მოითხოვდნენ, ამის დრო წავიდა, არამედ ბრმა მორჩილებასა და ერთგულ სამსახურს. შეიძლება ამ სამსახურს სისხლისა და მძორის სუნი უღიოდა, მაგრამ იგი არ ეკუთვნოდა იმ უკადრისთა რიცხვს, ამის გამო რომ უკან დაეხია. დაწინაურების შემთხვევაში კი ზურგი გამაგრებული ექნებოდა, ხოლო ზურგგამაგრებული კაცი, მისი აზრით, სხვა დონის, სხვა რიხის პატრონი იყო.

თუმცა, რაღა მას უნდა ეთქვა უარი უზრუნველ ცხოვრებაზე, როცა გაუგონარ ცოდვებს მასზე უფრო ცნობილი, ჭკუითაც და გარეგნობითაც გამორჩეული ადამიანები სჩადიოდნენ, რაღა მას უნდა ეთვალა კაპიები, როცა მასზე სულმაბლები რესტორნებში ქეიფობდნენ. ახლა მთავარი იყო, პირველი ნაბიჯი გადაედგა წარმატებით. შემდეგ კი ყველაფერი თავისთავად მოგვარდებოდა, სამსახურსაც დაუფასებდნენ და უბედურეც ყოფსაც გამოგლეჯდნენ ხელიდან. ეს რომ ასე მოხდებოდა, იმაში ეჭვი არ ეპარებოდა. უკმაყოფილო მხოლოდ იმის გამო იყო, რომ ზემდგომი ორგანოები ვერ ამჩნევდნენ, არ იცოდნენ, სათანადო გასამრჯელოსათვის არც კაცის გაცემას მოერიდებოდა და არც მის მოკვლას. ანდა რატომ უნდა მორიდებოდა? ამგვარ ცოდვას ბევრი სჩადიოდა და ამის გამო მათ არავინ არაფერში ადანაშაულებდა, ამიტომ რაღა მას — ბოვანოსა და უქონელს დაადანაშაულებდნენ. ახლა მთავარი იყო, როგორმე პარტიაში შემძვრალიყო, შემდეგ კი დრო გამოაჩენდა, ვინ ვის აჯობებდა დემავოგობასა, გაუტანლობასა და სისასტიკეში.

შეიძლება ამ შავგვრემანი, სახედამუწუკებული ახალგაზრდა კაცის ფიქრები ასე მწყობრად არ მიმდინარეობდა, მაგრამ ძნელი არ იყო იმის წარმოდგენა,



ოთხეტი თვის მიზნებს მიაღწევდა, თუ სასხლიან გზაზე გავიღოდა და თავს ამ კნოვრების ბატონ-პატრონად იგრძნობდა, ტიპოურ სადისტად ჩამოყალიბდებოდა. მათ ოთახში ამ არაკაცზე უფრო საშიში არავინ იყო. თუ მასზე ვინმე რამეს დაწერდა და იქ გაგზავნიდა, სადაც ჯერ არს, ყველაზე უმოწყალოდ და ცინიკურად. სწორედ ეს გარეწარი. მაგრამ მხედველობაში ისიც იყო მისაღები, რომ დაწერდა მამინ, როცა დარწმუნებული იქნებოდა, ღვაწლს დაუფასებდნენ, შრომას აუნაზღაურებდნენ, სხვებისაგან გამოარჩევდნენ. მანამდე კი თითს არ გაანძრევდა, თავს არ გაიუფასურებდა, მოპოვებულ ზუთ მოჩამხულ ინფორმაციას ხელიდან არ გაუშვებდა. ამიტომ ამ ახალგაზრდა კაცის მიმართ უკვირ გულს არ ეკარებოდა, გულანით გრძნობდა, ეს არაკაცი ჯერ არ იყო ისე აქტიურად ამოქმედებული, რომ მისი შინებოდა, ის დაებრალებინა, რაც არ ჩაუდენია.

ბოლო დროს ყველა ოთახი ცალკე განყოფილებად გადააკეთეს და ისედაც შეზღუდულებს, კიდევ ერთი ზედამხედველი დაუნიშნეს. თანამდებობასთან ერთად, იზრდებოდა უფლებამოსილებაც და პრივილეგიებიც. მათ ოთახში განყოფილების გამგედ დანიშნეს პრისტავკინა, რომელიც ერთადერთი პარტიის წევრი და მოწამლული კომუნისტი იყო. ჩასუქებულს, წითლად თმაშეღებილს, გამოუსწორებლად ვულგარულს მხოლოდ ფერი ედო კანცელარიის, თორემ შიგნით მეტისმეტად აღედაჟა და სისხლაც იყო. ამბობდნენ, სიმთვარაღში ცეკვა უყვარს და კაცებს ზედ ეგებაო. სიმღერაც ჰყვარებია თურმე, თანისებური, ხალხური, გამყინავი და ამასი დაუჭერებელი არაფერი იყო, რადგან პრისტავკინას თბილისამდე საბჭოთა კავშირის არც ერთ დიდ ქალაქში არ უცხოვრია, არაფერი იცოდა იმის გარდა, რასაც გაზეთების მოწინავე წერილები და ლოზუნგები უჭედავდნენ ტვიწში და ამიტომ დარწმუნებული იყო, რომ საბჭოთა კავშირზე უკეთესი ქვეყანა და საბ-

ჭოთა მთავრობაზე უკეთესი მთავრობა არ მსოფლიოში არ არსებობდა. ჩვეულებრივ უწყინარი გამომეტყველება ჰქონდა, მაგრამ როცა რადიოში სტალინის ქება-დიდებას ისმენდა, მოწინებისაგან სახე უმკაცრდებოდა და მისი არასექტანტური ნაკვთები სექტანტურ იერს იღებდა.

პრისტავკინა რუსეთის რომელიღაც შორეულ, პროვინციულ ქალაქში იყო დაბადებული, სკოლის დამთავრების შემდეგ ოფიცერს გაჰყოლია ცოლად. ამ ხუთიოდე წლის წინათ ოფიცერი ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის შტაბში გადმოუყვანიათ სამუშაოდ და მას შემდეგ პრისტავკინა თბილისის კანონიერ მოქალაქედ ითვლებოდა. თბილისშივე დაამთავრა მან საბუნალო კურსები, თბილისშივე შევიდა პარტიაში და სულ ცოტა ხანში გვარიან თანამდებობას მიაღწია, განყოფილებას განაგებდა. ყოველივე ამას იგი პარტიასა და ხელისუფლებას უმადლოდა და არც თვითონ რჩებოდა ვალში. ხელქვეითებს ისე ექცეოდა, როგორც ამას სახელმწიფო ინტერესები მოითხოვდა. არავითარი ზედმეტი ლაპარაკი, არავითარი დაუკითხავად ოთახიდან გასვლა, არავითარი დაგვიანება ან უმიზეზოდ სამსახურის გაცდენა. ყველაფერი, რასაც მისი ჰქუთა ვერ სწვდებოდა, მკრეხელობა იყო, ყოველი ხუმრობა, რაზეც მას არ ეცილებოდა, საექვო ქილიკად და დიდი მოვლენებისადმი არასერიოზულ დამოკიდებულებად მიაჩნდა. უყვარდა გაწყრომა, ჰქუთის დარიგება, ხოლო როცა გაცხარდებოდა, დედის გინებასაც არ ერიდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ მისი ქმარიც პარტიული იყო, როგორც ამბობდნენ, ქმარიცა და შვილებიც შავ დღეში ჰყავდა. ეტყობა, ერთხელ ქმარიც გამოვიდა მოთმინებიდან და ხელი შეუბრუნა, რადგან ქალბატონი პრისტავკინა სამსახურში მეტისმეტად გაპუდრული, მაგრამ მანაც თვალდალილავებული გამოცხადდა. იმ დღეს დერეფანში არ გასულა, ისეთ ხასიათზე იყო, მთელი ოთახი გინებიტ აჰკრბა, თვალ

ჯერ კიდევ არ ჰქონდა მთლად მოშუშებული, როცა ბანკში კრება გაიმართა, სადაც იგი სიტყვით გამოვიდა და პარტია ცამდე აიყვანა, ისე შევიდა ეშხში, კარგა ხანს ვერავენ გააჩერა, ანდა ვინ გაუბედავდა გაჩერებას. საერთოდ, იგი დარწმუნებული იყო, რომ უფროსების გარდა, ანუ ისინი, ვისაც ხელისუფლება არ ეპყრა ხელთ, ყველანი შტერები და უქნარები იყვნენ. ეს აზრი ვრცელდებოდა მის უშუალო ხელქვეითებზეც და არაფრით არ უნდოდა იმის დაჭრება, რომ ხელქვეითიც შეიძლებოდა ყოფილიყო ჰკვიანი და ადამიანებისა და ცხოვრების სწორად შემფასებელი. ყველაზე საზიზღარი, ყველაზე გულსამრევი მასში ურცხვობა და უტიფრობა იყო. ეს თვისება კომუნისტ მამაკაცებსაც სჭირდათ, მაგრამ ქალებში მეტისმეტად მძაფრად იგრძნობოდა, რადგან შეიძინეს რაღაც ისეთი, რაც მანამდე არ ჰქონდათ და უტიფრობის გარეშე ამ შენაძენის ტარება უჭირდათ. იმის გამო, რომ პარტიისა და მისი წესდების ყურმოკრილი მონა იყო, მან არა მარტო ქალობა დაკარგა, არამედ ადამიანობაც, რომ ეთქვათ, პარტიას ჯალათი სჭირდება და ეს საბასუხისმგებლო მოვალეობა შენ უნდა იკისროო, უყოყმანოდ დათანხმდებოდა. მიუხედავად ამისა, მის გულს ეჭვი ამ გაუტიფრებელი დედაკაცის მიმართაც არ ეკარებოდა. ამის მიზეზი ის იყო, რომ ქალბატონ პრისტავკინას ღრმად სწამდა, რასაც პარტია აცეთებდა, აცეთებდა სწორად და სამართლიანად. მის ხელქვეითს რომ მისი თანდასწრებით ერთხელ მაინც წამოსცდნოდა პარტიის ან მთავრობის საყვედური, ერთხელ რომ ეთქვა ხალხთა მამაზე ძვირი, მის სიტყვებს უთუოდ მიიტანდა სადაც ჯერ არს, ასეთ საქმეში იგი ხელქვეითს კი არა, ქმარს არ დაინდობდა, მაგრამ რადგან მას ამგვარი რამ არასოდეს წამოსცდენია განყოფილების უფროსის თანდასწრებით, რადგან ბეჯითად მუშაობდა, წესიერად იქცეოდა და მიუხედავად უპარტიოებისა, ხელისუფლების მიმართ ლოიალურად იყო განწყობილი,

ბილი, პრისტავკინა თავს არ მისცემდა იმის უფლებას, რომ ხელში კალამი აეღო და მისთვის ცილი დაეწამებინა. ასეთ რამეში კი მის დარწმუნებას საკუთარი ნებით არავინ იკისრებდა, არავინ გაანდობდა ამ თავალერებულ დედაკაცს, ვინ იყო და რა საქმიანობას ეწეოდა. აშკარა ცილსწამებაზე იგი მხოლოდ იმ შემთხვევაში წავიღოდა, თუ დაარწმუნებდნენ, რომ ხელქვეითის გაცემას პარტიის ინტერესები მოითხოვდა. რჩებოდა ვაგან პირუმიოვი, მაგრამ გული არც მის მიმართ ეთანადრებოდა. ამ კაცის ნაადრევად გაჩენილ ნაოქვებში არ იკითხებოდა ორპირობა, ჩრდილის ამოფარებული პროვოკატორის მზაკვრული ღიმილი, დეგრადირებისა და გაეულგარების ელემენტები. ასეც რომ არ ყოფილიყო, ვაგანისაგან მისი გაცემა, უბრალოდ, სიგიჟე, სირეკვენე იქნებოდა. ის საუბარი რომ ჩეკას ყურამდე მისულიყო, მათ რომ სარდაფში ჰქონდათ, ორივეს შავი დღე დაადგებოდა. მისვლით კი უთუოდ მივიდოდა, მას თუ დააპატიმრებდნენ და ვაგანის ჩვენებას წაუკითხავდნენ ან პირზე დააყენებდნენ. იმ საუბარში იყო რაღაც ისეთი, რის თქმასაც არა თუ პროვოკატორს, მთავარ ქურუმსაც კი არ აპატიებდნენ. ვაგანმა ეს კარგად იცოდა და ამიტომ ასე უგუნურად თავს საფრთხეში არ ჩაიგდებდა. ნამდვილი საფრთხე სადღაც, სხვაგან, ამოთახის მიღმა იმალებოდა და თავის მზამიან კლანჭებს მხოლოდ მაშინ გამოაჩენდა, როცა თითზე კბებანი გვიანდა იქნებოდა.

ოთახში არვითარი გარეშე ხმაური არ იჭრებოდა, არც იმის დანახვა შეიძლებოდა ოთახიდან, რაც ეზოში ხდებოდა. არ ახსოვდა შემთხვევა, ვინმე სკამიდან წამომდგარიყო, ფანჯარასთან მისულიყო და გარეთ გაეხედა. ის, რასაც ეს თითქოსდა დიდი, ხელოვნურად განათებული, დერეფნებით დასერილი, საკუთარი აჩრდილებით გამოტენილი შენობა იტევდა და ის, რასაც გარე სამყარო ერქვა, ერთმანეთისაგან დაშორებული იყო არა მარტო მანძილით, არა-



მედ ახალგათეთრებული კედლებითაც და ძველი შპალერის უცნაური არაბესკებითაც, იმ არაბესკებით, ალაგ-ალაგ გადაშლის გამო ფანტასტიკურ სურათებს რომ ჰქმნიდა და ჯერ კიდევ გამოუთქმელ აზრს უკანვე, ბნელ ხერხელებში აბრუნებდა. ამ დროისაგან დანაწევრებულ კედლებს შორის ყველაფერი პატარავდებოდა და თვალს და ხელს შუა ჰქნებოდა. მიუხედავად ამისა, ეს ჰქნობა არ ასუსტებდა, არ ფიტავდა იმათ, ვისაც სიზარბე და სისასტიკე ამოძრავებდა, ვისაც არ შეეძლო იმის განჭვრეტა, იმის ბუნებრივად აღქმა, რასაც სირეგენე, სიშლეგე და სულის წარწყმედა ჰქვია. ამ შენობის ყოველი კუნჭული იმიტომ კი არ იელენებოდა მოწყენილობისა და უსულგულობის შედეგებული სიბლანტით, რომ დრომ წონა და ბრუნვის უნარი დაკარგა, არამედ იმის გამო, რომ სოროებში შემძვრალი, დამფრთხალი ადამიანები თავიანთ თავში ჩაიკეტნენ და გაუნიაგებელი ოთახის მიღმა არაფრის დანახვა არ უნდოდათ. ფანჯრის გაღება, სუფთა ჰაერის ოთახში შემოშვება, ჩამკვდარი სულის გამოღვიძება მღვრიე განწყობილების დაწმენდას გამოიწვევდა. ამიტომაც უთვალთვალედნენ ფანჯრებს გაფაციცებით, ამიტომაც ერაღებოდა ყველა მათთან მისვლას.

ერთხელ, როცა ოთახში მარტო დარჩა, რაც იშვიათად ხდებოდა, ფანჯარასთან მივიდა და მისი გამოღება სცადა, მაგრამ ამაოდ. ოდესღაც გადასმულ საღებავის, მტვრისა და სინესტისაგან იყო ჩამკვდარი ჩარჩოში, რომ ჩარჩოიანად გატანის მეტი არაფერი ეშველებოდა. ჩარჩოში ჩამკვდარი ფანჯარა კარდანშულობის უბადრუკი სიმბოლო იყო და მთლიანად აკმაყოფილებდა იმათ პრეტენზიებს, ვინც ამ საქმეში მონაპოვლია მოიპოვა. იმის დანგრევა რომ ადვილი იყო, რაც შემოქმედმა შექმნა, ეს მათ უკვე იცოდნენ, იცოდნენ ისიც, ბუნება და ადამიანი რომ მყიდვე, ადვილად მსხვრევალია, მაგრამ არ იცოდნენ და არც უნდოდათ სცოდნოდათ, რომ ვერც შემოქმედებით და ვერც ზომიერების

გრძნობით ისინი თავიანთ მეტოქეს, ნამდვილ შემოქმედს ვერ გაუტოლდებოდნენ, ვერ გაართმევდნენ თავს იმას, რაც მათი საქმე არ იყო, რაც არ ხელეწიფებოდათ. უგუნურობას აფართოვებდა სიშლეგე, სიშლეგეს ამძაფრებდა მარცხი, რაც იწვევდა ღვთის მგობელთა გაბოროტებას, გამძვინვარებას, გახელებას და რაც უფრო მეტი ხალხი მონაწილეობდა იმის ნგრევაში, რაც შემოქმედმა შექმნა და იმის შენებაში, რაც გეოპოლიტიკური პრეტენზიებით შეპყრობილმა პროვინციელებმა წამოიწყეს, მით უფრო მაინც ფორმებს ღებულობდა ტირანია, მით უფრო მძაფრდებოდა ბოღმა და ყრუ სიძულვილი, მით უფრო ცხადად იკვეთებოდა ადამიანისა და ბუნების ტრაგედია.

უეცრად აწკარუნდა ერთადერთი ტელეფონი, რომელიც პრისტავკინას მაგიდაზე იდგა. განყოფილების გამგემ ყურმილი ისე აიღო, თითქოს სამსახურშიც არ ასვენებდნენ, გულს უწყალებდნენ, მაგრამ როცა ყურმილში რაღაც ჰკითხეს, გამომეტყველება შეეცვალა და ჯარისკაცური მზადყოფნით უბასუხა: „დიახ, აქ არის“ მეტი მისთვის არაფერი უკითხავთ და იგიც იძულებული იყო, ყურმილი დაედო.

ტელეფონის ზარმა მასში ზაფრი, ტვივილივით ყრუ გამოძახილი გამოიწვია. ბოლო დროს ყველა არხი, რომელიც მათ ოთახს გარე სამყაროსთან აკავშირებდა, ხაფანგად მიაჩნდა და ვერაფრით ვერ ეგუებოდა იმას, რომ ქვეყანა მავთულების ხლართში იყო გახვეული. ეს მავთულები, ხლართები და კვანძები სჭირდებოდათ არა იმათ, ვინც ჰამანს ეწეოდა და ყოველდღიურად ცვალებად გარემოს თავს ვერ აღწევდა, არამედ იმათ, ვინც ამქვეყნიური შესასვლელ-გამოსასვლელებს დარაჯობდა და ცდილობდა ცხოვრების არსი ისე გაენაცროსხვრებინა, ისე დაეხლართა და დაეგლიჯა ქვეყანა, რომ გზა ვერავის ვერაფრისაკენ გაეკვლია.

ამ გრძნობისაგან იგი ვერც მას შემდეგ გათავისუფლდა, როცა ტელეფონი





დადუმდა. დადუმებული ტელეფონი კიდევ უფრო ჰგავდა დადარაჯებულ თვალს, რომელიც ირეკლავდა ყველასა და ყველაფერს, რაც მისი მხედველობის არეში ხვდებოდა, ყველაზე მეტად კი მისი სახის გამომეტყველებას, იმ სევდასა და კმუნვას, ქვეყანას რომ სუღარაში ახვევდა და თავის მავთულებითა და კვანძებით სადაც შორს გადასცემდა, ისეთ კედლებზეთეთრებულ და გასაიდუმლოებულ ბუნაგში, სადაც თვალი და ყური ყველას გამახვილებული ჰქონდა. ამ ბუნაგში ფიქსირდებოდა საქმეც, სიტყვაც და განწყობილებაც, ღამეული ბგერების სიმახვილეც და სიჩაღვნიც, რაც სინამდვილეს აცალსახევენდა და ეს ცალსახეობა არ იკარებდა არაფერ ჯანსაღს, ნამდვილს, შეუფერხებელს, სამაგიეროდ, თეთრ სამოსელში ახვევდა ყველაფერ ყალბს, მრუდეს, მოჩვენებითს, ამიტომაც შეერთა მისდაუნებურად, როცა ტელეფონმა დარეკა, ამიტომაც იგრძნო იდუმალების ცოცხით მოახლოება და იმ სიჩუმის სუნთქვა, მუდამ კარს უკან რომაა ჩასაფრებული.

გულჩვილი და წვრილმანი შთაბეჭდილებებით დამძიმებული არასოდეს ყოფილა, არც იმის შეფერადება უყვარდა უმიზეზოდ, რაც წარსულს ჩაბარდა, მაგრამ დღეს სწორედ ისეთი ასოციაციები იკიდებდა ფეხს მის შეგნებაში, რომელთა განსენება არასოდეს უცდია და ისინი ისეთი სამოსელით იმოსებოდა, როგორითაც არასოდეს შემოსილან. პატარა ქალაქი, სადაც იზრდებოდა, არაფრით გამოირჩეოდა დასავლეთ საქართველოს სხვა, ამგვარი ქალაქებისაგან, ქალაქი სახელად ერქვა, თორემ ისე დიდი სოფელი უფრო იყო, ვიდრე საკვამური მილებით დასერილი დასახლება თავის ცენტრითა და გარეუბნებით. წარმოებინა აქ თითქმის არაფერს აწარმოებდნენ, მაგრამ თავისი ცენტრი, ანუ მოედანი ამ ქალაქსაც ჰქონდა. ამ მოედნიდან სულ ასიოდ მეტრის დაშორებით მათი ხისაიენიანი სახლი იდგა. წინ სწორი, ხასხასა ბალახით დაფარული ეზო ჰქონდა, უკან სკამოჭ და იდი ბაღი, სა-

დაც მუშაში ტოტებგაშლილი ყაკლის ხე იდგა, ღობის გაყოლებით კი ხეხილი ხარობდა. ზოგჯერ, როცა უფუნებობა მოქალაქებოდა, უკან ეზოში, ანუ ბაღში გადიოდა და რომელიმე ხის ძირს მოკალათებული, ნათელი დღის შრიალს უგდებდა ყურს. ამ შრიალში იყო რაღაც ისეთი, რაც არაფერ ცხოვრებისეულს არ იკარებდა და ნათელი ისე ეთიშებოდა ჩრდილს, თითქოს მასთან არაფერი ჰქონდა საერთო.

ბაღს უკან, წინლის ღობის მიღმა იწყებოდა მიყრუებული, მიგდებული ღარტაფი, რომელიც აღწევდა ქაობებამდე, საიდანაც ბაყაყების გაუთავებელი ყიყინი ისმოდა და სადაც კოლოები უზარმაზარ გუნდებად იკვრებოდნენ ირგვლივ მდებარე ქალაქებსა და სოფლებზე თავდასასხმელად. ზაფხულობით ღარტაფში სარეველა ბალახი, ანწლი, გვიმრა, სურო და ორავანდი უხვად, უთავბოლოდ იზრდებოდა, ისე შეუზღუდავად და უანგარიშოდ მრავლდებოდა, ისე იპყრობდა მიწის ყოველ მტკაველს, როგორც შინაგანი ენერგიით დამუხტული, სხვისი მიწების დაპყრობით გახელმძღვანელი ურდო, რომელიც არც ცხენის ფლოკებით თელავდა იქაურობას და არც ველური ყიყინით აყრუებდა, მაგრამ მისი შემოტევა ბევრად უფრო მედგარი და აულაგმავი იყო, ვიდრე მოყიყინე ლაშქრისა. ამ მდუმარე მოიერიშეთათვის არ არსებობდა არავითარი ღობე, კედელი, ზღუდე, ყველაფერზე ამობლება, ყველაფრის გადალახვა, ყველა ხერხელში, გაძრომა შეეძლოთ. სხვადასხვაგვარად შემოსილნი, სხვადასხვაგვარი ნაყოფით დახუნძლულნი, ერთმანეთზე გადახლართულნი, აჯუნებულნი, მზის სიმხურვალითა და მიწის სურნელებით გადარეულნი, იმ წვენიით დამთვრალნი, მათ ძარღვებში რომ დულდა, გულჩვილობდნენ, ყელყელაობდნენ, წინ გაშვერილი, ნორჩი ყლორტებით ებლაუშებოდნენ ყველაფერს, რასაც კი მათი დამაგრება შეეძლო და პირველყოფილი რისხვით და უღმრთელობით შეპყრობილნი, სიმრტყვესა და ღრეობას დანატრე-

ბულნი, დაპყრობით, დამორჩილებით, გაუბატურებით ემუქრებოდნენ ქალაქის მოვილი-ნაჭირნახულებ ბალებს. სწამისოდ ისინი უკვე მომწიფებულნი იყვნენ, ამას მოითხოვდა მათგან ბუნება და ამასვე დასტურებდა არა მარტო ბუნებაბატორქმნილი კანი, ალაგ-ალაგ დაფლეთილი ფოთლები და დასკდომამდე დაბერილი კვირტები, არამედ მათ არსში იმთავითვე ჩაბუღებული აგრესიულობაც.

ერთ დღეს, როცა მშობლები შინ არ იყვნენ, ისეთი დღე გათენდა, რომ თაკარა მზე გულუხვად აბნევედა ოქროს, ირგვლივ არაფერი იძვროდა და მხოლოდ კრიკინობელების გაუთავებელი კრიკინი ისმოდა. ნიავე თუ დაუბერავდა, მხოლოდ იმისათვის, რომ დასიცხულ ხეებს სული მოეთქვათ, მათი ნამდვილი ფერი სიყვითლეს არ დაეჩაგრა. ირგვლივ ყველაფერი გათანგული, გალურსული იყო, მაგრამ სწორედ ამ დღემოსა და უძრავობაში ბოზოქრობდა ბუნება, ბალახი ბალზამითა და სურნელებით ივსებოდა, ხილი კი ფერითა და სიტკბოებით, დაბერილი კვირტები ისე სკდებოდნენ, როგორც ნაღვერდალში ჩაყრილი წაბლი. მათი ნექტარის სიტკბოება თავბრუს აბნევედა ფუტკარსა და ბუზანკალებს. იმ დღეს ცა ისეთი მოწმენდარი იყო, დედამიწა კი ისეთი მშვიდი და გატრუნული, თითქოს ამჭეყყნად არც მტრობა არსებობდა, არც ძალადობა, არც შური, არც ბოღმა და არც ისეთი უაზრო სისხლის ღვრა, იმ დროს უკვე დაწყებულ ომში რომ იღვრებოდა. ის ომი სიცხით გათანგული, ზმანებებით გაბრუებული ბალისაგან შორს იყო. აქ არც მისი სისასტიკე იგრძნობოდა და არც სირეგვენე, მაგრამ ღობესთან მომდგარი და ღობეზე გადმოზობილებული შამბნარი მთელი თავისი ულაზათობით, უტიფრობითა და უდიერობით, სიცხით გახლებული და სიმრუშის სუნით გაქლენილი, არანაკლებ მძიმე შთაბეჭდილებას ახდენდა, ვიდრე საღდაც შორს დასავლეთსა თუ აღმოსავლეთში ზარბაზნების ქუხილი. ამიტომ თვალნი ჩამუ-

ქებულ სიმწვანეს ისე კი არ აღიქვამდა, როგორც ხავერდის ლივლივს ან სიცოცხლის ზეიმს, არამედ როგორც სმულვეგეს უზნებობასა და ბუღისწერას. როგორც მრუდე სარკეს, რომელიც იტევდა ყველაფერს, რაც ირგვლივ ხდებოდა და განუახლებრელს თავისი განაყოფიერების უნარის მიხედვით საზღვრავდა. ამ განაყოფიერებაში თუ თვითგანაყოფიერებაში ისეთი ვნებათაღელვა, დაუოკებელი ენის და ღრეობა იგრძნობოდა, იმდენი სითხე და წვენი დეჟდა, იმდენი ზინთი და ლორწო იღვრებოდა, რომ ამ გამაბრუებელ, შეერთება-შეწყვილებაში, ამ ტკბობა-წეტარებაში, თესლთა ამ უთავბოლო მგლანგველობაში იდო რაღაც დამანგრეველი, ნაყოფის ნაადრევად მომწიფებისა თუ მოუწიფებლობის, ჯიშთა აღრევის, გენების გადაგვარების, ურჩხულებისა და მათი მსგავსი არსებების წარმოშობის უტყუარი ნიშნები, იმის დამადასტურებელი მუტაცია, რომ მკრეხელობისა და უზნებობის აღედებული მდინარე ცხოვრების უზარმაზარ მინდვრებს დატბორავს, რომ ცინიზმი, რომელიც თაკარა შვის ქვეშ იბადებოდა, სისხლიანი ხელებით შორს მოისვრის მანამდე არსებული ყოფიერების ჭუჭყიან, ოფლით გახამებულ პერანგს, გააშიშვლებს ყველაფერ შირა. დულს, ინტიმურს, ხელშეუხებელს, გადააბიჯებს მკვდარსა და ცოცხალს და თავის თავს ყოველგვარი კანონიერების უგულებელმყოფელ ფანტომად გამოაცხადებს.

დამუნჯებულ და დაყრუებულ ოთანში რიხიანი ტემბრი და არტიტული პათეტიკა რადიოს შემოქმონდა. რებროდუქტორისათვის ხმის ჩაწევა ან მისი გამორთვა არათუ საეჭვო, სკანდალურ საქციელადაც კი ითვლებოდა. არავის ჰქონდა უფლება ხმა ჩაეგდებინებინა დიქტორისათვის, რომელიც ხელისუფლების რუპორი, მისი პოლიტიკის, მისი იდეოლოგიის გამტარებელი იყო. საბჭოთა მოქალაქეებს ყოველ წუთს უნდა სცოდნოდათ, რა აზრისა იყვნენ ზემოთ, რას როგორ შეფასებას აძლევდნენ და

დღეში ასჯერ მაინც უნდა მოესმინათ იმ კაცის ქება-დიდება, ვინც ასე ბრძნულად, შეუპოვრად, შეუმცდარად მიუძღოდა წინ მსოფლიოში ყველაზე სამართლიან, ყველაზე ძმურ, ყველაზე ინტერნაციონალურ სახელმწიფოს. ასაკში შესული ბელადი თვალსა და ხელს შუა იზრდებოდა, კეთილშობილდებოდა, ბრძნდებოდა. ეპითეტს ეპითეტი ემატებოდა, შტრიხს შტრიხი, ხატოვანებას ხატოვანება და ყოველივე ამას ბოლო არ უჩანდა, შესადარებელიც კი აღარავინ რჩებოდა გარდა უზენაესისა და, ალბათ, აღარც იგი დარჩებოდა, თავიდანვე რომ არ უარეყოთ და ტაძრებიდან არ განედევნათ.

კაცისმკვლელები წმინდანობას იჩემებდნენ, ეანდარმერიის ან უცხოური დაზვერვის აგენტები — უცოდველობას, პირწავარდნილი ჭალათები ხალხის უანგარო სამსახურს, ხოლო ის, ვისაც მათი გმირად ქცევაც შეეძლო და საშვილიშვილოდ გაწირვაც, უნაკლო, თითქმის ღვთისდარი პიროვნება იყო, რომელსაც თავყანს სცემდნენ, რადაც ამას თავის სიმტკიცითა და უბადლო მოღვაწეობით იმსახურებდა. იგი უკვე სხვა განზომილებაში გადადიოდა, მსოფლიო ბატონობაზე ოცნებობდა და როცა უაზრო ბუნდოვანებას ეთიშებოდა, ისევე იმაზე ფიქრობდა, ვისთვის რა იარლიყი მიეკერებინა, რა დაებრალებინა, როგორ ამოეწყვიტა დედაბუდიანად. და ამას აკეთებდა უზარმაზარი იმპერიის ერთ-ერთ პატარა, პროვინციულ ქალაქში დაბადებული, უბირი, თითქმის უპატრონოდ გაზრდილი კაცი, რომელმაც ყველა თავის შესაძლებლობას გადააბაჯა, შეეთვისა იმ დროს, ბოლშითა და ს. ა. ძღვლილი რომ იყო პირთამდე სავსე, საღი აზრის ნასახი რომ არ გააჩნდა და სისხლი ისე სწყუროდა; როგორც გველისაგან დავესლილს წყალი. დაბალი, ჭმუხი, უხეში, მედიდური, დაუნდობელი, უსაშველო ამბიციებით შებყრობილი, ყვავილისაგან დაკორტნილი ფერმაკრთალი სახით და მძიმე, ადვილზე მიმლურსმავი გამოხედვით, ღამეებს თეთ-

რად ათენებდა იმაზე ფიქრით, როგორ დაეცვა თავი და ხელისუფლება იმათგან, ვისაც ხელისუფლების ხელში ჩაგდებასა და მის განმტკიცებაში მასზე მეტი ღვაწლი მიუძღოდა და ახლა მარღვებდაბერილნი, დაბოლმინი, უმძიმესი ცოდვებით დამძიმებულნი ცდილობდნენ ეს გადამთიელი კაცი, ვერაფრით რომ ვერ მოეშვა რუსული სატყვების ქართული აქცენტით წარმოთქმას, დაემხოთ, გაესრისათ, მისი სახსენებელი სამუდამოდ ამოეძირკვათ მენსაერებიდან. მიუხედავად პრეტენზიებისა, მათ საბრძანებელში ახლაც ისევე იყო გამეფებული ჩრდილი, სიბნელე, ჩასაფრებული მზერა და სულმოუთქმელი მიყურადება, როგორც შუა საუკუნეებში. დამუხტული, სიცხადეს მოკლებული სივრცე ყველაფერს საეჭვოს ხდიდა — ჭრი-ალსაც, შრიალსაც, ფაჩუნსაც, წრიანსაც და ეს ცინიზმით განაცრისფრებული ეჭვი ძვრებოდა ყველა ხვრელში, ჭუჭურუტანაში, ნისლივით ედებოდა ჭერსა და კედლებს და უცხო თვალსაგან ფარავდა ხელისუფლებისათვის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის ნათქვამში ჩაბუდებულ გრიმასებს, იხლართებოდა ვარიანტები, იფარგლებოდა შესაძლებლობათა ზღვარი, იკვეთებოდა ესა თუ ის არჩევანი, ყოველ ვარიანტს საფუძვლად ედო დემაგოგია, ძალმომრეობა, სისასტიკე. მათ გარეშე ვერავინ ასცდებოდა მარცხსა და სირცხვილს. არავითარი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა ბრძოლის მეთოდებსა და ხერხებს, მათ სიწმინდესა და სიბინძურეს. შეგნებდნენ და სასახლიდან იდევნებოდა ყველაფერი ზნეობრივი, ადამიანური, შემბრალებლური. ახლა მთავარი იყო, ვინ ვის დაასწრებდა ყელის გამოლაღვრას, დამარცხებულის სამარცხვინო ბოძზე გაყვრას, აღრინდელი ღვაწლის დანაშულად მონათვლას. ამას მოითხოვდა ხელისუფლების უზურპირება, მაქსიმალიზმი, დიქტატორი მხოლოდ ერთი შეიძლებოდა ყოფილიყო და გადიქტატორდა კიდევ ის, ვინც ამ ბრძოლაში მეტი ქვევამხედურობა, ჭიქურობა, ენერჯია და მიზან-

დასახულობა გამოიჩინა, დანარჩენები კი მოისრენენ.

უმოწყალო ხოცვა-ჟღერება მცირე ხნით თითქოს დამთავრდა, მაგრამ გამარჯვებამ ველარ შეარბილა ისმხეტური კბილთარტენა, ამ ძველ ცინესიმაგრეში ახალი ხელისუფლებას დაბინავებისთანავე რომ დაიწყო, ველარ შესუსტა ხალხის უმძებზოდ გვემა, ველარ შეაჩერა ექვეებისა და უნდობლობის თარეში. ილუწებოდა ყველა ჯაჭვი, ხალხსა და ქვეყანას გარე სამყაროსთან რომ აკავშირებდა, იხურებოდა სარკმლები, იკეტებოდა ყველა კარი. შვიდ ღრუბლების ქვეშ გართხმული და ზონებდნ დაყოფილი ქვეყანა იკრუნჩხებოდა, ადამიანი კინდებოდა, შიშვლდებოდა, დედამიწა ციხეებითა და ბანაკებით იფარებოდა და ჩვეულებრივი გადაადგილების ნაკვალად, დაიწყო გაუკაცურებული ბრბოების მასიური მიმოქცევა. ამ უზარბაშთი იყო რაღაც ცოდვისმეორი, მანიაკალური, ფატალური და ამ ნაბოღვარ-ნაცოდვილარს ისე აძალებდნენ ჩიხში გამომწყვდეულ ხალხს როგორც ურყევ ქემშარიტებას, გენიალურ მიგნებასა და აღმოჩენას. ამ უზარბაშთარ მისტიფიკაციას ის სისულელეც ემატებოდა, რომ უნიკალური აღმოჩენა ცხოვრებაში უნდა გაეტარებინათ იმ ადამიანებს, რომლებიც ჯერ კიდევ არ იყვნენ თავისუფალი პროვინციული, მეშჩანური ცრურწმენისაგან და ბანალური უსახურობისაგან. მაგრამ კიდევ უფრო დიდი საშინელება ის იყო, რომ ამ მისტიფიკაციის ცხოვრებაში გატარება ხდებოდა რეინსებური დისციპლინით და ეს დისციპლინა მომდინარეობდა ბნელეთიდან, იატაკ-ქვეშეთიდან, შიშისა და უნდობლობის სამყაროდან. იატაკქვეშეთში იშვება ხელისუფლების დაუფლების დაუოკებელი ქონიც და ის შიშიც, უზარბაშთარი ძალაუფლებისა და ქონების დასაკუთრებით რომ იყო გამოწვეული. ეს შიში იყო იმ შიშველი ტერორის მიზეზი, იერარქიის ყველა საფეხურზე რომ მძვინვარებდა. პირადად მას წითელი ცინესიმაგრი-სათვის თვალი არ მოუკრავს, ამის სურ-

ვილი არც ჰქონდა, ამგვარი ცხოვრება ვარეობა აშინებდა კიდევ, მაგრამ ზოგჯერ, როცა წარმოდგენით მისწვდებოდა სიჩუმითა და ბუნდოვანი უპრობით გამოტენილ დერეფნებს, ლამპიონების ნელოვნურ შუქს, ბგერაშთანქმელი ბალიჩების ხავერდოვან სიგრილეს, კედლების, ჭერისა და იატაკის სიმტკიცეს, სტერილურ სისუფთავეს, მთელი შენობის მიჩუმათებულ მიმტყუებლობას და მაცდურობას, ისეთი გრძნობა ეუფლებოდა, თითქოს ყველაფერი ეს იყო მეოცე საუკუნეში გარდასული ეპოქებიდან შემოტანილი კომპარი, რაღაც არამქვეყნიური, მოჩვენებითი, ოდესღაც მოქსოვლილი და შემდეგ რამდენჯერმე უგემოვნოდ განახლებული ქსოვლი, რომელიც მთელ ქვეყანას გადააფარეს და მისი ქუჭრუტანებიდან იმზირებოდნენ მრისხანედ მოჭუტული, გაბორბტებული, ჩასისხლიანებული თვალები, რომელთა გამოხედვაში, შეთქმულთა სიმზღალესთან ერთად, იგრძნობოდა საატანური ქვეგამხედურობა. ქუჭრუტანებს უკან ჩასაფრებული სახეები არ ჩანდა და არც უნდა გამოჩენილიყო, რადგან ამ სახეებს აკლდა რაღაც ისეთი, რაც ვერ მალავს ხინჯს, სიმუხთოღეს, სიმურდლეს.

კარი დაუეითხავად გააღეს და ოთახში შემოვიდა ბანკის მმართველის მდივანი, ასე, შუახნის ქალი, რომელსაც ქართველებთან რაღაც ნათესაური კავშირა კი ჰქონდა, მაგრამ ქართველი არ იყო. სა ქართველოს მსხვილ დაწესებულებებში ახალგაზრდა, ლამაზი, საქმეში ჩახედული, იმიტომ არ ჰყავდათ, რომ ახალგაზრდებს შორის არც რუს და არც სხვა ეროვნების ქალიშვილებს არ ჰქონოდათ სათანადო განათლება, არ იცოდნენ ღერბიანი ქალაღდის ფასი და ძალა. ამ მხრივ, ბურჟუებთან შედარებით, საბჭოთა ფუნქციონერები მართლაც რომ დაჩაგრულები იყვნენ, ვერცასხმულ ტანფებს აყოლებდნენ თვალს და ვერც მკვირვ დუნდულებს. უთათუნებდნენ ხელს.

ბანკის მმართველის მდივანი ორმოც-

დაათ წელს მიტანებული ქალი იყო, გამხდარი, შავგვრემანი, მკერდი თითქმის აღარც კი ეტყობოდა. თმას ხშირად იღებავდა, მაგრამ მაინც ეტყობოდა, რომ მთლად გაჭაღარავებული იყო. შეიძლება სხვებთან შედარებით თავიანთი პეწი, რაღაც კულტურის გადახარჩენი კიდევ შერჩენოდა, მაგრამ უფერულ გარემოში შიგით უფერული ჩანდა. ცხადია, მისი შეცვლა რომ შეაძლებელი ყოფილიყო, მმართველის მისაღებად არავინ აბოგინებდა, კინწისკვრით გააგდებდნენ გარეთ, რადგან მისი ცოდნა და საქმეში ჩახედულება უფროსების უმეტერებასა და არაკომპეტენტურობას უსვამდა ხაზს, მაგრამ, როცა სხვა გამოსავალი არ იყო, კომუნისტები ბევრ რამეზე ხუჭავდნენ თვალს. ამიტომ ეს ქალი ჭერ კიდევ ფლობდა საკუთარ სკამს და, ალბათ, ერთგვარი მაღლივების დაჭმობაც კი გააჩნდა იმით მიმართ, ვინც მას სამსახური არ დაუკავა და სხვებთან შედარებით ასატანი ცხოვრების პირობები შეუქმნა. ისიც შესაძლებელი იყო, გამარჯვებულთა მბრძანებლური კილო და პიროვნული ამბიციები მასზე ისე მოქმედებდა, როგორც მომხუსხველი, შემბოჭავი ძალა, რომელსაც უნდა ემსახურო და უერთგულო. ამ ძალამ იგი გადააქცია სისტემის მონად, რომლისთვისაც მთავარი იყო, ვის ემსახურებოდა და არა რა. ნამდვილმა საქმემ თანდათან დაკარგა ფუნქცია, მნიშვნელობა, გააბსტრაჟირდა, გაარავისდა, სამაგიეროდ, ფუნქცია და მნიშვნელობა შეიძინეს პიროვნებებმა, რომლებიც საჭირო იყო თუ არა, მაინც უტევდნენ არსებულ თუ არარსებულ მტრებს, მაინც მიჰქონდათ იერიში იმ სანგრებზე, თვალთ რომ არ ჩანდა და თუ მიზანს ვერ აღწევდნენ და საბოლოოდ ვერ იმარჯვებდნენ, ეს მათ გამოუსწორებელ თავქარიანობასა და მოჩვენებით საქმიანობაზე კი არ მეტყველებდა, არამედ უკომპრომისო იდეურობაზე და მტრებით გარშემორტყმული რევოლუციონერის მგზნებარებაზე. შეიძლება მდივან ქალს ამ უდრეკელო-

ბასა და მგზნებარებაში რაღაც-რაღაცები არ მოსწონდა, შეიძლება მბრძანებელთა ვულგარულობა და უხამსობა მასაც აუფასურებდა, მაგრამ ფუნქციონერების თვალწინ ქრიალი და საქმიანობა, საერთო ცრუმორწმუნეობის მდელვარე სტიქიაში ფარფარი და იმის გაზიარება, რაზედაც ცრუმორწმუნე იმ არავითარ პასუხს არ აგებდნენ, მასაც ჰგვირდა ერთგვარ კმაყოფილებას და, ალბათ, ამყობდა კიდევ იმით, რომ პრივილეგიების ნასუფრალით ისიც სარგებლობდა.

მიღვანმა ქალმა ოთახი შეეთვალერა, ირგვლივ გამეფებული უსახურობა ყოველგვარი გრიმასის გარეშე აღიქვა და მზერა მასზე შეაჩერა. ეს არ ჰგავდა სამსახურებრივ მოვალეობასთან დაკავშირებულ ვიზიტს, ქალის მზერაში რაღაც უფრო მეტი, უფრო მნიშვნელოვანი, უფრო საგანგაშო რამ იგრძნობოდა და ამან შეაშფოთა, კი არ შეაშფოთა, დაზაფრა, შეაძრწუნა. ისედაც დახუთულ ოთახში ჰაერი კიდევ უფრო შესქელდა, უსახურობამ რაღაცნაირი კონკრეტული, საბედისწერო სახე მიიღო. ნათლად იგრძნობოდა, როგ ამ თითქოსდა უწყინარმა ქალმა ოთახში შემოიტანა სისასტიკის სუნთქვა და დროის გახლეჩის ყრუ ტყაცანი.

— თქვენა ხართ ისიდორე ჯანგველაძე? — ჰკითხა მდივანმა ქალმა ისე, რომ დანარჩენებისათვის ყურადღება არ მიუქცევია.

— მე გახლავართ.

— მმართველი გიბარებთ!

ეს უკვე დაბარება კი არა, მეხის დაცემა იყო. მმართველს მასთან არავითარი საქმე არ შეიძლებოდა ჰქონოდა. თუ რაიმე გაუგებრობა მოხდა ან სადმე შეცდომა გაიბარა, მრავალ ინსტანციათაგან ერთ-ერთს დაავალდებდნენ და უმმართველოდაც იოლად გამოასწორებდნენ. მისი პერსონალურად დაბარება კი რაღაც არაბუნებრივს, გაუთვალისწინებელს შეიცავდა. არაფრის გამო აქ მანძილს უფეროსსა და ხელქვეითს შორის არ არღვევდნენ. ერთი წუთით ისიც კი

გაფიქრა, ხომ არ შეცდა მდივანი ქალი, მისამართი ხომ არ შეეშალა, მაგრამ ქალს ლოდინზე ეტყობოდა, რომ ამ შემთხვევაში ყოველგვარი შეცდომა გამორიცხებული იყო. ამიტომ უხმოდ წამოდგა ფეხზე, ყოველ შემთხვევისათვის აუჩქარებლად ჩაიკვა და მდივან ქალს გააყვა.

ვიწრო, დახუთული, დაცარიელებული დერეფანი თანდათან ფართოვდებოდა, ძველ იერს იბრუნებდა და არაფრით იმჩნევდა იმას, რაც მის კედლებს უკან ხდებოდა. კედლებს უკან კი ვიწოვებივით ისხდნენ ადამიანები და კალმებს აწრიბინებდნენ. ეს წრიბინი ზოგჯერ ძილშიც კი ესმოდა. ძილში ბევრი სხვა რამეც ესმოდა, მაგრამ ახლა არ ეძინა, დანამდვილებით იცოდა, სად იყო, ვის მიჰყვებოდა უკან და ვისთან მიდიოდა. მმართველი მას არასოდეს დალაპარაკებია, სალმისთვისაც კი არ შეუწუხებია თავი და სულ მალე მის კაბინეტში უნდა შესულიყო, მდებლად დაეკრა თავი და შეუკითხავად მიმხვდარიყო, რა უნდოდა მისგან უფროსს, რა მოხდა დღეს ისეთი, რომ პატივი დასდო და კაბინეტში დაიბარა? ამის ახსნა წინასწარ ისევე ძნელი იყო, როგორც ბნელ ღამეში ყვავის დანახვა. ამიტომაც აღიზიანებდა ქალის ქუსლების მკვეთრი კაჟკუჟი და ხელოვნური სინათლის მღვრიე ნაკადი, კარგი რომ არაფერი ელოდა, ამაში დარწმუნებული იყო. ჯერ ერთი, ეს ქვეყანა მისდა სასიკეთოდ არ იყო შექმნილი, მეორეც, ამ შენობაში ყველაფერი ორპროცენტის უტყუარ ნიშანს ატარებდა და ვარაუდს ამრუდებდა.

როცა მდივნის ოთახი გაიარეს და კარს მიაღწენენ, ოდნავ შეყოვნდა, ფეხი აითრია, მაგრამ მის მაგივრად მდივანმა ქალმა შეაღო კარი და მისი აქ მოყვანა ისე აუწყა მმართველს, თითქოს სამხედრო დავალება შეასრულაო. კარგის მომასწავებელი არც ამგვარი მოხსენება იყო, რადგან მდივანი ქალის სიტყვები, ცხადყოფდა, რომ მან იცოდა, რისთვის იბარებდა მმართველი და რომ ამ დაბარებას კარგი არაფერი მოჰყვებოდა.

მმართველი უზარმაზარ კაბინეტში იჯდა. მათი ოთახი ამ კაბინეტთან შედარებით თავის სოროსავით გამოიყურებოდა. აქა-იქ ძველი ავეჯის ცალკეული ნიმუშები მოჩანდა. ძველებური იყო ბუხარიც და კედლის საათიც. ეტყობოდა, რომ ბუხარს დანიშნულებისამებრ აღარ იყენებდნენ. გაწმენდილი და გასუფთავებული მხოლოდ დეკორატიულ დანიშნულებასლა ასრულებდა. მოპირდაპირე კედელზე ბელადის დიდი სურათი ეკიდა, სწორედ ისეთი ტრაფარეტული და გამრავლებული, მთელ კავშირში რომ იყო გავრცელებული. მმართველის საწერი მაგიდის თავსა და ბოლოში ორი კაცი იდგა — ორივე სუფთად გაპარსული, მედიდური, ჯან-ღრნით სავსე. ტანსაცმელი ტყუპებივით ერთნაირი ეცვათ — თეთრი ჰერანგები. ლურჯი კოსტიუმები და შინდისფერი ყელსახვევები ეკეთათ, ერთსა და იმავე დროს ისინი ჰგავდნენ კიდევ და არც ჰგავდნენ სახელმწიფო მოხელეებს, ჰგავდნენ იმით, რომ მათი სახეები მხოლოდ ფასადი იყო იმ სახელმწიფო დაწესებულებისა, სადაც გაბატონებული იყო დისციპლინა, შიში და დასჯა, სადაც სუფთა სამოსელში სისამაგლე იყო გახვეული. ხოლო არ ჰგავდნენ იმით, რომ დგომავზეც კი ეტყობოდათ, ამქვეყნის ბატონ-პატრონები იყვნენ და უბატონოდ მათ ისეთი კაციც კი ვერ გასციმდა ხმას, როგორიც ბანკის მმართველი იყო. მართალია, მმართველი ფეხზე არ იდგა, იმ სავარძელში იჯდა, რომლის დასასაკუთრებლად სინდისზე და კაცობაზე ხელი აიღო, მაგრამ მაინც შეშინებული, ნირწამხდარი, დაპატარავებული ჩანდა. ამაზე ცხადად მეტყველებდა მისი სახის დარბილებული ნაკვეთები და ნაძალადევი ღიმილი. ღიმილი ტუჩებზე იმიტომ ჰქონდა შეყინული, რომ, ეტყობა, მის შემოყვანამდე კაბინეტში მმართველი დაუბატოვებელ სტუმრებს ართობდა და ეჭილიკებოდა. სულ სხვანაირი იყო იგი თანამშრომლებთან ურთიერთობაში — ქედმაღალი, გოროზი, ხაზგასმულად ოფიციალური. მაგრამ ახლა, ამ ვითარება-

ში, მისი ნირწამბდრობა და ნაძალადევი ლიმილი ცხადყოფდა, რომ სინამდვილეში მას არც კაცური ღირსება გააჩნდა და არც იმის ძალა, რომ ეს დაეფარა.

იგი შუა ოთახამდე მივიდა, მორიდებით გაჩერდა და დამხვდურთ თავი დაუქრა. სალამზე პასუხი არც მმართველმა გასცა და ამისათვის არც მისმა სტუმრებმა შეიწუხეს თავი, რამაც თან მოტანილ ეჭვს კიდევ ერთი დამადასტურებელი საბუთი შესძინა. ამგვარ დისტანციას ან იმგვარ კაცთან იცავდნენ, ვისაც არაფრად აგდებდნენ, ანდა ისეთთან, ვისაც სახელმწიფოსადმი არალოიალურ დამოკიდებულებაში სდებდნენ ბრალს. ადვილი დასაშვები იყო ის, რომ მას მართლაც არაფრად აგდებდნენ, მაგრამ ამის საწინააღმდეგოდ მეტყველებდა მეორე მოსაზრება. არაფრად რომ ირ აგდებდნენ, მაშინ ამ უზარმაზარ კაბინეტში არ გამოიძახებდნენ. ამიტომაც მოუდუნედა მუხლები, ამიტომაც შეზარა იმ მადისტანცირებელი სივრცის გაჩენამ, მასსა და დამხვდურებს შორის ირეალობიდან რეალობად რომ იქცა. გარდა ამისა, მმართველის გამოხედვისა და ქცევაში ცხადად იგრძნობოდა, რომ იგი მას არ დაუბარებია. ამიტომ მმართველი არც ხმას იღებდა და არც რაიმე ინიციატივას იჩენდა. მხოლოდ ეს უთხრა ფეხზე გაჩერებულ, სახეგაქცევებულ ცოცხალ კერპებს:

— ეს არის...

კერპები კარგა ხანს უყურებდნენ ხმის ამოუღებლად, ისე ათვალეობდნენ, თითქოს ზრმავენ და წონიანო. ბოლოს ერთ-ერთმა მათგანმა ჰკითხა:

— თქვენა ხართ ისიდორე ჯანგველაძე?

— მე განლაავართ.

— დიდი ხანია მუშაობთ ბანკში?

— ათი წელი იქნება.

— რაიმე დამსახურება ან ჯილდო თუ გაქვთ?

კითხვა სულელური იყო, მაგრამ პასუხი მაინც უნდა გაეცა. მათთან ერთობის გართულება მას აქ არაფერმა წაადგებოდა.

— არა, არაფერი.

— საყვედური?

— არც საყვედური.

— ძალიან კარგი. თუ იცით, რისთვის გამოვიძახეთ?

— არა.

— სერიოზული არაფერია, ჩვენ რაღაც გვაქვს გასარკვევი და როგორც კი გაუარკვევთ, ჩვენზე მანქანით მიგიყვანთ სახლში.

მეტი არაა ჩემი მტერი, თქვენ მე მანქანით სახლში მიმიყვანთო, გაიფიქრა მან და იმის მაგივრად, რომ თავზარი დასცემოდა, გულზე მოეშვა. ბოლო დროს ისე გატანჯა გაურკვეველობამ, დღისითაც და ღამითაც ისე დამაბული, ისე ამოვარდნილი იყო კალაპოტიდან, რომ ახლა, როცა პირდაპირ განუცხადეს, ჩვენთან უნდა წამოხვიდეთო, ერთგვარი შვებაც კი იგრძნო. შეიძლება ამ შვებას სხვა მრავალი ქვეშეცნული მიზეზიც ჰქონდა. ერთ-ერთი ასეთი მიზეზი იქნება ის იყო, რომ მისდა უნებურად თავისუფლდებოდა ცხოვრებისა და ადამიანების წინაშე პასუხისმგებლობისაგან, ამ წუთიდან ყველასათვის საშისში, საფრთხის მატარებელი კაცი ხდებოდა. მოულოდნელმა შვებამ მცირე ხნით ისიც კი გადააიწყა, რა ელოდა წინ და ამიტომ ყოველგვარი შეცხადებისა და თავის მართლებების გარეშე გაჰყვა იმათ, რომელთაც წინასწარ ჰქონდათ დაეგმილი, როგორ „აეყვანათ“ გაუხმარებლად ხალხის მტერი და ქვეყნის მოღალატე.



# ბაადურ ბალარჯიშვილი

## კათოლიკურ ეკლესიასთან

### I

აბუზულები ნოემბერის ფინჯელა ციებით,  
გამზდარ ტოტებში ცას მალაუნენ აკაციებე,  
ხოლო ფერმკრთალნი ჩრდილნი ეფინენ  
ტყვიისფერ ასფალტს უნატიფეს გრადაციებით.

### II

კათოლიკური ეკლესიის ორღანის ხმაში  
რადაცა იყო, რასაც მხოლოდ ინატრებს ბავშვი:  
იმედი სიერცის, ჯადო გზების, ოცნება ზღვაზე,  
ლხენა გულში და სიხარულის ცრემლები თვალში...  
კათოლიკური ეკლესიის ორღანის ხმაზე...  
კათოლიკური ეკლესიის ორღანის ხმაში...

### III

პარალელური, ოთხი, ცივი და ლეგა რელსი  
ჩაჭედებია მოგონების გრანიტის ქვებში,  
ხოლო ცხოვრება მიგრინიხინობს როგორც ტრამვაი —  
გადაღებელი წითელ-ყვითელ, ჭყეტელა ფერში.

## შენი თვალაით

(რემინისცენა)

ზეციდან ღრუბლების ფრთებით —  
შორეულ სივრცეთა წერა,  
მე შენი თვალებით ვთბები,  
მე შენი თვალების მჯერა.

შენ მაძლევ სულიერ სადგომს,  
მანიჭებს საკუთარ სახეს,  
მე შენი თვალები მათობს,  
მე შენი თვალები მალხენს.

ო, გამადლობ, ასე რომ ვიგრძენ  
და სულში გამიღხო თოში,

მაგ შენმა თვალების სივრცემ,  
ამ შენი თვალების დროში.

რა ვქნა თუ ჟამია ცვლადი,  
მე უნდა ვუმზერდე ცისმარ,  
მაგ შენი თვალების ცხადით,  
შენივე თვალების სიზმარს.

და აღარც დაგიდევ მრავალს,  
ერთია სიმართლე უღვთა:  
მე შენი თვალებით დავალ,  
მე შენი თვალებით ვხედავ.



მთამ ჩამოღვრიმა ნისლი ხევებში,  
ბარში ვენახებს უკვე აციებს,  
ჩვენში კი ისე გაჯდა ერესი —  
ვემნით გადარჩენის ვარიაციებს.

აქ სამარხები მხოლოდ ითხრება —  
არქეოლოგი ეძებს ნამსხვრევებს  
სიზმრის, რომელიც ახლა იქნება  
ჭლექიანივით წამოგვახველებს.

არა და განა ვინ გვეკითხება —  
რაც ცასა სწყდება მიწის ის არი  
და არც ცოდვილი ბავით ითქმება  
წმიდათაწმიდა დასაფიცარი.

ნაძვები წერილს წერენ წიწვებით,  
ცაში ბარათი მიაქვს წეროებს...  
აპოკალიფსურ ღვინის ჭიქებით  
ვსვამთ გადარჩენის საღლეგრძელოებს.

მეთევზეები და პოეტები

ან დაიჭერს და ან ვერ დაიჭერს —  
არც ნაკლები და აღარცა მეტი —  
მონუსხულია თევზთან ჩალიჩით,  
ყველა ჭეშმარიტ მეთევზის ბედი.

კარგი მეთევზე ცოტასაც იჭერს,  
ცუდი მეთევზე — ბევრს ვერასოდეს.

ო, მთავარია იღბალი — ნიჭი,  
ყველა მეთევზეს უნდა ახსოვდეს:

ბევრნი ამაოდ აგებენ ფაცერს —  
განგებამ უწყის ბედი და წერა...  
კარგი პოეტი ცუდ ლექსსაც დაწერს,  
ცუდი პოეტი კარგ ლექსებს — ვერა.

ანი მჯი

I

მზე თითქოს ავად ჰკიდია ცაში —  
კუშტსა და დამღლელს ასხივებს თრობას  
და როგორც ნაღეწ მონასტერს ხავსი,  
მიდამოს ბოჭავს შური და მტრობა.

II

ბერწი უდაბნოს მშრალი იერით  
მოჩანს მდუმარე თვალსაწიერი  
და ბროტინია ხორხისმიერი  
სიცარიელით...

სულს ჩამოაღნა ყოფნის ხალისი —  
დამძიმდა გრძნობა ვით გულში ტყვია.  
ახლოა ქშენა აპოკალიფსის  
და მონატრებას სიკვდილი ჰქვია...

არავინ არვის იქ არ მიელის —  
ოდნავ ფერია მკრთალი იელის —  
განცდაა მძაფრი, მწარე, ძლიერი  
სიცარიელის...

პრონია

პამპულა ბწყარები პერიოდულ პრესის  
ბისტთან თვალებს უჩვენებს ბრანწს.  
დახუთულ ყურებს რაღაცა ესმის,  
მაგრამ გონებას დამბლა აქვს აწ.

რაც ასე სასტიკად გადაგვბდა თავს,  
აღემატება მოთმენას კაცის.

და მხოლოდ ცრემლი ჩამოსდის დაწვს —  
ცრემლს მუდამ სიწმინდის ბეჭედი  
აწის —

იმედი, ერთგული უძველეს წესის,  
ახლა საწამლაის ფუდებს ვანწს...  
პამპულა ბწყარები პერიოდულ პრესის  
ბისტთან თვალებს უჩვენებს ბრანწს

### საქმტაკლი

მტერიანი სცენა მირაჟად ჩანდა.  
პარტერი ნესტით და ოფლით ყარდა.  
და იყო ყალბი კრეშენდო, ხოლო  
წებდევ ბრიყული ფინალი, ფარდა.

დღემუდამ რაღაც ფარსია ან და  
დარდად მოქცევა კომიკურ წამთა.  
არავინ უსმენს დაღლილ სუფლიორს  
სინჟმის გარდა... სინჟმის გარდა...

### კოშმარი

იმხზერევა სამყარო სისხლიან ბზარებით,  
ძირს გდია იმედი გარსშემოყველფილი,  
აღარც კი ტოკავენ ყრუმუნჯი ზარები  
და ლოცვას ტიტინებს გარყვნილი  
ღებილი.

ძალუმად იგრძნობა გარეწრის აპლომბი—  
სიავე ზეიმობს მოცემულ მომენტის —

გონებარლუნგთათვის სატყუვრად  
საფლობში,  
იდეა ტივტივებს სატანურ ლორნეტის.

ჭაობში ჭოჭონაქს ჭიმავენ ჭინკები,  
ზმორებით მოხვეჭეს მონებმა ქონება.  
წაბილწეს ძირტკბილი ბინძური  
დინგებით  
ღორებმა... ღორებმა... ღორებმა...

### პოპვი

სიცოცხლე ჩვენი არის მოკლე როგორც ანდაზა:  
არ ჰგავს გოლგოთას — ნათქვამია — ყველა ბექიო.  
რა ვარსკვლავს გაყვეთ, მიგვანიშნე გეზი ბალთაზარ,  
თან რა წავიღოთ, აგვირჩიე ძღვენი მეღქიორ.

აღარა უწყის რა იფიქროს საწყალმა კაცმა —  
ერთ ცთუნებას სძლევე, აიშლება ერთი ათასად.  
როგორ მოვიქცეთ, საიდუმლო გაგვანდე კასპარ,  
რას ავერიდოთ ან და როგორ, გვითხარ ბალთაზარ.

ცა გამჭვარტლულა, შზე ძღვისლა ჩანს ცხოველმყოფელი,  
უგუნურებამ გონს საჭკრეტი ამოუგლისა,  
დაემხო რწმენა, ბინდისფერი გახდა სოფელი —  
როდისლა უნდა განიწმინდოს გზანი უფლისა...

აქ ისლა გეშველის, ძველებურად ღვინო ძელგია  
და გვიჭერს ისე, როგორც ფეხზე ქალამანს თასმა.  
სიფხიზლით ტანჯვა სააქაოს გვიჭირს მეღქიორ,  
საიქიოში აგვიხდება სიზმარი კასპარ?

განუწყვეტელი შეცდომების მწიფან ბაღები,  
აღმატებია უკვე გულსაც გულისტივილი.  
გვაუწყეთ მოგვნო, თუ რაგვარი მსხვერპლის გაღებით  
დაიმსახურეთ ახალშობილ ღმერთის ღიმილი.

ინდური აზვასი

ერთხელ თურმე, ბუდას მსახურს – (ვერ ვიგონებ სახელს) –  
 ქერივი ქალი გადაჰყრია განსაცდელის სახით.  
 რაღა იგი აირჩია იმ მიღეთის ხალხში –  
 შეუპატიუებია და ჩაუკეტავს სახლში.

ასე უთქვამს: ვერსად წახვალ, არ წამიწყდეს ღმერთი,  
 თხოვნა თუ არ ამისრულე, ამ სამიდან ერთი:  
 დაწექ ჩემთან, თუ არა და აირჩიე სხვაო –  
 ან ამ თასით შესვი ღვინო, ან დამიკალ თხაო.

რაღა ექნა ბუდას მსახურს, რა ისმინა ბილწის,  
 უბიწობის და სიფხიზლის ვით დაეთმო ფიცი.  
 იფიქრა და იჭოჭმანა, გადაწყვიტა, ხო და  
 ცოდვათაგან უმცირესი აირჩია ცოდვა:

შესვა ღვინო... ცხელმა სისხლმა დაუარა ვენებს –  
 ჯერ ხომ ქალთან წაიმრუშა,  
 ის თხაც დაკლა მერე.

სუსულა

ააშენებ – დაინგრევა, ჭერიც არ დაზურულა  
 და ზედ თავზე დაგენგრევა სასაცილო ხუხულა.  
 ზეცას გახევს ქარიშხალი, განა წამით ახანებს –  
 გეტოქება, გექიშება, დამცინავად ხარხარებს.  
 რა ხანია მეორდება: ააშენებ – ინგრევა  
 და იმედიც – ნელა, მაგრამ სუსტდება და გიქრება,  
 გეუფლება მრისხანება, ყვირიხარ და... ყრუვდება...  
 შორს გარბიხარ, მაგრამ იცი, კვლავ უკან დაბრუნდება:  
 ააშენებ – დაინგრევა, ჭერიც არ დაზურულა  
 და ზედ თავზე დაგემხოვა სასაცილო ხუხულა.

რეკდნენ ლოლუები წკრიალა ჰანგის მაქმანს...  
 იყო ზამთარი, თოვლი და მუქი ლურჯი ღამე  
 და როგორც ბადიმი სიზმრების ქვევრის –  
 შორი, უძვრელი და ყვითელი იყო მთვარე.  
 და ლურჯ ღამეში ცისფერი ვარსკვლავები  
 ზეციურ ინტრიგებს ხლართავდნენ...  
 და მთები, შაოსან დედაბრებივით  
 ისხდნენ და წყვდიადს ართავდნენ...  
 და ამორთული თითისტარები, სოფლის ბოლოს, სასაფლაოზე  
 კიპარისებად ამოსულიყვნენ...

ოტია ქაჭკორიას

როგორც მარილი ახალ დამლაზვ,  
 ან როგორც დანის ხრჭიალი თეფშზე —  
 ატყვია ეშმის ხელით ნახაზი  
 ტყვიების კვალი ქაშვეთის კედელს.

და ვით კოშმარი მშფოთვარ ძილის  
 წილ —  
 ტენის რომ ახელებს ავი ალებით:  
 გარდაიცვალა კაფე „თბილისი“,  
 შავად მიყურებს დათხრილ თვალებით.

მეჭერა

მეჭერა: ბილწი დედაბერი დაძრწის ქუჩაში —  
 ბოროტია და ღრძოა ფურია.  
 ქალაქი თავის ბედისწერის ელის განაჩენს,  
 ქალაქი ძრწოლით გასუდრულია.

მეჭერა, ბილწი დედაბერი აღარ იღლება,  
 ასე დღედაღამ გარეთ ფიალით,  
 დაეძებს მსხვერპლს და უეჭველი საკბილო ხდება  
 ყველა ბრიყვი და პროვინციალი.

აშარი თმები გასწეწვია ვით მავთულები,  
 დახლართულები ქუჩების თავზე  
 და ბედი იცვლის — ვით ფლუგერი — მიმართულებას  
 შემადრწუნებელ კოშმართა ქარში.

მეჭერა, ბილწი დედაბერი დაძრწის ქუჩებში —  
 ბოროტია და ღრძოა ფურია.  
 ქალაქი თავის ბედისწერის ელის განაჩენს,  
 ქალაქი ძრწოლით გასუდრულია.

ტელევიზორია

ციმციმებს ცივი ცისფერი სარკე —  
 ტელევიზორია,  
 ვერ მოიშორე რა ხანია,  
 ვერ მოიშორე.  
 და აღარ გესმის მყიფე რეკვა  
 სიყრმის ზარბთა —  
 ღიმილი თქვეშა გადარეცხა,  
 გული დანებდა.  
 უნდა იარო მორღვეული მხრების  
 ამარამ —  
 ცრემლი წყალია.

ჭალაში მოკვდა უკანასკნელი ჩიტი  
 ჯაფარა,  
 დიდი ხანია.  
 სად არის შენი რიხით ნაქაღი  
 შმაგი ჭენება...  
 რიყეში დაშრა უკანასკნელი მღვრიე  
 ნაკადი —  
 არ გეჯერება?...  
 გადაუხდელი დაგრჩა ვალი,  
 ვერ მოიშორე...  
 ციმციმებს ცივი ცისფერი სარკე —  
 ტელევიზორის.

## ახალი წელი

ღამე: შეშლილან თითქოს ლანდები —  
მთვარეც აღარ ჩანს ცივი და ბერწი.  
ფეთქავენ ძველი ქუჩაბანდები  
წრდილების ლეწვით.

ხორცის სუნსა და ძვლების ტკაცუნში  
გაგება ამბის გამზდარა ძნელი  
და ინთქმებიან საზარ კოცონში  
აღამის ძენი.

ჟამი დადგა სასტიკი და საზარი —  
ტყის სატანის აბლაბუდა ფარავს —  
ნებისყოფა, ავი ჟინის ვასალი,  
ჩაფრენია უკანასკნელ ქარაფს.

და გადარჩენაც აღარ გწადია —  
გირვეს გონებას ლანდთა ბანცალი.  
რაც გადარჩება უკვე ცხადია:  
მხოლოდ ნაცარია.

ღამე. მძვინვარებს, ელავს ხანძარი —  
ლოკავს უკუნეთს წითელი მხეცი...  
დაე დაიწვას ქვეყნად რაც არი  
ემშაკის კერძი.

და ტრიალებს ცოფიანი შორევი —  
ცოდვებითა დაღუპულთა სულთა...  
იქვე ლაფში ნეტარებენ ღორები —  
მაშ რა დარდს მიიკარებენ გულთან.



## კოტეჯანდიერი

# სისარიალა

### მოთხრობა

„...როგორ მოგწეროთ, მამანო სენატორნო, რა მოგწეროთ, ან ჭერჭერობით რა არ ჩავთვალო მოწერის ღირსად? ეს თუ ვიცოდებ. მაშინ ღმერთებმა მომივლინონ უფრო სასტიკი სიკვდილი, ვიდრე ის, რომლითაც აგერ უკვე ამდენი ხანია, ყოველდღე ვაკვებები.“

ტიბერისუხე კინსარი.

მე ვწევარ ლოგინში. თვალები ღია მაქვს. ჩემი ტვინი კი დაძუბულია უცნაური, უაზრო გამოცანით: „ისევ ვწევარ, თუ უკვე ვწევარ?“ საათი ექვსს აჩვენებს. განთიადია თუ მიმწუხრი, ვერ გაიგებ, — ყველაფერი ერთთავად ცივ, ნაცრისფერ შუქშია გახვეული.

პერიოდულად ჩამესმის გაუგებარი, მონოტონური ბგერა: რაღაც შრიალისა და ფხაჭუნის მსგავსი, საიდან მოდის ეს ხმა? იქნება კედლის გადაღმა, მეზობლის ბინაში კატა კაწრავს საძილე ოთახის კარს? იქნებ ჩემი მეზობელი მოკვდა? ან იქნებ ქუჩაში ქარი ზუზუნებს და შეუმჩნეველად შემოპარული შემოდგომის პირველ ხმელ ფოთლებს მიაშრიალებს ბინძურ ასფალტზე? იქნებ, უბრალოდ, გაგვიჟღი? ვერაფერს ვხვდები.

სამაგიეროდ, ვხვდები გვერდის ტკივილის მიზეზს — ეს გენრი ჯეიმსის მაგარყდიანი „ქალის პორტრეტი“. ქართულად, მგონი, „ჰენრი ჯეიმსი“ ითქმის, მაგრამ იმისთვის, რომ ასე წარმოთქვა, საჭიროა, სულ ცოტა, ხუთი მანეთი მაინც გელოს ჯიბეში, ტკივილი-საგან არ გისკდებოდეს თავი და „საქსახმთავაშხტმშენში“ არ მსახურობდე.

როცა სამივე ეს სიკეთე ერთადა გჭირს, პაეროვანი სახელი „ჰენრი“ ყალბად ჟღერს. შენ უნდა ყრუდ და მკაფიოდ წარმოთქვა: „გენრი ჯეიმსი, ავტორი სახელგანთქმული „ქალის პორტრეტი-სა“, ტურგენევის მოწაფე, გავეროპლე-ბული ამერიკელი, რომელიც რუსივით წერს!“. იდიოტი თუ არა ვარ, ვინ მიბულებს ვიკითხო ეს გენიალური ფაღარათი და, საერთოდ, რა უნდა ნორმალური მამაკაცის ლოგინში „ქალის პორტრეტს“?

მთელი ცხოვრება მეგონა, რომ უძველესი წიგნის დაწერას შეეძლებდი და ასეთი ამპარტაენობისათვის დავისაჯე სიცარიელით, უფულობით და „შახტ-მშენით“.

ხანდახან მგონია, რომ მოკვდი. როცა წვერს ვიპარსავ, სარკიდან უცნობი, საშიში კაცი მიყურებს ზოლმე და სავართებელს მიქნევს. ეს გამზღარი, მოლუშული კაცი ქარონია, იგი ხელში იღებს ჩემს ვარდაცვლილ სულს და მყრალი მდინარის მეორე ნაპირისკენ მიაქვს. ჩათლახი!

ზარია. კიდევ ვარგი, ტელეფონი ახლოს დამიდგამს. მოხრიალე ყურძილში მესმის:

— მე ვარ. რას შერები?  
 ვხვდები — ნინცო, რას ვუპასუხებ?  
 — რას აკეთებ-მეთქი?!  
 — რას უნდა ვაკეთებდე? ვგდივარ.  
 — გასკდი გუშინ?  
 — ჰო.  
 — რა გეშველება! ვისთან ერთად მო-  
 ახერხე?

— რა მნიშვნელობა აქვს, მთავარია,  
 შენს ყოფილ ქმართან არ დამიღლეია.  
 ეგ გაინტერესებდა, არა?

— ფეხებზე მკიდა, ასევე გვიჩიათ,  
 გამსკდარხართ შენცა და ისიც... მოდი  
 ჩემთან.

— სახლში გაქვთ რამე სასმელი?  
 — არა, მამაჩემმა დალია...  
 — მაშინ რა მინდა შენთან?  
 — გავისეირნოთ.  
 — ნინცო, ხომ იცი, რომ ვკვდები,  
 სასმელი გრამი აღარა მაქვს და ჯიბე-  
 ში ოცდარაღაც კაპიკი მიღევს. აბა  
 როგორ წამოვა?

— ლუდი გაწვობს?  
 — კი, რა ლუდია?  
 — რაღაცაა უცხოური. მგონი გერმა-  
 ნულია. ერთს მოვიპარავ.  
 — კარგია, წამოიღე!  
 — კინოში თუ წამომყვები, მოგიტან.  
 — ორი მოიტანე და წამოვალ.  
 — ვაჭარი ხარ..

ნინცო მოწვენილია, ძალიან მოწყე-  
 ნილი. რა გჭირს ნინცო? ბავშვი?  
 ბავშვი კარგია, ძალიან კარგი, აბა,  
 ეგეც რომ არ დაგრჩენოდა, იმ პედე-  
 რასტთან განქორწინების მერე სულ  
 გააფრენდი. რას ჩაიცვამ? კარა-  
 დას გამოაღებ, დაფიქრდები და ისევ  
 მიხურავ. „დედიკო, მე ექიმთან მივდი-  
 ვარ, მალე მოვალ“. საშინაო შარვლითა  
 და ძველი ჯემპრით გამოძეხადები...  
 იმიტომ, რომ საგარეო რაცა გაქვს, ყვე-  
 ლაფერი ძალიან ძვირფასია. მე კი ფუ-  
 ლი არა მაქვს, და აბა, ხომ არ „დამა-  
 კომპლექსებ“. რა დეგენერატი ხარ, ნი-  
 ნცო! კაცებს ისევე ექცევი, როგორც და-  
 ქალებს. შენგან არაფერი გამოვა. კი-  
 დეუ კარგი, გოგო გყავს. თავი მისკდე-  
 ბა! დროზე ეხლა, თუ მოდიხარ მოდი და

ლუდი მომიტანე. მერე შენს მანქანაში  
 ჩავთვლემ და მხოლოდ მაშინ გავახელ  
 თვალებს, როცა კინოს წინ გაფრედე-  
 ბით. სალაროსთან აყუდებული ლაწირა-  
 კები თავებს მოაბრუნებენ და იფიქრე-  
 ბენ, რომ შენ ჩემი საფვარელი ხარ, ას-  
 ეთი ლამაზი, უბრალოდ ჩაცმული და  
 თან მანქანიანი. შენ ეს გესიამოვნება და  
 თვალს ჩამიკრავ. ჯანდაბას მაგათი თა-  
 ვი, იფიქრონ, რომ ჩემი საყვარელი ხარ,  
 უფლებას ვაძლევ. მეშველა — ზარია.  
 მართლა საშინაო ტანსაცმელი გაცვია,  
 მაგრამ გველის ტყავის ჩანთა გვიდის...

— რას ჰგავხარ, შე საწყალო...  
 — მოიტა ლუდი!  
 — აბა, გასკდი.  
 — ხომ ვითხარი, ორი წამოიღეო.  
 — მეორე მანქანაში დავტოვე. ორივე  
 რომ ამომეტანა, გასკდებოდი, ტახტზე  
 გაგორდებოდი და უკინოოდ დამტოვებ-  
 დი.

პირდაპირ უცნაურია, რაღა ჩემთან  
 ერთად მოგიფრიკინა კინოში წასვლამ. ა,  
 დაქალებს არ სცალიათ. ქმრები, შვი-  
 ლები და „რამე“... იქნებ ის გვეასება,  
 რომ უსაქმური ლაწირაკები შურით გა-  
 მოგვაყოლებენ თვალს?..

კარგი ლუდია, თან ცივი.  
 ბოთლს მაგიდაზე ვვადამ. ნინცო ტან-  
 ტის კიდეზე ჩამომჯდარა.  
 — რას დამჯდარხარ, წავიდეთ თუ  
 მივდივართ.

ნინცო იცინის:  
 — ტრუსით აპირებ წამოსვლას?  
 სახლში ჯდომამ მომბეზრდა, მაგრამ  
 ფეხით სიარულის თავიც არა მაქვს,  
 ამიტომ, თანახმა ვარ კინოში წასვლა-  
 ზე. თან კიდევ მეორე ბოთლიც მამამი-  
 სის არსენალიდან!..

მინისტრი მამა ჰყავს. სანამ გამინის-  
 ტრდებოდა, რომელიღაც გაუგებარ სა-  
 წარმოო გაერთიანებაში მოღვაწეობდა.  
 იქ რაღაცის გასაზოში ხელსაწყო გამო-  
 იგონა და გასამრჯელოდ სამი წლით  
 გაუშვეს ალჟირში ცოლ-შვილთან ერ-  
 თად. იმ ხელსაწყოს ჩვენ სრულიად სა-  
 მართლიანად „ჩემფეხებუაზრომეტრი“  
 ვუწოდეთ. სამაგიეროდ ნინცომ ხმელ-



თაშუა ზღვის სანაპიროზე ფრანგული შეისწავლა. მართალია, მცოდნე პირები ამტკიცებდნენ, ეს ქუჩური ფრანგულიაო, მაგრამ ბატონი თენგიზი ამაყობს თავისი შვილით და ძალიან მოსწონს მისი ალყირული აქცენტი. მაგას პატაც ძალიან მოსწონდა, ნინცოს ყოფილა ქმარი, მათი გაყრის წინააღმდეგი იყო, მაგრამ ნინცომ ისეთი ოფოფები აყარა, რომ იძულებული შეიქნა, შეეგუებოდა. ის კი არა და, თავისი ძველი მანქანაც აჩუქა მღელვარე ქალიშვილს. ეს იდიოტკა კი ცხვირს უბზუებს. ნინცოს ყველაზე დიდი ოცნება ის იყო, რომ ვამამისი პაულე ინგოროყვა, გერონტი ქიქოძე ან ვინმე ეგეთი ყოფილიყო.

მგონი ჩაიშალა კინო.

შარვალს ვიღებ და ისევ ნინცოსთან გამოვდივარ.

– შეხედე...

– რა, გუშინდელი ქეიფის კვალა?

– ამის დედა ვატირე, სადმე სხვაგან მაინც გადასხმოდა!.. თან „საფერავი“.

– ცუდადაა შენი საქმე, „საფერავი“ არ ამოდის.

– არა, სხვაგან მაინც იყოს, ზედ იმ ადგილზეა...

– ისე, კინოში რა უჭირს – მაინც ბნელა.

– სანამ დაბნელდება ჩაფსმულივით ვიარო?

– ჯინსები ჩაიცვი.

– ვაჩუქე, ერთს.

– დებილი ხარ?

ზუსტად ეგეთი გამომეტყველება ჰქონდა, როცა ქორწინების სასახლეში თავისი ქმრისათვის უნდა ეკოცნა – დაბნეული და განაწყენებული.

– რა გიყო, გულით მინდოდა გამოგყოლოდი...

– ნახე, რა, რამე ძველი შარვალი.

– გადამიყარეს დედაკაცებმა – დედაჩემმა და თინამ.

– კარგი რა, მოიფიქრე რამე...

– მოვიფიქრე, გაიხადე ეგ შენი ჭინსები და მე ჩამაცვი.

– მერე მე?

– შენ ისეთი ღამაში ფეხები გაქვს,

რომ ცოდვაც კი არის, რამით დაფარო.

– კარგი, თანახმა ვარ, ჩაგეტყვა?

– ორმოცდარვა ზომა ვარ.

– მე – ორმოცდაექვსი, მაგრამ ეს დიდი მაქვს.

– გაიხადე.

ჩემდა გასაოცრად, ნინცო დგება, იძრობს ფეხსაცმელს, იხდის ჯინსებს და მანუდის.

– ქალო, შენ ჭკუაზე ხარ?

– მიდი, მიდი, ჩაიცვი.

მართლა ღამაში ფეხები აქვს, პირდაპირ ბრწყინვალე ფეხები! ჯემპრი თეძოებს უფარავს.

– ცოტა ვიწრო გაქვს, მაგრამ არა უშავს, მთელი ზესტაფონი ეგრე დადის.

– ძალიან დამამშვიდლე... და შენ ეგრე წამოხვალ?

– თინას კაბას ჩავიცვამ.

ნინცო გადის თინიკოს ოთახში. კარადის კარი ჭრილავს. იქიდან შეკითხება:

– როდის ჩამოდიან შენები?

– რა ვიცი, მგონი ერთ კვირაში.

– თინიკო რას აპირებს?

– მიყვება ერთ გამოსირებულ მხატვარს. კარტოზია არ მოსწონს, დებილს!

დაჭმუჭნინდ პერანგს ვიცვამ. სად ვიარო ასე ზესტაფონელივით? ნინცოს რა უჭირს, რაც კი თინიკოს კაბები აქვს,

ყველა მისი ნაჩუქარია. გინდა თავისი კარადის კარი გამოუღია და გინდა ჩემი იდიოტი დის. ნინცო გამოდის. თეთრი მოკლე კაბა ჩაუცვამს.

– წავედით?

– მოიცა.

დალაქავებული შარვლის ჯიბიდან ბოთლის გასახსნელიან სავარცხელს ვიღებ. ეს ძვირფასი ნივთი ქალაქ ივანოვოში შევიძინეთ მე და ბაძამ სიმთვრალეში, ერთ-ერთი ვოიაჟის დროს; მარტო ივანოვოში შეიძლება მოუვიდეთ თავში სავარცხლისა და ბოთლის გასახსნელის შეჯვარება.

სადარბაზოში ისეთი სუნია, რომ ღამის არის გადავიფიქრო და უკან დავბრუნდე. ნინცო ჩარბის კიბეზე, ცხენის კუდივით შეკრულ ჩაღისფერ თმას მი-



ათამაშებს და რაღაც მელიოდის უსტ-  
ვენს. რა უნდა ასეთ ქალს (თანაც თეთრ  
კაბაში გამოწყობილს) ამ სიმყარეში.  
ვერაფრით ვაკავშირებ ურანის სუნს  
ნინცოსთან. ასე მგონია, ვინც კი ამ ქა-  
ლაქში თვრება, ყველა ჩემს სადარბაზო-  
ში მოდის გუბის დასაყენებლად, თუმცა,  
არ არის გამორიცხული, რომ ეგ გუბე  
მე თვითონ დავაყენე წუხელ.

— ანკა რას შერება?

— რას უნდა შერებოდეს, გვწიოკებს,  
თუ ავად არ არის.

ნინცო მანქანის კარს აღებს და ჯღე-  
ბა. მეც ვჯდები.

— ისე, არა გრცხვინია? — მეუბნება  
ნინცო, — ზოგჯერ მაინც შემოიარე, სულ  
გეითხულობს.

— ძალიან მიყვარს ანკა.

— მით უმეტეს...

„ვეარანცოვისკენ“ მივდივართ.

— რაღაც მჭირს... ბავშვებთან ურთი-  
ერთობა მიძნელდება, არ ვიცი, რაზე  
ველაპარაკო ხოლმე.

— შენ გგონია, აუცილებელია რაღა-  
ცაზე ელაპარაკო?

— აუცილებელია.

— მე გგონია, საკმარისია გიყვარდეს.  
ბავშვებს მეტი არაფერი სჭირდებათ...  
არც დიდებს, რომ იცოდეს.

— ეგ ლამაზი ფრაზებია, სინამდვილე-  
ში, ყველაფერი სხვანაირადაა. გული შე-  
წუხებული მაქვს ხალხისაგან. ყველა  
მთხოვს რაღაც სიტყვების თქმას, რა-  
ღაც გაუთავებელ განმარტებებს, შეფა-  
სებებს. ვეღარ გაიგეს, რომ მე არაფერი  
მაქვს სათქმელი, აბსოლუტურად არა-  
ფერი. ორი წელია სტრიქონი აღარ და-  
მიწერია, იმიტომ რომ, არაფერი მაქვს  
სათქმელი ამ აყროლებული ქვეყნისათ-  
ვის. ჩემს კარს მინდა დავაწერო დიდი  
ასობებით: „დამანებეთ თავი!“ ანდა ვი-  
შოვნო დიდი მიკროფონი და ერთხელ  
და სამუდამოდ ყველას გასაგონად და-  
ვიდრიალო: „წადით, თქვენი დედა!“

— ლუდი დალიე, აზრზე მოგიყვანს.

ხიღზე გადავდივართ. მტკვარი მძი-  
მეა და ჩაშაყებული. მის მდორე წყალ-  
ში არაფერი ირეკლება. არც დღეა, არც

ღამე. მხოლოდ ცაზე გაწოლილი დრეკ-  
ლების კიდეზე ელვარებს დაისის ვიწრო  
ზოლი. ეს კაშკაშა ზოლი ჰგავს მოქნე-  
ულ ცელს, რომელიც სადაცაა მოსხვავს  
უფოთლო ჭადრების კენწვროებს, ქარ-  
თული და სომხური ეკლესიების გუმბა-  
თებს, სახლების სახურავებზე აწოწილ  
უაზრო ტელეანტენებს და აბანოთ უბან-  
ში შემორჩენილი ერთადერთი მეჩეთის  
ცნობერ მინარეთს. ეს ქალაქი ნერვებს  
მიშლის და მიყვარს. მე ის ვეშაპი ვარ,  
ყელში რომ ამოსვლია ოკეანის მლაშე  
წყლები და ხტება მაღლა, ჰაერში, სვე-  
ლი და მოლაპლაპე, რათა მეორე წამს  
სხეულის სიმძიმემ კვლავ დააბრუნოს,  
აუტანელი, მაგრამ მშობლიური სტრი-  
ქონის წიაღში. სიამოვნებით გამოვადებ-  
დი კარს და გადავტებოდი გაქანებულა  
მანქანიდან, მაგრამ საკუთარი თავიდან  
როგორ ამოვტეე? ჩემს სხეულს არა აქვს  
კარი, ანდა ის მხოლოდ შიგნით იღება,  
რომ შემოუშვას ბრწყინვალე ლუდი „რა-  
ღებერგერი“... ადგილობრივი ანესთე-  
ზია...

მანქანის ფანჯრიდან ჩამუქებული ალ-  
ექსანდროვის ბაღი ჩანს. ნინცოს კოლ-  
მეურნეობის მოედნისკენ მიჰყავს მანქა-  
ნა. რატომღაც მომწონს ეს მყრალი მოე-  
დანი თავისი ბაზრითა და ჭუჭყიანი  
ხალხით, ლუდის მქავე სუნიანი საზინ-  
კლებით და ტრამვაის გაუთავებელი  
რაზრაზით. ჩემი ნერვები ტრამვაის რელ-  
სებია, რომლებზედაც წამდაუწუმ გრუზუ-  
ნებს რკინის ბორბლები. კოლმეურნეო-  
ბის მოედანი ქალაქის კუჭია, თანაც ბინ-  
ძური და წყლულიანი კუჭი. აქ იყრიან  
თავს საჭმლისა და პიროვნებების ნარ-  
ჩენები, საზოგადოების სანაკვეზე გადაყ-  
რილი პირები, და ამას გვერდით — მინ-  
დვრის ყვაილები, ქრიზანთემები, მიხა-  
კები და გეორგინები. ფული რომ მქონ-  
დეს, ნინცოს ერთ გეორგინს ვუყიდდი.

— სომეხი თავადი ხომ არ გვენახა?

— გვეუბნები.

— გუშინწინ ვნახე, ავტოსადგურთან.  
ფეხზე ძლივს იდგა.

— რა ჭირი ეცა?

— ცოლი გაჰქცევია; ადელასთვის და-

უვლია ხელი და სახლიდან წასულა. „ჩათლაშკა, ელი“, იძახოდა და ტირილდა მთელი გზა, სანამ სახლამდე მივიყვანე. მეზობლებმა გადმოათრიეს მანქანიდან, ჭკუაზე არ იყო.

— მართლა არ მაკუნია თუ ივონებს?

— რას გაიგებ?

— ვერ ვიტან ცოლებს!

— შენც „ჩათლაშკას“ ნუ მოიყვან.

კარგად გაიცანი და ისე.

— ნინცო, როდის უნდა გაიზარდო?

ლენინის მოედანზე ვართ. აქ ყველაფერი გალოკილია და ერთმანეთში არეული: ფსევდომაკრიტანული სტილი, სომხური უსევდო ამპირი, ფსევდო კლასიციზმი, ფსევდო კონსტრუქტივიზმი, სტალინიზმი და ასე შემდეგ ყველაფერა ფსევდო! ჩემი აზრით, ამ მოედანს დაამშვენებდა „რატებერგერის“ ცარიელი ბოთლი, მაგრამ ფსევდო წესრიგის დამცველი თავის მოტოციკლეტს მიჰყუდება რბილი ადგილით და ჩვენკენ იყურება. ბოთლს იატაკზე ვდებ.

— გინდა ვითხრა, რატომ არ მოგყავს ცოლი? — მეუბნება ნინცო.

— საინტერესოა.

— იმიტომ, რომ გერონტოფილია გჭირს: ბავშვობაში ოცდათხუთმეტი წლის ქალი გიყვარდა, მეორე კურსზე — ორმოცის, ეხლა კი აღარ იცი, რა ქნა, სამოცი წლის დედაკაცს ხომ არ მოიყვან?.. რას მეტყვი?

— იმას გეტყვი, რომ ჭორებს მივრცელებ — ჩემს ცხოვრებაში არც ერთი გერონტი არ შემყვარებია, ქიქოძის ჩათვლით.

— და ელენე?

— ელენე, ელენე... უბრალოდ, მაშინ ქალთან არ ვიყავი ნაყოფი და ქალიშვილები ჩემთვის გადაულახავ წინა აღმდეგობად მიმაჩნდა.

— აი, ევა ხართ, ეხლანდელი კაცები — თქვენ გინდათ, რომ ქალი ერთდროულად თქვენი მასწავლებელიც იყოს, საყვარელიც და მარჩენალიც.

...რა დებილობაა, ეს „ელენე“ ორი „ლ“-თი! ელენე ჩვენი კლასიკის დედა იყო, აღარ მახსოვს, მღეროდა თუ ცეკვ

ვაკდა, მგონი უფრო მომდევნო მსგავსი ერთი ლამაზი, ნაბოზარი ქალი... ბოლოს მაინც მიატოვა ოჯახი და კალათბურთელს გაჰყვა, მაგრამ ეს უფრო გვიან მოხდა, როცა სკოლა დავემთავრეთ; მაშინ კი, მთელი სადამოებო მათ სახლთან ვიდექი იმისათვის, რომ თვალი მოშვერა შავი თმის, ან ქათქათა ხელებისათვის, ჩემი კლასიკის სველ პერანგს რომ ჰყენდა. პათოლოგიაა, მა რა ჯანდაბა არის! საქმე იქამდე მივიდა, რომ პოემა დაეწერე. შევიძლიათ ასეთი რამის წარმოდგენა? ეს იყო პოემა მშვენიერ ქალზე, რომელსაც ერქვა უცნაური სახელი „დოლორეს“. ბიჭზე, ეს ქალი რომ უყვარდა და გოგონაზე, რომელსაც მოსწონდა ბიჭი, ვისაც უყვარდა ქალი, სახელად დოლორეს. შეხანიშნავია! ახლა აღარ მახსოვს რატომ, მაგრამ ბიჭს, ეგონა, რომ მშვენიერი დოლორეს შეიყვარებდა, თუკი ახალ წლამდე მოასწრებდა მისთვის ათას ერთი ლექსის გაზავნას. ერთ მშვენიერ დღეს ბიჭს უკურნებელი სენი შეეყარა. ლოვინად ჩავარდნილი, განსაკუთრებით იმას განიცდიდა, რომ ვეღარ ახერხებდა ლექსების წერას. მაგრამ ერთგული გოგო, ბიჭის მაგივრად თხზავდა მელანქოლიურ სონეტებს და მისი სახელით უზავნიდა სონეტებო დოლორესს. ბოლოს: გაზაფხულის ერთ მშვენიერ დილას იღება კარი და ბიჭს ოთახში მოელვარე დოლორესი შემოდის ათას ერთი ლექსით ხელში. ფინალი სრულიად გაურკვეველია და პომპეზური:

ლურჯად ელავდნენ ავგაროზები,

ძირს ღვრიდნენ წითელ ღვინოს,

ქაფიანს (ვის?)

და უმღეროდნენ სირინოზები

არდაბრუნების ეპიტაფიას! (ვის?)

მქუხარე, ხანგრძლივი ტაში, ყველანაირი დგებიანი ადვილი წარმოსადგენია, რადემართებოდა ნაბოზარ ელენეს, როცა ამ შედეგს წაიკითხავდა! დარწმუნებული, ვიყავი, რომ შავი ვუაღლით მოსილი, საიდუმლო პაემანზე მოვიდოდა და თვალცრემლიანი მეტყვოდა: „თქვენ და ამსხერიეთ ჩემი ცხოვრება“. მერე უკუნა

დამით გავიქცეოდით ქალაქიდან, ყველასგან წყველილნი და შეფურთხებულნი, რათა სამარის კარამდე ერთად გვეცხოვრა მიუვალ მთებში, სადაც ბროლის ნაკადულები მოგვიტანდნენ ყვავილთა სიფრიფანა გვირგვინის ფურცლებს და ეს ფურცლები იქნებოდა ჩვენი ერთადერთი სარჩო. მოკლედ. ეს ყველაფერი ახალგაზრდობაში პირველი დათრობის შემდეგ ამორწყვეულ მოუნელებელ საკვებსა ჰგავდა.

ელენესი და დოლორესისა არ ვიცი, მაგრამ ნინცოზე ამან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. სექტანტის ალღომ არ მიმტყუნა, როდესაც სწორედ მას გავანდე ჩემი საიდუმლო. მაშინ ახალი დაბრუნებული იყო ხმელთაშუა ზღვის რომანტიკული ნაპირებიდან. ბერანჯეს ორი გაქცეული ლექსი და ფრანგული საპორტო გინება იცოდა. მისი მოფრანგულე ბაგიდან ეს უშვერი გინებაც პოეზიად ჟღერდა. ბიჭები დნებოდნენ, როცა ნინცო უცოდველი სახით წარმოთქვამდა:

— გახედე ერთი, რა გადის „ოფიცრების“ სახლში, — მეუბნება ნინცო.

— რა-ა?

— შეხედე, რა გადის, დროზე!

— აა, ვერ მოვასწარი.

ჩვენი მანქანა ნელა მოგორავს შუარიგში. აქედან და იქიდან სხვა მანქანათა მწკრივებია. თანდათან ინთება ვიტრინები და ლამპიონები. ირგვლივ მკვეთრი და მოძრავი ბლიკები ელავს.

— გძინავს? მგონი რაღაც ნორმალური იყო.

— ვერ ვიტან „ოფიცრთა სახლს“, არასდროს არაფერი ისმის ხოლმე.

— წინა რიგებში ისმის.

— მაშინ მობრუნდი.

— აქ სად მოვბრუნდე?

— არ ვიცი.

— „ყაზბეგში“ წავიდეთ.

— იქ რამე ძალიან ჭკვიანური ფილმი იქნება. მაგის თავი არა მაქვს.

— აბა, რა ვქნა?

— წადი „ყაზბეგში“.

მეჩვენება, რომ მეზობელი მანქანიდან კისერგაშეშებული ყაზბეგელი, თუ მეს-

ტიელი ბიჭები გვიყურებენ გორიზად და თან ფარული ინტერესით; ნეტა, რას ფიქრობენ ჩემზე? ნინცოზე რასაც ფიქრობენ, გასაგებია.

მე ვფიქრობ ყველაფერზე. სკამიზ ზურგს მიყრდნობილი ვაკვირდები შენს პროფილს და მალაზიების ბუნდოვან წარწერებს, სწრაფად რომ გარბიან შენს პროფილს მიღმა. მე ყველაფერზე ერთად ვფიქრობ და ჩემი თავი სავსეა ათასი ხარახურით, ფრაზების და მოვონებების ნაფლევებით, ერთიბუნური სცენებით, ქვანახშირით, შახტის ჭრილებით, სანტიმენტალური მელოდიებით, ნახევრად დავიწყებული სახეებით, უცხოური კონიაკის ბოთლებით, სევედიანი პეიზაჟებით, ორთქლმავლების კივილით, გურგენ არშაკუნით, რომელიც ცოლმა მიატოვა და შენით, ჩემო უტკვინო ნინცო, უფრო სწორად, უცნაური განცდით იმი-სა, რომ შენ არსებობ, თუმცა ამდენ ზი-ლულ სურათს შორის, ერთადერთი ხარ, რისი მოხელთებაც არ შემიძლია. ამის მიზეზი იქნებ ის იყოს, რომ შენი პროფილი ჩემს მიღმა არის. იქნებ შენ ერთადერთი რამე ხარ ქვეყნად, რაც ჩემგან დამოუკიდებლად არსებობს? მე ვფიქრობ, რომ ჩემი თავი ის ადგილია, სადაც მთელი ქალაქის ნაგავი იყრება. ეტყობა, შენ მაინც არა ხარ ნაგავი, რადგან ვერ მოხვდი ამ ნაგავის ყუთში; ჩემამდე მხოლოდ შენი სუნთქვა აღწევს. შენ ქალაქის ნაწილი ხარ, უფრო სწორად, ის ჰავა ხარ, რომლითაც სუნთქავს ქალაქი.

მე ვფიქრობ ქალებზე, რომლებიც მიხვდნენ ჩემს სანაგვეში და დაიშალნენ თანდათანობით. ახლა იქ მხოლოდ მათი ფერფლია. ჩემი თავი სავსეა ფერფლით. მე საფერფლე ვარ, რომლის ფსკერზეც მძიმედ თვლებს ფერფლის ოკეანე. ეს დავიწყებულ მანდილოსანთა, გარდაცვლილ მეგობართა და უცნობ წინაპართა ფერფლია; და ამ უსაზღვრო ოკეანეში იდიოტურად გარდაცვლილი მამაჩემის ერთი მუჭა ფერფლიც ურევია...

ეს მაშინ მოხდა, როდესაც ნინცოს თითქმის დამთავრებული ჰქონდა ჩემი



გენიალური პოემის გადაწერა, მე კი უპირველხედ ვაბრუნებდი კონვერტს, რომელზედაც ნინცოსავე ხელით ეწერა ქალბატონ ელენეს მისამართი... კარგად მკახსოვს, შუალაშე იყო, როდესაც მამჩემს კომისარიატიდან მოაკითხეს. უცნაურმა ფაციფურმა და გაურკვეველმა ლაპარაკმა გამომაღვიძა. დედაჩემის შეშფოთებული ხმა გავიგონე, ვილაცამ რუსულად უბასუხა. მძიმე საგანი იატაკზე დავარდა. მამჩემის სიცილი მომესმა, ლოგინიდან ავდექი და... „დიდ“ ოთახში გამავალი კარი გამოვაღე. თვალისმომჭრელ შუქზე ორი ფორმიანი დავინახე. დედაჩემი მხრებჩამოყრილი იდგა კარადასთან. მამა საცქილებს და კიდევ რაღაცებს დებდა ზურგანთაში.

— რა იყო, ომი დაიწყო? — უმისამართოდ ვიკითხე.

— არა, რეპუტიცია აქვთ, — ღიმილით მიბასუხა მამჩემმა.

— მერე შენ?

— ორი კვირით მიჭყავთ შეკრებაზე — წამოიტირა დედაჩემმა.

— კარგი, ნუ წაიღე ტვინი ტირილით, წავალ, წაიქეიფებ ორი კვირით და ჩამოვალ; ამასობაში დაისვენებთ ჩემგან.

ექსპედიციიდან ახალი დაბრუნებული იყო. წვერი ჯერ კიდევ არ მოეპარსა. დედაჩემის მოქსოვილი უხეში სვიტრა და ბრუხენტის საველე შარვალი ეცვა. ამიტომაც ვუთხარი:

— აბა, შენ იცი, არ შემარცხვინო, ჰემ! ბუჭემოთის ტყავი ჩამომიტანე.

— აუცილებლად, ამათი კომისარის გამხმარ თავსაც შიგ გავახვევ, აბა, თქვენ იცით, ჭკუით იყავით!

ერთ კვირაში მისი დაღუპვის ამბავი მოვიდა ორჯონიკიდიდან.

კარგად მახსოვს ის დღე, როცა მოასვენეს. ნინცო დღე და ღამე ჩვენთან იყო და თინიკოს ვაუთავებულ წამუტუნსა და სლოკინს ისმენდა. სახლი უეცრად აივსო ხალხით, ჩურჩულით და კედლთან მოდგმული სკამების ხრიგინით. უხოში ჩავედი. რაღაც გრძელი და ზეწარგადაფარებული მოჭკონდათ. მეზობლის ბავშვები აივნიბიდან იყურებოდნენ. ეს

ყველაფერი სიზმარი იყო, რომელიც რატომღაც, არ მთავრდებოდა. გამჭვირვალე ყელში ჩავარდნილი ბუჩვიით ვგრძნობდი თავს. ბოღმა მახრწობდა მთელი ჩემი არსება აცხადებდა პროტესტს ასეთი იდიოტიზმის წინააღმდეგ. იდიოტიზმი იყო, აბა, რა? თურმე ტექნიკური მეცადინეობით გამოთავყვანებულება, კვირის თავზე ქეიფი მოაწყვეს ყაზარმაში. დარწმუნებული ვარ, ამ საერთო-სახალხო ღრეობის ორგანიზატორი მამჩემი იქნებოდა. სახმელი შემოაკლდათ. გამობრუებული ოფიცრის შეშინება რა უნდოდა! იქვე, ორჯონიკიძესთან ცხოვრობდა. მამჩემის მოხვევე ძმაცაიცი, ბენო, რომელიც გაოხრებულ ღვინოს ჰყიდდა, და ოსებს წამლავდა. ჰოდა, გადაწყდა — მამჩემი, საშა კურდღელაშვილი და ოფიცერი გაემგზავრნენ ბალთაში, მოხვევე ბენოსთან. საჭვსთან თერამეტი წლის გამოუცდელი ჯარისკაცი იჯდა უკან დაბრუნებისას მანქანა ამობრუნდა, ოფიცერი და მამჩემი დაიღუპნენ, მძლოლი მძიმედ დაშავდა, საშას ფეხი მოტყდა, ოკლიტრიანი ღვინის ბოცა კი დამტკრევას გადარჩა. რომ ამოვტრიალდი, ეგ ოხერი ბოცა ზედ დამეცა და კინაღამ ჩამინგრია გულ-შუცული, — ყვებოდა კურდღელაშვილი. ამ ბოცამ სულ გადამრია. ვიდექი ეზოში გამეშეებული და ყელში ბოღმა მაწვებოდა. უცნობი აღამიანები მოდიოდნენ, მკიდებდნენ ხელს, კიბისკენ მიბიძგებდნენ, ახლოს მოჭკონდათ თავიანთი აქოთებული სახეები და დაბეჯითებით მუხუნებოდნენ სიბრიყვეებს. მე კი სიბრაზის ცრემლები მომდიოდა და ვინება მინდოდა. უეცრად ვიგრძენი, რომ ვილაც ფროთხილად და უსიტყვოდ მეხვეოდა. ნინცო იყო იმ წუთს პირველად შემეცოდა დედაჩემი.

მერე ჩვენ დიდხანს ვისხედით პარკში და გათოშილ ბედურებს ვაკვირდებოდით. როცა ნინცო სიცივისაგან აკანკალდა და აბუზულ ჩიტს დაემსგავსა, სახლში დავბრუნდით. ჰემინგუეის, ფოტოებით გავსებულ კაბინეტს მამჩემის ორი სურათი მიმატებოდა.

არ მიყვარს ამის გახსენება. მხოლოდ

ერთხელ, სიმთვრალეში მოუყვები ბაძას. მაშინ ჩვენ გადავწყვიტეთ დაგვედგა ას-მეტრიანი მონუმენტი, რომელსაც ბოცის ფორმა ექნებოდა და ზედ ოქროსფრად ამოგვეტივთფრა: „ეს უცნაური ძეგლი ეძღვნება იმ მამებს, რომელთაც ეყვით სინდისი მინისტრები არ გამხდარიყვნენ, მაგრამ არ ეყვით ძალა, თავისი სულისათვის უკეთესი ჭურჭელი მოეძებნათ, ვიდრე წინამდებარე ღვინის ბოცაა.“

— სიგარეტი მომეცი, — მიუხედავად ნინცო.

— არა მაქვს, იმ შარვალში დამრჩა.

— ძალიან კარგი.

— რა, „ძალიან კარგი“?

— კარგია, რომ დაგრჩა, საერთოდ, თავი უნდა დაეანებო.

— რატომ?

— იმიტომ, რომ დიდხანს ვიცოცხლო, ვიყო ჯანმრთელი და ანკას მოსავლელი არ გაეზღე.

— რა შუაშია ანკა? სიკვდილის გეშინია, ეგ არის და ეგ.

— სიკვდილის მაცხოვარსაც ეშინოდა.

— სიკვდილის კი არა, შეცდომის. უკვე ჯვარცმულს შეეშინდა, რომ ასეთი ტანჯვა-წამება და საშინელი გარდაცვალება არსებითად არაფერს შეცვლიდა ჩემნაირი და შენნაირი კრეტილების ცხოვრებაში.

— იცი რა, მოდი ერთად დაეანებოთ თავი სიგარეტს.

— ნინცო, როდის უნდა გაიზარდო?!

— რა გამიწყვალე გული ამ შენი „გაიზარდო, გაიზარდოთ“, — მოულოდნელად ბრახდება ნინცო, — სულაც არ მიწინააღმდეგავს, რომ გავიზარდო.

— გასაგებია, ეს მტკივნეული თემაა ქალებისათვის.

— ძალიან ცდება, თუ გგონია, რომ ნაოჭების რაოდენობა მაღელვებს.

— აბა რა?

— მე მგონია, „გაიზარდო“, ნიშნავს იმას, რომ ყველა სიტუაციაში ფლობდე საკუთარ ემოციებს და აღარაფრის იმედი არ გქონდეს.

— შენი საყვარელი ბიბლია კი გვასწავლის, რომ ის ვინც სრულად ფლობს სა-

კუთარ თავს, ციხე-ქალაქების დამპყრობზე უფრო ძლიერია.

— გნებდები. შენ ციხე-ქალაქების დამპყრობი ხარ. ამიტომ გადადი და იყიდე სიგარეტი.

ნინცო მელიქ-კაზარიანცის სახლთან აჩერებს მანქანას.

— ფული გაქვს?

— არ იცი, რომ არა მაქვს?!

მანეთიანს მიწვდის, გადავდივარ.

— „კლოხეთი“ არ იყიდო, ძალიან მწარეა და ვერ ვეწევი!

ქუჩაში ისე ცივა, გეგონება, ნოემბერი იყოს. გასტრონომში სითბოა და მძაღვ კარაქის სუნი დგას, დაბალი, გამწლებული ტიპი მიღიმის. ხელში შამპანურის ბოთლები უჭირავს. დმერთო, რა გვარია? ოთხმეზური! ხელს ვერ მართმევს, იმიტომ, რომ იღლიებშიც ბოთლებია აქვს ამოჩრილი.

— საით გაგიწევია?

— შერაბასთან. შობას ვხვდებით.

— რა დროს შობაა, შე კაი კაცი?

— რა ვიცი, ქალებმა ეგრე მითხრეს, შობააო. ვატყობ, მთვრალია.

— წამო, რა, შენც წამოდი, — მოულოდნელად მთავაზობს ოთხმეზური. „შამპანური“ ამკარად მომხიბლავად გამოიყურება.

— ვინ და ვინა ხართ?

— შერაბა, მე, კიკი, და კიდევ ვიღაცები.

— პაატაც არის?

— ჰო პაატაც არის. წამო, რა, შენემა, დიდი ხანია არ მინახიხარ! ბადურა შეხვედრია პაატას. მოვალო, უთქვამს.

— აბა თქვენ იცით, ბედნიერ შობას...

— მაიცა, რა! მანქანითა ვარ, და ვსხდეთ და წავიდეთ.

— მთვრალი ხარ!

— მერე რა, — დღეს რეიდები არ იქნება! წამო, წამო.

— კარგი. მოვალ. ჯერ რაღაც საქმე მაქვს, მერე მოვალ.

— სიაფანდობ. ვიცი, რომ სიაფანდობ.

— მოვალ-მეთქი, გეუბნები.

— გიცდი. არ მომატყუო, ხო იცი, შენ ის კაცი არა ვარ...

ძლივს ვიცილებ თავიდან. ამ დამძალ გასტრონომში მარტო ბულგარული თამბაქო იყიდება. ქალებს უყვართ ბულგარული თამბაქო. თუმცა, ქალებისთვის სულ ერთია, რას მოსწევენ. მთავარია, რომ ეწვეიან.. დარწმუნებული არიან, რომ ქალი ანთებული სიგარეტით ხელში უფრო ეროტიკულად გამოიყურება. მამა უცხონდათ... განსაკუთრებით მინისტრი მამა!

ნინცოს მანქანასთან ვილაც ახმაზა აყუდებულა და უტიფრად იყურება პარკში. იდაყვი ვკიდებ ხელს და ვატრიალებ.

— რაია, ძამიკო? — ჩახლეჩილი ხმით მეკითხება.

— იგია, ჩემო ძამიკო, რომ მიწისქვეშა გადასასვლელი აქვეა!

— რაია?!

— რადა, თუ ახლავე შენით არ ჩაეთრევი, მაშინ მე ჩაგაგორებ ამ კიბეზე, გაიგე?

შავი უღვაში აქვს და ჩაწითლებული თვალები. ნაღდად არ არის დამრტყმელი. დგას გამოლენჩებული და არ იცის, რა თქვას. ნინცო მიპიპინებს. ხელით ვანიშნებ, ეხლავე მოვალ-მეთქი და ამ დროს საშინელი ძალის დარტყმა ვგრძნობ მარჯვენა ყურთან. წამით თვალთ მიბნელებდა და წონასწორობას ვკარგავ, რა იდიოტიზმია! ეზივარ ნაფურთხებით დაფარულ ასფალტზე და ვხედავ როგორ ახტება დამრულ ტრილებუსს ჩემი უღვაშიანი „წვიდა-მევიდა“. დამძალი! ჩემს ირგვლივ ათიოდე პირლია კრეტინი შეკრებილა.

— ძალიან გტკივა? — მეკითხება ნინცო და მეხმარება ადგომაში. უსიტყვოდ მივედივარ მანქანისაკენ. თავი ჭიანჭველების ბუდედა მაქვს ქცეული. ნინცო ქოქავს მანქანას.

— მიყვები ტროლებუსს! — ვეუბნები და ყელში სისხლი მაწევბა.

— მეტი საქმე არა მაქვს.

— მიყვები, რომ გეუბნები!

— ამხელა კაცმა ჭკუა ვერ უნდა ისწავლო? ხომ იცი, რომ ყველა ჩხუბიდან

შენ გამოდიხარ ნაცემი, რას მიძვრებოდი?..

— არა, ბიჭო, მაგ დამძალს დაუთმობდი.

— ისეთს რას შვრებოდა?

— უშნოდ გათვალეერებდა.

— ვეთვალეერებინე მერე. სხვა მაინც არავინ მათვალეერებს...

— ბოზები ხართ სუყველა!

— მაღლობთ. სიგარეტი იყიდე?

უსიტყვოდ ვაწვდი „როდოპის“ კოლოფს.

— ამდენ ხანს რას აკეთებდი მაღაზიაში?

— ოთხმეზური შემხვდა. მერაბასთან ვსვამთ, წამოდიო.

— მერაბა ვილაა?

— კიკის ნაშა, თუ რაღაც ეგეთი. შობას ხვდებიან.

— შობას?.. თუმცა, კიკისგან ყველაფერი მოსალოდნელი, წამო, წავიდე, თუ გინდა.

— არ მინდა.

— ვინ იქნება?

— არავინ. უბრალოდ, არ მინდა.

— მაინც ვინ იქნება?

— თავი დამანებე, არა მაქვს ოთხმეზურის თავი. პათოლოგიური სიმთვრალე აქვს. დალევს და თავის მოკვლა მოუნდება.

— რას ლაპარაკობ? მე ეგ ერთუჯრედიანი მგონია...

— არის კიდევ. მაგრამ ასეთი სიმთვრალე აქვს. მე ეგ დებილი ერთხელ გადავარჩინე.

— რა-ა?

— ჰო, არ იცი? ჩემ წინ, რომ გეგვ ნაკები ცხოვრობენ, იმათთან რაღაც სუფრა იყო. ლამის სამ საათამდე ღრიალებდნენ. მე არ მეძინა, პაპიროსს ვეწოდი. უცებ, ვხედავ, გეგვანავების აივანზე ოთხმეზური, გამოვიდა, გათიშული. ჯერ კარგა ხანს ეზოში იყურებოდა. მერე ცალი ფეხი მოაჯირზე გადმოდო. ტელეფონით დარეკვას ვეძარ მოვასწრებდი, მაძაჩემის თოფი ვადმოვიდე, ფანჯარაში გადავყავი და დაუფვირე: თუ სასწრაფოდ და არ გადაეთრევი უკან —

შუბლში დაგაჭედებ-მეთქი. ამაზე იდიოტური რა შეიძლება უთხრა კაცს, რომელსაც ისედაც სიკვდილი აქვს გადაწყვეტილი?

— მერე?

— გაჭრა, შენ წარმოიდგინე. დეგენერატი მამა ჰყავს, მოსამართლე; მე გგონი, დღემდე ქაპრიტ სცემს ხოლმე.

— გტკივა?

— მტკივა, აბა, არ მტკივა?

— თუ გინდა. ნუ წავალთ კინოში.

— წავიდეთ.

ფილარმონიასთან დიდი აფიოტაჟია: მილიცია, აყალმაყალი, ავლაბრელი გრძელთმიანი მუსიკოსები, პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტები, ავლაბრელი ხელმძღვანელი მუშაკების სოდედრები. ფილარმონიის მრგვალი შენობა მაწვნის ქილას ჰგავს, აგარაკზე დარჩენილ ქილას, რომელსაც ჭიანჭველები და ტარაკანები შესევიან. შიგნით მაწვნის ბაქტერიები ფუსფუსებენ და აუუებენ უკვე გადამჭელებულ მაწვნის დედას. მუსიკის დედას, კულტურის დედას, საქართველოს დედას... ნუთუ არ მობუზრდათ ეს ავლაბრული ჯაზი! აფსუს, „შამპანური“! ბადურაც დიდი ხანია არ მინახავს, ჩათლახი პაატა!

იმათ, ვისაც კონცერტზე შესვლა უნდათ, ჩემთან შედარებით ერთი უპირატესობა აქვთ — მიზანი გააჩნიათ. მე ნინცოს გვერდით ვზივარ; ეს კარგია, მაგრამ უმიზნო. რა უფრო მთავარია — გქონდეს მიზანი, თუ იყო კმაყოფილი?.. მე არა მაქვს მომავალი. ჩემი წარსული — საფერფლეა. მე ვცხოვრობ მართლად დევეანდელი დღით; უფრო სწორად, კონკრეტული წუთით და ვცდილობ ყველაფერი გამოვწოვო ამ წუთს. მე გემოს ვატანს მხოლოდ ცალკეულ წუთებს და ჩემი გურმანობა ვერ ამაღლდება იქამდე, რომ დეკუსტაცია გვეუკეთოთ წუთების ერთობლიობას, რომელიც ცხოვრებას შეადგენს. ცხოვრება არ არის თეატრი. თეატრი საინტერესოა. იქ ყოველთვის რაღაც ხდება. ცხოვრებაშიც ხდება რაღაცები: ნინცო ლამაზია, ჩვენ კინოში მივდივართ, მე მცემს,

მაგრამ ამ მოვლენებს შორის არავითარი კავშირი არ არის. ცხოვრებას არა აქვს სიუჟეტი — ამიტომ მოსაწყენია.

იქნებ სწორია ნინცო, როცა ამბობს, სულაც არ მინდა გავიზარდო, ვფლობდე საკუთარ ემოციებს და აღარაფრის იმედი არ მქონდესო. იმედი კარგი რამეა. მისი დეფიციტი იწყვეს სასოწარკვეთილებას. საოცარია, გენრი ჯეიმსის კითვისას მივხვდი, რომ ყველაფერი დამთავრდა, ყველაფერი საბოლოოდ ჩამოყალიბდა და უცვლელი გახდა. აღრე წიგნის კითხვა იმედს აღმიძრავდა. ჩემი სული ნიადაგი იყო, მწირი, მაგრამ მაინც ნიადაგი, საჭირო იყო ცხოვრებიდან ან წიგნებიდან ამელო თესლი და იმედი მქონდა, რომ იგი იზარებდა. ეხლა კი ვგრძნობ, რომ ნიადაგობამ ტენი დაკარგა, ტილოს მიახმა ზეთის საღებავები, კედლის ბათქაში გამოშრა და ვეღარ იღებს ტემპერატურას. რამდენი ფერიც უნდა იყოს ჯეიმსის რომანში, ის უკვე ვეღარ შეავსებს გამომშრალ ფრესკას. ჩემი ფრესკა ნახევრად დახატული დარჩება სიკვდილამდე.

საინტერესოა, რას იტყვოდა ყოველივე ამის შესახებ ბადურა? ეხლა ვგრძნობ, როგორ მომენატრა მისი კატეგორიული ტონი და მკდერი, დაბალი ხმა. დარწმუნებული ვარ, ნინცოსაც მოენატრა, ბაძა, ბადურა, ნინცო და მე... ახლაც არ მესმის, როგორ შეძლო ბადურას ისტერიულმა ცოლმა ჩვენი კვარტეტის დაშლა. იქნებ ყველაფერი ნინცოს გათხოვებით დაიწყო?.. რა მნიშვნელობა აქვს.

კარგად მახსოვს ის დღე, როცა მე და ბაძამ პირველად ვნახეთ მაღალი, ოდნავ მხრებში მოხრილი არისტოკრატი ბადურა. თხელი ნერვიული სახის ნაკვთებით და ირონიული ღიმილით. იდიოტმა ნინცომ აღვირში ყოფნისას მამამისს რაღაც წიგნი აყიდინა ყდაზე გამოსახული ჟერარ ფილიპის გამო. წლების განმავლობაში რომანტიკული ჟერარ ფილიპი უაზროდ იყურებოდა ნინცოს თაროდან. მერე აღმოჩნდა, რომ ამ წიგნში სხვა

პიესებთან ერთად „კალიგულაც“ ყოფი-  
ლა. ბადურა რისი ბადურა იქნებოდა,  
ხელიდან რომ გაეშვა იმ დროს აკრძა-  
ლული რომელიმე წიგნი! ნინცო საში დღის  
განმავლობაში გვიკითხავდა და ზეპი-  
რად გვითარგმნიდა ამ უცნაურ ოპუსს.  
როცა ფრანგულად ლაპარაკობდა, გან-  
საკუთრებით ექსტრავაგანტური იერი  
ჰქონდა ხოლმე. მე მეჩვენებოდა, რომ  
მის სახის კანს ჯერაც შერჩებოდა ალ-  
ჟირის პლაჟებიდან გამოყოლილი ჯან-  
მრთელი სიშავე, ჩალისფერ თმას კი  
აფრიკული მზის მცხუნვარება. ჩემთ-  
ვის ნინცოს ალჟირი არასოდეს ყოფილა  
მხოლოდ კართაგენის ნანგრევები, პალ-  
მები და ცისფრად შედედებული ზღვა.  
ეს იყო ფელაზური შავი თვალების, სა-  
იდუმლო შესახვევების, ქალის შიშველი  
ჭიპებისა და ხალიჩების ალჟირი. ეს  
იყო ტიპასაში დაბრუნებული, იმპოზან-  
ტური მელანქოლისტის ალჟირი; მელან-  
ქოლისტისა, რომელიც დედის დაკრძა-  
ლვას ელოდება და აუტანელი სიცხისა-  
გან გათანგული, რძიან ვაჟს მიირთმევს  
იატაკიდან ჰერამდე თეთრად შეღებილ  
ოთახში.

მაშინ მეგონა, რომ ნინცოს ბადურა  
უყვარდა. მახსოვს, თვითონაც გამიკვირ-  
და, როდესაც მივხვდი, რომ ცოტას  
ვეჭვიანობდი. მიუხედავად ამისა, ჩვენი  
კვარტეტი მაინც შეიკრა. ამაყი კიტრე-  
ბივით დავიდოდით და გვეგონა, ჩვენს  
მეტმა არავენ იცოდა „კალიგულას“ არ-  
სებობა. ზანდაზან არდადეგებზე ჩამოსუ-  
ლი კარტოზიაც გვეიერთებოდა. მაშინ  
მართლა დასაბმელები ვხდებოდით...

მაგონდება უსასრულო მთვრალი რი-  
ალი ნაცნობების სახლიდან სახლში;  
მასპინძელთა შეწუხებული ღიმილი:  
„არაფერი არა გვაქვს, მარტო ერთი  
ბოთლი...“ ეგვი კარგია, ძალიან კარგი;  
ბადურას გაუთავებელი მსჯელობა, ლაყ-  
ლაყი, აღსარება და ბრალდება ერო-  
დროულად, გიჟური ალტყინება: მერე კა-  
მათი ყოველ სიტყვაზე, საქციელზე, პო-  
ლიტიკაზე, ოთარ ჭილაძეზე, სარტრზე...  
ოთახსირი სარტრი ყველგან, ყოველთვის,  
ყველაფერში: რესტორანში, ფეხსადაგილ-

ში, ბოზის ლოგინში, ღიმილში, ღვთის  
გმობაში, ნარწყვევში, თვითმკვლელობაზე  
ფიქრში, მეორე დღით კი, გოგოებისათ-  
ვის წართმეული ფულით ნაყიდი მყრალი  
თბილისური ლუდი, თეთრი ქაღალდი და  
სანტიმენტალობის ნაკადი. ფრანგ მწე-  
რლებს ვბაძავდით: „ივერიის“ მყრალ  
სახინკლეში გაქონილ მაგიდებზე კწერ-  
დით წინასწარ მოფიქრებულ ფრაზებს,  
გვეგონება, სახშლი არ შეიძლებოდა ამის  
გაკეთება, გვეგონება, სანდრარები და  
ჟაკობები ვიყავით, ხოლო „ივერიის“  
სახინკლე კი „კაფე დეუ არტისტ“ ყოფი-  
ლიყოს „ფოლი-ბერჟერის“ მახლობლად.

როცა იცლებოდა ყველა საფულე და  
ირღვეოდა ყველა ჯიბე – იწყებოდა  
იძულებითი ინტელექტუალური ცხოვ-  
რება: აღზნებული ლაპარაკი სტილ-  
ზე, ვერლიბრზე, პედერასტობაზე, ვერ-  
სიფიკაციაზე, ქალის ფიზიოლოგიაზე...  
ეს, ჩვეულებრივ, ბადურას სახლში ხდე-  
ბოდა ხოლმე. ჩვენს შორის მხოლოდ მას  
ჰქონდა წაკითხული პაპინი და ავერბა-  
ხი, ბადურა უშვერი სიტყვებით აგინებ-  
და ჩემს მოთზრობებს და პირზე ღუფრო-  
მდგარი ამტკიცებდა, რომ კაფეა გენია-  
ლური იმპოტენცია. ზოგჯერ ლაყფით  
დადღლილნი, გამოვიზლაყნებოდით ზოლ-  
მე ბადურას ბინიდან და ნაზამთრალი  
მაზრრობელებივით გაბრუებულები მივა-  
შურებდით რუსთაველის პროსპექტს;  
საშუქარლამო „ფრანციას“ ან „მუშტა-  
იღს“, ერთხელ „ალექსანდროვის“ პარკ-  
ში მოხუცი მოგვიჯდა. ირაკლი თოიძე  
აღმოჩნდა. თურმე იქვე, გალერეაში მი-  
სი გამოფენა იხსნებოდა, მანამდე კი  
ნახევარი საათით შემოგვიერთდა. ცოტა  
დავაზლოვდით თუ არა, აქეთ-იქით მი-  
მოიხედა, ჩვენკენ დაიხარა და საიდუმ-  
ლო გაგვანდო: „მე გრიგოლ რობაქიძეს  
მოვეხსნარი, ყმაწვილებო. საოცარი თვა-  
ლები ჰქონდა, ცეცხლოვანი. დღეში რა-  
მდენიმე საათს ბნელ ოთახში ატარებდა  
ხოლმე. თურმე ამ დროს გუგები ფარ-  
თოვდება და თვალი განსაკუთრებულ  
ელვარებას იძენს“, მერე გამოფენის გა-  
ხსნაზე მიგვიმატიჟა, ნინცოს ხელზე  
აკოცა და მოკლე, სწრაფი ნაბიჯებით



გაცუნცულდა გალერეისკენ. მაშინ „ტრანსავანგარდისტები“ ჯერ კიდევ აკადემიაში სწავლობდნენ.

ორ კვირაში „ინტელექტუალური ცხოვრება“ საბოლოოდ ამოგვდიოდა ყვლში. ხელნაწერების ხვეით, დაღრღნილი კალმისტრებით, ბალებში ხეტიალითა და საპტრით გაბეზრებულ-გამოთაყვანებულებს ისევ ნინცო გვეგლოდა: იპარავდა ფულს დედამისის (ქალბატონ ბაულის) პორტმანედან ან უცხოურ ბოთლს მამამისის უნიკალური კოლექციიდან. მაშინ გაერბოდით კაფე „იასამანში“ იაფფასიანი „შუშუნების“ დასალევად ან სახლში... ბადურასთან. ერთხელ, ლიტრიანი „კურვანითი“ გაშტერებულემა, ბადურას ფეხსადგილის კარს მივაწერეთ პაპინის სიტყვები: „მე უნდა ვიფიქრო ჩემს სირცხვილსა და სასოწარკვეთაზე აბსოლუტურ მარტოობაში. რა გინდათ ჩემგან? როცა რამის თქმა მსურს, მე ამას ვბეჭდავ; როცა რამის გაცემა მინდა — მე ვიძლევი. თქვენი ცნობისმოყვარეობა გულს მირევს, თქვენი კომპლიმენტები შეურაცხყოფს, თქვენი ჩაი მწამლავს არავის ვალი არა მაქვს. მე პასუხს ვაგებ მხოლოდ ღმერთის წინაშე — თუკი ის საერთოდ არსებობს“. მაშინ ეს ჩვენი თაობის მანიფესტად მიგვჩინდა.

იმ დროს არ იყო გაუთავებელი ლაყბობა სტალინზე და ბერიაზე. მაშინ ჩვენ უფრო ქალებზე ვლაპარაკობდით. ზოგჯერ, თუ ღმერთი საჩუქარს გადმოგვიგდება და რომელიმე ჩვენგანი რისამე დაბეჭდვას მოახერხებდა, ოქროს ხანა გვიდგებოდა: კისრისტეხით შიქროდით კიევში, სოჭში ან ივანოვოში. „ბადურ-სამოდურ“, — ასე ეცნობოდა ბადურა ჩრდილოელ ქალებს.

ახლა რომ ვფიქრობ, ბაძას ახალგაზრდობა კუჭის პერფორაციითა და კლუსტოფობიით დამთავრდა, — ჩემი — „მახტმშენით“, ბადურასი — აფთარი ცოლით, ნინცოსი კი... თუმცა ყველა ჩვენგანის ახალგაზრდობა დამთავრდა ერთ წვიმიან, ქარიან და უფულო დღეს, მიწებდაორთქლილ „ჩაის სახლში“, როცა

გრძნობამორეული მოხუცი ირაკლი თოიძე გვეუბნებოდა: — «Под гармонии желтую грусть», — განა ეს გენიალური არ არის, ყმაწვილებო?...“

— შენ პაატასთან როგორი ურთიერთობა გაქვს? — მოულოდნელად შეკითხება ნინცო. მრგვალ ბალთანა ვართ. შადრევნის ჭავლი ქარისაგან გადახრილა და წყალი პირდაპირ რაფიელ ერისთავის ანტიკურ თავს ესხმება.

— არანაირი.

— ამას წინათ ისევ დამირეკა.

— საერთოდ, გირეკავს ხოლმე?

— რამდენჯერაც დათვრება... აღარ შემეძლია.

— რა მინდაო?

— რომ ჰკითხო, ანკაზე ზრუნავს, ბავშვი ოჯახში უნდა იზრდებოდეს და არა ბებიასთან და ბაბუსთანო. შენ გვინია, კარგი დედა ხარ? შენ ნამდვილი ეგოისტი ხარ, მარტო შენ დილიზნორზე ფიქრობ, ფეხებზე გკიდია, რომ ბავშვს მამა სჭირდებაო.

— მერე შენ რა უთხარი?

— გაიზრდება და თვითონ გადაწყვეტს, სჭირდება თუ არა-შეთქი. გადაირია! აყვირდა. დაყვირდა: შენ იმიტომ გაიქეცი, რომ დროსტარება გინდა და ქუჩა-ქუჩა ხეტიალი, ბოზი ხარ, მეტი არაფერიო.

— ეტყობა, უნდა, რომ დაუბრუნდე.

— ეგ იდიოტი, იმასაც კი ვერ ხვდება, რომ თუ გინდა ქალი დაგიბრუნდეს, ეგრე არ უნდა ელაპარაკო.

— ესე იგი, სხვანაირად რომ გელაპარაკოს, დაუბრუნდები?

— არა. არავითარი გრძნობა აღარა მაქვს, ეგ კაცი საერთოდ არ არსებობს ჩემთვის.

— შენი სიტყვებიდან გამოდის, რომ ერთ დროს არსებობდა და შენც გქონდა მის მიმართ ეგრეთ წოდებული „გრძნობა“.

— არ ვიცი. მე მგონი, არასდროს მქონია.

— თუ ესეა, ყველაფერში შენა ხარ დამნაშავე, პაატა რა შუაშია?

— ჰო, ყველაფერში მე ვარ დამნაშავე.

მაგრამ არ მინდა მირეკავდეს და მეუბნებოდეს, რომ ბოზი ვარ!

— ფეხებზე არა გკიდია? ილაპარაკოს რაც უნდა.

— რა თქმა უნდა, ძალიან კარგი მოსასმენია ლანძღვა-გინება.

— ბოლოს და ბოლოს, რა არის ამაში ისეთი? შევარცხვინე ქალი, რომელიც ცოტათი ბოზი არ არის. საერთოდ, პატიოსნებით ამაყობენ ის დედაკაცება, რომლებსაც სხვა არაფერი აქვთ საამაყო. სწორედ ეგენი ართულებენ და წამლავენ ცხოვრებას.

— ტაკიმასხარა ხარ!

მანქანა ჩერდება. „ყაზბეგთანა“ ვართ. უსაქმური ლაწირაკები აყუდებულან ყვითლად განათებულ შესასვლელთან. ნინცო ხმას არ იღებს.

— კარგი, ხვალეე მივალ და დავალეწავ თაე-პირს შენს ნაბიჭვარ ქმარს. დაკმაყოფილდი?

— შენ საერთოდ ვინმე თუ გიყვარს ამქვეყნად?

— რა გინდა, ნინცო, ხომ ხედავ — ცუდადა ვარ.

— კარგად რატომ უნდა იყო? რა გააკეთე სამაგისოდ?

გარეთ ქარია და სიცივე. ამ იდიოტურ წუთს არაფერი აქვს მშვენიერი, რომ მოვეკიდო, ჩავიღო პირში და გამოვწუნო პიტნის კარამელივით. მართლაც, რატომ უნდა ვიყო კარგად? ვინ იცის? შეიძლება შენ იცი, ნინცო, და არ მეუბნები. ასე მგონია, ერთი სიტყვა მეყოფა. რწმენა აქვია, სადღაც ახლოს და ამიტომაც უფრო მწარეა, როგორც გისოსებთან ახლოს დაგდებული პური, რომელსაც გალიის მკვიდრი ვერასდროს მიწვდება.

აფიშასთან ვდგავართ.

— შევდღეთ? — მკითხება ნინცო.

— არ შემიძლია ამ შევდური სიტყვიანის ყურება. ვნახოთ მეორე დარბაზში რა არის.

— ხედები, რომ შტერდები?

— ვხედები, თუ არ ვხედები, — ეგ არაფერს ცვლის. ამ სნობურ სურათს ვერ ვნახავ, რომ მომისაჯო.

მივდივართ მეორე დარბაზისაკენ. „შესანიშნავი შვიდეული“ გადის.

— ძალიან კარგია!

— ნა-ნა-ნა-ნანა-ნანა... — მღერის ნინცო და იცინის.

— რა გაცინებს?

— კალკერა გურგენა არშაკუნის ჰგავს. არ შეგიძინევია?

მართლა ჰგავს. სალაროსთან სულ ოთხი კაცია. ვდგებით რიგში.

— ერთი საათი რა ვაკეთოთ? — ვეკითხები.

— ყავა დავლიოთ. რა უბედურებაა სეანსის ათ საათზე დაწყება.

— მეზარება ერთი საათი ცდა არშაკუნის სანახავად.

— არა უშავს.

ნინცო შეუმჩნევლად მიდებს ჯიბეში ფულს. უხერხულობის დასამალად ვამბობ:

— ტყუილად ვაგინებთ გეოპოლიტიკას.

— ეგ რა შუაშია? — ნინცო გაკვირვებული მიყურებს.

— აი, გურგენა არშაკუნი შენი მეზობელი რომ არ ყოფილიყო, ხომ არ იმეგობრებდით?

— და საერთოდ, — მხარს მიბამს ნინცო, — ქართველები და სომხები გვერდივერდ რომ არ ვცხოვრობდეთ, ხომ არ ვიქნებოდით ძმები?!

— ძმები? რა ძმები, ჩვენ უკვე დიდი ხანია, შინაბერა დები გავხდით, რომლებიც სულ კინკლაობენ, მაგრამ უერთმანეთოდ ვერ ცხოვრობენ.

— მიაწოდე ფული...

მანქანისაკენ მივდივართ. უსაქმურს ლაწირაკები ზედაც არ გვაფურთხებენ. კიდევ კარგი, მაგათთან ჩხუბი მართლა სახიფათოა — უღვაშიანი „წვეიდა-მეკე-დასავით“ მუშტს კი არ გაკმარებენ. ჯიბეები ჯართითა აქვთ გამოტენილი, თავი — არაფრით. გენიალური ატრაქციონია — „კაცი ცარიელი თავით! მსურველებს შეუძლიათ, ზუთი კაპიკის გადახდის შემდეგ ახადონ ქალა და შიგ ჩააფურთხონ“.

„ფრანციაში“ მარტო ჩვენა ვართ და

კიდევ ორი გოგო. აშკარად სტუდენტობიდან არიან. ნინცო დახლთან დგას და ნამცხვრებს ყიდულობს. ჯემპრი მხრებზე მოუსხამს, სახელოები კი წინ გადმოუგდია და მკერდთან გაუკვანძავს. მოკლე, სიფრიფანა კაბა და სქელი, უხეშად ნაქსოვი ჯემპრი — ეფექტური კონტრასტია! საინტერესოა, რას იტყვოდა ამის შესახებ ბებერი, გათვერანი ავსტრიელი? ალბათ, იტყვოდა, რომ კასტრაციის კომპლექსი მაქვს, ან რაღაც ამდაგვარი. ნეხვით გატენილი ტომარა!

— ყავა გინდა, თუ კაკაო? — მეძახის ნინცო.

— კაკაო.

...ნინცოს მომავალი ქმარი კარტოზიამ გამაცნო. ნახალწლევი იყო. უაზრად მოგვეტეტებოდი უნივერსიტეტის ბაღში. არც ერთი კაპიკი არ გამაჩნდა და საერთოდ ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს წუხელ პირში ჩამაფსეს. საღამოს ნინცოსთან ვიყავი დაპატიჟებული, მაგრამ საღამომდე რა მიატანდა. სწორედ ამ დროს ღმერთმა გამომიგზავნა გერმანიიდან არდადეგებზე ჩამოსული კარტოზია ასოცმანეთიანი სტიპენდიით ჯიბეში. ვიღაცა ტიპი ახლდა. გაიცანი, ჩემი კლასელი პაატააო. ჭკვიანმა და დაკვირვებულმა კარტოზიამ სახეში შემხედა მიხვდა, რაც უნდა ექნა (ჯიბეში არ ჩაუხედავს, ისედაც ნათელი იყო ყველაფერი).

მაშინ კაფე „მეტრო“ ცოცხალი იყო და იდიოტური რესპუბლიკის მოედანი, თუ რესპუბლიკის იდიოტური მოედანი, ჭერ მხოლოდ კალანდარიშვილის ტერინში არსებობდა. ეს ის კაფე „მეტრო“ იყო, სადაც ყოველთვის ჰქონდათ სამაგელი შუშუნა, ძვირი კონიაკები და მსოფლიოში საუკეთესო „ჩიფიბიფი“. მართალია, ექსტრასენსი ჯუნა იქ უკვე აღარ მუშაობდა, მაგრამ მისი აურა კვლავაც სუფევდა ფეხმორყეულ მაგიდებს შორის. კაფე „მეტრო“ რომ არ დაენგრიათ, სიამოვნებით გადავარქმევდი სახელს და „ჯუნას აურას“ უწოდებდი.

მშენიერი იქნებოდა—კაფე „ჯუნას აურა“

კარტოზიას აშკარად შევეცოდე და გერმანიაში მონატრებული ქართული ხელგაშლილობით კონიაკი მოატანინა ტრადიციული შუშუნას ნაცვლად. გარეთ უთოვლო, ნესტიან გაყვანილი ზამთარი იღვა. ასეთ დღეებში თბილის-თბილისს აღარა ჰგავს. ვისმენდი ბერლინურ ჭორებს და თავი თბილისში აღარ მეგონა, არც საქართველოში და არც საერთოდ საბჭოთა კავშირში.

როცა მეორე ბოთლსაც მოვუღეთ ბოლო, დამუნჯებულმა პაატამ ხმა ამოიღო და განაცხადა, მეტს აღარ დავლევო. ჩვენ კიდევ მოვატანინეთ. კარტოზია ცრემლმორეული მიხსნიდა, თუ რა არის ნოსტალგია. სიტყვები არა ჰყოფინდა და წამდაუნუმ გერმანულზე გადადიოდა. მესამე ბოთლის დაცლისას ვველაზე შორ მაგიდასთან ორი გოგო შევამჩნიეთ. კარტოზიამ სასწრაფოდ აფრინა პაატა. ჩემდა გასაკვირად, ისინი სწრაფად დათანხმდნენ და ჩვენს სუფრას მოაშურეს. თეატრალური ინსტიტუტის წაკლები აღმოჩნდნენ. აღზნებულმა, სიკეთედ და გალანტურობად ქცეულმა კარტოზიამ მათ საპატიეცემულოდ ერთი კონიაკი მოატანინა. მე უკვე ისეთ დღეში ვიყავი, რომ თავი აკვარიუმის თევზი მეგონა, გარშემო მყოფნი კი — ჩემს სანახავად მოსული უსაქმურები. ქალებთან კონტრაქტს ძირითადად პაატა ახორციელებდა, რადგან ჩვენ არ გვეცალა მათთვის. ყოველი ექვსი. შვიდი წუთის შემდეგ ფეხზე ვდგებოდით, გოცნიდით და ვეხვეოდით ერთმანეთს. გონების ხანმოკლე განათებისას ერთი ქალის სახეზე გაცოცხა ამოვიკითხე. მას, ალბათ, პედერასტები ვეგონეთ, მერე მცირე ხნით ვველაფერი დაიბინდა. როცა გონს მოვევე, ისევ მაგიდასთან ვიჯექი, ნახევრად დაცლილ მეხუთე ბოთლს ვუყურებდი და მხარზე ქალის ხელი მეღო. ქალი მთხოვდა, მეტი აღარ დამეღია. სრულიად უაზროდ გავუღიამე და კარტოზია ვიკითხე. გველნაკრავით გაიწია გვერდზე. კარტოზიას ხმა სადღაც, უკნიდან მესმოდა. მოვტრიალ-

დი, ის ვიღაც უღვაშიანი ქურდი ბიძების მაგიდასთან იდგა და საღლეგრძელს ამბობდა. მთვრალ კარტოზიას რატომღაც ეგონა, რომ გერმანელია და აქ უნდა ეთხოვა თავშესაფარი. მენტორის ტონით აცხადებდა, რომ ჩვენ, ესე იგი, გერმანელებს და ქურდებს, გვმართებს მოფერება და პატივისცემა. იმ პატარა, მაგრამ გულუხვი ერისა, რომელმაც მშობელ დედასავით შეგვიტკბო და შეგვიყვარა. რადგან, როგორც მისი ირლანდიელი მეგობარი ჯეიმზ ჯოისი ამბობს: „არც ერთი ტრადიცია ჩვენი ქვეყნისა არ არის ისეთი ღირსეული, ისე დასაცავი და გასაფრთხილებელი, როგორც ტრადიცია სტუმარ-მასპინძლობისა, ეს ტრადიცია, დღესდღეობით მართლ ჩვენთანაა შემორჩა. ზოგი მეტყვის, ეგ ტრადიცია ჩვენი ნაკლი უფროა, ვიდრე ღირსებაო. დაე, ასე იყოს, მაგრამ, ჩემი აზრით, ეს ჭეშმარიტად მეფური ნაკლია და, იმედი მაქვს, იგი კვლავ დიდხანს დარჩება ჩვენი ხალხის გამოუსწორებელ ზარეზად“. ქურდი ბიძები თავჩაქინდრულნი უსმენდნენ მთელ ამ სიტყვიერ ფალარაოს და მათ ძველის. ძველ, სვედიან თვალებზე ცრემლიც კი შევნიშნე. როლში შესული კარტოზია კი სკამზე შეხტა და ზემოთქმულის საილუსტრაციოდ, რატომღაც, ასეთი ლექსი წაიკითხა:

საქართველოვ, მე ვარ შენი  
დედაშენი, მამაშენი,  
ან აშენდი და დამშენდი;  
ანდა სულაც გადაშენდი!

სადღაც, შორს, პაპირისის სქელ კვამლს მიღმა, თვალი მოვკარი, როგორ უჩუმრად ჩამოდგნენ და გასასვლელისაკენ წავიდნენ წაკლები და მათ ასევე უჩუმრად აედევნა პაატა.

აღარც მახსოვს, ქუჩაში როგორ აღმოჩნდი. სიცივემ და ნესტმა თბილა კახები გაგვახსენა და გადავწყვიტეთ თეატრალურ ინსტიტუტში მივსულიყავით. უზადო გეოგრაფიული ინტუიციის კარნახით, ლესელიძის დაღმართისკენ წაებარბაცდით. ვაზში რაღაცას წამოუკარი ფეხი და უთუოდ ზღართანს მოვა.

დენდი, ჩემს შუბლს სველი ჭადარა რომ არ გადალობებოდა. კარტოზია მღერის: „ეზ ვარ ზო შეენ გვეზუნ...“ იცა სად მივდივართ? ჩვენ მივდივართ ძილდასთან. ჩემს საყვარელ, ბებერ ტანტე პილდასთან, ვინც მასწავლა გერმანული“.

ველაზე მკაფიოდ მამახსოვრდება, მძიმე, მუქი ბუფეტი და ტანტე პილდას ცისფერი, სიბერისაგან ოდნავ ამღვრეული თვალები... „გუტენ ტაგ, ფრაუ პილდა!“ გაუთავებელი გერმანული დიალოგი შვაბიურ დიალექტსა, თუ რაღაც ამის მსგავსზე. მერე ისევ ქართულად: „ჩემო ძვირფასო, ობოლო, ჩემო ობოლო და ძვირფასო ტანტე პილდა. მე გადაწყვიტე, ცოლი მოვიყვანო. აი!“ და კარტოზიას საჩვენებელი თითი აშკარად ჩემკენ მოემართება. ვამჩნევ, რომ ტანტეს დაღებულ პირში გატეხილი პროთეზი უდევს ვცდილობ ვისარგებლო უხერხული პაუზით და თავი ვიმართლო, მაგრამ ამავე დროს: „მე მოვიყვან ცოლად კეთილშობილ, დალოცვილ ქართველ ქალიშვილს და ვერავითარი მეფისტიფელი ვერ მაიძულებს, ჯვარი დავიწერო გრეტკენზე. ფერშტეინ ზი, ლიბე ტანტე?“ ძილ-ღვიძილში თინიკოს სახელი ჩამესმის. ტახტის მაღალ საზურგეს ვაყრდნობ თავს და ვიძინებ. შენი ჭკუა რა ვთქვი, კარტოზია! ძილში ჩამესმის პიანინოს შემზარავი აკორდები და განწირული სიმღერა: „ლინკს უმერეხტს უმ...“

როცა ტანტესგან გამოვედით, უკვე ბნელდებოდა. ასე, შვიდის ნახევარი იქნებოდა. სულ ცოტა ორი საათი მაინც გვეძინა. კარტოზია დარცხვენილი და ენაჩავარდნილი მოაბიჯებდა, გეგონება, მის გარდა, აღარავის დასძინებია ინსტრუმენტთან. ცხადი იყო, რომ ამაღამ ვეღარ დავიძინებდით. მე ათი კაპიკი აღმომაჩნდა, კარტოზიას მანეთი. უცერად გამახსენდა, რომ ნინცოსთან ვიყავი და პატივებული. კარტოზია ცოტა გაიბრანტა, მაგრამ შეეპაბი. გადავწყვიტეთ, ჯერ „ჩაის სახლში“ მივსულიყავით, ჩაი დავკვლია და ადამიანის სახე მიკველო.

„ჩაის სახლში“ პაატა დაგვიხვდა. ჩვენს ძებნაში მთელი თბილისი მოე-  
ვლო. მაგანაც გაანმახა საქმე! რას იზამ.  
— ველავდი, მილიციას არ წაემსერე-  
ბინეთ გამოსაფხიზლებელშიო. გვითხ-  
რა: „ვინ? წაკლები? ტელეფონი გამოვა-  
რთვი, ტაქსში ჩავსვი და თქვენ გამო-  
გვიკიდეთ, მაგრამ ვეღარ გიპოვეთ. იმათ  
ხვალ უნდა დავურეკო, დღეს რეპეტე-  
ცია აქვთ.“ ძალით ჩავტყენით მანქანაში  
და ნინცოს მივადექით.

ბაული და თენგიზი დიდი ამბით შე-  
გვხვდნენ. ვერმანის ამბები იკითხეს.  
პაატა კარგად იყო ჩაცმული. ცხადია —  
მოეწონათ. კარტოზია თინიკოს გვერ-  
დით დასვეს. მთელი საღამო ხმა არ ამო-  
ულა, მამა აბრამის ბატკანივით იქცეო-  
და. ნინცო ხან მე მიყურებდა, ხან პა.  
ატას. ნეტა ფეხი მომტეხოდა და იმ სა-  
ღამოს არ მიმეთრია ეს პაატა. მაგ პე-  
დურასტმა ქალების ტელეფონი მე ჩამო-  
კუსტა ჯიბეში, თვითონ კი ნინცო დაიო-  
რია. თუმცა ეს ორი თვის მერე მოხდა.  
მაშინ ჭერ კიდევ კაცი მეგონა. მივქარე,  
კაკაო რომ ავალებინე. უგემურია. ნინ-  
ცო აშკარა სიამოვნებით სვამს ყავას.

— რას გარუმებულხარ? — ვეკითხები  
ნინცოს.

— უნდა დავურეკო, გავიგო, ანკამ თუ  
დაიძინა.

— დაიძინებდა: „მისთვის არა შრია-  
ლებს შემოდგომის წვიმების სევდიანი  
ბლუზი“. რა ისწავლა ახალი?

— ბაბუამისს „მამას“ ეძახის...

— ყოველთვის?

— არა, სხვა ბავშვებთან ერთად რო-  
ცაა, მარტო მაშინ.

— უცნაური ბავშვია, ნეტა, რას ფიქ-  
რობს თავისი პატარა ტვინით?

— მე მეგონი, ჩვეულებრივი ბავშვია.  
სულ არ არის სევდიანი. ზოგჯერ და-  
მუნჯდება ხოლმე მთელი დღით, ეგ არ-  
ის და ეგ. თუკი რამეს გრძნობს უსია-  
მოვნოს, ან სევდიანს — მალე ივიწყებს.  
ჯერ არა გვიშავს, მერე რა იქნება?

— „ხვალემ იფიქროს ხვალისა...“ —  
ნეტა, არ გაჰყოლოდი პაატას... მად-  
ლობთ. ეხლა მეუბნები?

— მე მეგონა, საკუთარი ჭკუა გე-  
ყოფოდა.

— სადა აქვთ ქალებს ჭკუა?.. გინდა  
გითხრა, რატომ გავთხოვდი? შენს ჯი-  
ნაზე... უფრო სწორად, შენს, ბაძას და  
ბაღურას ჯინაზე! — ნინცო ამთავრებს  
ყავას და ფინჯანში იყურება.

— გენიალური საშუალებაა შურისძი-  
ებისათვის.

— ჰო, მე ქალი ვარ, იდიოტი ქალი,  
მაგრამ თქვენ, კაცები, რითი ხართ უკე-  
თესნი იმ საშინელი დღის მერე ახლოს  
არ გამკარებიხართ. სამუდამოდ შემძულ-  
და საკუთარი დაბადების დღე: დაღუწეთ  
ყველაფერი, ეჩხუბეთ მამარემს, მოიჯ-  
ხუნეთ კარი და გავარდით. შესანიშნა-  
ვი გამოსავალია! რომელიმე თქვენგან-  
მა იფიქრა ჩემზე? იფიქრეთ, რომ მე  
იქ ვრჩებოდი, იმ სახლში, იმ ხალხთან,  
იმიტომ, რომ ისინი ჩემი მშობლები არი-  
ან, და ეგეთები მარგუნა ბედმა. თუ გე-  
გონათ, რომ პავლიკ მოროზოვი ვიყა-  
ვი და საკუთარ მამას ვავიმეტებდი?

— მე არ მეგონა, თუ ასე ჩაგრჩებო-  
და გულში. სჯობდა ეს აქამდე გეტქვა.

— რა უნდა მეთქვა? ჯერ მრცხვენოდა  
ამის გახსენება, მერე ვბრაზობდი, რომ  
არ მაკითხავდით, ტელეფონით კი ვერა-  
ფერს გეტყოდით — ბაული მისმენდა.  
მერე პაატა გამოჩნდა.. დროზე გამოჩნ-  
და, თორემ ჭკუაზე შევიშლებოდი ამდენ-  
ნი თვალთვალისა და კონტროლისაგან  
ხეირიანად არც კი ვიცნობდი, მაგრამ  
მაშინ მომჩვენა, რომ სუფთა პაერი ჩა-  
ველაპე გაბოლილი კამერის მერე მე  
მართლა მინდოდა ცოლად ვაველოდი  
და ამაში არც ერთი გრამი სიფაღბე არ  
ერია.

— შეიძლება შეეცდი, მაგრამ მაშინ  
რომ მოვსულიყავი, ალბათ, უარესი იქ-  
ნებოდა. ხომ იცი მამაშენის ამბავი.

— ამაზე უარესი?

ნინცო ჭიქაში იხედება, სტუდქალა-  
ქელი გოგოები გადიან. გამყიდველები  
ხალათებს იხდიან და წამდაუნწმ ჩვენ-  
კენ იყურებიან. ეხლა გავგაგებენ. ნინ-  
ცო თავს სწევს, და მეუბნება:

— შენში არის რაღაც კეთილშობილე-

ბის მაგარი, როდესაც საჩხუბრად მიქერები ხოლმე, თუმცა იცი, რომ აუცილებლად მოგერევიან, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს მართლ ქუჩაში ხდება ხოლმე.

— რას იზამ, ეტყობა, არ მყოფნის კეთილშობილება, იგივე გავაკეთო ბროლით სავსე ინტერიერებში.

— მე სხვა რამის თქმა მინდოდა.

— მაინც?

— მე მგონი, არ შეიძლება, კაცის ტვინი მართლ საკუთარი თავით, საკუთარი ღირსების დაცვით და უფულობით იყოს დაკავებული.

— ერთი რამე ნამდვილად ვიცი — თუ ეხლა არ ავდგებით და არ წავალთ, მაშინ საკუთარი ღირსების დაცვა მოგვიწევს გააგებული დამლაგებლისაგან (რომელსაც სახლში ეჩქარება).

გასასველისაკენ მივდივართ. ნინცო კართან ტრიალდება და მეუბნება:

— მაპატიე, არ ვაპირებდი წუწუნს.

„ყაზბეგთან“ ხალხმრავლობაა. ძირითადად მეცხრე-მეათე კლასელები არიან.

— ესენი ჯერ დაბადებულები არ იყვნენ, ჩვენ რომ „შვიდეული“ ვნახეთ, წარმოგიდგენია? — მეუბნება ნინცო.

— მე ეგეთ რამეებზე არ ვფიქრობ. რა მნიშვნელობა აქვს დაბადებულები იყვნენ თუ არა? აზრზე არა ვარ, როდის გამოვიდა პირველად ეკრანებზე „შვიდეული“. არც მინდა ვიცოდე, დრო არ არსებობს.

— აბა, რა არსებობს?

— სიკვდილი... თუმცა, შეიძლება, არც ეგ არსებობს.

— ახალი ამბავი! სახარებაში პირდაპირ წერია...

— რა შუაშია სახარება?! ადამიანები თავის თავს კი არა, ერთმანეთს უკედლებიან, მორჩა და გათავდა.

— ეგ ჩასაწერი აფორიზმია, თუმცა, კარგად ვერ მიეხვდი რას ნიშნავს.

— ბატისტვინა ხარ და იმიტომ.

ხელკავს მიკეთებს და მივეყვარ ჩახევრად ცარიელი დარბაზისაკენ. მე ერთი კითხვა მაწუხებს: რატომ ვფილოსოფოსოვთ ამდენს მე და ნინცო. მეტი

საქმე და სათქმელი არაფერი გვაქვს? თუკი გვაქვს, მაშინ ვინ დააწესა ეს ეკრეთ წოდებული აკრძალული თემები ჩვენს საუბარში, ვინ გამოიშინა სიტყვები და ვინ აქცია ერთ დროს ნამდვილ გრძობათა გამომხატველი წინადადებები ფუჭ და უსაგნო სამკაულებად?

მოულოდნელად ქრება სინათლე და უკუნეთში ისახება მექსიკური სოფელი, რომელსაც გურგენ არშაკუნის ბანდა უახლოვდება... იქნებ მართლა მოგვედი და ჩემი სული უახლოვდება მყარალი მდინარის მეორე ნაპირს? იქნებ სულაც ეს დარბაზია მეორე ნაპირი, ხოლო ჩვენი ლაპარაკი — აქერონის უაზრო და გაუთავებელი ბუტბუტია მხოლოდ? ეს კიდევ უფრო თვალში საცემია, რადგანაც ხსოვნაში ცოცხლობს ის დრო, როცა სიტყვებს ჯერ კიდევ გააჩნდათ აზრი, ქალებს — სურნელი, ღვინოებს — გემო, ხოლო სხეულებს — მიზიდულობა; და უფრო მეტიც: მაშინ მე სავსებით შესაძლებელი მეგონა ჩვენი ერთობლივი ცხოვრება... ჩემი და ნინცოსი.

მახსოვს, ეს აზრი პირველად გამიჩნდა იმ მოღრუბლულ, ქარიან და უფულო დღეს, როდესაც მე და ნინცო მინებდაორთქლილ ჩაის სახლში ვუცდიდით ბაძასა და ბადურას. ჩვენს მაგიდასთან მოხუცებული ირაკლი თოიძე იჯდა, სვამდა ცხელ ჩაის და ესენინზე გვიყვებოდა. ჩვენს ირგვლივ კი რაღაც ხდებოდა... უჩვეულო ფუსფუსი მაგიდებთან, შემფოთებული სახეები, ფრაზების ნაგლეჯები:

„...გზები გადაკეტილია... ფონიჭალაშიც ისვრიან...“ „სისულელეა... რა შუაშია ფონიჭალა?.. გარედან ცხრილავენ თვითმფრინავს...“ ირაკლი თოიძე ძალიან შორსაა ამ ამბებისაგან, ის ახლა სასტუმრო „ენგლეტერს“ ხედავს და ყულფში გაყოფილ ლამაზ, ქერათმიან თავს.

— მიხვდა, რომ ჩიხში მოექცა და სხვა გამოსავალი აღარა ჰქონდა, ყმაწვილებო.

— ბატონო ირაკლი, თქვენ არაფერი გაგიგიათ?

— არა, ბატონო, რა უნდა გამეგო?  
— არაფერი...  
— აა, თვითმფრინავის გატაცება რომ უნდოდათ, არა?

— დიახ.  
— საშინელებაა... ამდენი ხალხი, სროლა... მხეცობაა!  
— ვინ არიან, ზომ არ იცით?  
— არა, მე დღეს დილით მითხრა მეზობელმა არც იმან იცოდა ხეირიანად. საშინელებაა, საშინელება.

პატარ-პატარა ყლუპებით ცლის ჭიქას და ბერეტს იხურავს.

— მიბრძანდებით?  
უეცრად იზრება ჩემკენ და ჩუმად მუხნება:

— მერედა, ვისი ბრაღია? ვისი?!  
გარეთ ხეები ირხევიან და ქარი ხმელ ფოთლებს აყრის „ჩაის სახლის“ დაორთქლილ მინებს. ირაკლი თოიძე დგება და ლაბადას იკრავს. უსიყვოდ ვემშვიდობებით ერთმანეთს.

მე და ნინცო მარტონი ვრჩებით. მე მინდა ისევე ჩემს მყუდრო და სასიამოვნო ფიქრს დავებრუნდე, მაგრამ ვგრძნობ, რომ ეხლა ეს შეუძლებელია. „მხეცობა, მხეცობა!“ თითქოს რაღაც მოულოდნელი და ტრამვაისავით მძიმე დაიძრა.

ჩემი ნერვები კი რელსებია, რელსები... რაღაც გამოუსწორებელი მოხდა. რა? მეზობელი მაგიდიდან კიკი გვიქნევს ხელს.

— გადავიდეთ? — მეკითხება ნინცო. მე აზრზე არა ვარ. ბაძა, ბადურა და „ჩორნა“ შემოდიან. პირდაპირ ჩვენკენ იღებენ გეზს. ამათაც დამაბული, არაბუნებრივი სახეები აქვთ. მაღალი, ქერათმიანი და ცისფერთვალეა „ჩორნა“ ჩვენზე ცოტა უფროსია, ყოველთვის კარგად უჭირავს თავი და ცხოვრებაში არავითარი ილუზიები არ გააჩნია. ცხადაა, ახალი ამბავი უკვე იციან. „ჩორნა“ გამტაცებლების ვინაობაც კი იცის.

— ტყუილი იქნება, მე მაგათ შორიდან ვიცი, ჩვეულებრივი ხალხია, — ამბობს ნინცო. „ჩორნა“ არ აქცევს ყურადღებას, განავრძობს მოყოლას.

ჩვენ არ ვაცდით, წამდაუნქმ ვეჭვინებთ:

კი მაგრამ, სად უნდოდათ წასვლა, ის რაელში? ფინეთში? ამერიკაში? სადა? აჰ, ამერიკაში! დიდ და მიამიტ ამერიკაში, რომელიც კეთილი ბოზივით მზად არის პირველივე შემხვედრს თავისა თბილი ლოგინი შესთავაზოს! მერე, რა უნდა ეკეთებინათ იქ, იმ უუნდერკინდა ბავშვივით გულისამაჩუყებელ ამერიკაში? რას გაიგებ! ბადურას ახსენდება, რომ კიკი მაგათთან შეგობრობს... — კიკი! კიკი!!!

კიკი მოდის ჩვენთან. როგორც ყოველთვის, თმა აწეწილი აქვს, მხრებზე კი შემოუხვევია ძველისძველი დაკონკილი შალი, რომელსაც ნინცომ „კაშპირულა კოშპარი“ დაარქვა, რა თქმა უნდა, კიკიმ არაფერი იცის, მიუხედავად იმისა, რომ გუშინ მთელი დღე იმათთან ყოფილა. რა უნდოდა იმათთან? — როგორ ქორწილი იყო! არაფერიც არ უშლება კიკის, ნამდელად ქორწილი ჰქონდათ და სხვათა შორის!.. — რა, „სხვათა შორის?“ — სხვათა შორის, არაფერს ასეთს არ აპირებდნენ! ალბათ, უბრალოდ, იმ თვითმფრინავში მოხვდნენ, რომლის გატაცებაც ვილაც ტერორისტებს უნდოდათ... ბრაუო, კიკი!

ვილაც ორი საშუალო ხნის კაცი ეძახის „ჩორნას“. ერთი დაბალია და წვერიანი, მეორე — ახმახია, ადრეგატალარავებული.

— წავედი, — ამბობს „ჩორნა“, — არ დამეკარგოთ, ალბათ, დამჭირდებით, ამ დღეებში.

ბაძა და ბადურა, თანხმობის ნიშნად, თავს უქნევენ.

— არა, მე მაინც არ მჯერა! — ამბობს კიკი. არავის ცდილობს გადაარწმუნოს. გადის საათი, ან უფრო მეტი. „ჩაის სახლში“ ვილაცები შემოდიან და გადიან, იშლება და თავიდან იკვრება კომპანიები მაგიდებთან. ახალ ამბებს ვიგებთ. ცნობები არასაიმედოა და ერთმანეთს გამომრიცხავი. ამის მიუხედავად, წინა დამის სისხლიანი პანორამა ახალაღილი შემზარავი დეტალებით ივსება.

ბაძას ეუყურებ — ოლიმპიური სიმშვიდის კაცია. ეგ არის მხოლოდ, გოტამას მშვიდი ღიმილი აღარ უმშვენებს სახეს...

უცბე საშინელი სიცხადით ვერძნობ, რომ ყველაფერი შეიცვალა და აღარასოდეს იქნება ისე, აქამდე რომ იყო. ყველაფერი ჯანდაბისკენ დაიძრა და სულ მალე ჯანდაბა შთანთქავს პაპენის, „კაფე მეტროს“, შუშხუნებს, ჩვენს ნაჯდაბნებს, ლესელიძის დაღმართს, ტანტე პილდას...

ნაშუადღევს ირკვევა, რომ დილის ექვსი სათისათვის სროლა შემწყყდარა. ხუთნი დაუბატომრებიანთ. ერთ-ერთი მძიმედ ყოფილა დაჭრილი. როცა აეროპორტის დერეფანში მიათრევენ ნახევრად გულწასულს, ვიღაც კოხტად ჩაცმული კაცი მივარდნია დედის გინებით. დაჭრილს სისხლი და კბილები მიუფურთხებია სახეში...

ვერძნობ, რომ „ჩაის სახლში“ ჯდომას აზრი აღარა აქვს.

— იარაღი, იარაღი... ყველაფერი ამის ბრალია, — რალაცას გაურკვეველად შეუბნება ბაძა.

— მომკალით და, მე მაინც ვერ დავიჯერებ, — მეთოდ იმეორებს კიკი და შეშინებული თვალებით მიყურებს. არ ვპასუხობ.

— ბადურ, შენ გჯერა?

— კიკი, მოკეტე! — ყვირის ბადურა.

კიკის ტირილი უვარდება.

— რატომ დაიღუპეს თავი, ამისხვანით, რატომ?!

ნინცო მხარზე ადებს ხელს და ცდილობს დააწყნაროს.

— ქორწილში ვიყავი.. რა ხდება, მითხარით?.. მეც ვაპირებდი გაყოლას, მაგრამ დედა ავად გახდა... მე არაფერი ვიცოდი.. ესე იგი, მეც...

— ნუ გეშინია, შენ არ დავიჭერენ!

კიკი ძალით იცდილებს ნინცოს ხელს და კივის:

— რა ხდება, მითხარით! შენ შეგიძლია მითხრა რა ხდება?! საგიჟეთია? ჰა? ჩვენ ყველანი გიყუბი ვართ?!

ცხელი ჩაი მაგიდაზე იღვრება.

— ბაძა, ეხლა რა იქნება? ყველა მთავარი კლავენ? მითხარი, ყველას მოკლავენ?

— ხვალ ნინცოს დაბადების დღეა, — აცხადებს ბაძა, ყველაფერი, რაც მერე მოხდა, იმ ქარიანი დღის გაგრძელება იყო...

ეკრანზე პატარა ამერიკული „ქალაქი“ მოჩანს. ტეხასში (რატომ „ტექსასში“ არა?) ჩამოსული მექსიკელი გლეხები პირდაპინილი შესტყერიან ამერიკელ ბიჭებს, სასაფლაოდან მობრუნებულ კატაფალკს ინდიელის ცხედრით და მდიდარ კომპოიოიორებს. უეცრად ყველაფერი წყვიდადში იძირება. დარბაზში წამით სიჩუმე ისადგურებს, მერე იწყება სტვენა.

— შუქი ჩაქრა, — ამბობს ნინცო.

— ეგრეც ვიცოდი?

— რა იცოდი?

— მე რომ რამეს მოეინდომებ, მაინც დამაინც მაშინ დაიქცევა ხოლმე ქვეყანა.

— საწყალი ბიჭი... — ამბობს ნინცო და თავზე ხელს მისვამს. მუხლებს წინა საკმის საზურგეს ვაბჯენ. თავს კი ნინცოს მხარზე ვაყრდნობ. ჩემს სახეს მისი გრძელი და აბრეშუპავით სასიამოვნო თმა ეხება. ირგვლივ წყვიდაია. აღარ უსტვენენ. ადამიანთა ხმები ძალიან ჩუმად, საღდაც, შორიდან ისმის. კარგია... ნეტა, რას ფიქრობ, ნინცო, როცა ზიხარ სიბნელეში, შენი გამხდარი მხარი კი უდრტვინველად იტანს ჩემი ცარიელი თავის სიმძიმეს. ოღონდ ეგ არის, შენს ყელზე განუწყვეტლად ფეთქავს ძარღვი. და ეს მუდმივი ფეთქვა ამხელს კარგად შენიღბულ, ფარულ მოლოდინს, ისევე როგორც ქსოვით დაღლილი გრძელი თითები. ეს უსასრულო წყვიდადის წამი, შემპარწუნებლად მშვენიერია, თუცა, უღმობელ სიმწარეს ტოვებს ჩემს დახეთქილ და გამხმარ ტუჩებზე. ჩვენს ირგვლივ მყოფი სიბნელის არც ერთი წვეთი მე არ მეკუთვნის... მე მხოლოდ გიჟური აზრებისა და ერთმანეთთან დაუკავშირებელი სიტყვების მფლობელი ვარ. რა გიყო, ნინცო? როგორ გაქციო სიტყვად?



მე რომ რამეს მოვინდომებ, მაინცდა, მაინც მაშინ იქცევა ქვეყანა. ყველაფერი, რაც ეხლა ხდება, იმ ქარიანი დღის გაგრძელებაა...

შენი დაბადების დღე ჩაიშალა, იმატომ რომ „ჩაის სახლში“ დაბადებული მახინჯი სიტუაციის გაგრძელება იყო. ეს ვიგრძენი მაშინვე, ყვავილებით ხელდამშვენებულებმა შენი კარის ზღურბლს რომ გადმოვაბიჯეთ და სავარძელში მოკალათებული პაატა დავინახეთ.

— არ ვიცოდი, თუ ასე დამეგობრდით.

— მოდის ზოლმე და ზის, არ იცის, რაზე შელაპარაკოს.

— მერე, ვერ გააგებებ?

— არაფერს აშავებს, — ნიშნის მოგებით მეუბნება ნინცო.

— ესე იგი, ვგრე უნდა იაროს?

— როდესმე მობუზრდება. წამოდი ეხლა, დავსხდეთ, თორემ თქვენს ცდაში ბაღურას პავლოვის ძაღლის რეფლექსები აღმოუცენდა.

სამზარეულოდან აწითლებული ბაული გამოგოგმანდა.

— სადა ხართ, დედიკო, ამდენ ხანს, გაცივდა ყველაფერი. ბაული ერთ დროს ალბათ, ლამაზ ქალად ითვლებოდა. უკეთესს რას ინატრებდა თენგიზი? საოცარია, მაგრამ ნინცო მათი შვილია! ეტყობა, ამ ხალხში რაღაც იყო მკვდარი და ეს „რაღაც“, ნინცოში გაცოცხლდა. იქნებ ამ „გაცოცხლების“ მიზეზი ანტიკური ნანგრევები და ხმელთაშუაზღვა არის? იქნებ მართლა აქვს ხმელთაშუაზღვეთს „თავისი განუმეორებელი მზიანი ტრაგიკულობა“, რომელიც არც ერთი ნისლიანი ქვეყნის ტრაგიკულობას არ ჰგავს. საღამოობით, როდესაც თვლემამორეულ სანაპიროზე წელა ეშვება ღამე, დადუმებული წყლების სიღრმიდან ზევით, კაბადონისაკენ უხილავეღრუბელივით მიიწვევს ყოფიერების შეპაძრწუნებელი სისავსე მშვენიერების სრულყოფილება და გულგრილობა არის მიზეზი ანტიკური სამყაროს ტრაგიკული მსოფლმეგრძნებისა, ბერძნულ სულში დაბადებული სასოწარკვეთა სათავეს

იღებს სულის შემძვრელი, დამთრგუნველი მშვენიერებიდან.

თითქოს არა ვართ ისე შორს იმ იდეალში. წყლებისგან, თითქოს ოდესღაც შავი ზღვაც ნაწილი იყო ხმელთაშუეთის. მაშ რაღა ხდება: რატომ ბადებს ჩვენი მწა თავის სასოწარკვეთას, სიმახინჯესა და კონფუსიებში? ეტყობა, მართლაც კატასტროფა მომხდარა. ჩვენ უსასრულოდ შორსა ვართ ტრაგიკული სულისაგან. იქნებ, როდესმე გვიწერია „ტიპასაში დაბრუნება?“ ვინ იცის, ნინცო?

უხეირო სუფრა გამოგვივიდა. მე კატაგორიული უარი ვთქვი თამაღობაზე, ბაღურა დიეტაზე იყო, კარტოზია ნახშირი გახლდათ. მუდამ მდუმარე ბაძა. სათვის არც კი შეგვითავაზებია. თამაღობა პაატამ ითავა. კარგად მახსოვს, სანამ მშობლების სადღეგრძელოს დაღვედა, იკითხა.

— ნინცო, მამა არ არის?

განა მამაშენი სად არისო, — „მამაო“, სწორედ ასე თქვა!

იმ ღამეს გამოიძახეს და დილაამდე აეროპორტში იყო. იქიდან პირდაპირ სამსახურში წაიდა, მოკლედ, ძალიან გადაიღალა ამ დღეებში. ეხლა წამოწოლილია და ისვენებს.

უკვე სუფრის ბოლოს, საღვაც თორმეტი საათისათვის, ჩვენ ვიხილეთ მოკლე, შავი ხალათით მოსილი ბატონი თენგიზი. პირქუში სახით მოგვესალმა, ღვინოზე უარი თქვა და სამზარეულოში გავიდა ჩაის დასალევად.

— კარგია „ხვანჭკარა“, მაგრამ ამით ქეფი არ შეიძლება, — გამოაცხადა კარტოზიამ.

— დღე და ღამე მალაზიის მოწამლულ ღვინოს სვამ, შე კაცო, — გამოეპასუხა ბაღურა. ნაძალადევაღ გავიცინეთ. მალე მხიარულების ეს უღლეური ნაპერწკალიც ჩაქრა და ყველა გაჟრნდა პატას მორიგი, მოსაწყენი სადღეგრძელოს მოლოდინში. საათმა თორმეტჯერ ჩამოჰკრა. და უეცრად ბაძამ მოითხოვა სიტყვა. ეს იმის ნიშანი იყო, რომ ღვინო მოეკიდა. სიფხიზლეში, როგორც

წესი, ძალიან ცოტას ლაპარაკობდა. მისი აზროვნება და მეტყველება სიმწყობრეს იძენდა მხოლოდ ორ შემთხვევაში: საწერ მაგიდასთან და სუფრასთან (ორი ბოთლის შემდეგ). ბაღურას ანგულოტების მთელი ციკლი ჰქონდა ბაძას მაღალფარდოვან სადღეგრძელოებთან დაკავშირებით. ჩვენ გულიანად ვიცინოდით მისი ზეაწეული ტონის გამო, თუმცა, გულის სიღრმეში ვგრძნობდით, რომ ბაძა არასოდეს ტყუოდა. მის, ბუნებაში სრულიად მოულოდნელად იყო შერწყმული ბათოსი და მორიდება. იმ საღამოს ბაძამ ასე თქვა:

— მე მინდა ნინცოს ბოდიში მოუხადო, იმის გამო, რომ მზიარული ქეიფი არ გამოგვივიდა. მაგრამ, მე მგონი, ყველა ჩვენთაგანი გრძნობს ამ „უქეიფობის“ ნამდვილ მიზეზს. თქვენი არ ვიცა, მე კი ყოველი ჭკპის დაღვევისას მახსენდებოდა ის ხალხი, ვინც ახლა სასიკვდილო განაჩენს ელოდება.

ჩვენ მათ ახლოს თუ არა, შორიდან მაინც ვიცნობთ და ვიცით, რომ კაცია, მკვლელები არ არიან. ღმერთმა მათ სიზნისი და განსჯის უნარი მისცა. მით უფრო მძიმეა ცოდვა, რომელიც თვითონ იტვირთეს. ეხლა ისინი თვალებში უყურებენ სიკვდილს და სიკვდილთან ერთად, იმ ადამიანებსაც, რომლებიც შეეწირნენ მათ ბავშვურ „ომობანას“. ღმერთი იყოს მათი მსაჯული, რადგან ამქვეყნად არ მეგულება მოსამართლე, რომელსაც შეეძლოს სწორი მსჯავრის დადება. ან კი, როგორ შეიძლება ასე, როდესაც ბრალდებულები, ისევე, როგორც მათი მშობლები, თავად არიან მსხვერპლნი ჩვენში დაკანონებული კაცთმოძულეობისა და ტერორისა. ამას უკვე აქვს თავისი მრავალწლიანი ტრადიციები და რაღა გასაკვირია, ასეთ ტრადიციებზე აღზრდილმა ადამიანმა იარაღს მოჰკიდოს ხელი? ასე მოხდება ყოველთვის იმ საზოგადოებაში, თავის შეილებს ათი მცნების ნაცვლად, „დაუნდობელ ბრძოლას“ რომ ასწავლის და თანაგრძნობის ნაცვლად, „შეურიგებლობას“ მოითხოვს მათგან. მაშ რა უფლება

აქვს ასეთ საზოგადოებას, მსჯავრი დაალოს მათ, სანამ საკუთარ თავს არ გამოუტანს სასიკვდილო განაჩენს?..

ბაძას კიდევ რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ მოულოდნელად გაისმა:

— მოითმინეთ, მოითმინეთ! თქვენ გესმით, რას ლაპარაკობთ?! — ჩვენს წინ სამზარეულოდან გამოსული თენგიზი იდგა. შუბლშეჭმუხნილი გვათვალიერებდა. თბილ ხალათზე შავი ატლასის საყელო უბრწყინავდა.

— შენ გესმის, რას ლაპარაკობ, ბიჭო?

— ეტყობა, რაღაც ისე ვერ გაიგეთ... — აერია მეტყველება ბაძას.

— ყველაფერი ძალიან კარგად გავიგე. როგორ, ესე იგი, თქვენ გინდათ თქვათ, რომ ეგ ბანდიტები არაფერში არიან დამნაშავე? არაჩვეულებრივი, გადასარევი ხალხია! ყველაფერი ჩვენი ბრალია, ეგენი კი გმირები არიან? საცოდავები! ეს რა მოუვიდათ!

— მაგას ვინ ამბობს, ბატონო!.. — თქვა კარტოზიამ.

— არა, თქვენ სწორედ ეგა თქვიო! — თენგიზი სულ უფრო და უფრო ცხარდებოდა, მომეჩვენა, რომ ძალად იგივებდა თავს.

— თქვენ სწორედ ეგა თქვიო! მაშასადამე, ყველას, ვისაც მოუპრიანება. შეუძლია აილოს თოფი, ხოცოს ხალხი, ძარცვოს სახლები, აუპატიუროს ქალები, თავზე დაიმხოს ქვეყანა და საწყალო, თვითონ იქნება მსხვერპლი, ჩვენ ყველანი კი, მის წინაშე დამნაშავეებად ვითვლებით! მაგარი ფილოსოფიაა! შევიცი ეგ საიდანაც მოდის — ოჯახებიდან! კარგად ვიცნობ მათ კატეგორიას. კრიტიკის მეტი არაფერი შეუძლიათ. უმაღური ღორები არიან და შვილებსაც ღორებად ზრდიან!

— მაშ! — იყვირა ნინცომ.

კარტოზიას გავხედე — ფერი არ ედო. ბადურა პირიქით, სულ აწითლებული იჯდა. პაატას შემინებული სახე ჰქონდა. მხოლოდ ბაძა იყო გარეგნულად მშვიდი და ტუნებზე ოდნავ შესამჩნევი, მშვიდი ღმილი დასთამაშებდა.

— შენ, ხმა ჩაიგდე! — დაუღრიალა თენგიზამ ნინცოს. — შენთან ცალკე შექნება ლაპარაკი. მე თქვენ გეკითხებით, რას უჭერთ მხარს და რას აგინებთ? ქვეყანას, რომელიც გაცემეთ, გაჭმევთ და განათლებას გაძლევთ?! სხვათა შორის, ძალიან რომ მოგწონთ თავი, აქაოდა, ბევრი წიგნი გვაქვს წაკითხული, მაგ წიგნებსაც ეს ქვეყანა გაკითხებთ.

— წიგნებს სხვა ქვეყნებშიც კითხულობენ... — ჩაურთო კარტოზიამ.

— შე ლაწირაკო! ჯერ არც ერთი ზე არ დაგირგავს ცხოვრებაში, აგური აგურზე არ დაგიდევს და ხუთმეტრიანი ენა გაქვს გადმოგდებული! აბა, შენი შვილი მჯდარიყო იმ თვითმფრინავში — საკუთარი ხელით დაახრჩობდი იმ დამპლებს; კბილებით გადაუღრღინდი კისერს! ვერ აუტანიათ აქ ცხოვრება! დედი მაგითისამ, მე თუ ამდენი ხანია აქ ვცხოვრობ, ვწვალბ, დღე და დამე გასწორებული მაქვს, ამიტომ კაცი აღარ ვყოფილვარ!

— ძია თენგიზ, ბიჭებს ეგ არ უთქვამთ, — მოულოდნელად თქვა პაატამ.

— არ უთქვამთ, მაგრამ იგულისხმეს! მე თქვენ კაცები მეგონეთ, თქვენ კი ვინ ყოფილხართ? არა, არ მესმის, როგორ შეიძლება თანაუგრძნობდე განგსტერს და კაცის მკვლელს? რა დროს თანაგრძნობაა?

— აბა, რა უნდა ვქნათ? — იკითხა ბადურამ.

— „რა უნდა ვქნათ“, — გაიმეორა თენგიზმა. — ეგ გარეწრები და ერის მოლაღატეები კედელთან უნდა მიაყენო და ცოფიანი ძაღლებივით მიახვრიტო! გაიგე, რა უნდა ქნა?! არა, კი არ უნდა დახვრიტო — ნელი სიკვდილით უნდა მოკლა; უნდა იგრძნოს, როგორ შესდის მუცელში გახურებული შამფური, როცა მერე სხვამ აღარ გაბედოს!

— მამა! — იკვილა ნინცომ.

იმავე წამს დავინახე, როგორ დასწვდა კარტოზია ჭიქას და როგორ გაიძლახნა თენგიზის სახეზე სისხლივით წითელი ღვინო. ყველა გაშეშდა. ყველაფერი ეს პროვინციული თეატრის სპე-

ქტაკლს ჰგავდა, გაუთავებელი, „შრავ-ლისმეტყველი“ პაუზებით.

— გაეთრიეთ აქედან!..

უხმოდ ადევით და გავემართეთ გასასვლელისაკენ. ნინცო მაგიდასთან იჯდა და ტიროდა. სულელი!

გარეთ დიდხანს ვიდექით პურის მაღაზიასთან და ვყვანებდით. მერმე ბადურამ გადაწყვიტა დაერღვია თავისი დიეტა და თავისთან წაგვიყვანა „ცოლიკაურის“ დასალევეად. უკვე კარგა მაგრადა ვიყავით, როცა პაატა გავკახსენდა. არავის ახსოვდა, რა დროს გაუჩინარდა. საერთოდ, ჩვენთან ერთად გამოვიდა თუ არა, არც ეგ ვიცოდით. დარწმუნებული ვარ — არ გამოსულა. როგორ გაუშვებდა ხელიდან ასეთ შემთხვევას! დმერთმა გენიალური საშუალება მისცა თავისი რაინდობისა და ერთგულების დასამტკიცებლად, რამდენჯერ უფიქრია და უოცნებია ამაზე. წარმომიდგენია, რამდენ ხანს იდგა ზოლზე სარკის წინ, პედანტური გულმოდგინებით ისწორებდა თმის ყოველ ღერს და ტვინში ალაგებდა სათქმელს: „ნინცო, შეიძლება სანტიმენტალურად მოგეჩვენოს, მაგრამ პირველი ნახვიდანვე...“ არა, არ ვარგა... „რისი თქმაც მინდა, ნინცო, შენ ეგ მშვენივრად იცი: მე არ დაგაჩქარებ, იფიქრე და გადაწყვიტე“. ეს უფრო დამაჯერებელია, ასე ლაპარაკობენ ამერიკულ კინოებში. ჯანდაბას მაგისი თავი...

მახსოვს მეორე დღეც. ნაცემი ძაღლივით აბუზული გამოვეხეტე ქუჩაში. დილის ათი საათი თუ იქნება. საშინლად უბერავს. ქარია ვეღვან — ქუჩაში, ჯიბეში, სულში. გადასასვლელთან ვდგავარ და არ ვიცი, საით წავიდე. უეცრად — ელაც მიქნევს ხელს ქუჩის მეორე მხრიდან. დამთხვეული ოთხმეზურია. რად მინდა ეხლა მე ოთხმეზურია? მაგრამ, სხვა რა გზაა — გადავდივარ. გახარებული ოთხმეზურია ქურთუკს იხსნის და უბეში ჩალაგებულ ბოთლებს მაჩვენებს. „ღვინოა?“ „ხო, ღვინოა, ორი ბოთლი“. „რა დაღვეს ამ ნასმურზე ღვინოს!“ „აბა, დილით არავს არ ყიდიან ეგ ბოზები!“ „კი მაგრამ, ბაღში

დავლიოთ?" „არა, შეჩემა, „ჩორნასთან“ ავიდეთ, აქვე ცხოვრობს“ „ემინება“ „არა, ეხლა ბადურა შემხვდა, მაგასთან მიდიოდა“ „ბადურა? რა უნდა ბადურას „ჩორნასთან“ ამ დილაადრიან?“ „რა ვიცი, მგონი რაღაც წერილს წერენ მთავრობას თვითმფრინავის გამო. ჩვენ რა გვენაღვლება, მაგათი ჭკუაც ვატირე, წერონ რაც უნდათ, მე და შენ სამზარეულოში დავხსდეთ და დავლიოთ...“

მივეყვები ოთხმეზურს და ვფიქრობ, რატომ არ მითხრა ბადურამ წერილის შესახებ? ალბათ, „ჩორნა“ არასაიმედო ტიპად მთვლის, ან, უბრალოდ, არ ვევახსები. უცნაური კაცია, ეგ „ჩორნა“, იქნებ არ ღირდეს მისვლა?

სადარბაზოში ვიღაც შავგვრემანი ტიპი დგას. ძალიან მოკლედ შეჭრილი თმა აქვს და ტვიდის პალტო აცვია.

— ბიჭებო, სად მიდიხართ?

— მეგობართან.

— საბუთი გაქვთ?

— შენ თვითონ თუ გაქვს საბუთი? — ეუბნება ოთხმეზური. შავგვრემანი კაცი უბის ჯიბიდან იღებს რაღაც წიგნაკს და გვაჩვენებს.

— კაპიტანი კაკაურიძე. აბა ეხლა ერთი შენი საბუთიც მაჩვენე.

— აი, ჩემი საბუთი! — ამბობს ოთხმეზური და თავზე ამსხვრევს „ნაფარეულს“ ბოთლს.

— შენ ხომ არ გააფრინე!

— აბა, რა უნდოდა მაგ ნაბიჭვარს?

ფრთხილად უუახლოვდები ძირს გამხლართულ კაკაურიძეს და მაჯაზე კვიდებ ხელს. სახე მთლიანად გასისხლიანებული აქვს.

— ცოცხალია?

— მგონი კი.

— აბა, დავითესო!

სამი ნაბიჯის გადადგმასაც ვერ ვასწრებთ, რომ გვქაჩავენ. ოთხმეზური ყვირის და იგინება. ეგრე საშინლად არასდროს არავის ვუცემივარ. გვცემს სამჯერ: ჯერ მანქანაში, მერე მილიციის ეზოში, ბოლოს მორიგის ოთახში. ჩვენ კიდევ რა გვიჭირს, — ბადურას და „ჩორნას“ ტერორისტული ჯგუფის ორგანი-

ზებას ტენიდნენ. არ ვიცი, რა გვემეზობოდა, ოთხმეზურის მამა მოსამართლე რომ არ ყოფილიყო. დედაჩემს სამი ათასი დაუჯდა კაკაურიძის გატეხილ თავი...

დარბაზში შუქი იხთება, ისევ ქრება და ეკრანზე კვლავ ტეხასია მთვრალი კომპიოაჟორი გაოგნებული ეუბნება ვილაცას:

— „განა საკმარისი არ არის იყო გვაში, იმისათვის, რომ სასაფლაოზე წავიღონ?“

ეს დასავლეთია, ნინცო, ველური დასავლეთი. მაგრამ ამ ველურ დასავლეთში არსებობენ ბიჭები, რომლებიც მიწას მიაბარებენ ვილაცისათვის არასასურველი კაცების გვამს. ჩვენს ჯუნგლებში კი მხოლოდ მხდალი ცხოველები ბინადრობენ და ჩვენი მიწა სავსეა ძვლებით, ამაოდ რომ ელიან სასაფლაოები და საოჯახო სამარხები. კამერის ცივ კედელს მიყრდნობილი, ცემისაგან გაბრუებული მთელი სიცხადით ვხედავდი ტყვიით დაცხრილულ თვითმფრინავის ჩონჩხს და ასე ვფიქრობდი: „გაუა წლები და მე ამის შესახებ დავწერ წიგნს, რომელსაც ლოპე დე ვეგას სიტყვებით დავიწყებ, სახელად კი „სისხლიან ქორწილს“ დავარქმევ. ეს იქნება წიგნი, სავსე ტკივილით, ხმაურითა და მწარე მონანიებით ჩვენი უღმერთოდ ჩავლილი, ჭეშმარიტ მცნებებს მოკვეთილი ცხოვრების გამო; იგი იქნება სავსე ყვირილითა და უცერზურო გამოთქმებით, რომელთაც ვერავითარი ცენზორი და რედაქტორი ვერ ამოშლის. ხოლო იმისთვის, რომ ვინმემ არ მითხრას: „რა დაგემართათ? ეს რა სტილია? თქვენ პოზიირობთ და უხამსობით იწონებთ თავს“. მე წინ დაუერთავ ასეთ შესავალს: „ძვირფასო მკითხველო! შენ შეიძლება შეურაცხყოფილი დარჩე ამ წიგნის პირველივე წინადადებით, მაგრამ მე სხვანაირად არ შემიძლო, რომ იცოდე, როგორ მომბეზრდა ინტელექტუალური ფარსის თამაში იდიოტური სიფათების წინ! როგორ მომბეზრდა ეს უსასრულო რევერანსები და უთიკეტი, რომელიც მხოლოდ სიმართლის დასა-

მალავადაა მოგონილი. მე აღარ ვეძებ ნატიფ ფრაზებს ჭუჭყიანი შინაარსის გადმოსაცემად, რადგან წერა — ჩემთვის ჩვეულებრივი ცხოვრებაა, ცხოვრებაში კი ფეხსადგილს, ფეხსადგილის სუნი უდის და არა „მაყენუარისა“. ღმერთმა შემინდოს თუ სულმოკლეობის გამო, აქამდე ამას ვერ ვახერხებდი. შენ კი, ძვირფასო, თუ გაბრაზდები, შეგიძლია ჩემი წიგნი სანაგვეზე გადააგდო, ანდა წაიღო გამოსაყენებლად იქ, სადაც მეფენი თავისი ფეხით დადიოდნენ. მე ეს არ მეწყინება. გოცნი, მიყვარხარ. ავტორი“.

უეცრად ფილმის დემონსტრაცია წყდება, დარბაზში ისევ ინთება შუქი. შემოსასვლელში ვიღაცები დგანან. ერთს მილიციის ფორმა აცვია. მის გვერდით ადმინისტრატორია და კიდევ ვიღაც უცნობი ქალი. ქალი სამოცი წლის იქნება. ტუჩები მკაცრად მოუკუშავს, კაუჭა ცხვირი ამაყად აუბუეკია ჭერისაკენ. თვალებში სიგიჟე უელავს. გურული უნდა იყოს. მილიციელი რალაცა ეუბნება. ქალი გამოცდილი ჟანდარმით იწყებს რიგების ჩამოვლას და მაყურებლებს თავისი გადარეული მზერის რენტგენში ატარებს.

— მაპატიეთ, ამხანაგებო, მაპატიეთ; მარა, ბებია ვარ და ბავშვი დაეკარგე... უნდა გამიგოთ თქვენი, ჭირიმე.

— ესეთი რამე გაგიგია? — ამბობს ნინცო.

— მოიცა, ჯერ სადა ხარ!

ქალი ჩვენს წინა რიგს მიუახლოვდა, მეძებარი ძალღვივით დახარა თავი, ავის მომასწავებლად დააკვესა თვალები და იყვირა:

— ხვიჩა! ხვიჩა, გამოდი აქეთ!

მერე მილიციელს მიუბრუნდა და უთხრა:

— ა, რას გეუბნებოდით, აგერ არა ორივე!

მილიციელი ქალისაკენ გამოემართა.

— ხვიჩა! ბებია, გოუშვი ხელი მაგ კაცს და გამოდი აქეთ! მაგი მტერია შენა, მტერია!

ეხლალა დავინახეთ სულ კიდევ, კიდევ დღეთან მოყუყული ჭალარათმიანი დაღეული მამაკაცი, რომელიც შეშინებული თაგვივით ატრიალებდა თავს და ცამეტი-თოთხმეტი წლის ბიჭი. ჩვენ მათ სახეებს ვერ ვხედავდით, მაგრამ აშკარად ვგრძნობდით საშინელ უხერხულობას, რომელსაც ისინი განიცდიდნენ.

— გამოდი, გარეთ, გამოდი! — დაიგრავინა მილიციელმა.

— მე მამა ვარ, ბოლოს და ბოლოს, შვილი კინოში წამოვიყვანე, რა მოხდა ისეთი, — დაიწრიბინა კაცმა.

— მამა კი არა, შავი ქვა ხარ! შენ ალკოჰოლისტო და გარყვნილო, შენ! გოუშვი ხელი მაგ ბოვშს, თორემ უბნის რწმუნებული აგერაა, ამოგალობ ციხეში, იცოდე! ხვიჩა, გამოდი, აქეთ!

მამა-შვილი ფეხზე წამოდგა. ხვიჩა მამაზე ორი თავით მაღალი იყო და ტანსაცმელსაც, ალბათ, ორი ზომით დიდს ხმარობდა.

— გათახსირებულო, შენ! — არ ცხრებოდა ქალი, — მამობა შეინდომა! გვიხარდა ბაღანე, და აწი შეინდომე, ხომ?! — უბნის რწმუნებულმა შეშინებულ კაცს სტაცა ხელი, ქალმა — ტირილამდე მოსულ ხვიჩას და პროცესია გასასვლელისაკენ დაიძრა. დაბნეულმა ადმინისტრატორმა ფართოდ გამოაღო კარი.

— მაპატიეთ, თქვენი ჭირიმე, ბებია ვარ, უნდა გამიგოთ! — იმეორებდა ქალი, სანამ დარბაზში შუქი არ ჩაქრა და ეკრანზე მექსიკური სოფელი არ გამოჩნდა.

— რა ხდება? — ამბობს ნინცო.

— არაფერი განსაკუთრებული: ერს ისეთი აშშყო აქვს, როგორსაც თვითონ იმსახურებს!

ეკრანზე საშინელი ხოცვა-ჟლეტაა.

— აღარ შემიძლია, ყველაფერი ყელში ამოვიდა! — მოულოდნელად აცხადებს ნინცო. ფილმს აღარ ვუყურებ. ნინცოს ხელები აქვს აფარებული სახეზე. ტირის? იმედი მაქვს, რომ არა. ხელებს ძალით ვაშვებანებ დაბლა. თვალის კუთხეებში ცრემლი უბრწყინავს,

წვეილი პატარა ცრემლი, სხვა არაფერია.

- რა მოგივიდა?
- არაფერი.
- მაინც?
- წამო, წავიდეთ.
- წამო.

ვღებოთ. რეიგანის ტყვიით განგმორული ბრიტი ვერ ასწრებს დანის სრულას. დარბაზიდან გავდივართ. ცარიელ მოსაცდელში ყვაილებით მორთული ფაზბეგის თეთრი, ბიუსტი გვხვდება. კვდლის გასწვრივ ჩარიგებული სკამები ცარიელია. ისეთი შთაბეჭდილებაა, თითქოს პანაშვიდით დაღლილი ჭირისუფალი სამზარეულოში გასულიყოს. „დიდი ქართველი მწერლის სახელოვანი იუბილე“, გვატყობინებს ტრანსპარანტი. ნინცო ვერაფერს ამას ვერ ამჩნევს, ჯდება სკამზე.

- გააფრინე, ნინცო?
- არ ვიცი, რაღაც მეტაკა... მითხარი, ვინ მოაწყო ასე საშინლად ეს ცხოვრება? ამ ქალაქში მთელი დღე რომ იარო, ცოცხალ ადამიანს ვერ ნახავ. თბილისი უდაბნოა, საშინელი, ცარიელი უდაბნო! ვისი ბრალია? ვინ არის ამ სამყაროს ავტორი?
- თუ ერთ ჭკვიან კაცს დაუჯერებთ, ამ ქმნილებას შემოქმედი არა ჰყავს.
- ჩვენ? ჩვენ ვილა ვართ? აი, მე შეილი გავაჩინე. დიდი დამსახურებაა! მაგრამ ის შეილი გაიზრდება და მეტყვის: რამე თუ გააკეთე იმისათვის, რომ მე ნორმალურად ვცხოვრობდეთ? რას ვუკასუხებ? რა გავაკეთე? ყველაფერი აინძურია, სისხლით მოსვრილი და მოსაწყენი. რისთვის ვაჩენდი ანკას? მითხარი, აქვს ამას ყველაფერს რაიმე აზრი?

- მე ჩუმადა ვარ.
- რატომ?
- ჩემო კარგო, კალიგულას იმედის მოსპობა რომ არ მოენდომებინა, ყოველგვარ მხეცობას აპატიებდნენ. სწორედ ეს ვერ აპატიეს. და ხმლებით აჩეხეს, მე არ მინდა მისი ბედი გავიზიარო. მაგრამ მეჩვენება რომ..

ნინცო აშკარა ინტერესით ამომცქერის.

- რა გეჩვენება?
- მე მგონი, მთელ შენს ფილოსოფიურ-პოლიტიკურ ისტერიკას სულ სხვა მიზეზები აქვს... პირადული... და ძალიან კარგი, თუ ასეა! აბა, რა საკადრისია სიბრძნის სიყვარული, როცა ასეთი ლამაზი თმა გაქვს. შენნაირ მშვენიერ ქალბატონებს სხვა რამის სიყვარული მართებო.

ვამჩნევ, რომ ელიმება. კიდევ კარგი ელიმება, მაგრამ მოწყენილია, ძალიან მოწყენილი. რა გჭირს, ნინცო? სიცარიელე? მართო ანკათი გამთხარი დღეები? ტყუილია, შენ არა ხარ იმ თიხიდან გამოძერწილი, რომ გაიზარდო, ფლობდე თავს და აღარაფრის იმედი არა გქონდეს! ეგ დროებითია, გაივლის სურდოსავით. აი, უკვე გაიარა, თვალზე გატყობ.

დარბაზის კარი იღება. სიმპათიური ლაწირაკები გამოდიან. ლაწირაკებს კეძახი, თუმცა ვიცი, რომ ათასჯერ მჯობიან, ათიათასჯერ. მაგათ თობაში ბიჭები თავის დროზე კაცდებიან, ისე, როგორც ადრე იყო, უფრო ნორმალურ დროში. მათში მკვდარია შიშის გენი. მერე რა, რომ დანები აქვთ? უმრავლესობას არა აქვს დანა, მაგრამ აღარც შიში აქვს. მათი თვალები შეეჩვია მოლაპლაპე ფოლადის მშვიდად ყურებას. ხვალ ეს თვალები ასევე მშვიდად შეხედავენ ავტომატების ლულაზე ჩამოცმულ ხიშტებს და მათი გამაყრუებელი ხარხარი განაიარაღებს ჩათლახების ლეგიონებს. მე მეთერთმეტე მცენებას ყველაზე მსხვილი შრიფტით დავებეჭდავდი და მივაკრავდი ცხვირზე კაცობრიობას.

- „ა რ ბ ე შ ი ნ ც ო დ მ ს !!!“
- მორჩა კინო! - ამბობს ნინცო, ღება და ხელკავს მიყრის. გარეთ ისე ცივა, რომ ხალხი ერთ წამში იშლება. ქარს ღრუბლები გადაურეკავს და ჩაშავებულ ცარგვალზე, უძირო წყვდიადის სიღრმეში ცივად ელავს ყინულის ნამსხვერვები.

მანქანაში სიმყუდროვეა, ფორთოხ-

ლის სუნი და „რადებერგერის“ ცარიელი ბოთლი.

— სითბო, ფორთოხალი და ლუდი, ეს სრულიად საკმარისია ბედნიერებისათვის, არა? — ვეკითხები.

ნინცო ძრავს მანქანას და ბარნოვის ქუჩით მიაქანებს.

— რა მეტაკა, ჰა? სულ გავდებილდი.

— ეგ იმიტომ, რომ გაკლია სითბო, ფორთოხალი და ლუდი.

მეტყბრე საავადმყოფოსთანა ვართ, რეილია. ძალღებს, იმდენი მანქანა გაუჩნებიათ, რომ ჩვენი თავი არა აქვთ. გვიშვებენ. ჩაბნელებულ საავადმყოფოში სძინავთ ავადმყოფებს. ზოგს რა დაამინებს.

— მე ლუდი არ მიყვარს, — ამბობს ნინცო, — მაგრამ ვიცი, რომ ცხოვრება მშვენიერია, ღმერთი სამართლიანია და სამყაროს აქვს რაღაც ჩვენთვის დაფარული აზრი და დანიშნულება. ეგ არის, ხანდახან მეჩვენება, რომ ჩემს გარდა, არავინ იცის ამის შესახებ.

— და მაშინ, შენს მზით გაკაშკაშებულ სულს ეჭვის ღრუბელი ადგება ხოლმე. უდარებელ ჩემო!

— არა, ეჭვში არ არის საქმე... უბრალოდ, ზოგჯერ მჭირდება ხოლმე ადამიანი, ვინც დამეთანხმება ამაში.

— ადამიანები არასოდეს იცვლიან თავიანთ შეხედულებებს, და თუკი ეთანხმებიან ერთმანეთს, ეს ხდება ან მერკანტილური მოსახრებებით, ან ბრმა სიყვარულის გამო, დედოფალო!

— და, შენ? შენც ასე ხარ?

— მე ყოველთვის ყველაფრის წინააღმდეგი ვარ, რადგან მძულს მერკანტილური ანგარიშები, სულზე უტკბესო.

— და... სიყვარული?

— უმჯობეს არიან ძუძუნე შენნი უფრორე ღვინისა.

— შორჩი მაიმუნობას, მიპასუხე!

მშვენიერ ხარ, ვითარცა საყოფელნი კედარისანი და კარავი სოლომონისი.

— მე მართლა გეკითხები...

— გიყვარდეს ვინმე — ნიშნავს, თანახმა იყო მასთან ერთად დაბერდე. „ბებერ დრუზილას კი, უსულმნათესო, ასჯერ

სჯობია მკვლარი დრუზილა“, მე ჯერ ვიტან ნაოჭებს და გამხმარ ხელებს, რადგან თვალნი შენნი არიან ტბანი ესებონისანი, ბაგენი შენნი, ვითარცა საბელი, ძოწეული, ხოლო მუცელი შენი ხვაი იფქლისა, მოკრძალებული შროშანითა.

— იცნე, იცნე, რა გენაღვლება!

ზამთრის საცურაო აუზთან ვართ. ყოველთვის, როცა ამ შენობას ვუყურებ, ჰამა მინდება ხოლმე, რადგან ზამთრის აუზი ცივად მოხარშული თარისის ნაჭერს ჰგავს. შინაარსი არა აქვს ვარეგნობასავით მომხიბლავი. თუმცა, უნდა ვთქვა, რომ შენობების შინაარსს მხოლოდ ადამიანები განსაზღვრავენ და რა აუზის ბრალია, თუკი მოქალაქეებს ერთმანეთის შარდში ცურვა ჯერაც არ მოჰბეზრებიათ. ჯანდაბას მაგათი თავი!

— ნინცო, სად მივდივართ?

— რა ვიცი.

— შესანიშნავი მიმართულება გაქვს არჩეული.

— თუ არის შენში ერთი გრამი სიყვარული?

— ვის მიმართ?

— საერთოდ...

— „მე თუ ეს ვიცოდე, მაშინ ღმერთებმა მომივლინონ უფრო სასტიკი აღსასრული, ვიდრე ის, რომლითაც უკვე ამდენი ხანია, ყოველდღე ვკვდები...“ სხვათა შორის, ეს მარტო სიყვარულს არ ეხება.

ნინცო მოულოდნელად მკვეთრად აბრუნებს საჭეს, კვეთს ორმაგ ხაზს და კუს ტბის ასასვლელთან აჩერებს მანქანას.

— შენ ნიჰილისტი ხარ?

— ნინცო, ხომ იცი, რომ მე ეგოისტი ვარ... და კიდევ, არტისტი ვარ, თუმცა, ეგ ერთი და იგივეა.

— ესე იგი, ქვეყნად არ არის და არც ყოფილა ადამიანი, ვისთან ერთად თანახმა ხარ დაბერდე?

— არა...

— ესე იგი, შენში არასდროს ყოფილა სიყვარული.

— რა დებილობაა! შენ გგონია, ეგ ამას ნიშნავს?

— რა ვიცი, ხუთი წუთის წინ ასე არ ძეგუნებოდი.

— ეტყობა, მე სიყვარულს სულ სხვა რამეს ვეძახი.

— რას?

— „თუ მე ეგ ვიცოდე, მაშინ ღმერთებმა...“

— ნუ ზმარობ ფარად სხვის სიტყვებს!

— ვითომ რატომ? სიტყვები და ავტორიტეტები სწორედ ამისთვის არსებობენ. „სიკვდილი, რომლითაც ყოველდღე ვკვდები“, შესანიშნავადაა ნათქვამი!

— საშინელი სიტყვებია...

— სამაგიეროდ, კარგად გამოხატავს ჩემ სათქმელს.

— ეგ არ არის შენი სათქმელი! შენ ტიბერიუსი არა ხარ.

— აბა, ვინა ვარ?

— ერთი გამძლარი თბილისელი სნობი.

— არც შენა ხარ წმინდანი, მაგრამ წამდაღწეულ იმეორებ სახარების აფორიზმებს. ხომ ასეა?

— ასეა.

— აბა, რა გინდა ჩემგან?

— შეგან? — ნინცო ტრიალდება და ძალიან საქმიანი ცილოთი მეუბნება: — შეგიძლია მაკოცო?

ვიხრები და კკოცნი კისერზე. ყურის მახლობლად. მის კანს ველური ნუშის სუნი აქვს. ტუჩებით ვგრძნობ, როგორ უფეთქავს ზომავზე ცოტა მეტად დაჭიმული კისრის ძარღვი. თავი ოდნავ უკან გადაუგდია და დახუჭული თვალებით ხედავს ჩაბნელებული ცის მეორე მხარეს, სადაც დიდი მტრედები დაფარფატებენ და ასკინტლებენ მოწყვნილ ქალაქს, ნაწვიმარ ტყეებს, უნადო ყანებს... და მათი სკინტილი — ზეთისხილია.

სივარტის ვუკიდებ. ნინცო ახელს თვალებს და მეკითხება:

— წავიდეთ, არა?

— მე მგონი.

ეს ერთი დღეც მოკვდა. მე ის მივახრჩე უჩუზრად, პროფესიონალი მკვლელის აუღელვებლობით. ეს იყო ნამდვილად ეროვნული, ჭეშმარიტად ქართული მკვლელობა, „მაგიური თეატრებისა“ და

მოცარტის ვარეშე. ჰარი ჰალდერის ქვეყანასთან მართო „რადებერგერის“ ცარიელი ბოთლი მაკავშირებს. ხვალინდელ დღეს კი, ჩემს მაგივრად, „თბილმთავ-შახტმშენი“ მოუღებს ბოლოს.

ნინცო გზას უყურებს. მე უყურებ მიწვეტიან, თითქმის ბავშვურ მუხლებს რომლებიც სასაცილოდ მოძრაობენ პედალზე ფეხის დაჭერისას და აზრად მომდის, რომ მთელი საღამო მასზე ფიქრის მეტი არაფერი მიკეთება.

ერთხელ უკვე ნანახი კანოსურათივით ვიცი, რაც უნდა მოხდეს: ნინცო კაბის გამოსაცვლელად ამომყვება და როგორც კი ჩვენ ისევ ჩემს ცარიელ სახლში ერთმანეთის პირისპირ აღმოვჩნდებით, მე ჩავეკეტავ კარს. ნინცო დაბნეული შემომხედავს. ერთხანს ვიდგებით ასე, უძრავად. მერე მე მივხვდები, რომ თუ არ მოვეხვები და არ ვუთხარი რამე — ატირდება, მე კი არ მინდა, რომ ნინცომ იტიროს, რადგან ტირილი ერთადერთი რამაა ქვეყნად, რისი ატანაც არ შემიძლია. გავა მთელი ერთი საუკუნე, სანამ ასე, ერთმანეთს გადახვეულები ვიდგებით. მერე გავა მეორე მთელი საუკუნე, სანამ ჩაქრება შუქი და ტანსაცმლისაგან გათავისუფლებული სხეულები დაგაკავიწყებენ ამ ოთახს, ამ ქუჩებს, ამ აუტანელ, თანაც საყვარელ ქალაქს... ჩვენი გამჭვირვალე საწოლიდან დავინახავთ რომ დაბლა, ძალიან შორს, ჰაერის ოკეანის ფსკერზე ნელა მიცურავს მთები, ტყეები, მდინარეები და ლურჯი ტბები, რომელთა მოსარკულ ზედაპირზეც, ღრუბლებთან ერთად, ჩვენი ჩრდილებიც აირეკლება...

მერე დაებრუნდებით მიწაზე და ვიცხოვრებით ერთად: ნინცო, ანკა, თინიკო, დედაჩემი, ბაული და თენგიზი... არა, ნაღდად არ მაწყობს ეგ პერსპექტივა! საერთოდ, რას ნიშნავს ამდენი ხალხის თანაცხოვრება? ჯოგია? სანაშენე მეურნეობა? დამანებეთ თავი!

— საღიო, ნინცო, შენ რომ არა, დღეს ნაღდად მოკვდებოდი. მანქანა ჩემს სადარბაზოსთან დგას.

— ნინცო, მადლობთ-მეთქი!



მის მშვიდ, კარგად გამოთლილ პროფილს ვხედავ. ზის ასე, არ ინძრევია, თავსაც კი არ აბრუნებს ჩემკენ. მუხლზე ვუტყუაპუნებ ხელს და გადავდივარ.

— ე, ჩემი შარვალი?! — მემახის ნინცო. ვტრიალდები. გვერდითა სკამზე ჩამოუდვია იდაყვი და ქვევიდან ამომცქერის. რაღაც სიბრიყვე მინდა გავაკეთო. ვიხიდი შარვალს და სიცილით ვაწვდი. ძალიან მომწონს ჩემი იდიქტიზმი. კარის ბრაზუნი... მანქანა მოწყვეტით სწყვდება ადგილს. ხესთან ატუზული წყვილი თავს ანებებს კოცნას და ოთხი გაოგნებული თვალი მაშტერდება. დებილი ვარ!

მტერიან ბინაში შუადამეა. მეჩვენება, რომ ჩემს ოთახში პაპიროსის საზიზღარ სუნთან ერთად, გარეული ნუშის ოდნავ შესამჩნევი სურნელებაც იგრძნობა. დედა, რა რომანტიკულია! ნეტავ, რას ამბობს გენიოსი გენრი ჯეიმსი? ვწევები და ვანთებ ღამის ნათურას. „იზაბელამ თვალი გააყოლა მატარებელს და გაუყვანისლში გახვეულ ლონდონის ქუჩას. მის წინაშე გადაშლილიყო მთელი სამყარო — მას შეეძლო ეკეთებინა ყველაფერი, რასაც კი მოისურვებდა. მართო ამის გაფიქრებაც სუნთქვას უკრავდა, ქალაქს ნოემბრის მწუხრი ეძალბებოდა და სქელ, ყავისფერ ნისლში ჩამირული ქუჩის ფარნები სუსტ, მოწითალო შუქს ასხივებდნენ...“ „ქალის პორტრეტს“ ოთახის კუთხეში ვისვრი და ვაქრობ ნათურას.

ეხლა დილაშდევ არ დამეძინება. ვიქნები ასე, იმაზე ფიქრში, თუ რა უნდა მეთქვა, როგორ მოვქცეულიყავი და რისი ძალა არ მეყო. ნინცოს შტერული ცხენის კუდი იბტუნავენ თვალიწინ. გაიწელება ღამე, ჩემს ნერვებთან ერთად. დილით კი, მაინცდამაინც მაშინ, როცა ნანატრი ძილი მოახლოვდება, არახრახდება ეს ნაბოზარი ავტობუსები, აკივლდება შორეული მატარებლები და აყვირდება სადღაც ჩემს შიგნით სინდისის ქენჯნა, რომლის მიზეზებს მე არ ვიცნობ, არ ვეძებ და არც მინდა როდისმე გავიგო.

კედლის გადამა, მეზობლის სახლში, ძველი საათი რეკავს. რაღაცის, ნახევა-

რია. ღამე იღვეა, თუმცა ჯერ ბნელა. ამ სიბნელეში არაფერი არსებობს თვალდახუჭული და უსაშველო უძილობის გარდა. მიუხედავად ყველაფრისა, მე მიყვარს ღამე და ოცდაოთხსაათიან ციკლში ყველაზე პატიოსან დროდ მიმაჩნია. ადამიანთა უმრავლესობას სძინავს. ძილში მათ ლობიოს პარკივით სძვრებათ კულტურისა და ცივილიზაციის ჩენნი. მათ სძინავთ ზუსტად ისე, როგორც ავსტრალიაშითეკებს ეძინათ გვიმრის ტყეების ეპოქაში: ერთმანეთს მოხვეულებს, ანდა ცალ-ცალკე ერთმანეთზე ფიქრში ჩაძინებულებს. გარიჟრაჟის მსუბუქი შუქი ელამუნება დაღლილ სხეულებს და შეუძნეველად ამზადებს მომავალი დღის აუტოლაფს.

მგონი ზარია. ღამე გათავდა, ფანჯარა ღია ნაცრისფერი გამზღარა. კიდევ რეკვენ. ვდგები. სხეული დილის სიცივეს გრძნობს. ვინ უნდა იყოს?

კარებში გურგენ არშაკუნი დგას. ცოტა უკან-ბადურა. უხმოდ შემოდინა.

— რა ამბავია?

ხმას არ იღებენ. ორთავეს შეშლილი სახეები აქვთ.

— რა მოხდა?

— შენ დაჯე, — ამბობს გურგენა.

— წუხელ მერაბასთან ვიყავით, — ბოდილობს ბადურა. — ოთხმეზური დათვრა და...

— მერე?

— ჩუმად გაგვეპარა, მანქანით. იქ კიდევ რეიდი ყოფილა. ამან არ გააჩერა. ეგ დამძლები გამოეკიდნენ.

— ავარია მოუვიდა?

ხმას არ იღებენ. გურგენას თვალზე ცრემლი ადგება.

— ჰა, ეხლა მითხარით!

გურგენა სახეზე ხელებს იფარებს და ტრიალდება.

— მოკლედ, — განაგრძობს ბადურა, — „არავთან“ ნინცოს შესკდა!

— რა-ა?! რა სისულელეა! — ვხვდები, რომ რაღაც უნდა ვთქვა, მაგრამ აზრზე არა ვარ და, რატომღაც, ვჯდები. სისულელეა, ეგეთი რამეები არ ხდება!

— ოთხმეზურს ნეკნები აქვს ჩამტკრე-

ული... და კიდევ, დიაფრაგმა.. მოკლედ, არაფერი ისეთი.

„ნინცო?“ მინდა ვკითხო, მაგრამ ყველში რაღაც მეჩხირება.

— ნინცო... — იწყებს ბაღურა და ხმა უწყვდება.

— რა ნინცო?!

— ნინცო არ ვიცი.

— სად არის?!

— რა ვალდებებს, შენი ისტერიკაღა მაკლია!

— სად არის!

— მეცხრეში.

გურგენა ტრიალდება. ღაპაღუბით ჩამოსდის ცრემლები და ბღავის:

— ბაღურ-ჯან, კაცი არ ვიყო, იმ ინსპექტორს ვნახამ, ჩემი ხელით მოვაჭრაბ თავს! ია, ივო მამუ!..

ბაღურა არ აქცევს ყურადღებას, მე მეუბნება:

— ადვ, ჩაიცვი.

მექანიკურად ვღებები, ვიცვამ დალაქავებულ შარვალს, გუშინდელ პერანგს და გავდივართ. გურგენა ტირის და სომხურად იგინება. ბაღურა ქეჩოში ჰკიდებს ხელს და კიბეზე ძალით ჩაჰყავს. ფეხები ბამბისა მაქვს — ვერ ვეწევი.

— ბაღურ!

ბაღურა ტრიალდება. სახეზე ეტყობა, რომ იცის, რაც უნდა ვკითხო.

— ერთი საათის წინ იმედი არ ჰქონდათ.

ქუჩაში გამოვდივართ. წვიმს და თენდება. სადარბაზოსთან ტაქსი გვიცდის. ბაღურა წინ ჯდება, გურგენა უკან. მე უნდა გურგენას გვერდით მოვთავსდე, მაგრამ არ მინდა ტაქსი. რაღაც ძალა სხვა მზარეს მექანება. ფეხები თავისთავად ვარბის, ეს არ შეიძლება! არ შეიძლება! არ შეიძლება! ხეები მიქრიათ სახლებთან ერთად. ვიჭერ გამველებიხ ცნობისმოყვარე მზერას. უკან ბაღურა და გურგენა მომდევნენ. ეს არ შეიძლება! ვერ გაიგეთ? მე თქვენი დედა! მე თქვენი დედა! მე თქვენი დედა! ძალა მეცლება. აქოშინებული ბაღურა სახეში მიჩრტყამს.

— რა მოვივიდა, გააფრინე?

გურგენა მანქანაში მტენის. არაფერი

მესმის. ვერაფერს ვხედავ, ბაღურა მინების გარდა.

— გინდა სიგარეტი? — მესამედ მეკითხება ბაღურა.

— არა.

— რა, ღელაკაცივით იქცევი?

სახელოთი ვწმენდ ფანჯარას. წვიმის წვეთებით დაფარული მინის მიღმა ფერ-შეცვლილი ქალაქია. ვუყურებ წვიმას და მშვიდად ვარ. ბაღურას სიგარეტს ვართმევ. გურგენა მიკიდებს. მოვედით.

გარეთ უკვე ნამდვილი თქეშია, ქუჩებში ნიაღვარი მოდის. სიგარეტი ერთ წაშში მისველდება, ვიღაცა მორბის წვიმაში.

მეცხრე საავადმყოფოს მიმღებში შევდივართ. ბაღურა რაღაცას ეუბნება კარისკაცს. გრძელ და ცარიელ დერეფანს სადღაც, ქვევით მივყავართ. ცემენტის ბინძური იატაკი და კაფელის კედლები. დერეფანი ბნელდება და მარჯვნივ უხვევს. გაურკვეველი ხმები და ჩოჩქოლი.

„ჩემი ბრაღია, ჩემი!“ — ვიღაც ყმუის. ძლივს ვცნობ თენგიზის ხმას. რკინის კართან რამდენიმე კაცი ფუსფუსებს. ოთხმეზურის მამაც აქ არის. მაღალი, ლამაზი, სახეზე ფერი არ ადევს. თენგიზი ბღავის. სანიტრები, თუ ექიმები (ვერ ვხვდები) უხმოვ დგანან და კაფელზე ჩამომსხდარ ბუხებს ითვლიან. თენგიზი ღრიალით მოექანება და მუშტებს ურტყამს კედელს. მერე თავს. ორი კაცი აკაპებს (ერთი მათგანი თენგიზის შოფერია). ხელეებს უჭერენ.

„ჩემი ბრაღია, ჩემი!“ — და ისევ ბღავილი. თენგიზი კედლისაკენ მიიწევს, მაგრამ ხელები გაკაპებული აქვს. მხოლოდ თავით სწვდება ცივ კაფელს. შუბლს ურტყავს, უსუფთაო კედელს. ოთხმეზურის მამა უაზროდ გვიყურებს მე და ბაღურას. აშკარად ვერ გვცნობს; ტრიალდება და მიდის... და უეცრად ეს ყველაფერი საშინელი სიცხადით უკავშირდება ნინცოს... სულელ, პატარა ნინცოს, რომელიც ახლა ამ რკინის კარს მიღმა წევს მარტოდმარტო, ყველაფერი-საგან გამიჯნული და შიშველი, ახლად შობილივით.

მზრებმა რაღაც უჩვეულო სიმძიმე იკრძნო. დაძაბულობისაგან კისერი გაძიქვავდა.

— რა გჭირს? რა გჭირს?! რა გჭირს! — ბაღურას ხმაა. მინდა ვუთხრა, „არაფერი“, მაგრამ საშინელი სიმძიმით გაჭყლებილი სხეულიდან მხოლოდ ზრიალი ამოდის, თენგიზი კი უკვე აღარ იწევს კედლისაკენ — ქვიშით სავსე სახანძრო ტუმბოზე ჩამომჯდარა და ჩუმად ტირის. მე მხოლოდ მის ფეხსაცმელსა და ზურვის ნაწილს ვხედავ, რადგან გარშემო კაცები ეხვევიან... და მოულოდნელად ვკრძნობ, რომ მიყვარს ეგ იდიოტი, მიყვარს ეგ ნამირალა და გათახსირებული თენგიზი... მესმის, რაც ჭირს ამ პირუტყვს, ამიტომაც მიყვარს და მეცოდება, მით უმეტეს, რომ მასთან შედარებით მე ნამდვილ პედერასტად და ურჩხულად ვკრძნობ თავს. აი, ეხლა, ორი წუთის შემდეგ, მე მივალ მასთან, ჩაეცუცქდები, მუხლებზე დავადებ ხელებს და აუუხსნი, რომ ნამდვილი დამნაშავე ის კი არა, მე ვარ. იმასაც ვეტყვი, რომ ზვალ აუცილებლად დაიწყება წარღვნა და ესეც მხოლოდ ჩემი მიზეზით მოხდება... და ერთადერთი, რის გაკეთებსაც შეეძლებ, ის იქნება, რომ ქვეყნიერების წასალეკად აღიდებულ წყლებს ყველაზე პირველი შეეწყველები.

მაგრამ სანამ ეს მოხდება, დარჩენილ რამდენიმე საათს გამოვიყენებ იმისთვის, რომ ნინცოს შვილი ვნახო. მე ვეტყვი

ანკას, რომ წარღვნაში დამნაშავენი ჩვენა ვართ და ეს წარღვნა არ არის ღვთიური სასჯელი, რადგან ღმერთი არც მილიციონერია და არც პროკურორი. ეს მღვრიე წყლები ჩვენ თვითონა ვართ, ანკას წინარე თაობები, ეს ჩვენი ცოფი და ბოდმაა, რომელიც ისე ვაგროვებ და ვამრავლებ, რომ ბოლოს და ბოლოს ჯებირებმა ვეღარ გაუძღეს და დასკდნენ ძველი კანალიზაციის მილებივით. ყველაფერი ეს იმიტომ მოხდა, ჩემო ანკა, რომ შენს ბაბუებს არ აღმოაჩნდათ უნარი, შენს მამებს კი ძალა, ჰყვარებოდათ ერთმანეთი, ჰყვარებოდათ ეს ბინძური ბოსელი, რომელსაც მშვენიერი სახელი — დედამიწა ჰქვია. სამაგიეროდ, ეყოთ ღორობა, მეორედ ეცვათ ჯვარს თავისი ყველაზე დიდი და ლამაზი ოცნება და ღმერთი ეჭვის ჭიაზე გაეცვალათ.

მაგრამ მე იმასაც ვეტყვი, ჩემო პატარა, სულელო ანკა, რომ შენში ნინცოს თბილი სისხლია. ეს სისხლი ყოველი დაძინებისას ჩაგრურჩულებს ერთადერთ სწორ სიტყვას ადამიანთა მყრალი ლექსიკონიდან და ყოველ ღამე გამზადებს სიყვარულისთვის, რომელსაც შეუძლია წარღვნის მღვრიე წყლები შეაჩეროს. შენ გაიზრდები და შეძლებ იმას, რაც ჩვენ ვერ შეეძელით. და გახსოვდეს, რომ პირველთაგან იყო სიტყვა, სრულქმნილი, თბილი და უსასრულო... ნინცოს სისხლივით.



## ემყარ კვიტაიშვილი

### შუა სარკეში

ეს დიდი ხნის ამბავია; ჩვენს ეუოში, მოპირდაპირე, ჩრდილიან მხარეს, მეორე სართულზე — მაღალი, გამხდარი, შავსამოსიანი ბერიკაცი ცხოვრობდა. მისი პატარა ოთახის კედელში დატანებულ ორ ფანჯარას შუე არასოდეს ადგებოდა. მე მეოთხე სართულის აივანზე დავბოდი — თორმეტი წლის ანცი, თავზეხელაღებული ბიჭი; ოთხკუთხა სარკე მეჭირა და ზედ ასხლეტილ სხივს მოხუცს შუქდაკლებულ თვალეში ვანათებდი, გაზეთის წაკითხვას არ ვაცდიდი. ზვებოდა, ვისგანაც ჭირდა ეს სიკეთე, მაგრამ იმდენად მორიდებული იყო, არ იმჩნევდა. მისი ბუზღუნი ან ხმამაღალი სიტყვა არ გამიგონია; თუ ნამეტანს ვიზამდი, ზურგს შემაქცევდა ან გამერიდებოდა. მუხსმონატრებულს რაღაცით ეგებ კიდეც სიამოვნებდა მის შავ, ნაღვლიან სახეზე თრითინასავით მოსრიალე ერთი ციცქნა, თეთრი ათინათი.

ვინ იცის, ახლა როგორ ენატრება აბალახებულ მიწისქვეშ მოქცეულს ის თავისმომბუზრებელი, თავ-კისერზე მოხტუნავე, ბრჭყვილა, დამაბრმავებელი შუქი. როგორ დაიბრუნებს გაზაფხულის იმ ჭრელად დაფოთილ, შეუდარებელ დილას უკვალოდ გამქრალი მოხუცი ან ის ონავარი ბიჭი, სახურავიდან სახურავზე რომ გადარბოდა, ათას სახიმანდროს იგონებდა...

ზოგჯერ დამრეცი ბროლი მეჭირა ხელში. ისევე ბოროტად ვიყენებდი მზის ძალას; დაკვიწროვებდი ცეცხლის კონას ბროლის გამობურთულ მუცელში, გადავრებდი, დაუწწროვებდი იატაკს და ბოლი ავარდებოდა ატკეჩილ ფიცარს — რაღას არ ამოვწავდი ზედ. დროდადრო მიაპიტური ფიქრი გამივლის — ნეტა შავ, ნოტიო მიწასაც ჭირიდეს სარკეზე აცურებული ჭიატა წერტილი — რამდენს ჩაუნათებდი მოუვლელ, დატკეპნილ სამარეს.

მეც მალე მოვინატრებ ალბათ კედელზე აცკეკებულ სხივების ურუნტელს, მალე აღარ შეეფეთება მოღლილ თვალეებს ბრიალა მნათობის მაცოცხლებელი ჭავლი, სარკის ტეხილი, კლდოვანი ნაკეცებიდან გამოსრილილი... საბოლოოდ მაინც ეს მცირე, არაფრით გამორჩეული მოკონება ლექსის სტრიქონებად დალაგდა. ეგებ აღარც იყოს საჭიროება ამ ლექსის წაკითხვისა. მაგრამ რახან დაიწერა, ყოველი შემთხვევისათვის, მაინც აქვე ვურთავ:

მოხუცს რად ვაწვალებდი,  
რად დავკარგე რიდი...  
ეუმიზნებდი სარკის შუქს —  
თვალს, მოჭუტულს, ვჭრიდი.

სხივი მწვანე ფოთლებში  
უნდა გამეჭვინა;

მზეს რას დააკავებდა  
ფანჯრის თხელი მინა.

დაშრა ღელე ერმობისა,  
არვის ეუშვერ სარკეს,  
შაემა წლებმა საწყალი  
საით გადაკარგეს...

ვაჰ, თუ ბორგავს, წრიალებს, —  
ეს სად დავიძირე,  
ნატრობს, ვილამ მაღირსოს  
შვის ნაფლეთი მცირე.

იტყვის ალბათ, ასეთში  
რა ჯურღმულში ვწევარ,  
რომ სხივს — ნამსხვერვეს პაწიას —  
უჭირს ჩამოღწევა...

ამოტრიალებული,  
შუე ცეცხლოვან ბორბლად,  
თხელ, მორკინალ სარკეში,  
დაცხრა, დაიჭორფლა.

ხელის კანკალს აყოლილი,  
გასროლილი შენგან,  
ნამცეცი არ დარჩენილა,  
ისე აიკენკა.

გაქრა სხივიც, მოსირბული,  
მოსრიალე ვერცხლად,  
გაეხეხა სარკეს ზურგი,  
ასძვრა, აიქერცლა.

მზესვე — მღვრიეს, აღრენილს —  
ყოელის ბუდეს, წყაროს,  
ძალუმს მყუდრო საწოლის  
ფარდას მოგვაფაროს...

არ მომხვლია ფიქრადაც  
(იმ წამს სიზმარს ვადრი) —  
როსმე გამიხდებოდა  
ის დღე მოსანატრი.

არად უღირს გმინვა, ოხვრა,  
გვიწოვს ღამის ხერელი —

ჟამი უღვთო, მსახვრალი,  
ჩქენი დამლაზხველი.

თვალთა ფსკერზე მელნის ლაქად  
ილექება ბინდი;  
შავს მიწაში, დადგა ჯერი,  
მე ვარ დასაყვინთი.

გალეულო სიცოცხლეკ,  
მიჯრილ-მიკეცილო,  
ბოლო ბჭემდე ჩემი ფეხით  
უნდა მიგაცილო.

ღმერთო, მე რო ამდენი  
რისხვა დამალეწა,  
ბნელი, დამნელებელი,  
სადმე დამალე ცა.

თავი არ შემახსენოს,  
დამხსენ, გადამალე;  
გზის, გავლილის, არ დარჩეს,  
ნაშთი, ნატამალი.

ვინ იხსოვებს... გაღებულის  
ალარა მწამს მადლის...  
რა ხანია, კემალეები  
მზეს და დღის სინათლეს.

ლანდო გამოხობილი,  
ცრემლო დამდნარ ძვალთა,  
მომიტიევე, სული შენი  
ისევ თუ გაწვალდა.

ძველი შემრჩა ზნე, თუმც შავი  
ღერიც არ მაქვს თმაში, . . .  
შენ შემინდე, ის უაზრო  
ქცევა და თამაში.

### რა ფერი აქვს ზამბახს...

რამდენჯერაც არ ვნახო,  
გამაოგნებს ზამბახი,  
სასაფლაო რომ ჰქვია,  
მშვენებაა ამ ბაღის.

დავიწყებულ საფლაოთა  
ულურჯესი სიზმარი...

რას თხოვ უფრო საოცარს  
საწყალ მიწას, მის მარილს.

აყრილა, აშვერილა  
ღერო, ხელს რომ აშვერდი,  
გაბრმავებს მის ფურცლებში  
გამომკრთალი ლაფეარდი.

ჩააბრუნებს უკანვე  
რა უკუნი, რა ბნელი...  
ფარფლებს მზეზე გაკიდებს  
თითონ ცის დამჯაბნელი.

ამ ჩაქცეულ მესერთან  
რამდენჯერ გაიღანდე, —

სიფრიფანა ზამბახი  
ნამს რო იშრობს დიღანდეღს.

რა ჭკუაზეც უნდა იყოს —  
ფხიზელი, ნაღვინარი —  
რა ფერი აქვს ზამბახს გაშლილს,  
ამის მთქმელი ვინ არი...

მნელია, ქვეყნად ცხოვრობდე  
და თანაც იყო ქართველი, —  
ხან შური გეღობებოდეს,  
ხან ჭორი — გზის დამხლართველი.

რა იცი — კაცი რას ფიქრობს  
რა უნდა,  
რისი მქნელია,  
ალალი გულის პატრონის  
სუნთქვა ათასჯერ მნელია.

ნიადაგ ბედთან მდურება,  
ყოფნა უაზრო, ლანდური...  
გინდ ხალაშური აკუნესე,  
გინდ გაღმოილე ფანდური.

წყველთან არც მოფერება  
და არც მუქარა გაღისო,  
ნახვეტი, ცად მოტრიალე,  
მტკერი ხარ სამარადისო.

### შიტული

შენ გეტყვი, მელნის ამოდ მღვრელო,  
რაგინდ ვინმესი სახელი წელო,  
ვერც მას უშველი,  
ველარც თავს არგებ,  
ვერ გაიტანოთ ვერცერთმა ლელო.

სიგლაზე რაგინდ მიჩქმალო, მალო,  
გამომჟღავნდება დღესა თუ ხვალო,  
მიგიჩვევია კალამი წანწალს,  
ნაცართ, ნავკით სავეს გაქვს წალო.

უღირსებს ბუქავ,  
ღირსეულს აქრობ,  
ნიკოს ადგილზე წამოსვი ზაქრო,  
გაიელის ხანი, თავად დარჩები —  
ლაყე — უგნური და უმონჯგრო.

შენ, გაყევილო ბაყაყო — მყვარო,  
მელანთან რაგინდ ოფლი არ ღვარო,  
როცა იქნება, გეტყვიან, რაც ხარ,  
თუმც გულში ფიქრობ — ჭკვიანი ვარო.

### კიბილაობა

ჭადრის ძირში დაინახე  
ორი ბუმბულაშლილი ბედურა;  
მტკაველა წითელ ზამბის ძაფს  
აძრობდნენ ერთმანეთს ნისკარტიდან.  
ძაფი იწელებოდა,  
ადი-ჩადიოდნენ,  
იფოფრებოდნენ,  
არცერთი არ თმობდა,  
არც ფიქრობდნენ განშორებას.  
შეუძლებელია არ ცოდნოდათ,

ის ატალღებული ნართი  
საჭმელი რომ არ იყო —  
აშკარად ერთობოდნენ;  
როგორც იტყვიან —  
უსაქმობაში დრო გაჰყავდათ...  
კარგა ხანს შევეყურებდი  
მათს უწყინარ მიძვილაობას —  
ასე იყო ნამდვილად,  
სხვა მე ვერაფერი დავასკვნი.

### 306 უყურებს...

სიკეთე რომ დაფასდა,  
სად იყო და როდის...  
რამეს ვინ გეკითხება —  
რისგან რა გამოდის.

ვინ უყურებს შენს პასუხს —  
რის „არა“ და რის „კი“;  
დანის პირზე გვიღვია,  
გვიწვევია რისკი.

ალარც გვახსოვს თუ დედის  
ბუბუ გვიწოვია;  
სად გველოდა ბედი და  
სად გაგვიწვევია.

ღმერთი აჩენს, დავრწმუნდი, —  
პატიოსანს, როსკიპს;  
ბევრჯერ შენაცვლებია —  
მოფერებას როზგი.

სხვას ნურვის დავაბრალებთ,  
ასე ხდება თურმე —  
თავის თავს დაუშავა  
ყველა უბედურმა.

სისხლი ვიდრე დამშრალა,  
სულიც გიდას, ჯერ კი  
ცოცხლობ, შენ არ გამხდარხარ  
უგრძნობელი ჯირკი,  
სხვას უბრუნავს, შენ არა,  
ბალღამი და ჩირქი.

### ათი ფლის თაგვა

რა ვთქვა, გაგწირე, გამწირე,  
ჩამემწარ-ჩამეშხამე;  
თმანამოშლილი მახსოვხარ,  
ვეჭვობ, შეგცვლიდა რამე.

შეშუპებული თვალები,  
შუბლი — ფიქალი თლილი;  
მკერდს მოწოლილი ვნებისგან  
ბალიში ჩაორთქლილი.

### მამის ანრდილთან

ღმერთს შესჩიოდა კაცი:  
რატო დამაგდე, რატო,  
დამტოვე ყოვლისშემძლემ  
სიკვდილის ამარადო.  
რად ჩავეგლიჯო ხახა,  
ვიხიხი, ვირატრატო,

რატო გათიშე ასე  
მამა და შვილი, რატო;  
არც ბინა მარადისი,  
არც ყოფნა სამარადო,  
ჩამოანგრე თაღი,  
შეკრული კამარადო.

### ვერ გაიხსენებ...

გავყურებ ფოთლებს ნაბრწყინებს,  
რკინას, ფაიფურს, მინას;  
მანახეთ ნიეთი, საგანი —  
ზედ მზეს არ გაეცინოს.

გამონათებს —  
ლურჯ ტოტზე,  
იტყვი, ზოზობი ზისო,  
სარკე, მიწაში ჩაფლული,  
იგონებს ცეკვას მზისა.

ვერ გაიხსენებ არხის წყალს,  
გუბებს, სადგურის ტლაპოს;  
დახლილს გარღვეულ ღრუბლიდან,  
მიგ მზეს არ ელაპლაპოს.

მზე შუადღისა ბაგუნობს,  
ძირი გავარდა ტამტამს;  
მანქანის ცხვირს ენარცხება,  
ურცხე ნიკელს — კაცის გამტანს.

ვერ უძლებს მზერა, ზღაპარს გავს,  
არც გინდა დაიჯერო;  
აბურღულ თმაზე ქაღისა  
აბრიალდება მზე რო.

ენთოს, ელავდეს, ვინც გაქრა,  
ხატად, ნუგეშად მისდა;  
გინდ შესძრა ზესკნელ-ქვესკნელი,  
ვერაფერს ნახავ მზისდარს.

### შეურიბებლობა

გული მახრჩობს: მოკვდები,  
ტვინი ურჩობს: არა...  
დღე ღამეს ენაცვლება  
ასე წარა-მარა.

დილეგი ვერ დაგმალავს,  
ვერც გიშველის ჩერო...  
გული არ მოგატყუებს,  
ჯობს — გულს დაუჯერო.

### ციცხლად დარჩენილის ღამე

ვინ წამართვა ის ზაფხული...  
თაეზე წავადექი იმ ორს,  
კარგად შეხურებულს ღვინით,  
სახეაწითლებულს, მღიმარს.

შეხუმრება იყო ღალი,  
იყო უმცროს-უფროსობა...  
მაგონდება და ეკალი,  
შხამიანი, გულს მესობა.

ვიცინოდით, თურმე რჯულძადლს  
მოდერილი ჰქონდა ცელი...  
დალიეთო, გვაძალუბდა  
კაი კაცი, შასპინძელი.

დულდა ტკბილი და სიმინდიც  
შიშინებდა ნაკვეერჩხალზე...  
და ვთქვი ჩემთვის: ამ კვამლივით  
სად წავგიღებს ქარი ხვალ-ზეგ.

სად წაუხვალ დახრულ ღაგამს,  
დრომ ის სუფრა ალაგა,  
დავრჩი განზე და ხსოვნაში  
წითლად ჩამრჩა ღვინის ღაქა.

შალვა კვიციანიას,  
ედიშერ კვიციანიას ხსოვნას

იღბალია ალბათ ესეც —  
სამთავანი მარტო დავრჩი,  
შორ-შორ მივლის, ჯერ წყეული  
პირს არ მკიდებს მიწის არჩივს.

შავმა წლებმა სიხარული  
სად მიმარხა და მომარხა,  
ვერსად ვხედავ ძმის მაგიერს —  
არც ის არი, არც შენ არ ხარ.

შენი გამოტანებული  
გამითავდა ოქროს თაფლი,  
მეც ვთავდები რკინის რაგვში  
მომწყვდეული, მოსატაბლი.

მწუხარება, სად ირხევი,  
გასახმობი სად გაქვს ძირი,  
მიმასწავლე — გამოვიხმო,  
შენგან უღვთოდ განაწირი.

ალბათ ხედები, რა მაქვს გულში,  
ყოვლის მკვლელი და გამსრესო;  
რა იქნება, დამიბრუნო  
მე ის ოდა და ის ეზო.

### მერიის გამოცხადება

აივანს რკინა დაჰყვება გლუვი.  
მუშას წლისთავის მიაქვს ბოთლები.  
თითქოს ჭაობი აყვავებულა;  
გამოანათეს ქვერვიის თვალებმა,

გითრევს ჭრელსა და უძირო ფსკერზე.  
შეაგრო ხორცმა თეთრი მკლავები,  
თემოებს კაბა უფარავს შავი,  
ლოყებზე მარტის მზე დასთამაშებს.



## ბაზრის მისაღებობისა

დანებს ლესვენ. დულს ივლისი.  
 ლელუს ტუჩ-პირი გაპობია...  
 ოქტომბერი მენატრება,  
 რომ შემოანათებს ბია.

დამზობილი მინის ძაბრი.  
 სილას ცრის და ჟამი გადის.  
 ცა მნთქავს, ძნელი სათქმელია —  
 დღე ყოველი რას მიქადის.

ომბალოც კი აღარ დარჩა  
 უსასუქო, უნიტრატო...  
 რამ დაგვაგზო,  
 დაგვაქცია,  
 ვერც ვერავის კითხავ, რადო.

გულის, ტვინის დამბუგავი,  
 ძარღვებს წვავს და მივლის დენი...  
 რა სიზმარი უნდა ახდეს,  
 რალა დამრჩა წასახდენი...

## დეკემბრის საღამო

დანიტქა ბოლო გზის ორკაპასი,  
 მაცლიდა სახეს ქარი კაპასი,  
 მთოშეადა, სუნთქვას აღარ მაცლიდა.  
 ვიღას გადახდეს ტანჯვის საფასი.

ცას შეტყორცნილი ფოთოლი მჩატე.  
 შავ წერტილებად ფრენენ ჩიტები.

გული მფეთქავი, ვის ხელში ჩადე...  
 რა გელის — ვერც თქვა დაბეჯითებით.

აღარ მეხება უკვე, რაც ხდება,  
 დაქანებული, დრო ურცხვად გადის  
 და სადარბაზოს კედლებს აწყდება  
 ზმუილი გულდაკოდილი კატის.

გაზაფხულმა ჩახჩახა მზის  
 მოიმარჯვა სარკე...  
 იზმორება, მოზვერს შუბლი  
 ექავება სარკე.

არ ემჩნევათ ხეებს რხევა,  
 დგანან — კენტად, წყვილად...  
 რიგმა კვირტი გამოილო,  
 რიგმა — იყვავილა.

დასამარხი მიხურს ბეჭი,  
 მზეო, ვინ შეგბოჭოს.  
 ენარცხები, კვერცხში ჩეკავ  
 მერცხალსა და ჯოჯოს.

თაო ჩემო, უგრძნობელო,  
 გამომშრალი ჯირკო,  
 ცეცხლმა დაგწვას აწ სიამე  
 წვეთიც თუ შეირგო.

## პირუნილოვა

კარგი საყურებელია: —  
 პლატოზე, სანატორიუმის ფიჭვნარში,  
 ბებერ, გადღლილ დონ ჟუანს  
 ქალები ასწავლიან წნევის დაწვეას —  
 მომცრო ჭიქაში რალაც წვეთებს უწკაპუნებენ,  
 მგონი მუჭში მომწყვედულ ლიმონსაც უწურავენ;  
 მორჩილად აკანტურებს ჭალარა თავს,  
 კი, ზუსტად ასე ვიზამო,  
 პირდება შემოხვეულებს, კეთილის მსურველებს.

ეტყობა, გულის მცირე შეტევა მოუვიდა,  
მოაწვა ძარღვებში ჩახუფული სისხლი).  
მერეენება, ჩემამდე აღწევს  
მისი ნერწყვამშრალი პირის წკლაპუნი.

### იპოდრომის ეზოში

ნეტა არ დამეხედა... თოვლიან გზაზე მძინარესავით იწვა  
შავი, ყურპანტურა ლეკვი, საქეიფოდ, გასაძლომად მიმავალთა  
მანქანის მოკლული, პირიდან სისხლწავარდნილი,  
თითქოს თავისივე სისხლის ეწადა ალოკვა,  
იწვა ჰიკედლისგან წალეკილი – წყეულის ლუკმა.

### ვინ მოსთვლის...

რამდენს ენატრება ამ ფანჯარასთან ჩახრიგინებული  
მანქანის მჭახე, აუტანელი ხმაური, მე რომ მაწუხებს.  
ბელურების მოსაწყენ ჟიკჟიკს ხომ ნულარ იკითხავ,  
რად მოერეენებოდათ საწყლებს. ვინ მოსთვლის –  
რამდენის ყურია დახურული საამისოდ – რამდენი  
სასმენელი აჭედა, ამოგლისა დასორსლილმა ცვილმა.

### ვინა ზამთრები

რამდენი ყინვისგან გაფშეკილი ბრეზენტის პლაშჩი  
და გახეხილ-გახეხეშეხული კარვებია მოქცეული  
ჩემ ქუთუთოებქვეშ, სისხლიან ჭრილებში დატანებული;  
ცრემლს გადმოყვება, თვალი რომ დავახამხამო,  
ერთმანეთში აიზილება ყველაფერი, გავიგულები.

### კველი პირსაბანი

ალუმინის მრგვალ, მიჭედილ პირსაბანში  
(ჭის წყალს ამ დროს ტყვიის ფერი დაჰკრავს),  
ოქროს ციცქნა მონეტასავით ატივტივებული,  
ტყემლის ფოთოლი რომ შემოგანათებს,  
თავს ნუ ასწევ. იცოდე – სექტემბერია.

### პენახში

შაბიამნის კასრში გაკლაკნილი  
კოლოს ნაცრისფერი ტუპრები,  
ნაწვიმარ, დამპალ, ნადგომ წყალში  
ჩაბუღებული სახიზრობა –

ასე შეიძლება გესახებოდეს ცხოვრება.  
 ვაოცებს ნამცეცა სხეულის ფართი-ფურთი,  
 დაფეთებულის სხარტი გაშლა, კუმშვა...  
 ჩხირი რომ ჩაყო და მიაკარო გატრუნულს,  
 მაშინვე მოცოცხავს და დაყვინთავს,  
 სისხლისმსმელი თავი რომ გადაირჩინოს.  
 საკითხავია — რად და რის გამო.  
 პასუხი იმ კასრის ნესტიან ფსკერზეა აკრული.

### ჩიტების სამოთხე

ჩიტებს უეჭველად სამოთხე ჰგონიათ  
 მწვანედ გადაბურდული ვეება სასაფლაო —  
 ისე თავგადაკლულად უღურტულებენ,  
 ისე მოუსვენრად ფრთხილობს ნაძვზე  
 ერთი ციცქნა, მკერდშეწითლებული ნარჩიტა...  
 ყოველ წამს სასწაულს უნდა ელოდე. აი, ახლაც —  
 გული ამოგიჯდებოდა, ისე ჩაარაკრაკა შაშვემა  
 ყელის ძაფებში გამოსკვნილი სიყვარულის სიმღერა...  
 რა გინდა, ინატრე, სულო და გულო,  
 რა ბუჩქი, რა ტოტი, რა და რა ფერის —  
 ვარდი — წითელი, ვარდი — თეთრი,  
 მარმარილო — რუხი, მარმარილო — შავი...  
 არჩევაც აღარ დაგჭირდება —  
 ხან წკრიალა გალობა გაისმის,  
 ხანაც — შემზარავი ჩხავეილი.  
 ჩიტებს მაინც სამოთხედ ეჩვენებათ —  
 გალავანშემოვლებული, გამამწვანებელი კორტოხი.  
 თუ ბიჭი ხარ, მიდი და დააჯერე, რომ ასე არაა.  
 ერთხელ მაინც გკვიტონ იმ აფრთქილებულმა ჩიტებმა —  
 რა კუპრია მოთუხთუხებული დანაწევრებულ,  
 თითო ხელისდადება, ნაყიდ, ფხვიერ მიწაზე...  
 თუმცა რას დაემებს ფრინველი მლოლავის ტანჯვას,  
 რას მიუხვდება, რას გაუგებს უსაფლავო საფლავიანს.

### საბურთალოს ანთიფონა

უცნაური სახილველია დასხეპილი ვარდის ბუჩქები  
 გვიანი შემოდგომის ან აღრიანი გაზაფხულის  
 უკაცრიელ, ნაღვლიანად დაღუმებულ სასაფლაოზე.  
 ალაგ-ალაგ აღერილია უფურცლო, მკვრივი,  
 ასკილივით აწითლებული ნაყოფი, ცივ ნიაზე  
 თიხის პაწია, გალაქული ქოთანით მოკანტურე.  
 მუქი სიწითლე დაჰკრავს ეკლებიდან დახორკლილ,  
 მსხვილ, მოკლე ტოტებს, სახსრებში გადაჭრილებს.  
 ზოგიერთი ვარდის გატიტვლებული გული  
 ისე პრიალებს, ნაგვიანევი ბროწეული გეგონება  
 ანდა დაპატარავებული თავის ქალა,  
 რომელიც საცაა უნდა დაიბზაროს,  
 დახეთქილ, ქარდაკრულ მიწაში თესლებად განიბნეს.

**ღარბევა**

(9 აპრილი, 1989 წელი)

სასტუმრო „ივერიასთან“, აბოლებულ აპრილის თვეში,  
 მე მინახავს მალალი, მკლავებდაკაიწებული,  
 ტანზე წურბელისფერად დალაქავებული მედესანტი;  
 მოკლე, შავი ავტომატი ჰქონდა მომარჯვებული,  
 თითქოს ტბის პირას წამოსაფრენ იხვევს უღარაჯებდა –  
 ერთი გაბედონ და მხრები წამოსწიონ, წამოიშალონ.  
 რა გვაშინებს ასე, დიდი-დიდი, ტყვია დაგვიშინოს...  
 კაცმა რომ თქვას, პერიფერიის პირობაზე არა გვიშავს;  
 შეგვიძლია – კავკასიის ცენტრალად წარმოვიდგინოთ თავი.  
 საქვეწმოდ განთქმულია ჩვენი ღალატი, პირფერობა,  
 დანის ჩაცემა ზურგში, ერთმანეთის გამეტება...  
 ნეტა შეშლილი ვიყო ამის მთქმელი და მეც მეშლებოდეს...  
 ტყვილად ვფაციფუცობთ, ვერ გვიშეელის ვერა ფიცი,  
 თანდათან დავიშალებთ, გადაეშენდით, გადავგვარდით,  
 ორიოდ მოკეთის გარდა, ყველამ მოგვერდი გვიყო...  
 გამწკრივებულია კისრები სასხლავი, სისხლი დაგვდინდება.  
 ყელს, თვალებს შრიალა დაშუშხავს შხამი. ზურგი გამეხარა,  
 რამ უნდა გამახაროს ამდენი საცოდაობის შემხედვარე.  
 ეს ხალხი მეცოდება – ბედგაცუდებული, მრავალჭირნაცადი,  
 ყველა სივლახესთან ერთად, უზომოდ კეთილი, მპატიებელი;  
 ცხვირის ორკაპა ონკანი რომ მოუშვა, დაიწყებს შიშინს,  
 ცომგარეული წყალივით ითქრიალებს, გადმოთქიშინდება  
 მთი ნაბეგვი, ნაჯანჯლარევი, ათქვეფილი ტვინი...  
 თუ გვეღირსა, სასწაულს უნდა გაუტოლდეს ჩვენი გადარჩენა.

1990, ნოემბერი.

**სარკვეში შევოსული დილა**

როგორი ავეჯი, რა ნივთიც არ უნდა იდგეს ოთახში,  
 მთავარი მაინც სარკეა; იგია საგანთა ნამდვილი მეფე.  
 ყველაზე ადრე გარინდული სარკე გრძნობს გათენებას,  
 პირველად მის წიაღში ამოძრავდებიან რუხი ღანდები...  
 თუმცა მხოლოდ თითონ (მისი უახლოესი წინაპარი –  
 ოთხკუთხა ჩარჩოში ჩასმული შუშა – იგივე სარკემელი,  
 გვერდიდან მაცქერალი ფანჯარა რომ არ დახმარებოდა),  
 ამ მოუბეზრებელ სასწაულს ვერ გაგვიმფლავებდა.  
 უძილო, ნაშფოთარი, ღამენათევი ბევრჯერ დავრწმუნებულვარ:  
 გაკრიალებული, კედელს აკრული სარკე, მეფეა უეჭველი;  
 იქედან ყოფს საცეცებს ბაცი, შებარბაცებული განთიდი.



## მარინე რჩეულიშვილი

# გურამ რჩეულიშვილის სსოპრება-შემოქმედაბისათვის

ჩემი ბიოგრაფიის გამო აღმოჩნდი ის ადამიანი, რომელმაც პირველმა წაიკითხა ჩემი ძმის მიერ დაწერილი ყველა სიტყვა (იგულისხმება ის მასალები, რაც ჩვენ სახლში ინახება), ყველა მოთხრობა, დღიური, ლექსი, პიესა და სცადა მთელი არქივის ქრონოლოგიური დალაგება-მოწესრიგება ჟანრული პრინციპით, ე. წ. ქრონოლოგიური ჩარჩოს აგება. თითქოსდა ამ შექანიკური სამუშაოს შესასრულებლად საჭირო გახდა დაფიქრება, გააზრება, გათავისება მასალის და ძალიან ძალე, ჩემთვის, სრულიად მოულოდნელად, მუშაობის დროს, უეცრად მივხვდი, რომ ვდგეარ რაღაცა ამოუცნობი საიდუმლოს წინაშე, რომლის შესახებაც პირდაპირ არაფერა წერია არსად. პირიქითაც კი, თითქოს მისი არსი სწორედ ამ საიდუმლოებაშია, ის იმალება ყველა სიტყვის უკან, ყველა ფურცელზე, ქაღალდის ყველა ნაგლეჯზე და როგორც შემდეგ გაირკვა, ყველა მოგონებაში, რომლებიც კუნძულებივით დარჩნენ ცხოვრების ორომტრიალში. იმალება ეს საიდუმლო და თითქოს ძალიან მშვიდად, აუჩქარებლად მოელის თავის დროს, როდესაც ის გაცხადებული იქნება.

და აი, 25 წლის შემდეგ უეცრად, საშიშად, დაუცველად ამოტივტივდა ერთი მოგონება, ქაოტიური, ბურანში მყოფი გონებიდან:

1960 წლის აგვისტოს ბოლოს თუ სექტემბრის პირველ რიცხვებში, არ მახსოვს ვინ მოიყვანა ჩვენთან გაგრის ამბებში მონაწილე ლენინგრადელი, რომელსაც ლელვისაგან შემოსულაც კი უჭირდა ჩვენთან ოთახში. დედა, მე გგონი, არც გამოსულა მის სანახავად, მეც თითქოს სანახევროდ მივიღე. მინდოდა, მაშინ, ძალე წასულიყო ის ადამიანი, რომლის ნახვასაც ამაოდ ვოცნებობ ახლა, 30 წლის შემდეგ. ლენინგრადელი მორცხვად ჩამოჯდა სკამის კიდეზე და ბორძიკობრძიკით ჩუმადა თქვა: „თქვენ ალბათ ჩემი ნახვაც არ გინდათ... გურამი ბევრს ლაპარაკობდა თქვენზე, თავის დაზე. თქვენი ძალიან დიდი იმედი ჰქონდა. ჩემი და მოუელის ყველაფერსო!“

ამ მოგონებამ, რომელიც საიმედოდ ჩამორული მეგონა მეხსიერებაში, სრულდავიწყებამდე, გაქრობამდე, — კიდე უფრო შემაშინა, გაქცევა მომინდა. ელდასავით ვიგბრძენი, რომ რაღაცა მისიის წინაშე აღმოჩნდი, რაღაცა მოვალეობის, მძიმე ტვირთის, რომლის აღსასრულებლადაც ვერა ვგრძნობდი ჩემს თავში ვერავითარ ძალას, ნიჭს, უნარს, გულისთქმას, ვერც ღირსებას. გაქცევა მომინდა, მაგრამ რაღაც საოცრად შეიკრა უგზობის განცდამდე ყველა გზა და დარჩა მხოლოდ ერთი — ჩემი ძმის ცხვრება-შემოქმედების, მისი სულიერი ბიოგრაფიის გზა, რომელიც ჩამალული

იყო არქივის რკინის კარდაში და იმ წლებში მის გვერდით მყოფ ადამიანთა მეხსიერებაში, როგორც მისი სულიერი ცხოვრების დოკუმენტები.

და აი, დავამთავრე არქივის კვლევა. ყველა სიტყვა გადაწერილ-გადაბეჭდილია, ქრონოლოგიურად დალაგებული, მოწესრიგებული. ყველაფერი დევს საიდუმლოდ შეფუთული დიდ საქალაქღებში.

შემდეგ დაიწყო თავიდან და უკვე არა ერთხელ უკვე არაერთხელ გადავიტანე საქალაქღიდან საქალაქღებში გურამის ხელით ნაწერი თაბახის ფურცლები. ვცდილობდი ჩავწვდომოდი თვითვეულ სიტყვას, სიტყვათ კავშირს, წინადადებას, აბზაცს, თავს, მოთხრობას, პიესას, ლექსს, დღიურს, ჩანახატს, ხელწერას. ვცდილობდი მიველოდი იმ უხილავ წყალქვეშა დინებებს, რაც აერთიანებდა, ამთლიანებდა, ამაგნიტებდა ყველაფერს და წარმოადგენდა გურამის მთელი ცხოვრება-შემოქმედების საფუძველს.

მივყვებოდი ეტაპებად, თანდათანობით. ვჩეხავდი, ვყოფდი, ვაანალიზებდი, ხანდახან ირკვეოდა, რომ ის, რაც მეხსნებოდა როგორც ხილვა, შთავიზებით და ამავე დროს, ხანგრძლივი მუშაობის შედეგად, — ზედაპირზე იღო, ოღონდ ჩემგან დამალული, რადგან მე არ ვიყავი მზად მის აღსაქმელად. მერე ისევ ამ დინებების გარეთ ვრჩებოდი. ყველაფერი იხურებოდა, იკვრებოდა, რალაცა ჯადოსნური ძალით ისევ ბუნდოვანებაში ეხვეოდა და ყოველ ცალკეულ შემთხვევაში თავიდან მჭირდებოდა მისი დაპყრობა. და აი, მივედი რალაც ეტაპამდე, როდესაც ვივრძენი იმის შესაძლებლობა, რომ სხვისთვისაც მეთქვა ის, რაც ჩემთვის გაცხადებული იქნა მხოლოდ ხანგრძლივი მუშაობის შემდეგ, რომელსაც თანდათანობით, ნაბიჯ-ნაბიჯ მივყავდი „წინ“, ჩემი ძმის სულიერი ბიოგრაფიის გზაზე. გვიან მივხვდი მხოლოდ, რომ ეს იგივე გზაა, რომელიც ადამიანს თავისი სულიერი სიღრმეებისაკენ მიუძღვება.

გურამის ცხოვრება და შემოქმედება

მთლიანად სიმბოლურია და გამოავლენს გარკვეული მისიით მოსული ადამიანის სულიერი ბიოგრაფიის დოკუმენტებს. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ასევე აღიქვამდა თვითონ გურამიც თავისი ცხოვრების გზის ყველა მოსახვევს, ყველა ნიუანსს; ამისი, მართალია, არაპირდაპირი, მაგრამ მაინც არაერთი საბუთია არქივში თუ მოგონებებში გაბნეული.

გურამის არსი ახლა მთლიანად განათებულია ჩემთვის; მე უკვე დანამდვილებით ვიცი, რომ ჩემმა ძმამ გაიარა მოწამეობრივი ცხოვრების გზა, რათა ამ „შავნელ საუკუნეში“ გაცეცხლებინა ქრისტეს იმპულსი.

ამ გზას აქვს თავისი დასაწყისი, განვითარება და დასასრული, — მოწამეობრივი დასასრული. ახლა ისიც ვიცი, რომ ამგვარი ბოლო სრულიად ბუნებრივი და ორგანული იყო ჩემი ძმის ცხოვრების გზისთვის, რადგან მოწამეობრივი აქტის გარეშე არ არსებობს მოწამეობრივი ცხოვრება.

1956 წლის იანვრამდე, იმ მომენტამდე, სანამ დაიწყებოდა გურამის მისიის აღსრულების ოთხი ცეცხლოვანი წელი, მთელი 22 წელიწადი იყო; იყო ნიჭარაძე-კიკნაძე-ხიდიბერგიშვილი-რჩეულიშვილ-ვახვანიშვილ-ჯავახიშვილების უზარმაზარი სამყარო, რომელიც აღმოჩნდა „ქუეყანა კეთილი“ ლუთის სიტყვის აღმოსაცენებლად.

მაშ ასე...

გურამის დედის დედა, ჩვენი ბებო ანეტა კიკნაძე, წარმოშობით ქართლიდან იყო. აღრე დაობლდა და აღსაზრდელად აიყვანა დედის ძმამ, მიხეილ ხიდიბერგიშვილმა, რომელიც სურამში ცხოვრობდა. მიხეილს არ ყავდა საკუთარი შვილი, მალე დაქვრივდა, მოკვიანებით გადავიდა ტყიბულში მალაროების მმართველად და თან წაიყვანა ბებო ანეტაც. ბუბოს და დარო კიკნაძე (მომავალში აქვს ნუტი ცაგარელის ძმის, გიორგის მეუღლე, რომელიც თავის ახალგაზრდობაში ხშირად უწევდა მასპინძლობას ილია ჭავჭავაძეს, აკაკი წერეთელს და სხვა იმდროინდელ



ქართველ მოღვაწეებს. ის იმდენად დაახლოებული ყოფილა ილიასთან, როგორც თვითონ გვიყვებოდა ხოლმე სიამაყით, რომ დიდი მწერლის დაკრძალვის პროცესის პირველ რიგში მდგარა) და ძმები, გიორგი და ნიკოლოზი სხვადასხვა ნათესავეებთან იზრდებოდნენ. აი როგორც ჩანს ეს წარმოშობა იყო იმის მიზეზი, რომ ბებო ანეტა მთლიანად განსხვავდებოდა იმ იმერული ქალებისაგან, რომელთა შორისაც ის ტრიალებდა ხოლმე. განსხვავდებოდა თავისი არა-იმერული ინტონაციით, მეტყველებით, სიღარბისლით, რაც მის ვეერდით მცხოვრები თუ მყოფი ადამიანების უნებურ პატივისცემას და მორიდებას იწვევდა. ნათესავეებს ახლაც ახსოვთ ბებოს ყოველთვის მოწესრიგებული, მშვიდი გარეგნობა, ლაზათიანი ჩაცმა-დახურვა, აუჩქარებელი, ოღონდ ყოველთვის საქმიანი მიმოხვრა.

მიხეილ ხიდიბერგიშვილთან სამმართველოში ბუღალტრად მუშაობდა ჩვენი ბაბუა — სიმონ ნიჟარაძე, სრულიად განსხვავებული ბებოსაგან თავისი ბუნებით, ხასიათით და გარეგნობით. ყოველთვის ანთებული, აწყვეილი უღვაშებით, სწრაფი მოძრაობებით, მოუთმენელი, ფიცხი. მოხდა ისე, რომ ერთ მშვენიერ დღეს ბებო და ბაბუა დაქორწინდნენ. ბაბუა სიმონი თავის დედასთან, როგორც ამბობენ ძალიან ლამაზ, ყიფიანის ქვრივ ელუკი ყიფიანთან ერთად, დასახლდა ხიდიბერგიშვილის დიდ სახლში. მოხდა კიდევ ერთი რამ — ცოტა ხანში მიხეილმა და ელუკი ყიფიანმაც იქორწინეს. ბაბუა სიმონი დიდი ხნის განმავლობაში განაწყვებული ყოფილა ორივეზე, თუმცა გულისწყრომას ხმაძალდა არასოდეს არ გამოხატავდა. არ არის გამოცხადებული, რომ ბაბუას ეჭვიანი და მკაცრი ხასიათი ამ ამბითაც იყო განპირობებული. როგორც სახლში ყვებიან, კომუნისტების შემოსვლის შემდეგ ბაბუა მიხაკოს ტყებულის მდარობები ჩამოართვეს, მერე კი საერთოდ გაანება თავი საშხაურს — ამ ფულაკებს არ ვემსახურებიო — და მთელი ოჯახი ხაცხოვრებლად გადავიდა ქუთაისში, რო-

მელსაც უკვე ბაბუა სიმონი უძღვებოდა მთლიანად თავისი ბუღალტრობით.

რა იყო მნიშვნელოვანი ამ ოჯახში? უპირველეს ყოვლისა ბაბუა მიხაკო ხიდიბერგიშვილის პიროვნება (დედის ძმის მნიშვნელოვნობა და წარმმართველი სულიერი ძალა რაღაცნაირად ჩვენი ოჯახის საფუძველში დევს თითქოს: ბაბუა მიხაკო იყო ბებო ანეტას დედის ძმა, პაპა ვანო (დიდი ივანე ჯავახიშვილი) მამიჩემის დედის ძმა, გურამი ჩემი შვილების დედის ძმა...)

ბაბუა მიხაკო — მიხეილ ყარამანის ძე ხიდიბერგიშვილი ზედმიწევნით განათლებული კაცი ყოფილა. სად მიიღო განათლება? დედას ახსოვს, რომ პეტერბურგში დაამთავრა იურიდიული ფაკულტეტი. დეიდაჩემს კი ახსოვს, რომ ახალგაზრდობაში აგზავნიდნენ სასწავლებლად პეტერბურგში (ვინ აგზავნიდა?) ოღონდ დედამ არ გაუშვა — მოსაკლავი შვილი არა მყავსო. დედას ახსოვს რაღაც შედეგები და ორდენები ბაბუა მიხაკოსი (სად მიიღო?). ჩვენ სახლში მთელი ჩვენი ბავშვობა ინახებოდა ძალიან დიდი „დავთარი“, როგორც ბაბუა სიმონი ეძახდა ხოლმე ასეთი ტიპის რვეულებს. „დავთარი“ ჩასმული იყო მუყაოს ყდაში; მისი ფართო ფურცლები შეესებული იყო განსაკუთრებულად ლამაზი, მოყვანილი ხელით რუსულ და ქართულ ენებზე. დეიდაჩემის გადმოცემით ბაბუა ცნობილი კალიგრაფი ყოფილა. ამ წიგნს ძირითადად სწორედ ამ ხელწერის გამო ვათვლიერებდით ხოლმე მე და გურამი. ქუთაისიდან დედამ, შეიძლება ითქვას, რომ მხოლოდ ეს „დავთარი“ და სქელი, დაბალი წყლის ტიქა წამოიღო სამახსოვროდ. რა ეწერა? არ მახსოვს. მხოლოდ მახსოვს ის, რომ ზოგ ჩანაწერს ლექსის ფორმა ქონდა, ზოგს მოთხრობის. დედამ მითხრა, ხალხური მედიცინიდან ამოკრეფილი სასარგებლო რეკა-დარეგებანიც ბევრი ეწერაო ბაბუას რვეულში. კიდევ რა? არაფერ იცის. დედას და დეიდაჩემის გადმოცემით ბაბუა დღე და ღამე მუშაობდა. სამწუხაროდ წიგნი გაქრა იქამდე, სანამ დამიანტიერესებდა მისი წაკითხვა. ცნობილი იყო,

რომ დიდმა ბაბუამ რუსულად თარგმნა „თამარიანი“ და უკვე საბჭოთა წყობილების დროს ჩამოიტანა თბილისში დასასტამბად. ვიღაც უნივერსიტეტელს შეუთავაზებია, რომ მისი სახელით გამოექვეყნებინათ, შეიძლება იმის გამოც, რომ ბაბუას, მკაცრი ეკლესიური ცხოვრებით მცხოვრებ ადამიანს ეჭვის თვალთა უყურებდნენ. ბაბუა შეურაცხყოფილი დაბრუნებულა ქუთაისში. შემდეგ მაძაჩემმა ეს თარგმანი ვახტანგ კოტეტიშვილს წაუღო წასაკითხად. სწორედ ამის შემდეგ სულ რამდენიმე დღეში კოტეტიშვილი დაუჭერიათ და ის ხელნაწერიც სხვა ხელნაწერებთან ერთად უკვალოდ გამქრალა არქივიდან.

დედაჩემის თქმით, ბაბუა ისეთი მორწმუნე ყოფილა, რომ ძველებიც კი ძალიან დიდი პატივისცემით ეპყრობოდნენ. ბაბუასა და ელუკი ყიფიანს, რომელთაც თურმე განსაკუთრებული სიყვარულით უყვარდათ ერთმანეთი, გარდა საძინებლისა, ქონდათ კიდევ ერთი ოთახი სავსე ხატებით, რომელთა ქვეშაც მუდმივად ერთი წმიდა კანდელი. ერთ-ერთი ბაბუასეული ხატი, ორმხრივი, ოქროსფერი, რომელიც პატარა საკუთით იკეტებოდა, დედას აჩუქა ბებო ანეტამ. ამ ხატს პატარა ჩამოსაკიდი ყუნწიც ჰქონდა. გახსნილი და ერთ მხარეს წმიდა გიორგი იყო, მეორე მხარეს კი მარიამ ღვთისმშობელი თავისი ყრმით. ბებოს ეს ხატი, ისევე როგორც დედას, სასთუმალს ქვეშ ჰქონდა ამოღებული. მერე მე გამოუართვი და როგორც ძველებური, ლამაზი ნივთი, სხვადასხვა მოსართავებთან ერთად ჩამოვიკიდე კედელზე ჩემს საწერ მაგიდასთან, ბებო საშასეულ ძველებურ ფეხჯიშზე. ძალიან მალე ყველა ნივთი და მათ შორის ეს ხატი აქედან უკვალოდ გაქრა (აქვე, დასაწყისშივე მინდა ვაღიარო, რომ ჩემთან დაკავშირებულია ჩვენი ოჯახისათვის ბევრი მნიშვნელოვანი რაღაცის გაქრობა. გაქრა ის „დაუთარი“, ის ხატი, და, რაც მთავარია, ჩემი ძმის პიესა „სულხანი და მე“. მგონი, ჯერ კიდევ კარგად ვერ დავაზუსტე „ქართლის ცხოვრებას“ გურამისეული აღნიშვნებით, შეიძლება ის

ფირიც, რომელზეც ჩემი ძმისა და შოთა ჩანტლაძის ხმები იყო აღბეჭდილი...) ოთახში ბაბუას ედგა კათედრა, რომლის ქვედა ნაწილში წიგნებით სავსე თაროები იყო. დედაჩემს ახსოვს, რომ ამ წიგნების უმეტესობას შეადგენდა სხვადასხვა ენაზე გამოცემული ბიბლიები.

ბაბუა მიხაკო დღის უმეტეს ნაწილს ლოცვაში ატარებდა. საერთოდ განმარტოებული ცხოვრება უყვარდა თურმე, თავისთვის ყოფნა. ერთხელ ლოცვისას, როდესაც ხელები ზევით ალაპყრო და ცისკენ აიხედა, მოულოდნელად ზევითა ფანჯარაში დედაჩემის, რომელიც განსაკუთრებული სიცილქით გამოირჩეოდა, და შალიკოსა და ვალოდიას (დედის ძმების) ეშმაკურ, ცნობისმოყვარე სახეებს გადააწყდა. იგი საშინლად განრისხდა და ოთახიდანვე დაუყვირა – ყველას ხატზე გადაგემთო. შეშინებული ბავშვები ჩამოხტნენ ტყაპატყუპით. მალე თვალცრემლიანი ბაბუა მიხაკოც გამოვიდა გარეთ და თქვა: „ღმერთო, არ ისმინო ჩემი, ძალიან ყვეფა“ მთელი დღე ესმოდათ ბავშვებს ეს სიტყვები სახლის სხვადასხვა კუთხიდან, რომელთაც, როგორც ჩანს, ბაბუა უანგარიშოდ იმეორებდა.

ქუთაისში გადმოსვლის შემდეგ ბაბუამ შეიძინა სხვადასხვა ხელსაწყოები, გააკეთა დაზვა და ერთ-ერთი პატარა ოთახი სახელოსნოდ გადააქცია. ბაბუამ დაიწყო წითელი ხისაგან სხვადასხვა ზომის და ტიპის ჯვრების გამოთლა, რომელთაც სიხარულით ურიგებდა ყველას, ვინც ოდნავ სურველს გამოამჟღავნებდა, თავისი გამოთლილი ჯვარი აჩუქა მაძაჩემსაც, რომელიც თურმე პირველი ნახვისთანავე მოეწონა: „ჭეშმარიტი ქრისტიანი კაცი შეგზვედრიაო“, ასე უთხრა დედას.

როგორი კაცი იყო დიდი ბაბუა? ამ კითხვაზე დედამ და მამამ თითქმის ერთდროულად მიპასუხეს: „სამართლიანი, სწორი, წმინდანი კაცი“, მერე მამამ ხუმრობა-ხუმრობით მიამატა: „კარგი კაცი იყო მიხაკო, გაქანებული თავადიშვილი, იმერლების ოხტში ამოდიოდა“. მერე დედამ განაგრძო: „არასოდეს გაიგ-





ებდი მისგან ვისმეს აუგს. მხოლოდ ერთხელ ვეახსოვს განრისხებული, მაშინ როდესაც შალიკო და ვალიკო ახლად დაარსებულ კომკავშირში შევიდნენ“. ბაბუა მიხაკომ ბაბუა სიმონს უთხრა: „სიმონ, ამ ბიჭების საქმე წასულია. ისეთი ცოდვა ჩაიდინეს, რომ მათი გატანა ძალიან გამიჭირდება, ერთ კაცს კიდევ ვაფიქრებ“ (ერთ კაცში გულისხმობდა დედაჩემ ბაბულის, რომელიც თავისი მშვიდი, დამდგარი, წყნარი ხასიათის გამო განსაკუთრებით უყვარდა და მზითვად ტყიბულის მადაროებს პირდებოდა), დანარჩენებს არ ვიცი რა ეშველებათ... ისეთი დრო დადგება, კომუნისტები ერთმანეთს დაჭამენ, კაცი კაცზე წავა და მაშინ კი ნამდვილად დადგება მეორედ მოსვლის დრო. მე აღარ ვიქნები; ჩემი სიტყვები კი აუცილებლად გაგახსენდებათ“.

დედაჩემის და დედაჩემის თქმით ბაბუა მიხაკოს ქონდა ძალიან ლამაზი, ტკბილი ხმა, კარგად უკრავდა გიტარაზეც, ხშირად თურმე ბავშვებსაც დასვამდა და ასწავლიდა სიმღერას და გიტარაზე დაკრას. აი, საიდან იცოდა დედაჩემმა ძველი ქართული სიმღერები: „თამარ ქალი“, „ერთხელ ვნახე ისიც სიზმრად...“ „მახსოვს პირველად...“, „ჩონგურს სიმები ვაგუბი...“ და სხვა, რომელთაც ლამაზი, დაბალი ხმით თავის მხრივ, მე და ჩემ მძას გვასწავლიდა ხოლმე ბავშვობისას. საერთოდ დედას, ტკბილი მეორე ხმა ქონდა და ბევრ სიმღერას მღეროდა გატაცებით მამასთან ერთად. მე და ჩემ მძას კი სიმღერის ნიჭი არ გამოგვეყვა. მღეროდა ბაბუა სიმონიც, მამის დედაც — ბებო საშა. ერთხელ ჩემმა მამამ, რომელსაც გაგიჟებით უყვარდა სიმღერა და საერთოდ მუსიკა, თქვა: „ზანდაზან ვფიქრობ, მე რომ სიმღერა შემძლებოდა, ან გიტარაზე დაკვრა, ალბათ, აღარც დაეწერიდ“.

როგორი იყო კიდევ ბაბუა მიხაკო? ძალიან მკაცრი, მომთხოვნი, უყვარდა წესრიგი და უმცროს-უფროსობა ყველაფერში, რაც სწვდასხვა საფეხურზე მდგომ ადამიანებს შორის (გინდ ასაკით, გინდ წოდებით და სხვა) მთლიანად გა-

მორიცხავდა შეზუმრებულ, ლაზღანდარულ დამოკიდებულებას. შეიძლება ეს იყო იმის მიზეზი, რომ დედა, ასევე მისი დაძმები, საკუთარ მშობლებს თქვენობით ელაპარაკებოდნენ. მე და ჩემ მძას დიდი ბაბუა არ გვინახავს, მაგრამ ახლა ვხვდები, რომ დედაჩემის ყოველდღიური ქადაგებები ბაბუა მიხაკოს ქადაგებების გამოძახილია („ჩვენ რაც თვალი გავახილეთ, ბაბუა მიხაკოს ვუყურებდით“ — მითხრა დედამ). დედაჩემის შურიგებელი, უკომპრომისო მოთხოვნა, მკაცრი ზნეობრივი კოდექსი, შრომისმოყვარეობა, თავისი ვნებების დაძლევის, ათოკვის, დათრგუნვის, თავის თავზე გამარჯვებების მთელი სერია, ბაბუა მიხაკოს დამოძღვრის შედეგია. დედაჩემის ლექსიკა, ანთებული თვალეები და ძლიერი, მელერი ხმა, რომელიც აი, უკვე 50 წელია, სულ თავიდან და თავიდან, როგორც პირველად ნათქვამს, ისე იმეორებს, აცოცხლებს სახარებისეულ ცნებებს, ბაბუა მიხაკოში პოულობს სათავეს. ბაბუა მიხაკო ხიდიბერგიშვილი, ქართლის თავადი, იყო ნიჟარაძეების, იმერეთის თავადების ოჯახის მოძღვარი. დედაჩემი კი — ჩვენი, რჩეულიშვილების: „ჩვენი მმართველი პარტია“ — როგორც მამაჩემი ეძახის ხოლმე დედას ზუმრობით. აი, ზოგიერთი ფრაზა, რომელთაც დედას თქმით ხშირად იმეორებდა თურმე დიდი ბაბუა:

„ადამიანი უნდა ემზადებოდეს „იმ“ ცხოვრებისათვის“. ისე უნდა იცხოვროს კაცმა, რომ „იქ“ წაესვლებოდეს“. „შენი თავი არ უნდა გაათამამო, შენ თავს არ უნდა მისცე ყველაფრის უფლება, უნდა შეზღუდო მოქმედებები. როგორც თვითონ უნდა, არა აქვს უფლება ისე იცხოვროს კაცმა, შეზღუდული უნდა იყოს. მერე რა, რომ გინდა! უფლება არა გაქვს ყველაფერი გააკეთო ისე, როგორც შენ გინდა“. „ფრთხილად იყავით, ფრთხილად იყავით ამქვეყნიურ ცხოვრებაზე“.

„შიში, ღვთის შიში გქონდეთ“ „მზად უნდა იყოთ ყოველ წამს ეშმაკთან საბრძოლველად“ და სხვა.

ბაბუას — სიმონ ნიჟარაძეს და ბებოს

— ანეტა კიკნაძეს ოთხი შვილი ჰყავდათ: უფროსი ბაბულია, შემდეგ მოსდევდნენ ერთმანეთის მიყოლებით დედაჩემი, შალვა (შალიკო) და ვლადიმერი (ვალოდია). ვალოდია და დედაჩემი ერთმანეთს გაუდნენ მოუსვენრობით, ბაბულია და შალიკო კი ერთმანეთს თავისი მშვიდი და წყნარი ხასიათით. დედაჩემის მოუსვენარი, დაუდგრომელი ხასიათი პატარაობის სურათებსაც ემჩნევა — საიდანაც იყურება ხუჭუჭთმიანი, ანთებულთვალებიანი გამხდარი გოგონა მოღერებული ყელით. დედას ხელში ქონდა თავისი ძმების სწავლა-განათლების საქმე აღებული. ხშირად იგონებდნენ ხოლმე სახლში, როგორ აკითხავდა სკოლაში თავის ძმებს დედ-მამის მაგივრად. ხან ტუქსავდა მათ, ხან უყვავებდა. მასწავლებლებს ეცილებოდათ, როდესაც სამასწავლებლოში შეანათებდა ხოლმე მატროსკის საყელოიანი, დიდ-ბაფთიანი პატარა გოგონა. ჩაისვამდნენ კალთაში, ეფერებოდნენ და თან თავის ძმების წარმატება-წარუმატებლობის შესახებ ანგარიშს აბარებდნენ. მოწაფეობის პერიოდში დედამ თურმე სახლში გახსნა პატარა სკოლასავით, ჩამოკიდა დიდი დაფა და მათემატიკასა და სხვა საგნებში ამეცადინებდა ჩამორჩენილ ბავშვებს. დედაჩემის მათემატიკისა და ქიმიკა-ფიზიკის ცოდნა, რაც ჩვენი და ჩემი შვილებისა და შვილიშვილების ყოველდღიურ სასკოლო პრაქტიკაში ვლინდებოდა და ვლინდება, ყოველთვის ჩემ გაკვირებას იწვევს, რადგან მე თვითონ ამ დისციპლინების ძალიან ცოტა ვაპყრობი. ერთხელ, თურმე დედაჩემს, როგორც თვითონ ყვება, დილაადრიან მოესმა ეზოდან რაღაც უცნაური ყიყინი და თავისი უმცროსი დის უცნაური ხმაც. გავიდა გარეთ და დაინახა აივანზე გადამგარი მარო, აივნის ქვემოთ კი ეზოში — ინდაურების გუნდი, რომელთაც თავები ზემოთ ქონდათ აშვერილი და დედაჩემის „კაკაკას“ ეხმაურებოდნენ. „ეტყობა მამინ არდაღაგები იყო“, იცინოდა დედაჩემი — „და მარო ინდაურებს ასწავლიდაო“. სახლში განსაკუთრებული სიმშვიდე, წესრიგი და ლაზათი სუფევდა. დედის და

მამის შეხედვა საკმარისი იყო, რომ ბავშვები ოთახიდან ან გასულიყვნენ, ან შემოსულიყვნენ, ან სუფრას მისხდომოდნენ, ან გაკვეთილების სწავლა დაეწყოთ, ან დაემთავრებინათ. როგორც ჩანს, სიტყვებს, რომლებიც გურამისა და ჩემს ბავშვობაში ყოველდღიურად ცოცხლდებოდა ჩვენს სახლში, საფუძველი ნიჟარაძე-ხიდიბერგისვილ-კიკნაძეების ოჯახში ქონდათ: „ერთხელ თქმით რაღაცის გაკეთება“ ბევრჯერ თქმით რაღაცის გაკეთებას აზრი ეკარგება“, „რაიმეს გაკეთება „უთქმელად, მხოლოდ თვალების მინიშნებით“ და სხვა.

ბებო ანეტა ლამაზად ჩაცმულ-დახურული სულ შრომაში იყო, მაგრამ ბებოს მშვიდი ხასიათის გამო, ეს არ იყო სხვებისათვის დამთრგუნველი შრომა. შრომობდა თვითიველი ოჯახის წევრი თავისებურად. ეს შრომის დღეები დედაჩემ-დედაჩემის თქმით იცვლებოდა ნამდვილი დღესასწაულებით, რომელთაც ახლაც კი აღტაცების გარეშე ვერც ერთი ვერ იგონებს: აღდგომა საოცარი პასკებით! პასკების გამოცხობის მთელი რიტუალი, რომლისთვისაც მოწვეული იყო სპეციალური კულინარი. პასკები თავის საფურცლებით, თავისი დასაგორებელი ადგილებით! („იმდენი პასკა ცხვებოდა, რომ ამალელებამდე პურს აღარ ვყიდულობდით“), მითხრა დედაჩემმა, სამზადისი კვერცხის შესაღებად, რომელიც ბებოს განსაკუთრებულად, შინდისფრად წითელი გამოსდიოდა; ლორის შესარჩევად და მოსახარმად, რომლის სპეციალისტადაც ბაბუა სიმონი ითვლებოდა...

დილით ბავშვებს ხვდებოდათ გრძლად გაშლილი სააღდგომო თეთრი ქათქათა სუფრა საზეიმო სერვიზით, რომლის შუამიც დიდ „ბლუდზე“ იღო ლორის უზარმაზარი ნაჭერი, თავისი ვერცხლის დიდი დანითა და ჩანკლით, წითელი კვერცხები კი პატარა, აბიბინებულ ჯეჯილში ეწყო, ზოგი კი შემოლაგებული ჰქონდა დაუჭრელ პასკებს. სააღდგომო სუფრას შემოუსხდებოდა ხოლმე თურმე ერთად მთელი ოჯახი, მხოლოდ მღვდლის დალოცვის შემდეგ, რომელიც აღდგომის



დღეს ყოველთვის მათი სტუმარი იყო. აღდგომას მოსდევდა ამალღება, სულთმოფენობა მეორმოცე დღეს, პეტრე-პავლობა ზაფხულში, მერე შობა თავისი საშობაო ვაღლით „ოცდახუთსა დეკემბერსა ქრისტე იშვა ბეთლემსაო“, თავისი „ალილოთი“ და უცნობი პატარა ბიჭებით სადარბაზო კარებთან: „ქალბატონო ლამაზია გადმოგვივდე აბაზია“. შემდეგ საშობაო სუფრით, რომელსაც ყოველთვის ამშვენებდა მრგვლად შემწვარი უზარმაზარი ინდაური, იმავე ბლუდზე, რომელზეც შობისას ღორის უზარმაზარი ნაჭერი იდო, გარეშემო შემოწყობილი ერთნაირად დაჭრილი შემწვარი კარტოფილითა და კომშით (აი, ეს შემწვარი კომშია, რომელიც ჩვენ ბავშვობაში და დიდობაშიც ყოველ წელიწადს დედას და მამას კამათის საგნად იქცევა ხოლმე, ჩვენი საშობაო ინდაურის შეწვისას. დედა ამბობს, რომ კომში აუცილებელია, მამა, — რომ შემწვარი კომში ყველაფერს უფუჭებს გემოს და ა. შ.) შობას მოყვებოდა ახალი წელი თავისი სჭერის სიმალღე, გაშლილი, დიდბრჭყვიალა ბურთებიანი ნაძვის ხით, სახალწლო საცივით და ბებოს ცნობილი ტკბილი სუფრით, ბებოს გოზინაყით, რომლის რეცეპტიც გასულ წელს ჩემმა რძალმა პატარა ხათუნამ გააკეთა გოზინაყი მთელი ჩვენი დიდი ოჯახისათვის. და იწყებოდა თავიდან, ძალიან ძალე, ისევე საადღგომო მარხვა, „აუცილებლად თევზით“ ბზობისას, შემდეგ მძიმე მარხვით მთელი კვირის განმავლობაში, ვნების კვირით, ჯვარცმით და აღდგომის ზეიმით, დედაჩემსა და დედაჩემს შემორჩათ კიდევ ერთი მოგონება: ბებო ელუკიმ სიკვდილის წინ ორივე ხელის თითებზე დაინთო სანთლები და ისე დალოცა თავისი ქმარ-შვილით, თავისი უსაყვარლესი რძალი, ჩვენი ბებო ანეტა. თითებზე ანთებული სანთლებით და ლოცვით, სიკვდილის პირზე მდგარმა, ბებოსთან ერთად რამდენჯერმე შემოუარა თურმე ოთახში ყველა ხატს.

ახსოვთ კიდევ, რომ ერთხელ ბაბულიას ქონდა ანგინა ძალიან მაღალი სიცხით, ბაბუა მიხაკო არ შორდებოდა საყ-

ვარელი შვილიშვილის სასთუმალს. მერე უთქვამს „ეს ბაბუვი რომ მორჩება ჩემი სიკვდილის დროც დადგება“... ო. მართლაც თურმე დედაჩემის მორჩენიდან მეორე თუ მესამე დღეს დიდი ბაბუა გარდაცვლილა. ისეთი შთაბეჭდილება იყო ოჯახში, თითქოს ბაბუამ იცოდა თავისი გარდაცვალების დღე და თავისებურად ელოდებოდა კიდევ მას.

დიდი ბაბუას გარდაცვალების შემდეგ, სარდაფის სართულში, მოფარებულ ადგილას, იპოვეს ძალიან დიდი წითელი ხისგან გამოთლილი ჯვარი, რომლის პატარა ზერელიდანაც ბარათი იყურებოდა: ბარათში ბაბუა მიხაკო სთხოვდა თავისი ოჯახის წევრებს, ამოეჭრათ ჯვარზე მისი გარდაცვალების თარიღი და მის საფლავზე დაედოთ. ჯვარზე ამოტვიფრული იყო: „აქ განისვენებს მიხეილ ყარამანის ძე ხიდიბერგიშვილი, დაბადებული 18...“ როგორც შემდეგ გაირკვა, ამ ჯვარზე დიდი ბაბუა ღამ-ღამობით მუშაობდა“ თქვა დედაჩემმა, „იმიტომ რომ მისი არსებობის შესახებ ჩვენს სახლში არაყინ არაფერი იცოდა“.

ასეთ ოჯახში გაიზარდა დედა, სადაც ყველაფერს თავისი ადგილი და დრო ქონდა. 17-18 წლის თბილისში წამოვიდა სასწავლებლად. ცხოვრობდა დედის ძმასთან — გიორგი კიკნაძესთან, ყოფილ კალინინის ქუჩაზე. ჩააბარა უნივერსიტეტში აგრონომიულ ფაკულტეტზე, თუმცა თავდაპირველად უნდოდა რომ ექიმი გამოსულიყო. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ დაიწყო მუშაობა იქვე გენტიკის კათედრაზე, სადაც ასისტენტად მუშაობდა მამაჩემი მიხეილ რჩეულიშვილი, რომელსაც დედა შორიდან იცნობდა, როგორც კათედრის ასისტენტს და შეიმღება კიდევ როგორც ივანე ჯავახიშვილის დისშვილს.

ჩვენი გვარი — რჩეულიშვილი, ვიცი, რომ „საქმეებში“ ბევრჯერაა მოხსენიებული, მატიანეშიც. საერთოდ ვაპირებ უახლოეს ხანში ჩვენი გვარის გენეალოგიის მიდევნას წყაროებში და სიაჯახო არქივებში.

ამჟამად მოვიყვან მხოლოდ ჩვენს

ოჯახში შემორჩენილ რამდენიმე ზეპირ გადმოცემას.

მამაჩემს ახსოვს ორი დოკუმენტის არსებობა: ერთი — ნააშობით, მეორე კი თავისი თვლით უნახავს. ერთ დოკუმენტში ნათქვამი იყო, რომ (ხოშივარისძეებმა) შიილეს რჩეულიშვილობა, ცხადია, რაღაც დამსახურებისათვის (სად, როგორ და რისთვის, მამაჩემს არ ახსოვს). ძია ლეოს (მამის ძმის) გადმოცემით კი, ხოშივარისძენი იყვნენ მესხეთიდან, შემდეგ გადმოვიდნენ კახეთში. ერეკლე მეფის ერთ-ერთი ბრძოლის დროს, ჩვენი წინაპარი წაუძღვა თურმე ლაშქარს მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად დროშით ხელში, ამ გამორჩეულობა-გამირობისათვის მეფემ მათ რჩეულიშვილობა უბოძა.

მეორე დოკუმენტში კი, მგონი სიგელში (რომლის მოძიება როგორცა ჩანს შესაძლებელია მამის ბიძის საშა რჩეულიშვილის არქივში) მამას თქმით ეწერა, რომ რჩეულიშვილებს ეძლეოდათ ტახტის აზნაურობა, რაც მათ პირდაპირ აკავშირებდა მეფის კართან და სოფ. კონდოლი თავისი მიმდებარე ტერიტორიებით. ამ დოკუმენტს მამას გადმოცემით ხელს აწერდა თავთავიანთი დიდი ბეჭდებით — ანტონ კათალიკოსი, დარეჯან დედოფალი და თორმეტი ბატონიშვილი.

ჩემმა ბიძაშვილმა გიორგი (გოგა) რჩეულიშვილმა, რომელიც ერთადერთი აგრძელებს ჩვენს საგვარეულოში ბიძაჩემ ლეოს ისტორიულ-არქეოლოგიურ ინტერესებს, ჩემი თხოვნით ჩაიწერა ის, რაც ძია ლეო რჩეულიშვილისაგან ქონდა გაგონილი დაახლოებით ამ 10-15 წლის წინათ:

„ჩვენი შორეული წინაპრები ყოფილან მესხეთის მკვიდრნი, გვარად ჩხაიძეები, გლეხები. ერთ-ერთი ომის დროს რომელიღაც მათგანს დიდი გამირობა გამოუჩენია, რისი წყალობითაც ქართველებს დაუმარცხებია მტერი. ამ ამბის მოწმე თვით საქართველოს მეფე ყოფილა (ოღონდ რომელი მეფე, ეს ძია ლეომ არ იცოდა) ბრძოლის დამთავრების შემდეგ მეფეს მოუკითხავს ჩხაიძე და იქვე ზალხის თანდასწრებით უბოძებია აზ-

ნაურობა და ზედწოდება „რჩეული“, რაკილა იმ ომში თავისი მოქმედებით მართლაც გამორჩეულა ყველასაგან. მისმა შთამომავლებმა უკვე გვარად მიიღეს რჩეულიშვილობა. აზნაური რჩეულიანნი რომ გვიან შუასაუკუნეებში ისევ მესხეთში ცხოვრობენ, ეს ჩანს ახალი ქართლის ცხოვრების ცნობითაც: „...რჩეულიანნი შემოვიწყვენი... ქ. ცხ. II. თბ. 1959 გვ. 519; იქვე საკუთარ სახელთა საძიებელში 679 გვ-ზე: რჩეულიანნი აზნაურთა საგვარეულო“.

ამის შემდეგ რჩეულიშვილები ქართლში, კერძოდ გორში გადმოსულან, სადაც მათი შთამომავლები დღესაც მრავლად ცხოვრობენ. ერეკლე II-ის ხანაში ქართლიდან ერთ-ერთი რჩეულიშვილი, ვინმე სპირიდონი, რაღაც მიზეზით კახეთში გადმოხვეწილა და ერეკლეს კარზე მიხულა. როგორც ჩანს, სპირიდონმა ერეკლეს სამსახურში თავი გამოიჩინა, რისთვისაც მეფეს განუახლებია აზნაურობის სიგელი და კონდოლი მამულიც მიუცია. კონდოლში რჩეულიშვილება მომძლავრდნენ, საიდანაც გასული საუკუნის მეორე ნახევარში (ან შუა ხანებში) ერთ-ერთი მათგანი მიხეილი (მიხაკო) სოფ. ურიათუბანში (ახლა ვაზისუბანი) აზნაურ ლომიძეებს ჩასიძებია. აქედან გაჩნდა ვაზისუბნელი რჩეულიშვილების შტო.

ერეკლეს სიგელი, რომელზედაც თორმეტი ბატონიშვილი და ანტონ კათალიკოსი აწერდნენ ხელს, ძია მიშასაც უნახავს, ხოლო მესხეთში ჩხაიძესთვის ნაბოძები ეს პირველი სიგელი ძია ლეოს ბავშვობაში ჰქონდა ნანახი, მისი თქმით ეტრატზე ყოფილა დაწერილი, ოღონდ კარგად არ ახსოვდა მისი შინაარსი და არც ის, თუ რომელი მეფისგან იყო ნაბოძები. ეს სიგელები ჩვენი გვარის უხუცესის, აწ განსვენებული საშა რჩეულიშვილის ოჯახში ინახებოდა და 1927 წელს ჩხრეკისას ჩეკას თანამშრომლებს წაუღიათ. ვინ იცის, იქნებ, სუკის ძველ არქივებში სადმე შემორჩენილიც არის და არ დაკარგულა. რაც შეეხება იმ ფაქტს, რომ კახელი რჩეულიშვილები ნამდვილად ქართლიდან არიან წამოსუ-



ლები, იქიდან მტკიცდება, რომ პაპაჩემი გიგო რჩეულიშვილი წინაპრების მთავარ სალოცავად გორის ჯვარს თვლიდა. მაჩაჩემი შირიანი რომ დაბადებულა, პაპაჩემს, უკვე ასაკოვან კაცს აღთქმა დაუდვია, თუ ამ ბავშვის დაცოლშვილებას მოეწონებოდა, გორის ჯვარში წავალ სალოცავადო. ამისათვის 200 თუმანი ნიკოლოზის ფულიც დაუდვია საგანგებოდ. პაპაჩემი მალევე გარდაცვლილა, ის ფული კი 1979 წლამდე ინახებოდა ჩვენს ოჯახში (ვაზისუბანში), 1979 წელს მთელი ოჯახით წავედით გორის ჯვარში და ის ფულიც წავედით, რითაც შევასრულეთ პაპაჩემის აღთქმა.

კახეთში არის რჩეულიშვილების მეორე შტოც, ისინი ახმეტაში ცხოვრობენ და სოფ. ბაბანაურიდან არიან. ჩვენთან მათ საერთო ნათესაობა არ უნდა ჰქონდეთ და არც მათ წარმომავლობაზე ვიცის რამე. საერთოდ გვარი რჩეულიშვილი ასეთი ბუნებისაა, რომ სრულიად შესაძლებელია რამოდენიმე ადგილზე ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად წარმოშობილიყო. რაც შეეხება ჩვენს შტოს, მე მგონია, რომ ძირითადად სწორი უნდა იყოს ხაზი, რომლის მიხედვითაც ჩვენი წინაპრები ცხოვრობდნენ მესხეთში, შემდეგ ქართლში და ბოლოს კახეთში. ეს ვერსია სრულიად შესაძლებლად გამოიყურება, რადგანაც უამრავმა სხვა გვარმაც გაიარა იგივე გზა პირადი თუ ქვეყნის მხლებლობიდან გამომდინარე.

გიორგი რჩეულიშვილი. 23. XII.91 თბილისი“.

გვარი „ზოშივარისძე“ პირველად გავიგე ძია ლეოსაგან, როგორც ჩვენი წინაპრების გვარი იქამდე, სანამ „რჩეულიშვილობას“ მიიღებდნენ. შესაძლებელია, რომ ეს იყო ჩვენი გვარის გენეალოგიის ძია ლეოსეული უფრო ადრინდელი ვერსია და შემდეგ, როგორც გოგა რჩეულიშვილის მონათხრობიდან ჩანს, იგი შეიცვალა ჩხაიძის გვართან ისევე, როგორც ის ისტორია თუ სად მიიღო ჩვენმა წინაპარმა ზედწოდება „რჩეული“. საერთოა მხოლოდ ის, რომ ჩვენი წინაპრები მესხეთიდან ყოფილან. ყოველ შემთხვევისათვის საჭიროდ ვცანი არ დაშე-

კარგა ის ვერსიაც, რაც ჩემს მახსოვრობას შემორჩა. ერთი რამ არის ცხადი ყოველგვარი კვლევის გარეშე...

ჩვენ კონდოლელი რჩეულიშვილებავართ. მამაჩემის პაპას მიხეილ რჩეულიშვილს, რომლის საპატივცემულოდაც ქვია მამას თავისი სახელი, შეურთავს ვაზისუბნელი ლომიძის ქალი – ნინუცა ლომიძე, წარმოშობით იმერელი. და მასთან გადასულა ზედსიძედ. ნინუცასა და მიხაკოს ჰყავდათ ერთი ქალი – ანასტასია (ტასო) და სამი ვაჟი: გიგო, ვანო და ტიტო – ჩვენი პაპა, დიმიტრი რჩეულიშვილი, რომელიც ბავშვობიდანვე გამოირჩეოდა საქმიანობითა და შრომისმოყვარეობით.

პაპა ტიტო ბუნდოვნად მახსენდება თელავის სახლში ჩექმებში ჩატანებული შარვლით, გაშლილი მხრებით, თითქოს ხაკისფერ ტანსაცმელში, უცხო გამოხედვით, როგორ შემოვიდა ერთხელ ოთახში, რომელშიც მე აივნიდან შევედი, ძალიან პატარა და დაუცველი. ჩემი ძმა, პაპას გარდაცვალებისას 7-8 წლისა იქნებოდა. პაპა ტიტომ დაამთავრა საინჟინრო-ტექნიკური ფაკულტეტი და მალევე წავიდა მანჯურიაში სამუშაოდ, რათა გამოეწონებინა ხელმოკლე აზნაურის ეკონომიკური მდგომარეობა. რომელიც სუფრისა და ღვინის მოყვარული ნინუცა ლომიძის წყალობით სულ უკან უკან მიდიოდა. ამბობდნენ, რომ მაშინ რუსეთ-იაპონიის ომი მიმდინარეობდა და პაპას მძიმე პირობებში მოუხდა ურთულესი სარკინიგზო გზების გაყვანა. ყვებოდნენ იმასაც, რომ პაპამ თავის დედასა და ძმებს დიდძალი თანხა გამოუგზავნა ცხადია შესანახად, რადგან მომავალში აპირებდა მიწების ყიდვას. დედამისმა კი უმეტესი ნაწილით იყიდა შესანიშნავი ეტლი თავისი ოთხი ცხენით. ბრწყინვალე ჩოხა-ახალუხი გიგოსათვის, ოქროსკედით მოჭედული ქართული კაბა და ჩიხტაკოპი კი თავისთვის. ნინუცა და გიგო, რომელსაც დედამისი გვერდიდან არ იცილებდა, მთელ კახეთში განთქმული ყოფილან თავიანთი სიმღერითა და ცეკვა-თამაშით და საერთოდ მოღონეს უნარი, რასაც ზედ ემატებოდა მათი მონ-

დენილი ვარეგობა და ოხუნჯობის საოცარი ნიჭი.

ჩემი ძმის არქივში შეიქმნა ერთი საქალაქო, რომელშიც მოთავსებულია რაც კი რამ ჩანახატის გამოცალკევება შეიძლებოდა ავტოგრაფებიდან. აქვე ინახება კოკა ივანატოვის ზოგიერთი ესკიზი, რომელთა მიხედვითაც გურამმა მას შოახატინა ოთახი 1957 წელს; ასევე ვაჟა გიგაშვილის, თემო ჯაფარიძისა და ლადო ქოქიაშვილის თითო-ორი ნახატიც. აქვეა ერთი საოცრად ძველი, გაცრეცილი რვეულის ფურცელი, რომელიც რაღაცა ძალით შემორჩა გურამის ნაწერებში. ამ რვეულის ფურცლის მთელ სიგრძე-სიგანეზე ხატია ყალფზე შემდგარი ულამაზესი ცხენი, ვარსკვლავიანი უნაგირით ზურგზე. ლაგამამოდებული, რომლის ადვირის ბოლოები, თითქოსდა მხედრის მოლოდინში, უმხედრო უნაგირის ზურგზეა გაჩერებული პაერში. ყალფზე შემდგარი ცხენი თითქოს აპირებს გადააბტეს გზას, რომელიც მიიკლაკნება ზევით, ალბათ მთისკენ. ქვეშ აწერია: „სახს. გურამს გია“. ფურცლის ბოლოს მინაწერი მთლიანად წაშლილია.

მეორე მხარეს კი ორი წარწერაა: ერთი ფანქრით, რომლის დასაწყისისაც მხოლოდ ორი ასო შემორჩა: „გუ... რომ ჩამოვლდ კარგი ცხენი უნდა ჩამოვიყვანო, ისეთი რომ სულ მაღლა, მაღლა ხტოდეს“

მამ გურიკო  
მშვიდობით“

მეორე კი — მელნი: „დახატულია ბრძოლის წინ, რომელშიაც დაიღუპა ჩემი მოსიყვარულე ძია გია“.

რაღაცა, ამ მელნით ნაწერი ასოების მოყვანილობაში და მელნის ფერში (იისფერი და არა ლურჯი, რომლითაც ნაწერია გურამის თითქმის ყველა ავტოგრაფი) მაფიქრებინებს, რომ ეს მინაწერი გურამმა გააკეთა. მართალია, ამ ცხენის დახატვიდან ძალიან დიდი ხნის შემდეგ, მაგრამ ეს უნდა ყოფილიყო იქამდე, სანამ დადგებოდა 1956, ე. ი. სანამ დაიწყებოდა ჩემი ძმის მისიის აღსრულების წლები, იქამდე, სანამ გურამი ზურგზე მოექცეოდა ყალფზე შემდგარ

ცხენს, ადვირს აიღებდა ხელში და უდგებოდა ქრისტეს ეკლებით დაფარულ, მთისკენ მიმავალ გზას, ანუ სანამ გახდებოდა ქრისტეს მხედარი.

ეს სურათი საოცარია ახლა ჩემთვის თავისი სიმბოლური შინაარსით, შეიძლება, თვით გურამისთვისაც სიმბოლური იყო ის და ამიტომაც შემორჩა არქივს.

აქვს ამ სურათის მართლაც რაიმე მისტიკური მნიშვნელობა, რომელშიც უცერად, დიდი ხნით ადრე გამოვლინდა გურამის მომავალი ცხოვრება, რომელიც თუნდაც თავის გარე სიუჟეტურ ხაზში მუდმივად ცხენთან იყო დაკავშირებული, თუ ეს უბრალო დამთხვევაა!

შეიძლება ეს მხოლოდ ფორმაა, ფიტული, მთლიანად დაცლილი შინაარსისაგან, რომელსაც არაფერი საერთო არა აქვს უხილავ წყალქვეშა დინებებთან!!!

შეიძლება, მაგრამ საოცარი დამთხვევაა — რამდენჯერ გამოუქროლდა გურამს თავის წინ, რეალურ ცხოვრებაში, ლაგამამოდებული უმხედრო ცხენი, რამდენჯერ აიღო ხელში უმხედროდ მიტოვებული ადვირი, რამდენჯერ გადააჯდა უბელოს, რამდენჯერ გაიჭრა ცხენზე ამხედრებული სადღაც წინ, გაურკვეველი მიმართულებით, სრულ გაუჩინარებამდე — თითქოსდა სამუდამოდ და რამდენჯერ დაბრუნდა უკან ისევე მოულოდნელად, რადგან როგორც შემდეგ გაირკვა, მისი დრო ჯერ კიდევ არ იყო მოახლოებული.

გია რჩეულიშვილი, ამ სურათის ავტორი იყო მამის ბიძაშვილი, ვაჟაკი ბიჭი, ვაჟიშვილი სწორედ იმ მომენტში ვიგოსი. მას ვანსაკუთრებით უყვარდა თურმე პატარა, ცუელი, მოუხვედარი გურამი. დედას გუშინდელივით ახსოვს, როგორ იხსდნენ გურამი და გია ჩვენს სარდაფის სართულში დიდ მაგიდასთან, გიას ომში წასვლის წინა დღეს და როგორ უხატავდა გია ცხენს გურამს, რომელიც სულგანაბული თვალფურს ადევნებდა.

ვიგოს მემკვიდრე მირიან რჩეულიშვილი (რომლის საშუალებითაც გურამი და მე ვეზიარეთ პაპა ვიგოს იუმორისა და ეშხის მადლს) თავისი ოჯახით ახ-



ლაც ცხოვრობს ვაზისუბანში, სოფლის განაპირა ამაღლებულ ადგილას, რომელიც პაპაჩემბა დარჩენილი თანხით იყიდა ციმბირიდან ჩამოსვლის შემდეგ მიწის სხვა ნაკვეთებთან ერთად. ამ ადგილზე მოგვიანებით თავისი პროექტით და ხელმძღვანელობით პაპამ ააშენა სახლი, რომელიც ახლაც ღვას ბიძაჩემი მირიანის წყალობით, მთლიანად შეუცვლელი, ყოველგვარი მიშენებ-მოშენებდაშენების გარეშე. გზაზე თელავისკენ ან თელავიდან ყოველთვის გვიყვარდა ხოლმე, უკვე ბიძაჩემის გარეშე დარჩენილ კანაანთ (ყოფილ ლომიძეანთ) უბანში შევლა, სადაც მაღლობზე გზის დასაწყისიდანვე ჩანს ქართული აგურით ნაშენი ლაზთიანი შენობა, ფართო კარფანჯრებით, გაშლილი, უზარმაზარი, სახლზე მრგვალად შემოვლებული აივნით, რომელსაც მთელ სიგრძე-სიგანეზე სახურავის პირას მიყვება ძლიერი, მსხვილტოტება, ხეივრა მცენარე, სხვადასხვაფერ მწვანე ფოთლებში ჩაფლული მოგრძო, მოდიდო, მოწითალო ყვავილებით, რომელიც უკანა უხოს მარმარილოს კიბის თავზე ფარდასავით ეშუება. იყო რაღაც, მთელი ამ სახლის უკვე ღარიბულ, მაგრამ ამაყ, თავადურ იერში, — რაც საოცარ კონტრასტს ქმნიდა სოფლის ღოჯებიან, ადესიან, მჭიდროდ, ეკონომიურად ნაშენ სახლებსა და კარმიდამოსთან, სადაც მხოლოდ სიღამაზისათვის დარგულ-აშენებული არაფერი ჩანდა.

ლომიძეანთ უბანში ახალი სახლის ჩაღმა პაპამ ციმბირიდან ჩამოსვლის შემდეგ გადაწყვიტა. შესაძლოა, პროექტზეც ამ დროს დაიწყო მუშაობა. პარალელურად კი შეუდგა ფრანგულის სწავლას სოფლის მასწავლებელთან ალექსანდრა (სამა) ჯავახიშვილთან, რომელმაც თბილისის ფრანგული ლიცეუმის დამთავრების შემდეგ, იმის მაგივრად, რომ სწავლის გასაგრძელებლად თავისი ძმების გზას გაყოლოდა პეტერბურგისაკენ, როგორც მშობლები თავაზობდნენ, სოფლის მასწავლებლობა აირჩია. ხალხოსნური მოძრაობა ბებოს ბუნებასთან უფრო ახლო აღმოჩნდა, ვიდრე რუსეთში სწავლის სურვილი. პაპა ტიტო

ამჯერად უკვე ერზერუმში წასასვლელად ეზადებოდა და ამიტომ სწავლობდი ფრანგულს. ერზერუმში პაპა დაცოლშვილების შემდეგ წავიდა, რუსეთ-თურქეთის ომის დროს და თან წაიყვანა თავისი ძმა ვანოც, რომელსაც თურმე იგივე საინჟინრო-ტექნიკური ფაკულტეტი ქონია დამთავრებული. სახლში ერთი პატარა, ძველებური სკივრი გვიდგას, მეტაღის ფართო საღტეებით და ლამაზი საკეტით. ამბობენ, რომ ვითომც პაპამ ბებოს ის სკივრი ოქროებით სავსე გამოუგზავნა, რომლის უმეტესი ნაწილი, ახლა უკვე ბებოჩემი საშის წყალობით ქერივობლების საპატრონოდ და მოსაკითხად წასულა. იმასაც ვვებოდნენ, რომ პაპა ბებოს სპეციალურად ცალკე უგზავნიდა დასარიგებელ თანხას, მაგრამ როგორცა ჩანს, საპატრონო და მოსაკითხი მეტი იყო, ვიდრე პაპას მიერ საგანგებოდ გამოყოფილი თანხა.

ბებოჩემი ალექსანდრა (სამა) ჯავახიშვილი ეკუთვნოდა ქართლელი თავადების ჯავახიშვილების დიდ გვარს. რა ხალხური ლექსი და ანდაზა არ გამიგონია ბავშვობიდან ჩვენ სახლში, მაგრამ იმ ხალხურ ლექსს, რომელიც აქვე მომყავს, მე თვითონ გადავაწყედი ხალხური ლექსების კრებულში ბავშვობისას:

„თარხნიანთ ქალობო,  
ციციანთ ქალობო,  
ჯავახიანთ გონებაო,  
მუხრანიანთ ქონებაო“.

ეს ლექსი ალბათ იმიტომ არ გამიგონა ჩვენ სახლში, რომ ამ საგვარეულოს წარმომადგენლებისათვის ეს „ჯავახიანთ გონება“ იყო მხოლოდ რაღაც აბსტრაქტული იდეალი, რომელთან მიახლოების ღირსადაც კი არა თვლიდა თვითეული ოჯახის წევრი თავს, არათუ ეამყათ გვარის იმ გამორჩეულობით, რასაც ხალხი უძღვროდა.

ჯავახიშვილების სახლიც, ხოვლეში, სოფლის განაპირა, ამაღლებულ ადგილზე იდგა. ბებოს მამა, ალექსანდრე ჯავახიშვილი, როგორც პედაგოგ-ინსპექტორი, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მუშაობდა — გორის, სიღნაღის, თელავის მაზრებში, ხოლო შემდეგ კი თბილი-



სში. გადმოცემით ვიცი, რომ ალექსანდრემ, დიდმა პაპამ, თავისი მომავალი მეუღლე პატარა სოფიო ჯავახიშვილი, თელაველი ვახვახიშვილების ქალი, თბილისში გაიცნო, ავლაბრის უბნის სკოლაში, რომლის დირექტორადაც მუშაობდა ის გარკვეული პერიოდი. ალექსანდრე ჯავახიშვილსა და სოფიო ვახვახიშვილს ექვსი შვილი ჰყავდათ: ეკატერინე (ბებო კატო), ივანე (პაპა ვანო), გიორგი (პაპა გიორგი), მიხეილი, ალექსანდრა (ჩვენი ბებო საშა) – დაბადებული 1881 წლის 9 აპრილს) და ყველაზე უმცროსი ვაჟიშვილი დავითი (დათა).

სოფიო ვახვახიშვილი (ბებო სონა) გამოირჩეოდა თურმე ძლიერი, პრინციპული ხასიათით, გულთბილობით და საოცარი შრომისმოყვარეობით. ალექსანდრე ჯავახიშვილი კი – მაძიებელი, აქტიური ბუნებითა და ცოდნის შეძენის საოცარი წყურვილით. აი, ამ მაძიებლობაში იყო, როგორც ჩანს, გვარის პოტენციის თავისებურება თავმოყრილი, თორემ ხალხი ჯავახიშვილების ძირითად თვისებად გონებას არ წამოსწევდა წინ; ეს იყო „ვნებად ქცეული გონება“ – როგორც ერთხელ მითხრა გურამმა, როდესაც შექსპირის ჰამლეტზე ვლაპარაკობდით. დიდი პაპის მაძიებელმა ბუნებამ ერთის მხრივ გააგრძელა და მეორე მხრივ, საფუძველი ჩაუყარა კიდევ მომავალ მაძიებლებს... საქართველოს ინტელექტუალური არისტოკრატია, მთელ თავის ცხოვრებას თავდაბალ, ყოველდღიურ, მეცნიერულ შრომაში ატარებდა. მისი გონება, ძალისხმევა მიმართული იყო სამყაროს, ჭეშმარიტების არსის წვდომისაკენ; იგი თავის თავში გრძნობდა ძალას, უნარს, და ამდენად მოვალეობასაც, საქართველოს კულტურის და მეცნიერების ისტორიაში, ამა თუ იმ საკითხის შესწავლა-სისტემატიზაციისა თუ პრაქტიკულ დანერგვაში თავისი წვლილი შეეტანა. როგორცა ჩანს მთელი გვარის პოტენციური შესაძლებლობების აკუმულაცია მოხდა ივანე ჯავახიშვილში, რომლის მეცნიერული და საზოგადოებრივი მოღვაწეობა თითქოსდა ცილდებოდა ერთი აღმზანის შესაძლებლობებს.

დიდ პაპას, ალექსანდრეს, თურმე ძალიან კარგი წიგნსაცავი ქონდა ხოვლეში, რომელსაც გაუთავებლად ამდიდრებდა ახალ-ახალი ლიტერატურით. ურნალ-გაზეთებით. მას შემდეგ, რაც თავისი ვაჟიშვილები გაისტუმრა პეტერბურგს, გერმანიასა და დერბსკში სასწავლებლად, მან თურმე უამრავი სპეციალური ლიტერატურა გამოიწერა სხვა-დასხვა ენებზე იმ დარგებში, რომელთაც მისი შვილები ეუფლებოდნენ ქვეყნის სხვადასხვა კუთხეებში. ასე რომ საზაფხულოდ ჩამოსულ სტუდენტებს ხოვლეში ხვდებოდათ ჩინებული ბიბლიოთეკა და მათ დარგებში განსწავლული მამა, რომელიც მუდამ მზად იყო შვილებთან სასაუბროდ და საპაქტოდ. ზაფხულის არდადეგები ხოვლეში მიდიოდა საინტერესო საუბრებში, კამათებში და საოჯახო კონცერტებში. ივანე უკრავდა ვიოლინოზე, როიალზე, ბებოჩემი თურმე მშვენივრად მღეროდა, მეონი დათა უკრავდა ჩელოზე... აი, წინადადება გურამის მოთხრობიდან ჩემი მოგონების განსამტკიცებლად – „ბებო გვიყვებოდა როგორი გუნდი ქონდათ და-ძმებს, რა კარგად მღეროდნენ“. ამ კონცერტებში ხანდახან მონაწილეობას იღებდა სტუმრად ჩამოსული ზაქარია ფალიაშვილიც. ივანე პეტერბურგში სწავლობდა, გიორგი პალეონტოლოგიას ჯერ დერბსკში ეუფლებოდა, შემდეგ – გერმანიაში, დათა იურიისპრუდენციას – გერმანიაში და პეტერბურგში... ბებოსგან ასე მახსოვს, რომ დათა, უმცროსი ვაჟი, ბრმა ნაწლავის ოპერაციის შემდეგ, 28 წლის ასაკში გარდაიცვალა პეტერბურგში, სადაც ის ივანესთან ერთად ცხოვრობდა. ბებოსგან მახსოვს ისიც, რომ დათას თბილისში ყავდა დანიშნული ჩიჯავაძის ქალი – ელენე, რომელსაც დათას გარდაცვალების შემდეგ არამცთუ აღარ უფიქრია გათხოვებაზე, მიუხედავად თავისი სილამაზისა, არამედ სრულიად აბალაზრდას, ისევე, როგორც მოგვიანებით ბებოჩემს, თავისი უსაყვარლესი შეუღლის გარდაცვალების შემდეგ, თავისთვის აუკრძალავს ყველანაირი გასართობი, დია ფერის ტანსაცმელი, თავშესაქ-





ცევი, ერთი სიტყვით, ყველაფერი — შრომისა და კითხვის გარდა (ბებომ აიკრძალა თავისი საყვარელი სიმღერაც კი, ამიტომ ბებოს ამ ნიჭის შესახებ მე და გურამმა მხოლოდ გადმოცემით ვიცოდით). ელენე და მისი უმცროსი და ნატაშა ბებონების ახლო მეგობრები იყვნენ და ხშირად ჩადიოდნენ თელავში ბებოსთან სტუმრად.

ბებოს და ეკატერინე, ჩვენი ბებიდა კატო (რომელიც მე და გურამს ბავშვობისას პაპა გიორგის მეუღლე გვეგონა) თურმე განსაკუთრებული სილამაზით გამოირჩეოდა. ის ადრევე გათხოვდა გენერალ კრივეცკიზე და თავის მეუღლესთან ერთად დასახლდა ყოფილ პიონერთა სასახლის დარბაზში. მათ არა ჰყავდათ საკუთარი შვილი. ამბობდნენ, რომ მეუღლის გარდაცვალებამ ბებო კატოს ფსიქიური ტრავმა მიაყენა. შეიძლება ამას ამბობდნენ იმიტომ, რომ ბებო კატო ერთადერთი იყო მთელ სახლში, რომელიც მკაცრი ეკლესიური ცხოვრებით ცხოვრობდა. მეუღლის გარდაცვალების შემდეგ მას დარჩა დიდძალი ქონება, რომლის უმეტესი ნაწილი ხმარდებოდა ღარიბი სტუდენტობის შენახვას. მეუღლის გარდაცვალების შემდეგ ბებო კატო თავის დედასთან ერთად დასახლდა თავის ძმასთან — ივანე ჯავახიშვილთან ორბელიანების დიდ სახლში, ყოფილ ნიკოლოზის ქუჩაზე (ამჟამად ჯავახიშვილის ქუჩა).

ბებო ვაზისუბანში ასწავლიდა ქართულს, რუსულს, ფრანგულს და სხვა. პაპას ასწავლიდა ფრანგულს და როგორც ამბობდნენ, მათ ერთმანეთი გაგიჟებით შეუყვარდათ. ეს საყვარული თვითუღს თავისი სიცოცხლის ბოლო დღეებამდე გაყვა.

პაპა და ბებო (რომელზეც მისი დედა — სოფიო ვახვაზიშვილი დიდი ხნის განმავლობაში განაწყენებული ყოფილა, რატომ გაჰყვა აზნაურს ცოლად) მთელი ენერგიით, სულით და გულით გადაეშენენ საქმიანობაში, რათა თავისი მომავალი ოჯახისათვის ჩაეყარათ საფუძველი. დამთავრეს სკოლიდან უბანში, ის მაღლობზე მდგარი რჩეულიშვილების

სახლი, რომლის უკანა ოთახშიც დაიბადა მამაჩემი 1908 წელს. იგიდეს დიდი სავენახე ადგილი, ჩაყარეს ვაზი, ზოგიერთი ჯიში უცხოეთიდანაც კი გამოიწერეს — მაგალითად „კაბერნე“, რომელმაც მამაჩემის თქმით, „ძალიან კარგად იხარა ქართულ მიწაზე და საიდანაც საუკეთესო ღვინო იწურებოდა“; გააშენეს შესაშური ხეხილის ბაღი. პაპა და ბებო გამოირჩეოდნენ არაჩვეულებრივი შრომისმოყვარეობით.

ცოტა ხნის წინ მამამ ტელერეჟისორს კითხვაზე, — „როგორი იყო თქვენი შვილი“, უეცრად, ყოველგვარი ფიქრის და ყოყმანის გარეშე უპასუხა: „გურამი იყო ძალიან შრომისმოყვარე“. ახლა ვხვდები, მაშინ კი გამიკვირდა ეს პასუხი, გამიკვირდა იმიტომ, რომ გარე თვალთახედვით გურამზე ყველაფრის თქმა შეიძლებოდა გარდა იმისა, რომ შრომისმოყვარე იყო. მითუმეტეს, რომ ასეთად არც მამას აღუქვამს ოდესმე. სიმართლე რომ ითქვას არც სხვა აღიქვამდა შრომისმოყვარედ. უფრო პირიქითაც კი იყო. მხოლოდ ჩემი ძმის გარდაცვალების შემდეგ გაიკვია, რომ ისევე როგორც ბებო სხვა შემთხვევაში, ის უბრალოდ შრომისმოყვარეობის ჩვეულებრივ, მიღებულ ფორმებს არღვევდა — ვთქვათ, წიგნებსა და ფურცლებში ჩაფლული ხანგრძლივად არ იჯდა ხოლმე მაგიდასთან. გურამის ეს შრომისმოყვარეობა ოჯახისა და სხვებისთვისაც გასაგები გახდა მას შემდეგ, რაც აი, უკვე თითქმის მზადაა გურამის შემოქმედებითი შემოქმედების ოთხტომეული, რომელიც სულ ოთხ წელიწადშია შექმნილი.

მხოლოდ ახლა, წერის დროს, როდესაც სულ თავიდან და თავიდან ამოტივტივდება ხოლმე ჩვენი წინაპრების ეს თვისება, მხოლოდ ახლა ვხვდები, რომ შრომისმოყვარეობა ერთ-ერთი იმ ცნებათაგანია, რომლის მნიშვნელოვნობა ბავშვობიდანვე მესმოდა და რომელიც შემდგომ ჩემთვის ადამიანთა შეფასებისას გარკვეული კრიტერიუმში გახდა. აი, სურათი ჩემს თაროზე, რომელიც ბავშვობისას ერთმა თელაველმა მორწმუნე

რუსის ქალმა მარქუა და თან დააყოლა: „აი, ნახე როგორი სურათია! იოსები, მარიამი და პატარა იესო სხედან და მუშაობენ. როგორი ბედნიერი და მშვიდი სახეები აქვთ. იოსები იესოს ღურგლობას ასწავლის. მარიამი ძაფსა რთავს. აი, ამ სურათიდან ჩვენ ვიგებთ, რამდენი სიკეთის მოტანა შეუძლია შრომას“. მაშინ გავიგე და მეხსიერებაში ჩამრჩა ის, რაც ბრონიამ, იმ მორწმუნე რუსის ქალმა თქვა. ახლა კი ვხვდები, რატომ მიზიდავდა ბავშვობიდან და ახლაც მიზიდავს „ოთარანთ ქერივში“ ის პასაჟები, სადაც ოთარანთ ქერივის კარმიდამოსა და საცხოვრებელი ოთახების დახასიათებისას, ისევ და ისევ მეორდება სიტყვები: — „წმინდა, ფაქიზად შენახული“, „სიფაქიზე და დავეილ-დაწმენდილობა“, „ორივე ქვაბი ძალზედ დაწმენდილ-დარეცხილი“, „ფარდავები კარგად შენახული და ნაპატრონები“; „ნაპატრევი, კარგად მოვლილი ვენახი“ და სხვა. სიტყვები, რომელნიც მის საოცარ, დაუღალავ, სასურველ შრომისმოყვარეობაზე მეტყველებენ. მახსოვს როგორი ნაცნობი და გასაგები იყო ჩემთვის პერმან ჰესეს გმირის, პარი პალერის პათოსი, როდესაც ის, თავისი ბინისკენ მიმავალი, ჯდებოდა კიბეებზე სხვისი ოთახების წინ, სხვა სართულზე და რელიგიური ექსტაზით ისუნთქავდა საოცარი სისუფთავის ატმოსფეროს ჩუმ ნათებას, რასაც გამოსცემდა განსაკუთრებული მონდობით გაწმენდილ-გასუფთავებული გარემო, სადაც საგულდაგულოდ გარეცხილი, გაპირილი, გატოტილი მცენარის თითოეული ფოთოლიც კი მეტყველებდა, რომ ამ სადარბაზო კარების იქით შიშვინარეობდა ცხოვრება სავსე წესრიგით, შრომით, მოვალეობის გრძობით, სადაც ყველაფერი მეტყველებდა იმ ხალხის ათოკიდ ვნებებზე, დღის რეჟიმზე, რომელიც დიდიდან საღამომდე გულმოდგინებით, დაუღალავად, წლიდან წლამდე, ემსახურებოდა ერთიდაიგივე რაღაცას.

ასე რომ, ბებო და პაპა, ძლიერი სიყვარულით შეუღლებული ორი ადამიანი, მთელი სულიერი და ფიზიკური ენერ-

გიით შეუდგა მომავალი ოჯახისათვის საძირკველის ჩაყრას. პაპა სამსახურში ძალიან დატვირთული იყო, როგორც მია ლეოსაგან გამიგონია, კახეთის სავგზაო და სარკინიგზო გზების ყველაზე რთული ობიექტები პაპას ებარა. გადმოცემით ვიცი ისიც, რომ თბილისის მტკვრის სანაპიროს ყველაზე ძველი უბანიც პაპამ გაიყვანა.

ახლა ჩემ წინაშე დევს ოდნავ გაყვითლებული, მოყავისფრო, მუყაოზე დაკრული ფოტოსურათი, რომელიც ბუნდოვნად ჯერ კიდევ ბავშვობიდან მახსოვს. მაშამ სულ ათოდე წელია, რაც იგი თავისი კაბინეტის შუშისანი კარდის თაოზე დაღო, თავისი წინაპრების სხვა სურათებთან ერთად. ამ სურათის უკანა მხარეს წერია: „26. VII 1907-5. ქ. არზრუმი“. ერზრუმში პაპა დაოჯახების შემდეგ წავიდა სამუშაოდ. ამ სურათის კომპოზიცია აი, უკვე 50 წელია, რაც სულ თავიდან და თავიდან, ყოველდღე ცოცხლდება ჩემს წინ:

დიდი საწერი მაგიდა, მაგიდაზე კაღისტრები, სამელნე, წიგნები, ფურცლები; მაგიდასთან ზის: ამ სურათზე — პაპა ტიტო, სხვა სურათზე — პაპა ვანო კიდევ სხვაზე — პაპა გიორგი, და ყოველდღე ვხვდავ როგორ ზის ასეთივე მაგიდასთან 84 წლის მამაჩემი, ოდნავ დაღლილი, ფიქრიანი, რომელთან გამოლაპარაკებისას ასეთ შემთხვევებში იგრძნობა, რომ სწრაფადვე უნდა შეწყვიტოს საუბარი და თავის სამყაროს დაუბრუნდეს, რომელიც იმ წვრილი ხელით ნაწერ ფურცლებში ვლინდება. ამ სურათის კომპოზიცია, გარემო, სადაც ზის პაპა, თან ძალიან ნაცნობი და ახლობელია ჩემთვის, თან განსაკუთრებული და იშვიათი — როგორც რაღაც უცნობი, უცხო, ძალიან ლამაზი ნახატი...

სურათის უკანა პლანზე ჩანს დაბალა კარაღა, მაგიდის ნათურით, რომელიც ანათებს მხოლოდ კედლის ერთ მხარეს. იქვე დევს რაღაც საქალაღდეები — ალბათ, პაპას პროექტებით, გეგმებითა და ანგარიშებით; ფეხიან ჩარჩოში ჩასმული ფოტოსურათი, დარწმუნებული ვარ, რომ ეს ბებო საშაა, პაპას მეუღლე, კარადის

გვერდით მთელ კედელზე კიდია ჭრელი ორნამენტებიანი ჯეჯიმი, რომელიც ჩემი ბავშვობის ინტერიერს აცოცხლებს. განათებული თეთრი მაგიდის ერთ კუთხეში კრიალოსანი დეკს, მეორეში — პრესპაპიე, სამელნეები, მაგიდის კალენდარი; მაგიდის აქეთ-იქიდან ერთ მხარეს ტყავადაკრული სკამი დგას, მეორე მხარეს — დიდი საქანაო ხავარძელი. პაპა წელში გამართული, გაშლილი მხრებით ზის მაგიდასთან, აცვია თეთრი კიტელი, ბოლომდე წვრილ ღილებზე შეკრული, მაგიდის ქვემოდან ჩანს შარვალი-ჩატანებული ჩექმები. თმები და წვერულვაში ლამაზად დავარცხნილი აქვს. საერთოდ, მთელ სურათზე იგრძნობა არაჩვეულებრივი წესრიგი და საქმიანი ატმოსფერო. რომელი შვილი გავს პაპას გარეგნობით? შეიძლება ძია ვახტანგი.

მე მგონი, მამა და ძია ლეო თავისი იერით უფრო ჯავახიშვილებისავენ არიან. პაპას მოწესრიგებული, საქმიანი და თითქოს მკაცრი გარეგნობის უკან ადვილად ამოიცილობა ის ლირიული, რომანტიული ახალგაზრდა, დახვეწილი, ლამაზი სახითა და მეოცნებე თვალებით, რომელიც ჩვენი სასაფლაო ოთახის კარადის თავზე დიდ, ლამაზ, ძველებურ ჩარჩოში ჩასმულ სურათზეა აღბეჭდილი. პაპას ეს სურათი განსაკუთრებით მიყვარდა მთელი ბავშვობა და ბებომაც, ამ განსაკუთრებული სიყვარულის ჯილდოდ ეს სურათი მე მიანდერძა.

ბებომ მითხრა: „ტიტო ძალიან ლამაზი იყო, მე კი უშნო ვიყავი ყოველთვის, კატოსაგან განსხვავებით. ხოვლეში ერთი ფოსტალიონი გყავდა. ჩემი გათხოვების ამბავი რომ გაიგო, მთელი სოფელი მოიხრბინა ახალი ამბით — საშა უშბითვოდ გათხოვდა, საშა უშბითვოდ გათხოვდაო“. ბებოს ქონდა თურმე სქელი, წითური თმა. მე ბებო ჭადარაშიანი მახსოვს მხოლოდ. თუმცა ბებოს განსაკუთრებულად რბილ, თეთრ ხელებში, ისე როგორც ძია ლეოს ხელებშიც, იგრძნობოდა წითურათმიანი ადამიანებისათვის დამახასიათებელი სითეთრე. ჩემი ძმის წვერულვაშსაც საკმაოდ გამოკვეთილად დაჰკრავდა ჟღალი ფერი. (ისე

აშკარად წითურა თმა მხოლოდ ძია ვახტანგის მემკვიდრეებს დაეკავთ), თეთრი, ქათქათა, სანდომიანი პირსახე და დიდი, თაფლისფერი, კეთილი, ნაღვლიანი თვალები.

ბებოს და პაპას ჰყავდათ სამი ვაჟიშვილი: ვახტანგი, მიხეილი და ლევანი. ორი ტყუპი ქალიშვილი დაბადებისას გარდაიცვალა, მოგვიანებით ბებომ იშვილა პაპას ბიძაშვილის შვილი, ადრე დაობლებული ნატაშა რჩეულიშვილი, რომელსაც ბებო თავისი ღვიძლი შვილებისგან არ არჩევდა. თავდაპირველად ყველა ერთად ცხოვრობდა ვაზისუბანში, შემდეგ, როდესაც ბავშვების სკოლაში სიარულის დრო დადგა, გადავიდნენ თელავში, სადაც ცოტა ხანში ნადიკვარზე იყიდეს ვახვაზიშვილების სახლი თავისი კარმიდამოთი, რომელშიც ახლაც ცხოვრობს ზაფხულობით ჩვენი და ბიძაჩემის ოჯახი, თუმცა წელს პირველად, ძალიან დიდი ხნის შესვენების შემდეგ, ზამთარშიც ახმინადა ჩვენი სახლი, რადგან ამ ზამთარს თელავში საცხოვრებლად და სამუშაოდ გადავიდა ჩემი შვილი თავისი ოჯახით. ბებო და პაპა დასახლდნენ და შეუდგნენ ბავშვების სწავლავანათლებას. ბიჭები ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავდებოდნენ ხასიათით. თუმცა გავდნენ ერთმანეთს ისევე იმ შრომისმოყვარეობით, რომლის მაგალითსაც, როგორცა ვთქვი, მათ უზვად აძლევდა საკუთარი ღელ-მამა, გავდნენ ასევე მიზანსწრაფვით, შემოქმედებითი ენერგიით, რაც საფუძვლად დაედო თვითულის სრულიად განსხვავებულ გზას. „მიშა და ლეო ერთმანეთისაგან მთლიანად განსხვავდებოდნენ“ — ახლაც იგონებს დედა — „მიშა სიტყვაძუნწი იყო, სულ მუშაობდა, ლეოც სულ ზაზვასა და შრომაში იყო გართული, მაგრამ მიშასაგან განსხვავებით, ძალიან უყვარდა ურთიერთობები. გუშინდელივით მახსოვს, როგორ ჩამოსხდებოდნენ კიბის თავში ლეო და ბებო საშა და საათობით ლაპარაკობდნენ. მიშა კი როგორც ჩამოვიღოდა თელავში, მაშინვე გავარდებოდა ან სანადიროდ, ან სამსახურის საქმეებზე“. განსაკუთრებით ძნელი აღსაზრდელი ყოფი-

ლა ბიძაჩემი ვახტანგი, რომელიც ერთხანობას თბილისის სადღეღამისო პანსიონშიც კი მიაბარეს, საიდანაც ძალიან მალე ათმაგად გაცულქებულ იდებრუნდა. ვახტანგი იყო უაღრესად ნიჭიერი, მგონი თხუთმეტი წლისამ „ექსტერნად“ დაამთავრა სკოლა და მაშინვე გააგრძელა სწავლა უნივერსიტეტში საინჟინრო ფაკულტეტზე. ვახტანგი დაიღუპა ზღვაში უბედური შემთხვევის გამო, სრულიად ახალგაზრდა, 28 წლის ასაკში. ძია ლეო მეტ ნაწილს ოთახებში ატარებდა ბებოსთან ერთად. სწავლობდა ენებს, მუსიკას, ხელოვნებას. მამაჩემი უფრო გარე ცხოვრებით ცხოვრობდა. ყავდა ცხენი, რომლის ჭენება ბავშვობიდანვე გაგიჟებით უყვარდა. უყვარდა კრივი, ქართული ჭიდაობა, ოცნებობდა ქაქუცას რაზმელობაზე, ყავდა კიდევ იმ რაზმში უფროსი ამხანაგები, ამიტომ არაერთი ისტორია იცის იმ ამბებთან დაკავშირებული. ხანამ მამა წამოიზარდა, ქაქუცას რაზმელები უკვე გაქცეულ-დაჭერილი აღმოჩნდნენ და მშობლები იძულებულები გახდნენ მამა, როგორც ეჭვმიტანილი, გადმოეყვანათ თბილისში პაპიდა ტასოსთან (მამაჩემისათვის მამიდა ტასოსთან) ჯერ კიდევ სკოლის დამთავრებამდე და მგონი, მასაც „ექსტერნად“ მოუხდა დასამთავრებელი გამოცდების ჩაბარება. მამას გადაწყვეტილი ჰქონდა ისტორიულ ფაკულტეტზე შესვლა, მაგრამ რადგან მისაღები გამოცდები უკვე დამთავრებული იყო და ფაქტიურად იგი დაუკავებელი რჩებოდა მთელი წლის განმავლობაში, მამას ბიძამ, ვიორჯი ჯავახიშვილმა ურჩია შესულიყო ზოტაქეჩიკურ ფაკულტეტზე, სადაც სწავლა შემოდგომაზე იწყებოდა. მამა დათანხმდა, და ჩაირიცხა სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტში ზოტაქეჩიკურ ფაკულტეტზე.

შემდეგ ძია ლეომ, რომელსაც ემარჯვებოდა და უყვარდა ხატვა-ხაზვა, არქიტექტურულზე ჩააბარა. პაპა ტიტომ ბიჭებისათვის თბილისში, მაშინ ჯერ კიდევ დაუსახლებელ ვაკის უბანში, ადრევე დაიწყო ბინების მშენებლობა. მიშა, ლეო და ვახტანგი დროებით დასახლდ-

ნენ ბიძამისთან — ივანე ჯავახიშვილთან, ორბელიანების სახლის ქვედა სართულზე. წითლების შემოსვლის შემდეგ ბინების მშენებლობა შეწყდა და ძმებიც დიდი ხნით შერჩნენ ბიძის სახლს ყოფილ რეინგერის ქუჩაზე.

ბებო საშას „ოთარაანთ ქვრივობაზე“, სიყვარულით სავსე გულზე, ფიზიკური და სულიერი ენერჯის გაცემის საოცარ უნარზე, ბევრი რამის მოყოლა შეძლებდა. ბებოს გარდაცვალების შემდეგ თელავში დიდხანს გაისმოდა სიტყვები: „ბებო საშასათო“. („ბებოს დიდ-პატარა „ბებოს“ ეძახდა მას შემდეგ, რაც პირველმა შვილიშვილმა „ბებო“ დაუძახა“ — გურამის მოთხრობიდან). რაც ნიშნავდა უშურველ, დაუზოგველ, გულღია, უანგარო მოქმედებას, სიტყვას, ბებოსათვის ადამიანთა დახასიათებისას, ისე როგორც შემდეგ გურამისათვის, განსხვავებით დედაჩემისა და მამაჩემისაგან, არ არსებობდა კარგი — ცუდი, გარყვნილი — წესიერი, გლეხი — ინტელიგენტი, კეთილი — ბოროტი და სხვა, ეს იგრძნობოდა ყველა დეტალში; ბებო პარველ რიგში ყველას უდგებოდა როგორც ადამიანს, განურჩევლად მისი საქმიანობისა, ეროვნებისა, ასაკისა. ბებო საშას კარი ყველასათვის ღია იყო. იგი პატრონობდა ყველას, ვინც ფიზიკურად მის გვერდით აღმოჩნდებოდა, თუნდ ერთი წამით გაინც ბებოსათვის არ არსებობდნენ ავტორიტეტები. ერთდროულად იცოდა ყველას პირში მზილებაც და მიმტეველებობაც. ყველასათვის ერთხიარად ჰქონდა ტკბილი, არა იმერული გაგებით „შენი ჭირიმე“ „შენ გენაცვალე“, არამედ ჩვეულებრივი, უბრალო, ყოველდღიური, საქმიანი, ოღონდ რაღაცანიარად შინაგანად გამოთბარი, დიალოგური სიტყვა, ანუ სიტყვა, რომელსაც აინტერესებს, რომელიც ყურს უგდებს სხვის სიტყვას, ყველას გვიყვარდა ბებოს თბილი ხმა და უცნაურად ქართული ინტონაცია და ოდნავ ნაღველჩამდგარი თაფლისფერი თვალები. მე მგონი თაფლისფერი თვალების ეს იერი, რაც ასე ხშირად არის აღბეჭდილი გურამის ფოტოებზე, ჩემს ძმას ბებოსაგან

ქონდა, ხოლო ცეცხლოვანი გამოხედვა კი, გეგონება უკომპრომისო, დედისაგან, როგორც ჩანს გურამს, „იულონის“ გმირი გურამის „არტიტული სიყვარულის“ უნარი, რომელსაც შეუძლია უყვარდეს ყველა და ყველაფერი განურჩევლად — გენეტიკურად ბებო საშასაგან დაჰყვა. უამაყობლით ბებოს იმ თვისებით, რომ მისთვის პირველად იყო სხვა და სადაც მერე თვითონ. ეს თვითონ ან იყო, ან არა. არასოდეს გრძნობდი ბებოს პიროვნებას, რომელიც გაწვებოდა თავისი სიკეთით თუ მნიშვნელოვნებით. ის სულ უკანა პლანზე იყო, არაფრის მომთხოვნი თავისთვის, მხოლოდ გამცემი. ბებოს სიკეთე მხოლოდ დიდი ხნის შემდეგ აღიქმებოდა ასეთად.

აი, თელავში ბუერი სტუმარია, ბებო შეძლებისდაგვარად ყველას მოათავსებს საუკეთესო საწოლებზე, თვითონ კი ყველაზე გვიან მიწვება მოკაკული სადაც, პატარა სკივრის თავზე. საერთოდ ბებოს ძილი ჩვეულებრივ იყო თითქოს შემთხვევითი მიწოლა საწოლზე; ეს თითქოს იყო მზად ყოფნა წამოსახტომად, და არა ძილის უფსკრულში გადაშვება, გარემოსთან სრული კავშირის გაწყვეტა, განცხრომა.

მახსოვს ბებოს ორი ნატვრა, რომელიც მაშინ ყოველთვის მიკვირდა: „ლოგინად არ ჩავეარდე. ვიცოცხლო იქამდე, სანამ შემიძლია სხვას გამოვადგე“ და მეორე — „ჩემ საფლავზე ნუ ივლით. ნურც წარწერას გაუკეთებთ“.

უშურველი კეთილი გული როგორცა ჩანს ჯავახიშვილების თვისებაა საერთოდ. შესასწავლია ერთ მუშტად შეკრული ჯავახიშვილების დაძმების და დედამისის ცხოვრება, თუნდ მხოლოდ ეპისტოლარულ ჟანრზე დაყრდნობით, სადაც იგრძნობა ის ძალისხმევა, ერთმანეთის მიმართ, ის სიყვარული, რამაც საბოლოოდ საფუძველი შექმნა ივანე ჯავახიშვილის ფენომენის გასაშლელად. თვითყული მზად არის მოიკლოს თვითონ და მისცეს მეორეს, თვითყულს გონია რომ სხვას უფრო ჭირდება რაღაც, ვიდრე თვითონ. თუნდაც პაპა გიორგი ჯავახიშვილი, უკვე ცნობილი მეცნიერი

აკადემიკოსი, რომელსაც ხელფასის აღების დღეს უნივერსიტეტის კიბეებზე მუდმივად ელოდებიან უსახსროდ დარჩენილი ადამიანები, მათ შორის გაღარიბებული თავადებიც. კარგად მახსოვს პაპა გიორგი ხელფასის აღების დღეს პროდუქტებით დატვირთული ჩვენს ფანჯრებთან, მერე ზევით აივანზე ახლობლებით გარშემოხვეული. აი, თუნდაც ბებიდა კატო — გაუთავებლად ერთ კაბაში გამოწყობილი გენერალ კრივეციის მდიდარი ქვრივი, რომელიც თავის ქონებას სტუდენტების სტიპენდიებად ანაწილებს. თუნდაც თვითონ დიდი ივანე ჯავახიშვილი, რომლის მოქალაქეობრივი არა ერთი და ორი ფესტი — თუნდაც სისტემატურად მინიჭებულ პრემიებზე უარის თქმა დამწყები, ახალგაზრდა მეცნიერების სასარგებლოდ (იხ. სერგო მეორებნაძის „ივანე ჯავახიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა“) ამ უშურველობის და პაღალი ზნეობის არა ერთ მაგალითს იძლევა. ეს ჩანს თვითონ პაპა ვანოს დამოკიდებულებაშიც ახლობლების მიმართ — გინდაც აბაშიძეების, თავისი ქეისლის ოჯახის მიმართ, რომელთა ფაქტიურ პატრონადაც დარჩა ის კიტა აბაშიძის გარდაცვალების შემდეგ, გინდაც რჩეულიშვილების, თავისი დისშვილების მიმართ. და სხვა.

გურამის არქივში შემონახულია თაბახის ფურცლების ორი ჩანაწერი. ხელწერის მიხედვით სავარაუდოა, რომ ისინი დაწერილი უნდა იყოს ერთსა და იმავე დროს — 1956 წელს. ერთს აწერია „ბებოჩემისთვის, წელი თვე, რიცხვი“. მეორეს კი — „ორიოდე სიტყვა პაპაჩემ გიორგიზე, ბებოს ძმაზე“. აქ მომყავს ჩანაწერი ბებოს შესახებ შემოკლების გარეშე:

„ბებოჩემისთვის“ წელი თვე რიცხვი.

ახლაც გვაქვს სახლში სიღნაღში გადაღებული სურათი, რომელიც, როგორც ეტყობა, თავის დროზე ცუდად გადაუღდა, ცუდადვე გამოუმყვანებიათ, დროსაც თავისი უმოქმედა. მიუხედავად ამისა, ოჯახის წევრები მშვენივრად ვარჩევთ ბანკის შენობას, რომლის მეორე სართულზედაც თურმე ჩვენა ვცხოვრო-

ბლით, ქუჩას, რომელზედაც ბანკის შენობა იდგა. ყველაზე მთავარი კი ამ სურათში და საყვარელი დედაჩემისთვის, დისთვის, მამისთვის ვარ მე, ზოლო ჩემი ბიძაშვილი შალიკოსთვის ვირი, რომელზედაც მე ვზივარ. ასეთია ერთის შეხედვით ბუნდოვანი სურათის ღრმა შინაარსი, რაც შეეხება ჩემი ბიძაშვილის ასეთ რეაქციას, შინაურთათვის არც ესაა გასაკვირი. მე ის დრო არ მახსოვს, სულ 2-3 წლისა ვყოფილვარ, სამაგიეროდ, საწყალი ბებოჩემი ხშირად მიყვებოდა იმ ამბებს. განსაკუთრებით უყვარდა შალიკოს ამბები, — თურმე შალიკო გაგიჟებული ყოფილა, ისე ნდომებია საკუთარი ვირის ყოფა. ამიტომ მთელი დღეები ეხვეწებოდა პაპას, მიყიდე და მიყიდეო. ერთხელ პაპა შეპირებია: „ბიჭო ეს სიღნაღური თეთრი ვირი რა შენი საქმეა, თელავში ჩავალთ და ისეთ შავ ვირს გიყიდი, რომ მისი დარი თვით თბილისში არ მოიჭებნებოდესო“. შალიკომ გულში ჩაიდო და თელავში ჩასვლისთანავე მოაგონა. პაპამ ისევე შემოაბრუნა თავისი სიტყვა: „ბიჭო, შენი არ მიკვირს, სიღნაღის თეთრ ჯიშთან ვირზე ჯდომას შეჩვეულმა, გავაზე რომ ვჯარი აზის, როგორ უნდა იკადრო აქაურ ყორანხვით შავ ვირზე ჯდომაო“. ასე დარჩა შალიკოს პირველი ოცნება აუსრულებელი.

სხვა რაიმე კახეთის სურათებიდან, გარდა ერთი მკაფიო სურათისა, რომელზედაც რაც არის, იმის გარდა ვერაფერს დაინახავ და დაინახავ შალიკოს ლამაზ მრგვალ სახეს, ლამარას ნამტირალევი თვალებს, მარინეს გარუჯულ ლოყებს, ჩემ ჯორღვით გაძვალტყავებულ ნაკვთებს და გიგის სიმპატიურად მოდიმარტუნებს, აგრეთვე მეზობლის მათერიშვილის ბიჭს თამაზს — არაფერია დანარჩენი ყურადღების ღირსი.

ბევრი, ბევრი ამბების მოგონება შემიძლია მე იმ დროიდან, როდესაც მეხსიერება ჯერ კიდევ იმდენი არ მქონდა, რომ მაშინდელი განცდილი დღემდე დამემახსოვრებინა და ყველაფერი ეს ბებოჩემის წყალობით. შემდგომი ამბებიც, რაც კი ჩემი ცხოვრების საუკეთესო განცდებთანაა დაკავშირებული, განუმორავ

ბელია ბებოჩემთან. ყოველი ჩვენი, მთელი ჩვენი მრავალრიცხოვანი ნათესაობა, კახეთის, თელავის კარგ ადამიანობას, ქველმოქმედებას განუყოფლად უკავშირებს ბებოჩემის საშას სახელს.

ახლაც თვალწინ მიდგას მისი უადრესად კეთილი, მაგრამ მკაცრად შეკრული სახე, ოდნავ წინ გამოწეული ქვედა ტუჩით, რაც განსაკუთრებულად საყვარელსა ხდიდა მას. იგი წელში მოხრილი, შავი კაბით, ენერგიულად დააბიჯებდა კიბეებზე. ყველას ეხმარებოდა, იქ დედას გამოსტაცებდა საქმეს ხელიდან, მერე ჯიბიდან ვაშლს ამოიღებდა და შალიკოს ან რომელიმე ბიძაშვილს აძლევდა.

მისი დევიზი იყო: არავინ შეეწუხებინა და ყველას დახმარებოდა.

განსაკუთრებით ნაზი, მოსიყვარული ურთიერთობა ქქონდათ დედაჩემს მაროსა და მას. არასოდეს არ მახსოვს, რომ მათ ოდნავ მაინც ეწყენინებინათ ერთმანეთი, ან საერთოდ რაიმე ისეთი გაეკეთებინათ, რაც არ ესიამოვნებოდათ.

ადრე გაზაფხულზე იწყებდა ბებოჩემი წერილების გზავნას — თავის შვილებთან და ნათესაებთან: „ჩამოდიო, ჩამოდიო წელს განსაკუთრებით კარგი ამინდებია, არნახულად ბევრი ასხია ხეხილს, ყვავის ვენახი, სახლი გარემონტებულია, წყალი ჩვენს კვერდზე გამოკვავთ. ჩამოდიო! ჩამოდიო!“

და ჩვენც მივედინებოდით. ოჯახებად, ცალ-ცალკე“.

(1956 წელი ახალი ათონი)

ბებოს და გურამს განსაკუთრებული, გამორჩეული სიყვარულით უყვარდათ ერთმანეთი. თუმცა ამის დაწერისთანავე გამახსენდა, რომ ბებო საშას ქონდა ერთი თვისება, რაც შემდეგ გურამის თავისებურებადაც იქცა. ბებოს თვითთული შვილიშვილი და შეიძლება ითქვას, თვითთული ადამიანი განსაკუთრებულად უყვარდა. ასე თვლიდა ყველა შვილიშვილი, ასე თვლიდნენ ბებოს ახლობლებიც. გოგი უყვარდა განსაკუთრებით იმიტომ, რომ ტკიოდა ფეხი და ძალიან მგრძობიარე იყო, მორიდებული და თან ლეოს პირველი შვილი; ნოდარი იმიტომ, რომ მეორე შვილი იყო, ძალიან ცელ-



ქი და ვიოლინოზე უკრავდა, რომ ერთ-ხელ მთვარის შუქზე გაედვიდა და მერე დიდხანს ვეღარ დაეძინა; ლალი იმიტომ, რომ პატარა იყო ყველაზე და თან ლეოს და რუსულანის სახატრელი ქალიშვილი; შალიკო იმიტომ, რომ ცელქების და ხიფათების ღმერთი იყო, სულ უფსკრულის პირზე მოსიარულე; ლამარა იმიტომ, რომ სულ ტიროდა; თამარიკო (ვახტანგის ქალიშვილი, პირველი ქორწინებიდან) იმიტომ, რომ სუსტი იყო და ნაღვლიანი. ედი და დემნა იმიტომ, რომ ნატაშას ვაჟიშვილები იყვნენ, უძამოდ იზრდებოდნენ და განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვდნენ; მეზობელი ვახტანგი იმიტომ, რომ გაჭირვებული იყო; კატო იმიტომ, რომ „ფუქსავატი“, „ქარქვეტა“ იყო. („ქარქვეტობაში“ ბებო გულისხმობდა პირადი ქონების დაუზოგველ, უშურველ გაცემას; ბებოს ბრალდებაზე, „ქარქვეტა ხარი“ კატო (ბებო კატო წვერიკაზაშვილი) პასუხობდა: „ეს ქარქვეტობა შენგან ვისწავლე და ახლა ნუ მსაყვედურობო“) და ა. შ. სიყვარულის მიზეზი ბებოსთვის არ თავდებოდა და ბებოც გაუთავებლად ფუსფუსებდა და ფუსფუსებდა — ერთს ჩირი უყვარდა, რომელიდაცას თხილი, რომელიდაცას ბებოს მოხარშული ყავა, კატოს სუფთა სანთლის არაყი და ბებოც თავის ღარიბულ ავლა-დიდებას უვლიდა და უვლიდა, რომ ყველა თავისი გვერდით მყოფი ადამიანისათვის თავისებური რჩევა-დარიგების და თანაგრძნობის გარდა, იმ გაჭირვებულ დროს შესათავაზებელი ლუკმაც ქონოდა.

ბებოს სახლში შემორჩა ის სალტეებიანი სკივრი, რომელიც თავის დროზე პაპამ ოქროებით სავსე გამოუგზავნა ერზერუმიდან. ორი ქვეშაგების ჩასაწყობი ტახტი, ტანსაცმლის უბრალო კარადა, რომელშიც ერთ მხარეს სარკის მაგივრად ფიცარი იყო ჩადებული, ორი ნიკელის საწოლი, თითო-ორილა მწვანე ხავერდგადაკრული სავარძელი, ძველებური სასადილო მაგიდა, რამდენიმე სკამი, აგრეთვე გრძელი ჯეჯიმი, რომელიც ბებომ მიშასა და ლეოს გაუყო. ორნამენტებიანი ფარდავი, რომელიც პა-

პას ჩემს მიერ აღწერილ ფოტოსურათზე ჩანს, და რომელიც ჩვენი სასადილო ოთახის შეუცვლელი მოხარათავი იყო მთელი ცხოვრება. ორი ჩინური ფაფურის ვაზა, რომელიც გაჩუქებას დედაჩემის თხოვნით გადაურჩა. ლამაზად დარუფი-ავებულ-დაკემილი თეთრეული, ყოველთვის საგანგებოდ დახეხილი ჯამ-ჭურჭელი — აი, ეს არის და ეს ბებოს მთელი ავლადილება, პირველი მოხმარების საგნები, ურომლისოდაც უბრალოდ ყოველდღიური ცხოვრება შეუძლებელი იქნებოდა.

დაახლოებით ასეთი იყო ჩემი მშობლების მშობელთა ცხოვრება. დედამ ერთხელ თქვა: მიშას ვერც კი წარმოუდგენია, რა სიმშვიდე და წესრიგი იყო ჩვენ სახლში. მეზობლებს უკვირდით კიდეც, ეს ოთხი ბავშვი ისე როგორ იზრდებოდა, რომ ხმამაღალი ლაპარაკიც კი არ ისმის თქვენი სახლიდანო, ამის მიზეზი ალბათ იყო ხედიბერგიშვილ-ნიჟარაძეების სახლში გამეფებული უმცროს-უფროსობა, რაც ყველა ტიპის საქმიანობასა და დამოკიდებულებებში იჩენდა თავს. სულ სხვანაირი იყო ის ოჯახი, სადაც დედა შვეიდა და რომლის მოწესრიგებასაც, პაპასთან ერთად, ამოდ ცდილობდა ბებოჩემი — ფორიაქა, ხმაურიანი, გახსნილი, ღია ყოველგვარი შემთხვევითობებისათვის; ძმები სულ სხვადასხვა მხარეს მიიწვევდნენ. ერთი — ცხენზე გადამჯდარი, ველად იყო გაჭრილი და ხან ხელმოტეხილი ბრუნდებოდა უკან და ხან ფეხმოტეხილი; მეორე — მთელად დედა თავდაყირა იღვა თვითონაც და ასევე აყენებდა ყველაფერს თავის გარშემო. მესამე კი თავისი მახვილი, ბასრი ენით გაუთავებლად ქმნიდა კონფლიქტურ სიტუაციებს. მახსოვს, ერთხელ საშინლად გამიკვირდა, როდესაც ჩემმა მამიდაშვილმა დალიმ, რომელიც ჩემზე რამდენიმე წლით უფროსი იყო, ბებოს უთხრა: „შენ, ბებო, წარმოგიდგენია, რომ...“ ძილის წინ ბებოს ვკითხვი: „ბებო, დალიმ თქვენ რომ გითხრათ „შენ“ ეს უბრალოდ უზრდელობაა, თუ დანაშაული მეთქი...“ „არც ერთი“ — მითხრა ბებომ, „ეს სიყვარულია, ღმერთსაც და მეფესაც ხალხი

სიყვარულის ნიშნად შენობით მიმართავ-  
სო...“ ბებო საშასათვის არ არსებობდა  
იერარქია, არც ასაკობრივი, არც სოცია-  
ლური. მუდმივად ღია იყო თვითონაც,  
ისე როგორც მისი სახლი, ყველა რან-  
გის, თუ ასაკის, თუ საქმიანობის ადამიან-  
ებისათვის. ისიც მახსოვს: სახლი თავ-  
დაუიარა, ბებო კი შუაში, წიგნით ხელში,  
რომანის სიუჟეტში ჩაფლული, როგორ  
ამბობდა მერე: „ხალხო, თუ სიკეთე გინ-  
დათ, ნუ მომცემთ წიგნს ხელში, ამის  
დრო არა მაქვს და ხო ხედავთ, მერე თავს  
ველარ ვანებებო“. მახსოვს ბებოს დაკე-  
ძსილ-დარუფიავებული ზეწრები, ისიც  
მახსოვს, წელში მოხრილი ბებო უზარ-  
მაზარი შაბიამნის აპარატით ზურგზე,  
შაბიამნის ფერი ლაქებით ხელებსა და  
კაბაზე, როგორ ბრუნდებოდა ხოლმე ვე-  
ნახიდან; ან ბებო წაკუზული, კაბის კალ-  
თით საესე დასაჩურთად გამზადებულა  
ძირს ნაყარი ხილით, თუ თხილით, თუ  
დილით ალიონზე ახალდაკრეფილი გრი-  
ლი ლეღვით, მახსოვს ისიც, შალიკოზე  
განაწყენებული, რომელიც განსაკუთრე-  
ბულად ძნელად გასაზრდელ ბავშვად  
ითვლებოდა, როგორ წაიშენდა ხოლმე  
თავში ხელებს, როგორ ვიშვიშებდა,  
როგორ ქოთქოთებდა, საოცრად მოხრი-  
ლი წელში, თავზე შავი მანდილით,  
შავი აბრეშუმის ბლუზკით, როგორ აიდე-  
ბდა ხოლმე ჯოხს ხელში და შალიკოს  
რალაც საქმეების მოსაგვარებლად მთელ  
თბილისს უკლიდა.

აი, გარეგნულად ასეთ განსხვავებ-  
ულ ოჯახებში გაიზარდნენ ჩვენი შშო-  
ბლები. ჩვენ კი ბავშვები ყველაფრით  
ვამაყობდით:

იმით, რომ მამა თავის დედას შენო-  
ბით ელაპარაკება, იმითაც, რომ დედა  
თავისას – თქვენობით; იმით, რომ ბებო  
ანეტა არ გატყდა და დღემდე ელოდება  
ჯარიდან თავის შვილს. იმით, რომ ბებო  
საშამ მეუღლის გარდაცვალების შემდეგ  
სიმღერაც კი აიკრძალა. იმით, რომ ბებო  
ანეტა წელში გამართული დადის, მიუ-  
ხედავად თავისი ავადმყოფობისა და და-  
რღისა და ასევე ზის, რომ არასოდეს არ  
იცლებს თეთრ ქათქათა საყელოებს,  
რომ აცვია ყავისფერი აბრეშუმის პერა-

ნგი, შავი შალის ქვედატანი და სახლ-  
შიც კი პატარა ქუსლიანი ფეხსაცმელ-  
ბი აცვია.

ვამაყობდით ბებო: სამათი, რომ ის  
წელში მოხრილია, რომ ჩაიცვამს რა-  
ღაც შავ ხალათს, თავზე დაიხურავს მა-  
ნდილს, ფეხზე რაღაც ჩექმების მაგვარს  
და დღე და ღამე შრომობს, ვამაყობდით,  
რომ ერთი ბებოს გარეგნობაში ყოველთ-  
ვის იგრძნობოდა პატივისცემა თავისი  
გარეგნობის მიმართ, მთლიანად მეორე  
ბებო კი მთელი თავისი არსებით უგულ-  
ვებულყოფდა თავის გარეგნობას ვა-  
მაყობდით იმიტაც, რომ დედის მამას ბა-  
ბუას კეძახდით, ხოლო მამის მამას კი  
პაპას და გამოდიოდა, რომ სხვა ბავშვე-  
ბისაგან განსხვავებით გვეყავდა ორივე –  
ბაბუა და პაპა. ვამაყობდით იმიტაც,  
რომ სარდაფის სართული იცხოვრობ-  
დით, რომ ჩვენი ღუმელი ნახერხით იტ-  
ენებოდა, რომ მამას შექედო ქიეფისა და  
მუშაობის შეთავსება ერთმანეთთან, ხო-  
ლო დედას – მუდმივი დარღვის და საო-  
ცარი მზიარული, გადამდები სიცილის,  
რომ სამზარეულოს ფანჯარა, რომელიც  
ერთხელ კინოში წახლის წინ გაგვიტ-  
ყდა და ფიცრებით ავჭვდეთ დაბრუნებ-  
ამდე, სულ ცოტა ხნით, ასევე დარჩა და  
მალე ჩვენი ოთახის თავისებურებად იქ-  
ცა. ვამაყობდით, რომ ჩვენი პატარა, და-  
ნგრეული სააბაზანო-ტუალეტი, ჩვენი ბა-  
ნაობის წინ უღამაზეს, თბილ სააბაზანო  
ოთახად გადაიქცეოდა ხოლმე, სადაც იღ-  
ვრებოდა ნავთქურიდან გამოსული ნავ-  
თის სასიამოვნო არიმატი, მღულარე  
წყლის ოხშივარი. ვამაყობდით მრგვა-  
ლი ჭადით, რომელზეც გადაფარებული  
იყო გახუნებული, ერთ დროს ალბათ ძა-  
ლიან ღამაზი აბრეშუმის გადასაფარე-  
ბელი. ვამაყობდით, რომ მია მირიანის  
სახლს ვაზისუბანში დანგრეული კბეე-  
ბი ქონდა, მიუხედავად იმისა, რომ თვი-  
თონ „ზაგოტხერნოს“ მმართველი იყო.  
რომ აივანი გარს ერტყმოდა სახლს და  
რომ შიგნით, მიუხედავად აშკარა სილა-  
რბისა, ღაზათი და სიმზიარულე იგრ-  
ძნობოდა, რომ ასეთი კარგი ბიბლიოთე-  
კა ქონდათ ბავშვებს, რომ ასე ძალიან  
უყვარდათ წიგნის კითხვა. რომ ქუთაი-



სის სახლის სადარბაზოს ფართო მარმარილოს კიბეები ქონდა, რომ ეზოში 50 ძირი მანდარინი გვედგა, რომ ბაბუა მაღალ კონიდარს თესავდა ჩვენი ჩამოსვლისათვის, რომელშიც დამალობანას თამაშის დროს შეიძლებოდა ჩამალვა.

მახსოვს ერთხელ ჩემი გაკვირვება, როდესაც პატარა ლეკვი, მომავალი მონადირე ძაღლი, რომელსაც ელვა დავარქვით, მახინჯი გამოდგა: ნამდვილი მახინჯი — მოკლე ფეხებით, დიდი თავით და თან უგუნურიც, რაც ყოველ დღე, სულ უფრო და უფრო თვალსაჩინო ხდებოდა. ვეძახდით, ის მირბოდა ჩვენგან უკან მოუხედავად; აშკარად ჩანდა, რომ საამაყო არაფერი იყო, მახსოვს, შევეშფოთდი კიდევ უხერხულობისაგან — ირღვეოდა რაღაცა დაღვნილი, ჩვეული სიამაყის, უპირატესობის შეგრძნება. მახსოვს, კარგა ხანს ვეძებდი კიდევ რაღაც ხელმოსაჭიდს, ელვას განსაკუთრებულობის ნიშანს რაღაცაში მაინც და როდესაც მიუხედავად ვველაფრისა, მაინც არ გამიარა სიამაყემ ელვასთან დაკავშირებით, მხოლოდ მაშინ მივხვდი, რომ ამ ოვლისმომცველ გრძნობას, რასაც ყოველ ცალკეულ, ერთმანეთთან სრულიად დაუკავშირებელ შემთხვევებში განვიცდიდი, სიყვარული ერქვა და არა სიამაყე.

რა აერთიანებდა, რა იყო მსგავსი ამ ოჯახებში? სიყვარულით შეუღლებული ცოლი და ქმარი, რომელნიც ყოველ წამს, ყოველ დღე, წლიდან წლამდე, დაუღალავად, სიხარულით, ერთად სწევდნენ უღელს, ამ სიტყვის ჭეშმარიტი მნიშვნელობით; ერთმანეთს ჭეშმარიტ მეუღლეობას უწევდნენ.

ურყევი, მტკიცე ოჯახის არსი, მუდმივია და ერთიანის, უღალატოსი, რომლის გარანტიასაც, ჩვეულებრივ, მხოლოდ სისხლით სიახლოვე იძლევა ხოლმე, უკვე იღო ჩვენი მშობლების გენეტიკურ კოდში, როდესაც გარე თვალთახედვისათვის სრულიად განსხვავებულები დედა და მამა ერთად წავიდნენ ექსპედიციაში ქციაზე. უფრო სწორედ მამამ, გენეტიკის კათედრის ასისტენტმა, წაიყვანა ექსპედიციაში დედა, რომელმაც ის-ის იყო დაიწყო სამსახური იმ კა-

თედრაზე, სადაც მამა მუშაობდა. (როგორ არ ვირწმუნო გენეტიკური კოდის რეალობა, როდესაც ჩემმა შვილმა ნინომ, სრულიად მოულოდნელად, ყოველგვარი წინასწარი საუბრის გარეშე, რადგან ის ჯერ ბავშვად ითვლება ჩვენთვის, იგრძნო რა სიყვარულის ძალა, მითხრა: „გათხოვება დიდი პასუხისმგებლობაა, ეს ხომ არ არის რაღაც მხტლოდ დღეს, ხვალ, ეს უნდა იყოს ურყევი, უცვლელი, მუდმივი და ამიტომ მესინია“).

გზად ქციისკენ მამა და დედამ შეიარეს მამას ბიძასთან ივანე ჯავახიშვილთან, სადაც დედამ თვალი მოკრა ძალიან პატარა ბიჭს, პატარა ლალი ჯავახიშვილს, ივანეს უმცროს ვაჟიშვილს, რომელიც მოკლე შარვლით დარბოდა ეზოში. დედას ახსოვს კიდევ, როგორ გაიყვანა ძია ვანომ დედა, სრულიად ახალგაზრდა ქალი და დაბალი ხმით ჰკითხა: „თქვენმა მშობლებმა იციან სად მიდიხართ?“ დედას მშობლებმა, რა თქმა უნდა, იცოდნენ სად მიდიოდა დედა — სამცხიური ექსპედიციაში ქციაზე, მაგრამ ალბათ ძალიან შორეული წარმოდგენა ქონდათ იმის შესახებ, რომ ორად ორ ქალს უნდა ეცხოვრა მთელი ზაფხული ალპიურ ზონაში, კარვებში, მეცხვარეებთან, რაც არც ისე უსაფრთხო იყო. დედა და მამა ფაქტიურად ერთმანეთს ქციაზე შეხვდნენ.

...და ერთხელ, ცხრაწყაროზე, ცხვრის ქურქში გახვეულებმა, გაათენეს ღამე მზის პირველი სხივების მოლოდინში და მაინც მოულოდნელად, უეცრად ამოვარდა სიბნელიდან ჯერ თითქოს უსხივო, მრგვალი, უზარმაზარი დისკო და...

მზის ამოსვლის შესახებ ცხრაწყაროზე დედა ხშირად გვიყვებოდა ხოლმე ბავშვობისას, მაგრამ მე დედას მონათხრობი გამახსენდა მხოლოდ ახლა, როდესაც წავიკითხე ჩემი ძმის წერილი, რომელიც გამოუგზავნა დედას გაგრიდან 1960 წლის 20 აგვისტოს. წერილში გურამი სწორედ ცხრაწყაროზე ამ მზის ამოსვლას ანხენებდა დედას:

„დედა!

რამოდენიმე წუთის წინ ჩავიდა მზე, მე ვიჯექი ზღვის ნაპირას და ვუყურებ-

დი; დისკოს სანამ ძალა ჰქონდა, ათასნაირად იბრცებოდა, მერე მრგვლად გაშეშდა, როცა უფრო მიუახლოვდა ზღვას, უცებ სვეტივით ჩაეშვა შიგ, ბოლო დაუწერილდა და სოკოს მიემსგავსა — მომაგონდი შენ და მომაგონდა მთელი ჩემი ხანგრძლივი ბავშვობის პერიოდი, რომლის განმავლობაშიც შენთვის შედარებით მოსვენებულ წუთებში ყოველთვის იგონებდი ხოლმე ქციას, დევანას, ჯანდს და განსაკუთრებით მზის ამოსვლას ცხრაწყაროზე, რომლის შებრუნებული პროცესიც მე რამოდენიმე წუთის წინ ვნახე და მაშინვე შენ წარმომიდექი თვალწინ“.

გურამი 1960 წლის აგვისტოს დასაწყისში ჩამოვიდა ქციიდან თბილისში. ძია სერგო ღურმიშიძე, მამას და დედას ამხანაგი და თან მეზობელი, დაბრუნებისას შეხვდა გურამს ლარსის ქუჩაზე და რადგან თბილისიდან დიდი ხნით წასული ეგულებოდა, გაკვირვებულმა ჰკითხა ასე მალე ჩამოსვლის მიზეზი. გურამმა „სწრაფად არ მიპასუხა, ლარსის ქუჩიდან ვარაზის ხევისაკენ წამიყვანა და გამენდო: ქციაზე ვერ გავჩერდი, უცნაური აზრები მომეძალა, ხომ გაგიგონიათ, დედამ და მამამ იქ გაიცნეს პირველად ერთმანეთი. ისეთი წინათგრძნობა დამეუფლა რომ ...“ (სერგო ღურმიშიძე, ზოგი რამ წარსულიდან. 1985).

როგორცა ჩანს, ქცია ჩემი ძმისათვის რეტროსპექტულად დაიტვირთა სიმბოლური შინაარსით, რადგან ეს იყო ის ადგილი, ის გარემო, სადაც გადაწყდა მისი სულის ამ ქვეყნად მოვლინების ბედი, მისი სულის გარკვეულ სხეულში ჩასახვის ბედი, მისი განსხეულება. გურამმა დედის დაჯინებულ მონაყოლში ცხრაწყაროზე მზის ამოსვლის შესახებ, ამოიკითხა დედის მიერ გაუთვითცნობიერებელი ფარული მნიშვნელობა და ამან, ისე როგორც თავისი სულიერი ცხოვრების გზამ, დედის შეხვედრა განთიადისას მზესთან ცხრაწყაროზე, ზაფხულის ხმ ცხელ დღეებში, მისტიური მნიშვნელობით აავსო, ეს შეხვედრა გადაიქცა გურამისათვის ხილულ სიმბოლოდ, უხილავი შინაარსის მიმნიშნებლად და ში-

ძილება მისი ცხოვრების გზის წარმართველადაც.

„თუ არა ის ექსპედიცია, ალბათ მე და მიშა ერთმანეთს ვერც დაუახლოვდებოდით“ — თქვა დედამ. მართლაც გარეთვალთახედვიდან ეს იყო უცნაური კავშირი, და ასე აღიქვამდნენ კიდევ თურმე ამას ამხანაგები. რადგან დედა საეხე ყოფილა თურმე ხალისით, შთაბეჭდილებებით, საოცრად ყვარებია სიცილი, ლაპარაკი, ურთიერთობები. ხოლო მამას კი იცნობდნენ როგორც სიტყვატუნწს, მუდმივად საქმესა და წიგნებში ჩაფლულ ახალგაზრდა მეცნიერს, რომელიც თეთრ, ქათქათა სამუშაო ხალათებში გამოწყობილი, არავითარ სურვილს არ ამჟღავნებდა ჩაბმულიყო ინსტიტუტის სამუშაოს გარეთა ცხოვრებაში, მზიარულ ურთიერთობებში. თუმცა ეს სრულებითაც არ ნიშნავდა იმას, რომ მამაჩემს არ უყვარდა მზიარულება, ქეიფი, ოხუნჯობა, ეს ყველაზე კარგად იცოდნენ მისი სკოლის, ადრეული ბავშვობის ამხანაგებმა, რომელთან ერთადაც ვაატარა მამამ ბავშვობა კახეთში, ცხენზე ჯირითსა და კრივში. მამა იმდენად ეპიკურიელი იყო თავისი ბუნებით, რომ, როგორც ჩანს, მას ადრევე მოუხდა ერთმანეთისაგან მკვეთრად გაემიჯნა შრომა და გართობა, ავლაგმა თავისი ვნებები და გარკვეული მიმართულება მიეცა მათთვის. შეიძლება ამიტომაცაა, რომ ქეიფი, გართობა მამასთვის ყოველთვის დაკავშირებული იყო თავის ბავშვობის ამხანაგებთან, მუშაობა კი — თავის თანამშრომლებთან, საშხახურთან და აი, ამდენი წელიწადია ხხვადახხვა ველში ჩაკეტილი სამყაროები ერთმანეთში არ შეჭრილან, ბავშვობის ამხანაგებისათვის მამას არასოდეს უთქვამს უარი ქართული სუფრის მადლთან ზაარებაზე. პირიქითაც კი, როგორც დედა ყვება (და როგორც მე თვითონაც მახსოვს) „მიშა ქეიფების მოწყობის ოსტატი იყო“. ჩვენ სახლში მამას აუდგომელ შრომას საწერ მაგიდასთან სრულიად მოულოდნელად ენაცვლებოდა ხოლმე ქართული სუფრა, ქართული ღვინი, არაჩვეულებრივი ქართული სიმღერებით, ვაუთავებელი ოხუნჯობით, სა-



დაც მიუხედავად თითქოსდა თავაწყვეტილი მზიარულებისა, იგრძნობოდა შინაგანი წესრიგი, იერარქიული საფეხურების მტკიცე დაცვა, სუფრის თავის თამადის ურყევი მორჩილება და პატივისცემა თითოეული სუფრის წევრის სიტყვის მიმართ. ვინ იყვნენ მამას სუფრის წევრები? ვახვახიშვილები, ყარალაშვილები, რამანა ბოგველიშვილი, სულხანიშვილები, ყაზახაშვილები, რუსიშვილები, ხომეზურაშვილები, ჯორჯაძეები, ირაკლი რაზმაძე და სხვანი, რომლებთანაც მამას ბავშვობის წლები აკავშირებდა. ვინ შეემატა მათ რიცხვს ჩემს მახსოვრობაში? თითქმის არავინ.

ახლა დროთა სიმორიდან ბევრი რაბე მგონია სიმბოლური, მომავლის მიმანიშნებელი, არა შემთხვევითი, ისიც კი, რომ მამა მაშინ შვეიდა ზოლტეჟნიკურზე და არა ისტორიულზე, როგორც თვითონ აპირებდა. ისიც, რომ დედამ, რომელსაც უნდოდა ექიმი-პედიატრი გამოსულიყო და ამ მიზნით ჩააბარა გამოცდები უნივერსიტეტში, სადაც მაშინ სამედიცინოს ჩათვლით, ყველა ფაკულტეტი იყო გაერთიანებული, უეცრად, თავისთვისვე მოულოდნელად შეიცვალა გადაწყვეტილება და აგრონომიულზე გადაიტანა საბუთები. ასე რომ, მამას და დედას ცხოვრება სამუდამოდ დაუკავშირდა ცხვარს, ამ წმინდა ცხოველს, ოქროს ვერძს, უდიდესი სიწმინდის სიმბოლოს, რომელიც მათი შეხვედრის საბაბი გახდა. წმინდა ცხოველი, ასეთი მნიშვნელოვანი საქართველოს ისტორიისათვის, მისი რეალური ცხოვრებისა და მითისათვის.

აი, ამონაწერი მამას წერილიდან ოქროს ვერძის შესახებ:

„...ღვეენდა ოქროს ვერძზე, რომელიც ეგროპაში კოლხეთიდან გავიდა, ეს იყო გრძელბეწვიანი ცხვარი... ღვევანდელი იმერული ნაზმატყლიანი ცხვარი იმ ღვეგნდარული ცხვრის შემკვიდრედ შეიძლება ჩაითვალოს“... აი, შედეგ ოქროს ვერძით, ირაკლი ოჩიაურის ტედური ნაკეთობა მამას კაბინეტის სამუშაო ოთახის ერთ-ერთ კედელზე, რომელიც

რომელიღაცა წლის იუბილეზე აჩუქეს თანამშრომლებმა, ნიშნად მისი მთელი ცხოვრების კავშირისა ამ ცხოველთან. არ იყო შემთხვევითი ალბათ ისიც, რომ იმ ზაფხულს ქციაზე დედა და მამა გაუთავებლივ ირეოდნენ ცხვრის ფარაში, იკარგებოდნენ მთაზე შეფენილ უზარმაზარ, თეთრ, მოძრავ მასაში, საიდანაც თითქოს გამოსასვლელი გზა არ ჩანდა. მთელი დღის განმავლობაში ხელში აყავდათ ცხვარი, უწყვედნენ ღუმას, სულს უბერავდნენ ცხვრის ხუჭუჭთმიან, ნახ, ფაფუკ ბეწვს, ცხიმიანობას უსინჯავდნენ და მის სიგრძეს იწერდნენ. არ იყო შემთხვევითი ამ წმინდა ცხოველთან, ამ სიწმინდის სიმბოლოსთან, თითქოსდა ფიზიკური შერწყმა. საოჯახო ალბომში ინახება მთელი სერია სურათებისა, მგონი, მამას გადაღებული, სადაც ალბუჭდილია დედაჩემისათვის, როგორც გურამიც წერს წერილში, „ყველაზე ბედნიერი წლები“, რომელიც მან იმ ზაფხულს მამასთან ერთად გაატარა ქციაზე მუშაობასა და ცხენზე ჯირითში. აი, დედა თეთრი კაბით, უზარმაზარი ბინოკლით, რომელიც გულზე გრძოდა აქვს ჩამოკიდებული, მოკლედ შეჭრილი თმებით, სიცილისაგან მხრებში ოდნავ მოხრილი. მეორე სურათზე დედა სურათის სიღრმეში ზის კარავში, მაგდასთან მობუხული, როგორც ჩანს, მთის შიის სხივები საქმარისად არ ათბობს იმ ადგილს, ან საერთოდ ღრუბლებშია ჩამალული მზე. მეცხვარეები აქეთ-იქით დგანან, ისე რომ, მთელ სიგრძეზე კარვისაკენ თითქოსდა კთედება გზა; მეცხვარეებს შორის არის მამაც, რომელიც დედაჩემისკენ იფურბა.

სიმბოლურია თითქოს ახლა ჩემთვის ქციაზე გადაღებული ყველა ეს სურათი. აი, ერთი ფოტოსურათის წინა პლანზე, მთელ სიგრძე-სიგანეზე ცხვარია ალბუჭდილი — თეთრი, ფუმფულა, მრგვალი, ხუჭუჭთმიანი ცხვარი. ცხვრის უკან დედაჩემის თავი ჩანს. ალბათ, მამას უნდოდა ცხვრის გადაღება, საერთოდაც ფოტოაპარატი, ალბათ, ცხვრების გამო ქონდა წაღებული, ცხვრის სხვადასხვა ჯი

შეის გადასაღებად. იქვე დედა იდგა. დაუძახა, მოდი ბარემ შენც გადაგიღებო, ან შეიძლება, ცხვარი მოძრაობდა და მაშამ სთხოვა დედას გაეჩერებინა, დაეჭირა ცოტა ხნით. დედამ გააჩერა, ძალაუნებურად ჩაიხუტა ცხვრის ფაფუკი ბეწვი, რომლის ქურქში გახვეული 25 წლის გურამი, ე. ი. სულ რაღაც 26 წლის შემდეგ, იწვა ყველაზე მაღალი მთის წვერზე გარინდებული, თითქოსდა სამყაროს უსასრულობასთან შერწყმული: „ის მაგრად გაეხვია თეთრ ცხვრის ქურქში და გაიარინდა...“ „დიდი ცხვრის ქურქი, რომელშიაც მაგრად გახვეულა გურამი, იცავს მას გარე სამყაროს ზედმეტი შეგრძნებისაგან და სასიამოვნო პარმონიასა ქმნის, უმოძრაო, მოაზროვნე, შემგრძნობი კუნთოვანთა ზის ამ მოუსვენარ, მორავ, ერთი მიმართულებით ზევიდან ქვევით მორბენალ წყლებს შორის...“

მაშინ კი ქციაზე, მაშამ გადაიღო ცხვარი და დედა, და მე ვიცი, რომ ისინი პოეტურობის გამო არ არიან ერთად გადაღებულნი, მხოლოდ სილამაზის, ან რაღაცა სამახსოვრო თარიღის აღსანიშნავად. ეს საერთოდ არ არის დედას და მაშას ხასიათში. ცხვარი იყო მათი საქმე. ეს სურათი ცხვართან საქმიანი ურთიერთობის შედეგად წარმოიშვა, საქმემ მოიტანა.

ამავე სერიიდანაა კიდევ ერთი სურათი, რომელიც ახლა ჩემს წინ არ არის, მაგრამ არცა მჭირდება, ისედაც თვალწინ მიდგას, როგორც მხატვრის ნახატი, ტილო, რომელიც რაღაც, ძალით შეიცავს ცოცხალ მუხტს, თითქოსდა რაღაცა ენერჯის გამოსცემს, ასე იყო ყოველთვის თუ ახლა მეჩვენება! აბა რატომ დამამახსოვრდა საშუალოდ გაცრეცილი ფოტოსურათი, შორი პლანიდან გადაღებული მოყვარული ფოტოგრაფის მიერ, რომელზეც ძლივს გაარჩევ სახეებს? სურათზე ბევრი ხალხი ირევა, სურათის ერთ მხარეს დედა ზის ცხენზე, ოდნავ გადახრილი სურათის შუაგულისაკენ და მთელი სახით იცინის, მეორე მხარეს მაშამ — დედაჩემისაკენ იყურება და თან ძალიან წყნარად, ჩუმად იღიმება, „ტურნ-

ებში იღიმება“ (ნეტა ეს გამოთქმა მხოლოდ ჩვენ ოჯახში იხმარება?) სულ ახალგაზრდა, ვაჟაკურად შემართული კისრით.

დედამ თურმე ძალიან სწრაფად, ქციაზე ჩასვლისთანავე, ისწავლა ცხენზე ჯირითი და მაშასთან ერთად დააჭენებდა მთაში ცხენს ცხვრის ერთი ბინიდან მეორისაკენ. აი, თურმე სად ჩაისახა გურამისათვის ქალისა და კაცის ურთიერთობის მოდელი: ერთად ჭენება ცხენების, ერთმანეთის გვერდით.

მ ჩ — მ, ქალბატონმა, რომელსაც ეკუთვნის ზღვაზე წახვლამდე დაწერილი გურამის ბოლო წერილი მიწერილი სულ ბოლოს, ზღვიდან (ეკუთვნის დედას — 1960 წლის 20 აგვისტო) მომიყვავ: ერთხელ, მე და გურამი კარუსელის ცხენებზე ვისხედით. გურამმა მითხრა: „მოვა დრო, და მე და შენ ერთად გავაჭენებთ ცხენებს“.

ხოლო 1960 წელს არეული ხელით ნაწერ დღიურსა, თუ წერილში, თუ ჩანაწერებში მხატვრული ნაწარმოებისათვის ამოიკითხება:

«Я много жить не собираюсь, но до смерти обязательно увижу Вас рядом со мной скачущей на коне — это я и сейчас вижу, но к черту виденне!».

ამ მოდელის, არქეტიპის ხორცშესხმა, აღსრულება, განსხეულება ცხოვრებაში გურამისათვის შეუძლებელი აღმოჩნდა. ის საშუალოდ დარჩა მისთვის აუხდენელ ნატვრად.

დედამ და მაშამ კი აჭენეს ცხენები ერთმანეთის გვერდით, როგორც ტოლებ. მა, იმ ზაფხულს ქციაზე. ბავშვობიდან მახსოვს ერთი ისტორია ქციის ამბებიდან: დედა და მაშა აპირებდნენ თურმე ძალიან შორს მდგომი ცხვრის ბინაში წასვლას. მეურნეობის დირექტორს, კოსტალე აბაშიძეს ყავდა იშვიათი ცხენი, რომელზე დაჯდომასაც ამაოდ ოცნებობდა ყველა. კოსტალემ დედაჩემს თვითონვე შესთავაზა, „ჩემი ცხენით წადი, საიმედოა, ოღონდ იცოდე სხვა, შენს გარდა, არავინ შესვა ზედ“. უკანა გზაზე, სადამოხანს, თურმე მაშამ დაითანხმა დედა, აის-



რულა დიდი ხნის ნატურა და შეჯდა იმ ცხენზე. მამამ წინ მიუშვა ცხენი მთელი სისწრაფით, დედა უკან მისდევდა ჭეხებით, უცერად მამაჩემის ცხენმა, რომელზეც დედა იჯდა, ფეხი წამოკრა კუნძს, წაბორძიკდა, დედა ძირს გადმოავლო და კინაღამ ქვეშ მოიყოლა, როდესაც ცხერის ბინაში დედაჩემის გადმოვარდნის ამბავს გაიგეს, კოსტალეს უთქვამს, როგორც ჩანს, ცხენები გაცვალეს, თორემ ჩემი ცხენი მხედარს არასოდეს გადმოავდებდაო“. ახლა, როდესაც ეს ისტორია გამახსენდა, გამახსენდა ისიც, რომ მამას ცხენს ცალი თვალი გაფუჭებული ქონდა, ტყავის საფარიც კი ქონდა იმ თვალზე გაკეთებული თურმე და 84 წლის მამაჩემს გულში გაკვირვებულმა ვკითხე: „— მამა, რატომ გამოართვი დედას ცხენი, კოსტალემ ხომ უთხრა არაფერ დასვა ზედ. თან შენ ცხენს ცალი თვალი გაფუჭებული ქონდა!“ მამაჩემმა საოცრად ახალგაზრდულად, ეშმაკურად, გეგონება გუშინდელ ამბავს ვეკითხებოდი, ოდნევი და მნაშავესავით, ჩუმად გაიღიმა და თითქმის საიდუმლო ხმით ითქვა: „მიიტომ გამოვართვი, რომ ძალიან მინდოდა იმ ცხენის ჭეხება“. მამას ღიმილში და ხმაში იგრძნობოდა, რომ ის ძლიერი გაცნადა, იმ ცხენის ჭეხების სურვილი, რომელმაც გადაძალა მისი ჩვეული სიფრთხილე ახლობლებთან ურთიერთობაში, მართლ იმ დროს, მისი ცხოვრების მხოლოდ იმ პერიოდს არ ეკუთვნოდა. თითქოს თვითონაც მიხედა რაღაც არასწორს და თავისი გრძნობის არგამოსამყდავნებლად სწრაფადვე დაამატა: „ჩემი ცხენიც ძალიან კარგი იორდა იყო“ და ამით ლაპარაკი შეწყვიტა.

ეწერ ახლა ჩემი ძმის, ჩვენი ოჯახის ადრეული წლების შესახებ და თითქმის გაუთავებლად ვხმარობ სიტყვებს — „სიმბოლური“, „მისტიური“ ანუ იმ სიტყვებს, რომელთაც ჩემი ძმის ყოველდღიურ ლექსიკასა თუ შემოქმედებაში სიხშირის მიხედვით ალბათ ყველაზე დაბალი ადგილი უჭირავთ. საერთოდაც, გურამი არათუ სიტყვის „სიმბოლური“, არამედ თვით აშკარა სიმბოლიკის მიმართაც

კი მხატვრულ შემოქმედებაში არ იყო სიმბოლურად განწყობილი! აი, ნაწევრები წერილიდან, რომელიც მოსკოვიდან მომწერა 1958 წელს:

„...გუშინ წაიკითხე სწორედ დოდი, ვრონსკი უხერხული მოძრაობით ხერხეშალს რომ უტეხავს ფრუ-ფრუს... გახსოვს, დოდის ბოლოს ტოლსტოი ამბობს, ხაზს უსვამს ცხენის ჯიშინობას, ადარებს ქალს. ამ ცხენს ვრონსკიმ ხერხეშალი ჩაუტეხა, თანაც ისე, რომ დაცემისას თითონ არაფერი არ დაშავებია, არ უგრძენია. ზედმიწევნით სიმბოლური თავია ანას მთელ ბედთან, არა? ხაზსაც უსვამს ამას, რა თქმა უნდა, ფარულად... მხოლოდ ტოლსტოის შექმლო დაეწერა ეს (ე. ი. სიმბოლური თავი), ისე, რომ ჩემში ზიზღი არ გამოეწვია (საერთოდ საშინლად არ მიყვარს ეგეთი რაღაცეები) მაგრამ აქ ერთი წამითაც ვერ გრძნობ ამას, იმხელა ოსტატობით არის დაწერილი, არც ფიქრობ მაგაზე, ზედავ მხოლოდ დოდს, უცებ დაცემულ ფრუ-ფრუს, აშკარად განიცდი ვრონსკის მარცხს, როგორც მხედრის და კაცის...“

დამთავრდა ზაფხულის ექსპედიციამ ქციაზე და ჩემი მშობლებიც თბილისში თავ-თავიანთ სახლებს დაუბრუნდნენ. ორივეს სახლი ყოფილი კალინინის ქუჩაზე იდგა. ძალიან მალე, ერთ საღამოს, მამამ თავისი ძმა, ძია ლეო გააგზავნა დედაჩემთან — საქმე მაქვს და გადმოდიო. ექსპედიციიდან ჩამოსვლის შემდეგ დედა თავის მეგობარ გოგონებთან ერთად საღამოობით ხშირად დადიოდა ხოლმე, მამასთან სამუშაოდ, ამიტომ არ გაკვირვებია „როგორც ვიყავი სახლში ჩაცმული, ისევე გადავედი, ოთახში რომ შევედი, მიშა თავის ჩვეულებრივ პოზაში იჯდა სამუშაო მაგიდასთან. თავი არც აუწევია, დაჯექი — მითხრა — აი, ამ წინადადებას მოერჩები და მერე გეტყვი რა საქმეცა მაქვსო“. დედაჩემს მთელ საუკუნედ მოეჩვენა ის დრო. სინამდვილეშიც კარგა ხანს ელოდებოდა თურმე დედა მამას. მერე ყოველთვის წყრომით იხსენებდა ხოლმე ამ ამბავს, რომელშიც დედ-

აქმისათვის, როგორც ჩანს, გამოვლინდა მამას ყველა თავისებურება: მისი შრომისმოყვარეობა და უნარი ემუშავა ყველა მომენტში და არ ეღალატა საქმისათვის, გულწრფელობა, პირდაპირობა, მორცხეობა, თავდაჭერილობა, სიტყვაძუნწობა, და ალბათ, სხვა კიდევ ბევრი რამ. „დაამთავრა მიშამ წინადადება, დაუსვა წერტილი, როგორც იქნა და მხოლოდ მერე აწია თავი“. უკვე მერამდენედ მიამბო დედამ ეს მომენტი, როგორც საოცრება, „მერე?“ ვკითხე მე, რადგან შემდეგ რა უთხრა მამამ და როგორ, დედა, რომელსაც ყველაფრის მოყოლა უყვარს ხოლმე დაწვრილებით, დეტალებში, — არასოდეს არა ყვება. ახლაც მიპასუხა: „რა უნდა ეთქვა, ალბათ მითხრა ცოლად გამომყევით“. „მერე შენ?“ კიდევ ერთხელ ვცაადე ზუსტად აღმედგინა დედას და მამას დიალოგი, მაგრამ ამოღ. დედას ინტიმური ამბების მოყოლა არ უყვარს და ახლაც მიაფურჩნა — „მე რა, დავთანხმდი, როგორცა ხედავ“.

დედა, ალბათ, მართლაც მაშინვე დათანხმდა. რადგან ეს ჩანს დედას შემდეგ მონაყოლში, ამის მომდევნო საერთო სიტუაციის აღწერაში, რასაც დიდი სიამოვნებით აღადგენს ხოლმე: „უცრად შემოვიდა ლეო, დაირეკა ზარი და პაპა ტიტო და ბებო საშაე ჩამოვიდნენ. როგორცა ჩანს, ყველამ ყველაფერი იცოდა ჩემს გარდა. ლეომ კარებშივე ახარა ჩამოსულებს — „მიშა ცოლს ირთავს, მიშა ცოლს ირთავს“.

ამის მომდევნო ბებო საშას სიტყვებს კი დედა ყოველთვის ისე ყვება, თითქოს ახლა გაიგონა პირველად: „გუშინდელივით მახსოვს, ბებო საშამ მაშინვე ხმამაღლა თქვა: „თუ ის ქალი მარო არ არის, უკან მივდივარ თელავში“. ეს იყო პირველი სიტყვები ბებოსი, რომელმაც კამერტონივით წარმართა შემდეგ დედასა და ბებოს ურთიერთობა და დარღვია რძალ-დედამთილის დამოკიდებულების მოდელი, რაც გულისხმობს რძალსა და დედამთილს შორის შეუთანხმებლობას, კინკლაობას, პაექრობას, დედაბებოს ურთიერთობით ჩვენ ძალ-

იან ვამაყობდით, დედას უყვარდა თქმა: „ბებო საშამ მითხრა — ასე მგონია შენა ხარ ჩემი შვილი, მიშა კი სიძე“ და ეს ურთიერთობა ურთიერთპატივისცემისა, თანადგომისა, ჩვენ თვალწინ ყოველ დღე, სულ ახალ-ახალი, სხვადასხვა მაგალითებით ივსებოდა. შეუცვლელი იყო მხოლოდ მოდელი — დედას და ბებოს ურთიერთობა ნიშნავდა სიყვარულს.

ის ქალი, ვისთან შეუღლებაც გადაწყვიტა მიშამ — მარო იყო. პაპა და ბებო გახარებულები შევიდნენ ოთახში; ისინი სანოვაგით დატვირთულები ჩამოსულიყვნენ თელავიდან ვაჭიშვილებთან და გაიშალა მშვენიერი სუფრა. თურმე, კვირის დამით ძლივს გაუშვეს დედაჩემი სახლში, ყველაფერი სწრაფად და ბუნებრივად წაიდა. მამამ დედას სთხოვა მეუღლეობა, დედა მაშინვე დათანხმდა და მამამეორე დღესვე მივიდა ხელის სათხოვნელად ბებო ანეტასთან. ბებოსაც ერთი ნახვით მოეწონა მომავალი სიძე და შემდეგ, მთელი ხანგრძლივი ცხოვრების განმავლობაში, სიდედრ-სიამამრ-სიძეს ურთიერთპატივისცემისა და სიყვარულის გრძნობა ერთმანეთის მიმართ არ განელებიათ. ქორწილის დღეზეც მაშინვე შეთანხმდნენ და ორივე მხარე სამზადისს შეუდგა. მხოლოდ ხელის მოწერის წინა დღეს მიხვდა ყველა, რომ დათქმული დღე იყო 29 თებერვალი, რომელიც მხოლოდ ოთხ წელიწადში ერთხელ დგება. დღის შეცვლა აღარ შეიძლებოდა. დედამ და მამამ ხელი მოაწერეს 1932 წლის 29 თებერვალს, ნაკიან წელიწადს. ჩემი მამა გარდაიცვალა თავისი მშობლების ქორწინებიდან 28 წლის შემდეგ. თურმე, როგორც ახლა ვაპარკვი, 1960 წელიც ნაკიანი იყო. ნეტავ ნიშნავს რამეს ეს რიცხვი „ოთხი“, რომელსაც გაუთავებელივ ვევახებები, მას შემდეგ, რაც გურამის არქივზე დაიწიყე მუშაობა: 1956 წლიდან (გურამის შემოქმედებითი მოღვაწეობის დაწყების წელი) 1960 წლამდე (გარდაცვალების წელი) ოთხი წელიწადია. დაახლოებით ოთხი წელიწადი დამჭირდა მუშაობის დაწყებიდან, რომ ჩემს წინ გასწორებულიყო გზა.



ყოველშემთხვევაში იმდენად მაინც, რომ აღმქვა ის გაუკუღმართებული ბილიკები, რომელიც აქეთ-იქით დაშაქანებდა. აი, გაირკვა, რომ დედას და მამას ქორწინების დღე ოთხ წელიწადში ერთხელაა. ჩემი ძმა დაიბადა 1934 წლის ოთხ ივლისს და გარდაიცვალა 1960 წლის 23 აგვისტოს, ე. ი. დედასა და მამას ქორწინებიდან შეიძღვრ ოთხი წლის შემდეგ. და ბევრი კიდევ სხვა ოთხი, რომელთა სიხშირემაც წარმართა ჩემი გონება ამ ფიქრებისაკენ და გამახსენა ბევრი სხვა „ოთხი“, რომელიც ფიზიკურად ჩვენთან დაკავშირებული „ოთხების“ გარეთაა თითქოს, მაგრამ სინამდვილეში, მათ შია, ისე როგორც ვეველასა და ვეველაფერში ალბათ, რადგან თვითონ სამყაროს პარმონიულობის საფუძველშია თითქოს: წლის ოთხი დრო, დედამიწის ოთხი მხარე, ოთხი სახარება, ოთხი კვირა და ალბათ არ ექნებოდა ზღვარი ამ ოთხების ჯაჭვს, რომ ჩემ შვილს, რომელიც შეესწრო ჩემ ხმაბლად ფიქრებს არ ეთქვა: „რა თქმა უნდა, ოთხი მნიშვნელოვანია იმით, რომ ის არის 3+1, ანუ დაფარული სამი. საკრალურ რიცხვს 3, ემატება 1 შესანიღბავად, ფარდად.

მაშინ იმ ნაკიან წელიწადს, დედას და მამას ქორწილს იხდიდა ბაბუა სიმონი ქუთაისში. ალბათ ბაბუამ იმავე დღეს დაიწყო ქორწილისათვის სამზადისი, რადგან ძალიან მალე დედა, თავის მეჯვარეებთან ერთად, მზად იყო ზაქსში წასასვლელად, მამაჩემი ჩვეულებისამებრ ნება ემზადებოდა და ამიტომ დაიკვირანეს. ზაქსი დაკეტული დახვდა. ქუთაისში კი სუფრა უკვე იმლებოდა 100 კაცზე. მატარებელი სულ რაღაც ორიოდე საათში უნდა გასულიყო, დედა ლელავდა, მამა იუმორით იგერიებდა აქეთ-იქიდან თავისი მაყრიონის შემოტევას. წავიდნენ, მოძებნეს ზაქსის პატრონი. დაირღვა რაღაც, რაც შესაძლებელია მხოლოდ გარკვეულ სათეებში, ამ საათიდან ამ საათამდე, ჩვეულებრივი სამუშაო დღე. გააღეს ზაქსის ჩაკეტილი კარები, მოაწერეს ხელი, მერე ძლივს მიუსწრეს ქუთაისის მატარებელს.

მთელი ვაგონი სავსე იყო კახელი მაყრიონით, რომელიც სიხარულით მიყვებოდა თავის მეგობარს, რომ „კოწიებისათვის“ ეჩვენებინათ რას ნიშნავს ქიფი და დროსტარება. სხვათა შორის ეს კახური-იმერული შეხლა-შემოხლა, კინკლაობა, დაპირისპირება ნახევრად იუმორით, ხუმრობით, დედას გასაბრაზებლად, ცოტათი მართლაც, მთელი ცხოვრება მიყვება ჩვენ ოჯახს. მამას გაუთავებელ „სილიბისტროებს“, „კოწიებს“, „შეავეღვინოს“, რაუა ბატონოს“, „ენაზე დამაბის“ და სხვა, მოყვება ხოლმე დედაჩემის კახური ისტორიები:

...ერთხელ თურმე წინანდალში მამა თავისმა ახლო მეგობარმა რამანა ბოგველიშვილმა დაპატიჟა ახლადდაქორწინებულ მეუღლესთან ერთად. დედამ თან წაიყვანა თავისი მეგობარი ქალებიც, რომელნიც წარმოშობით იმერეთიდან იყვნენ. საგანგებოდ დაქირავებული ეტლით მიადგნენ რამანას კარმიდამოს, რომელშიც დიასახლისი ფუსფუსებდა. მამამ ეტლიდანვე გადასძახა მეგობრის დედას: „დეიდა ვარო! რამანა სახლშია?“ „არა“ უპასუხა ქალმა და ეზოს დაგვა განავრმო. სახლში უკვე გაშლილი ყოფილა თურმე სუფრა სტუმრებისათვის და რამანა მათ მოლოდინში მხოლოდ ერთი წუთით იყო გადასული მეზობელთან. როგორ არ უხსნიდა მერე მამა დედას გაუთავებლად ვეველა მოყოლაზე, რომ ის ქალი სწორი იყო იმიტომ, რომ ჩემ კითხვას გასცა პასუხიო, რამანა მართლა არ იყო სახლში და ხომ არ მეტყოდა სახლშიაო და სტუმრებს რომ ელოდებოდნენ, თავისთავად ცხადი იყო, რადგან დაპატიჟებული ვიყავითო, დედასათვის მაინც ეს დარჩა იმ კახურ თავისებურებად, უცნაურობად, რომელიც ასე ძალიან შეიყვარა და რასაც ასე შეეთვისა მას შემდეგ, რაც 21 წლის ასაკში კახელების რძალი გახდა.

სიხარულით წავიდნენ კახელები ხარის ტიკებით სავსე ღვინოებით ქუთაისში, რომელიც თავისი სუფრით და ლამაზი ქალებით განთქმული იყო მთელ საქართველოში, დედა იგონებს ხოლმე: როდესაც მატარებელი გაჩერდა და ფანჯ-

რიდან ბაქანს გადავხედე, მომეჩვენა, რომ მთელი ქუთაისი იყო გამოსული ჩვენს დასახვედრად, ყვაილებით, ზარზეიმით. მიშა, როგორც ყოველთვის, ივანიანებდა ბაქანზე ჩასვლისათვის მომზადებას, არა ჩქარობდა. შორიდან მამაჩემს მოვკარი თვალი, ვლელავდი, იმიტომ რომ ჯერ მიშას და მამას ერთმანეთი არ ენახათ. მე უკვე გამზადებული ვიდექი კარებთან. ამ დროს მოულოდნელად მიშას ამხანაგმა რევაზ ვახვახიშვილმა ხელკავი გამიკეთა და ჩამიყვანა ბაქანზე. ყველას რევაზი ეგონათ ჩემი მეუღლე. მთელი ქალები მივარდნენ, ყველა ყელზე ეხვეოდა, კოცნიდა. რევაზი გახარებული იდგა შუაში და იფურჩქნებოდა. ამ დროს დავინახე, რომ მამაჩემი ჩემსკენ წამოვიდა. მეტის მოთმენა აღარ შეიძლებოდა. მე სწრაფად გავარღვიე წრე და მივედი მისთან, რომელიც იქვე კარებთან მართლ იდგა და სიტუაციის გარკვევას სულ არა ჩქარობდა. ქალებმა წიოკობა ატეხეს, როდესაც გაიგეს, თუ ვინ იყო ჩემი ქმარი. როგორც შემდეგ გაირკვა, რევაზს ეს ყველაფერი გათვლილ ქონდა. მამასაც?

ქუთაისელებიც, თავის მხრივ, თურმე მთელი მონღომებით ემზადებოდნენ კახელების შესახვედრად. შესარჩევი იყო კახელების მოსაწონი ღვინო, რომ არ ეთქვათ, მჭავე ღვინო მოგვიტანესო, შესარჩევი იყო შესაფერი თამადა, რომელიც კახელებს ტოლს არ დაუდებდა ღვინის სმაში, სიტყვა-პასუხში. ასეთი თამადაც აღმოჩნდა — ბიძია ალექსანდრე, ბაბუაჩემის სიძე, ალექსანდრე ზურციძე, ბაბუაჩემის დის პელაგია ნიჟარაძის მეუღლე. პელაგიას სილამაზით და ამაყა იერით, თეთრი პირისახით დედამისს, ელუკი ყიფიანს ამსგავსებდნენ. ბიძია ალექსანდრე კი იყო მაღალი, მხარბეჭიანი, ულამაზესი, სიკეთით საესე იმერელი ვაჟაკი, რომელსაც ტოლი არა ჰყავდა ქუთაისში არც ღვინის სმაში, არც მოლხენაში, არც თამადაობაში.

სამ დღეს გავრძელდა თურმე ქორწილი ბიძია ალექსანდრეს შეუცვლელი თამადაობით, რომელსაც საოცარი რაოდ-

ენობის ღვინის დაღვევის მიუხედავად ნირი არ შეცვლია. მან სწრაფად დაიყრო მთელი სუფრის, იმერელ-კახელების ყურადღება. საფუძველი ჩაუყარა მამასა და ალექსანდრეს განსაკუთრებულ სიახლოვეს და ურთიერთპატივისცემას. მთელი ჩვენი ბავშვობა იგონებდნენ ნათესავეები ეპიზოდებს ქორწილის დღეებიდან: — როგორ დაათრო ძია ლეომ, რომელიც საერთოდ ღვინოს არ სვამდა — ქალები, როგორ ისროლა ვახტანგმა (მამას ძმამ) წრეში შეკრულ მოქეიფეებში რევოლვერი და ყველაფერი არია, როგორ შემოიტანეს აღმოადებული საჭმელები სუფრაზე. როგორი ფაფუკ-ვარდისფერი ნაყინა მოატანინა ბაბუამ მესამე დღეს, როგორ არ დაიშურა „მამამ“ არაფერი, რომ თავისი პირველი შვილისათვის ღირსეული ქორწილი გადაეხადა. როგორ იმღერეს, როგორ იცეკვეს, როგორ დამეგობრდნენ მაყრიონები და სხვა.

დამთავრდა ზემის დღეები, დაიწყო ყოფა, ყოველდღიური ცხოვრება. დედა და მამა შეებნენ უღელს, რომელსაც აი, უკვე 55 წელია შეუნელებელი, გაუნელებელი ენერგით წევენ წინ! დაუსრულებლივ წინ! ნეტა ხად იღებს ეს ენერგია სათავეს? შეიძლება ეს წინ კი არ არის, არამედ მოძრაობაა წრეში: გაზაფხულიდან ზაფხულისაკენ, ზაფხულიდან შემოდგომისაკენ და ა. შ. ზამთარს მოყვება ისევ გაზაფხული და ყველაფერი იწყება თავიდან. მე თვითონ ვხედავ — ეს არის წრეში მოძრაობა!

მაგრამ უეცრად საიდანღაც, აი, ამ წუთას, დაიძრა ახალი შეგრძნება, რომ ეს დაუსრულებელი ტრიალი წრეში საითკენღაც მიდის, ძალიან ნელა, თანდათანობით, ოღონდ შეუჩერებლივ, დაუსრულებლივ, რაღაცა კულმინაციისაკენ, აუჩქარებლად, ოღონდ ჯიუტად, გზიდან გადაუხვევლად. ჩვენც თითქოს ჩვენი სურვილის გარეშე მივყვებით ამ უღელს — ხან იძულებით, ხან ხალისით, ხან ჩვევით. ხან მივლასლასებთ, ხან მივეთრევით, ხანაც ფეხს ვითრევთ, ძალიანაც რომ გინდოდეს, გინდაც კვდებოდე, ვინ





მოგცემს გაჩერების უფლებას, ან დავარდნის, ან წაბორძიკების.

„ჩვენ სახლში სამხედრო მდგომარეობაა“ — უკვე მერამდენედ ვამბობ მე, ოღონდ ხმაბაღლა მხოლოდ ახლა, დიდობისას, ისიც ვითომ ხუმრობით, განცხრომა! წარმოუდგენელია, გამორიცხული. მით უმეტეს, კმაყოფილების გრძობა. ძილი შეიძლება მხოლოდ ღამით, ისიც მშვიდად მხოლოდ მაშინ, თუ დაიძახურე, რაც თითქმის წარმოუდგენელია, ძილს ჭირდება უფლება, უნდა მოიპოვო ჯერ, თუ მოიპოვებ, თუ დაიძახურებ, შეგიძლია დღისითაც მიწვე, წაიძინოსულ რაღაც 10-15 წუთი, ოღონდ უნდა დაასაბუთო, იცოდე რატომ, რისთვის; ამიტომ იმართლებს თავს თვითუფლები ოჯახის წევრი, ანგარიშს აბარებს თითოეულს ცალ-ცალკე, უხსნის რატომ უნდა წაიძინოს, მოატყუოს თვალი „ერთი წუთით“, „სულ თხუთმეტი წუთით“, „მეტი არც მინდა“, იმიტომ რომ „მერე სამუშაო მაქვს“, იმიტომ რომ წუხელ მთელი ღამე ვიმუშავე“, ნაკლებ გასამართლებელია „ვერ დავიძინე“, „დავგიძინა, ვინ გიშლიდა“ — ყველა მოქმედებას ჩვენ სახლში უნდა ქონდეს თავისი „მერე“, „იმიტომ“, ყველაფერს ჭირდება დედაჩემის ნებართვა, შინაგანი თანხმობა, შინაგანი დალოცვა, ისე არაფერი გამოვა — არც დასვენება, არც მუშაობა. ყველაფერი „შინაგანი“ — ხმაბაღლა არსებობს მხოლოდ პირადი მაგალითი, რომელიც ყოველდღიურად ღაზავს სხეულისაგან შექმნილ ათასნაირ დაბრკოლებას. „დედაჩემი გმირების აღმზრდელია უნდა ყოფილიყო“, მაგრამ, თუ გმირი არა ხარ? „ეგ უსინდისო თავის მართლება! გმირი არა ხარ! ყველა გმირია თუ მოინდომებს“. ეგ ადვილია თქვა: „გმირი არა ვარ“, „არ შემიძლია“, „აღამიანს ყველაფერი შეუძლია, თუ სურვილაქვს“, „აკაცო შრომისა და ტანჯვისათვის არის გაჩენილი“.

აი, უცებ გაცოცხლდა წყარო გურამის ერთ-ერთი დაუსწრელი პიესისათვის გაკეთებული ჩანაწერებისა, რომელშიც თეზისის სახით წერია:

„არ არსებობს არ შემიძლია, არსებობს მხოლოდ არ მინდა“ ახლა მივხვდი, დედაჩემი რატომ იჯერებს ძნელად ვინმეს ავადმყოფობას, რაღაცნაირად ნაკლავს კი უთვლის თითქოს: „იმახ დრი აქვს ავადმყოფობის და იმიტომ არის ავად“, „გასდის ავადმყოფობა“, „აი, მაგ მ. ს. მთელი საათი მიყვებოდა გუმინ გველივით დილით, ჩვეუცო, აუღეკი და ჯერ თითქოს არაფერი, მარა, მერე რაც ხა გამკრასავით. ვიფიქრე — ნეტა ღვიძლია თუ კუჭი. ჯერ ვიფიქრე ღვიძლია, მერე დოუპეკირდი კარგად და კუჭისაკენ გადავიხარე თითქოს უფრო. წოკუნეკი ისე, ჩაცმული, რავარც ვიყავი და ის იყო, საბოლოოდ გადაწყვეტილი მქონდა კუჭისკენ, რომ ამ დროს გამკრა ბეჭში და მთლად გამაცია“. ასეთ მ. ს. ხე, რომელსაც „ბევრი დრო ქონდა ავადმყოფობის“ გულიანად იცინიან უკვე ბებოს შვილიშვილთა შვილები, პატარა ტახიკო-ლომერიკოებიც. დედას შვილიშვილის შვილებმა იციან კიდევ ერთი დედის ამბავი, რომელსაც „ბავშვების“ სიყვარული კოცნა ეგონა,“ იციან კიდევ ამბები „მოცლილი დედის“, „ფორიაქა დედის“, „ტყვილი მოლაპარაკე დედის“, რომელიც გაუთავებლად ეკითხებოდა თავის შვილებს „როგორა ხარ? ფერი არ მომწონს შენი, ჯობია დაწევი და ერთი კარგად გამოიძინე“. კიდევ ერთი დედის, რომელიც იქამდე მივიდა, რომ თავის შვილს ყოველ დღე ოყნას უკეთებდა, რაღაც შეუძლოდ მერე ვენებო. დედაჩემის თქმით, მას შემდეგ რაც მე დედა გავხდი — დედის როლი, ფორმა არასწორად გავიგე. იმ დღიდან დავდექი ზღვარზე და ადვილი შესაძლებელი იყო ზევით ჩამოთვლილ დედებს დავმსგავსებოდი. ჩემს შვილს თავი „რაღაც ეტკინებასავით“ და მე თერმომეტრისათვის გავრბივარ და ექიმს უქებ, დედაჩემი კი გაბრაზებული ეუბნება: „ახლა გაკვეთილების სწავლის დროა და არა თავის ტკივილის“. ურჩევს: „ნინო, ცოტა გააქნიე-გამოაქნიე თავი და კარგად გახლება“. ნინო მართლაც აქნევს თავს აქეთ-იქით და მზიარულად აგრძელებს გაკვეთილების სწავლას. ხანდახან

უბრალო ცივი წყლის შესხმაც კი უბარი წამალი გამოადგება ხოლმე ზოგიერთი ავადმყოფობის მოსარჩენად. მერე რომელიღაცა ბავშვს ატკივდება მუცელი, მე შემფოთებული წარმოვიდგენ ბრმანაწლავის ოპერაციას და უკვე ქირურგზე ვფიქრობ, დედა კი მოულოდნელად ტუქსავს ბავშვს მუცლის ტკივილისათვის და ტუალეტში ისტუმრებს; მოკლედ, საბოლოოდ ირკვევა, რომ ავადმყოფობების უმრავლესობა „ძალით ავადმყოფობაა“ ანუ „უსაქმობის“ „სიზარმაცის“, „უპასუხისმგებლობის“ და „ბევრი დროის“ ბრალი. დედაჩემის დევიზს — „იმრომე, იშრომე და კარგად გახდები, არც თავი გეტკინება და არც მუცელი“ — ჩვენ ახლა შრომის თერაპიას ექძებით და უმეტეს შემთხვევებში ეს შრომის თერაპია, მართლაც რომ შველის.

„ჩვენ თითქოს ბრძოლის ველზე ვართ, — უკვე მერამდენედ ვიძახი მე გულწასული და მაინც, ახლა უკვე ფიზიკურად გურამის გარეშე, მივყვებით რაღაცას საითქენლაც, მთელი ჩვენი დიდი ოჯახი, რომელიც ზაზადაგზა კიდევ უფრო იესება და იზრდება და იერთებს ახალ ხალხს, ჩვენი ოჯახი, რომლისაგანაც თავის დაღწევა მინდოდა ჯერ კიდევ 8-9 წლის ასაკში, როდესაც გულუბრყვილოდ ვოცნებობდი 11 წელზე, რომელიმე საც, ჩემი აზრით, დამოუკიდებლობა უნდა მოეტანა ჩემთვის. თუმცა მთელი ბავშვობა, ახალგაზრდობა, რეალურად არა თუ არა ვცდილვარ გაქცევას, არამედ სიტყვითაც კი არ გამიმჟღავნებია, შეიძლება ითქვას, რომ არც გულში მიქცევია სიტყვებად ეს შეგრძნება, ეს იყო მხოლოდ გაურკვეველი, ბუნდოვანი სურვილი გავარდნის, თავის დაღწევის, მუდმივად ამოდებული ლაგამისაგან, რომელიც აქეთ-იქით გატრიალებს, — განთავისუფლების, ამიტომ როდესაც ჯერ კიდევ პატარამ გავიგე, რომ მოხუცი ტოლსტოი გაიქცა სახლიდან და აისრულა მთელი თავისი ხანგრძლივი ცხოვრების ოცნება და თავი დააღწია ოჯახს, საშინლად შეემცოდა და მაშინვე მივხვდი, რაზეც იყო ლაპარაკი, მაგრამ

მხოლოდ აი ახლა, ამ წუთას, წერის დროს კი გავიხარე, რომ ეს იყო დიდი ცოდეა; თუმცა ჩემმა შვილმა, პატარა გურამმა, ჯერ კიდევ ძალიან დიდი ხნის წინ მითხრა ტოლსტოის ცხოვრების ამ ეპიზოდის შესახებ: „სახლიდან, ოჯახიდან გაქცევა ნიშნავს თავის ტვირთზე უარის თქმას. ამის უფლება კი ადამიანს არა აქვს“

და აი, უუფლებონი, ყოველგვარი კომპრომისების გარეშე, შეიძლება ითქვას, ნამდვილად უკან მოუხედავად, მიღწეულის ყოველგვარი შეფასება-დაფასების გარეშე, მივდივართ წინ. შეგრძნებით, რომ ის, რაც იყო-იყო, არაფერს არ ნიშნავს თავისთავად, მთავარია ის, რას აკეთებ, რას ფიქრობ, რას განიცდი აი ახლა, დღეს, ამ წუთას, როცა ადექი დღეს დილით, შუადღისას, როცა გარეთ გასვლა გადაწყვიტე, ძილის წინ ხამზარულაშვილი რომ დაბრუნდი, აი ახლა, როცა წერ, „გუშინ“ ეს არაფერს ნიშნავს, მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენ ადამიანს მოყვება, უნდა მოყვეს „დღეს“, „მერე“, „ხვალ“ და ა. შ.

— რა საამაყოა, არა, ძია ლეო, ამდენი ძეგლი!

— გურამ, გახსოვს, გუშინ რა გემრიელი სადილი ვჭამეთ.

— ხო, მახსოვს.

— დღეს რა გვაქვს, არაფერი, იაბაყე ახლა გუშინდელი სადილით...

ეს არის დიალოგი გურამის გამოუქვეყნებელი მოთხრობებიდან ბიძასა და ძმის შვილს შორის, რომელიც სიამაყით აავსო საქართველოს გზებსა და მთებზე მოფენილმა ეკლესიებმა, ბურჯებმა და ციხე-კოშკებმა, ამ ბიძის პროტოტიპი მამის ძმა ძია ლეოა.

„საჭიროა ხალხმა იცოდეს თავისი საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორია. უნდა იცოდეს, რასაკვირველია, უტყუარი, ჭეშმარიტი ისტორია და არა ყალბი. გაწვიადებულ-ადეოკატური ისტორიის საჭიროებას მხოლოდ ის უნდა გრძნობდეს, ვინც წარსულში ეძებს ხსნას. ან ვისაც წარსულის შესწავლით სურს თავისი ეროვნული შეღავნული გრძნობა და



იკმაყოფილოს, ხოლო ამგვარი საფუძველი აზრადაც არ უნდა მოუვიდეს იმ ეროვნების წარმომადგენელს, რომელიც სიცოცხლესა და მოქმედებაზე ჰფიქრობს.

ამგვარი მოქმედება ხალხს ბაქიობას, უსაფუძვლო ამაყობას და კმაყოფილებას შეაჩვენებს.

ეს სიტყვები კი ბებოს ძმამ ივანე ჯავახიშვილმა დაწერა 1904 წელს.

ერთი კია დანამდიელებით, რომ ეს „წინ“, დაუკმაყოფილებლობა მიღწეულით, არსებულით, ნამდიელად არ ეხება არაფერ ხილულს ჩვენს სახლში — ე. ი. არც ადგილს საზოგადოებაში, არც თანამდებობას, არც თუნდაც ისეთ კეთილშობილ საქმეს, როგორც ნაშრომის რეალიზაციაა. არ ვიცი რას არ ეხება კიდევ? მე მგონი არაფერს. ეს თითქოს მართლაც „ყოველდღიური, უსიტყვო შრომაა“, რომელიც თავის თავშივე შეიცავს თავის საწყისს, თავის მიზანს. ყოველდღიური, ერთგული, უანგარო მსახურება რაღაცის, რაღაცა რეალურის და აბსტრაქტულისა ერთსა და იმავე დროს, რომელიც რაღაცნაირად შენშია და ამავე დროს შენს გარეთაცაა თითქოს, იმიტომ, რომ შენი საფუძველია, შენს გვერდით მყოფი ადამიანის საფუძველია, კიდევ იმის, ვინც შენს გვერდით არა დგას, კიდევ სხვის, რომლის არსებობის შესახებ მხოლოდ გაგონილი გაქვს, ან არცა გაქვს გაგონილი, გამოდის ასე, რომ ყველასი, რომ ჩვენ ყველას ერთი საფუძველი გაქვს. ე. ი. ერთი სამსახური. ერთი მიზანი. რაღაცნაირად ყველაფერი ადგილებს იცვლის; მირაჟში, უხილავში გადადის ხილული; ყველაფერი შექმნილი, გაუთქვებელი, ირეალური ხდება და არსებობას, აზრს იძენს მხოლოდ აი ამ საფუძველის გამო, რომელიც თურმე შენშია, სიღრმეში და იმდენად ბუნებრივია და არსებითი, რომ ვერც ამხნევ, და არც იცი, რომ მის გარეშე ფიტული ხარ, უბრალოდ არ არსებობ.

დამთარდა ზეიმის დღეები და დედა და მამა ბიძაჩემ ლეოსთან ერთად, რომელთანაც დღემს იმ წლებიდან მოყოლებული ვანსაკუთრებული სიყვარული და

მეგობრობა აკავშირებდა, დანახლდენ ყოფილ რენინგერის ქუჩაზე მდებარე ორსართულიანი სახლის ქვედა, სარდაფის სართულში.

მე, დედამ და მამამ უკვე შესაძენ გამოვიცვალეთ სახლი და უბანი, ჯერ პლენოველები ვიყავით, მერე ვერელები გავხდით — ჩვენ ოთხნი მაშინ ჯერ კიდევ ერთად ვიყავით. ახლა სოლოლაკში ვცხოვრობთ, უკვე ჩემი ძმის გარეშე, ოღონდ გაორმაგებული და კიდევ მეტი შემადგენლობით: ალექსანდრე, მარიამ, ნინო, ხათუნა, გურამი, გეიღარი, დედა, მამა და მე. ია, ჩემი ძმის შვილი, ჩვენი დიდი ოჯახის წევრი, მხოლოდ ხამი წელიწადია, რაც გათხოვდა. და როდესაც თავისი ქმარ-შვილებით, პატარა ტასიკოლომერებით მოდის ხოლმე ჩვენთან, ჩვენ ყველანი ვხვდებით, რომ დედას და მამას ოჯახი ახლა ფაქტიურად ცამეტი კაცი-საგან შედგება. თუმცა ამ სიტყვების დაწერის შემდეგ მოულოდნელად ნინოც გათხოვდა, ჩემი ქალიშვილი და ჩვენ ისევ ერთდროულად დაგაკავდა და მოგვემატა კიდევაც ოჯახის წევრი. ჩვენ ახლა, უკვე თოთხმეტი ვართ. ახლად-შემომატებული რძალი და სძებები იმდენად შეერწყნენ ჩვენს ოჯახს, რომ თითოეულზე შეიძლება თქვა, „აქვრია თხოულობდა“ — როგორც ხალხი ამბობს ხოლმე ასეთ შემთხვევაში.

ბევრჯერ გამოვიცვალეთ სახლი და უბანი, მაგრამ როგორ შეიძლება დამავიწყდეს ის სახლი, სადაც გაიარა ჩვენმა ბავშვობამ, სადაც შეიქმნა, საფუძველი ჩვეყარა, ხილული ფორმა მიიღო ჩვენი ოჯახის იდეამ. როგორ შეიძლება დამავიწყდეს სახლი რენინგერის (კიტა აბაშიძის) ქუჩაზე, რომელმაც პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობითაც თითქოს განაპირობა ჩვენი ოჯახის უსაფრთხო მოგზაურობა თბილისის უბნებში. ეს არ აყო მხოლოდ რაღაც ოთახები რაღაც სახლში. ეს იყო ერთიანი სული, გვერთება ერთმანეთისაგან მექანაჟურად, დროებით, რაღაცა საქმიროების გამო გამოყოფილი ადგილებისა, ცალ-ცალკე ოთახებისა, რომელთა ერთ, უკედლო,

უზარმაზარ სივრცედ წარმოდგენა უფრო ადვილია ახლა ჩემთვის დროთა სიმორიდან, ვიდრე დანაწევრებულად, ერთმანეთისაგან განცალკევებულად. შეიძლება ეს სახლი იყო კიდეც ის მოდელი, ის ხილული სიმბოლო, რომელშიც გამოვლინდა ადამიანთა ერთმანეთისაგან გათიშულობის ბირობითობა, მოჩვენებითობა. აი, ახლა დაწვერე ეს და უეცრად გამახსენდა მაგანიას ხილა, შეგვრძნება, გურამის გამოუქვეყნებელი მოთხრობიდან, რომელსაც ასევე ქვია - „მაგანია“:

„...მის გარშემო თითქოს დაეშუენენ ქუჩის ბოლოები, სახლის კედლები გაიხსნა, ყველაფერი დაკარგივდა და მას შეეძლო წახულიყო სათაე სურდა, ოთხივე მხარეს...“

შეიძლება ეს სახლი რენინგერის ქუჩაზე იყოს ის ქუჩა, ის სხეული, რომელშიც იწრობოდა გურამის სული. და აი, ისევ წინადადება გურამის 1957 წლის დაუმთავრებელი პიესიდან:

„...არც კარგია ჩვენი ცხოვრება, არც ცუდი არის, ის სიცოცხლეა, და ამ სიცოცხლეს აქვს სხვა თვისება: მას შეუძლია სული აწიოს, აპატიოსნოს მძორის გახრწნამდე...“ „ხსნა ყოფილა შესაძლებელი, სხეულში თითონ სულის გაწმენდა“.

დაწვერე ეს სიტყვები და უეცრად მივხვდი იმას, რაც ისედაც უნდა მცოდნოდა, როდესაც წერა დავიწყვე: ყველა ჩემი მოგონება, განცდა, მართალია არაპირდაპირ, ერთის შეხედვით, მაგრამ მთლიანად გაშუალებულია გურამის შეგვრძნებებით, წარმართულია გურამის სიტყვით, რომელიც თანდათანობით, წლიდან წლამდე, არქივზე მუშაობის პერიოდში, ცდილობდა ჩემი სულისა და სიტყვის წვრთნას, ცდილობდა მტკერში, ქაოსში ჩაძირული ჩემი გონებისა და შეგვრძნებების მიბერტყ-მობერტყვას, განწმენდას. შეიძლება იმიტომ, რომ როგორც ერთერთ დღიურში წერს: „მე თუ გენიოსი ვარ, მაშინ ჩემი ტალანტის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია ის, რომ მე მყავს და“. ის კიდეც სხვაგან: „...ეს (ე. ი. ჩემი -

მ. რ.) სიცუდე, სხვა რომ ვიყავი ვთქვა, ხელს შეუშლიდა ჩემ გენეალოგიას“. „და“, რომელიც თურმე მაშინ, მთელი თავისი ცხოვრებით, ფაზიკურად და სულიერად, თითქოს სრულიად საწინააღმდეგო იყო იმის, რისკენაც მიიხსრაფვოდა გურამი. „და“, რომელიც ერთხელ, თავისი შეგნებული ცხოვრების რომელიღაც წუთში, რომელიღაც მომენტში, გურამის გზის დასაწყისში, თავისი ბიოგრაფიის გამო აღმოჩნდა თავისი ძმის გვერდით და თითქმის მთლიანად დაემთხვა მას, საიდანაც სწრაფადვე გადავიარა იქ, სადაც გაუკუღმართებული ბილიკები იხლართებოდნენ ეს მომენტისკენ და მახსოვს, ჩვენი ხანმოკლე ერთიანობის, კონტაქტის რღვევის დასაწყისის, როდესაც გურამმა ერთხელ განაცხებულა მათხრა: „მორჩა! მე ახლა სხვისთვის უნდა ვწერო“ და ეს იყო ჯერ კიდევ 56-57 წლების გასაყარი.

ე. ი. არქივზე მუშაობის პერიოდი არის ჩემთვის ჩემი სულის წვრთნის პერიოდი გურამის მხატვრული თუ არამხატვრული სიტყვის სამუალებით. ეს ახლა, როდესაც ის ფიზიკურად ჩემს გვერდით აღარ არის, ცხოვრებაში? არასოდეს. მე ვიყავი მთელი ოთხი წლით („ოთხი!“) უმცროსი და, რომელსაც უფროსი ძმისგან მიცემული ჰქონდა სრული თავისუფლება. გურამი ცხოვრებაში პირდაპირ, უშუალოდ არასოდეს არა ცდილა ემოქმედა ჩემზე, წარემართა ჩემი მოქმედება, ცხოვრება, აზრები, შეგვრძნებები ან იქით ან აქეთ - შეიძლება პირიქითაც კი; ჩემს გვერდით გურამი თითქოს უფრო მაფურელები იყო და მსმენელი, მე კი მოლაპარაკე და მომქმედი. მახსოვს, ერთხელ, მუშაბანდის ტახტზე წამოწოლილი რაღაცას კვითხულობდი. გურამი მოულოდნელად გამოვიდა თავისი პატარა ოთახიდან, მომიახლოვდა და სწრაფად მითხრა: „მე ხომ აცი, შენ მთლიანად ვენდობი, შენ თავისუფალი ხარ ყველაფერში, აბა შენ იცი!“ მე ეს ვიცოდი, და ვგრძნობდი იმასაც, რომ ეს თავისუფლება და აბსოლუტური ნდობა იყო ყველაზე ძნელი გურამის



გვერდით. რადგან უცნაურია, მაგრამ გურამის მიერ მინიჭებული თავისუფლება მთლიანად გამორიცხავდა ყოველგვარ თავისუფლებას. უფრო სწორედ, თავისუფლების ისეთ გაგებას, რაც მას ჩვეულებრივ ყოველდღიურ ყოფაში, ცხოვრებაში აქვს ხოლმე. შენ მინიჭებული გქონდა სრული თავისუფლება ყოფილიყავი მაქსიმალურად გულწრფელი შენ მოქმედებაში და სიტყვაში. მაგრამ ეს გულწრფელობა, თუნდაც სიტყვაში, ისეთ სიღრმეებს შეეხებოდა, სადაც თავისთავად ცხადი იყო, რომ „ენაზე მომდგარ სიტყვასა, განა სულ ყველას თქმა უნდა“; შეეხებოდა ისეთ სიღრმეებს, სადაც ზღვებოდა უდიდესი წმენდა. სხვაფრივ როგორ უნდა გამოვეჩინა გულწრფელი სიტყვა არაგულწრფელისაგან, გულწრფელი გულისთქმა, რაც მისი სიკეთის, სიკარგის გარანტი იყო, — არაგულწრფელისაგან, ფარისევლურისაგან. ამიტომ ხშირად თავს ვიძებნედი ჩემი ძმის მიერ მინიჭებული თავისუფლებისაგან და თავს ვაფარებდი დედაჩემის აკრძალვებს, დოგმებს, რომლის წამყვანი დევიზი იყო: „ადამიანი ცოდოა იმისათვის, რომ თავისუფლება მისცე. საერთოდ რას ნიშნავს თავისუფლება? მოგონილია! ადამიანი იბადება აკრძალვებთან ერთად. ეს შეიძლება, ეს არ შეიძლება. უნდა გახსოვდეთ, რომ ადამიანი საზოგადოებაში ცხოვრობს და არა ტყეში, როგორც ნადირი, თუმცა იქაც თავისი წესებია. კაცი ამ ქვეყნად მარტო არ არის, რომ აკეთოს ის, რაც მოესურვება...“ და ა. შ. ახლა ვიცი, მაშინ ვხვდებოდი და მეშინოდა, რომ გურამის მიერ მინიჭებული თავისუფლებით შენ თვითონ უნდა გაგეკვლია ვზა გრძნობებისა და შეგრძნებების ლაბირინთებში. დედაჩემი კი გაძლევდა დოგმებს, მზა ყალიბებს და მისთვის სრულიად საკმარისი იყო ამ დოგმებთან მხოლოდ გარეგნული დამთხვევა. ო! რა მარტივი, გამჭვირვალე, ნათელ, უკომპრომისო სირთულეებში ვიყავით განსჯათულები!

კიდევ ერთხელ ვაეხსენებ ყოფილ ნიკოლოზისა, (კალინინის) და რენინგე-

რის კუთხის სახლს, კათოლიკური ეკლესიის პირდაპირ, რომლის კედლებზე ახლა სხვადასხვა მემორიალური დაფები გაკრული: კალინინის ქუჩიდან, დიდი „საპარადო“ სადარბაზოს გვერდით, ივანე ჯავახიშვილისა და მარიამ ორბელიანის; რენინგერის ქუჩის მხრიდან კი — კიტა აბაშიძისა და ჩემი ძმის, მწერალ გურამ რჩეულიშვილის. ჩემი ძმის მემორიალური დაფა ჩემი მამიდაშვილის, მწერალ დათო ჯავახიშვილის ძალისხმევითაა გაკეთებული.

ეს სახლი „ნოეს კიდობანი“ (ლალი ჯავახიშვილის ხატოვანი თქმით), რომელიც თანდათანობით ივსებოდა ხალხით, თავდაპირველად ეკუთვნოდა თურმე ალექსანდრე ორბელიანს, რომლის მეუღლე იყო მარიამ ორბელიანი, ერეკლე მეფის ქალიშვილის, თეკლე ბატონიშვილის ვაჟის, ვახტანგის ქალიშვილი. მარიამი იყო ცნობილი საზოგადო მოღვაწე ქალი, უამრავი საქველმოქმედო საზოგადოებების თავმჯდომარე და წევრი, რომლის სტიპენდიებითაც არაერთი ქართველი ახალგაზრდა გაიზარდა უცხოეთში. ამ სახლის ისტორიისათვის მნიშვნელოვანია ალბათ ისიც, როგორც ავი აბაშიძემ, ორბელიანთა გვარის ერთ-ერთმა შთამომავალმა გადმომცა, რომ ილია ჭავჭავაძე ოცდაათ აგვისტოს, ე. ი. წიწამურის ტრაგედიის წინა დღეს, გვიანობამდე სტუმრად ყოფილა თურმე ალექსანდრე ორბელიანთან. ეს იყო ილიას ბოლო ვიზიტი ალექსანდრესთან, რომელთანაც ხანგრძლივი მეგობრობა აკავშირებდა.

მარიამი და ალექსანდრე ინგლისურ წესზე ცხოვრობდნენ, დიდი სახლის სხვადასხვა მხარეს, სხვადასხვა აპარტამენტებში. სადღობდნენ ერთად დიდ ოთახში, რომელიც სახლის ორივე ფლიგელს აერთიანებდა. ქვედა სართულში ცხოვრობდა მომსახურე პერსონალი. ზოგი მათგანი უფროს თაობას ახსოვს, ზოგი კი ჩვენ დროსაც შემორჩა: მზარეული მაქსო — აწყობილი უღვაშებით, მოახლე სიდო, მარიამის პირადი მოახლე პელავია, რომელიც ყოველთვის თან დაყავდა დიდ ქალბატონს უცხოეთში მოგზაურო-

ბისას; მეჯინიბე, რომლის შვილიშვილი ალავერდში მუშაობს ახლაც მეჯინიბედ და რომელიც ერთხელ დათო ჯავახიშვილს მოულოდნელად ხელზე ემთხვია, როდესაც გაიგო, რომ ის ორბელიანთა შტოს წარმომადგენელი იყო; მეეტლე, რომელიც ერთ-ერთ ძველებურ სურათს შემორჩა იმის წყალობით, რომ მის გვერდით სურათზე ზის დიდი ქალბატონი პატარა ნათელა ჯავახიშვილით ხელში. მარიაშს და ალექსანდრეს არ ყავდათ შვილები. მარიაშს დიდ ამაგი ქონდა თავის ძმისშვილებზე და ძმის შვილიშვილებზე. თითქმის ყველა შვილი და შვილიშვილი მისი მონათლული ყოფილა. გარდა ნათესაუბისა, მარიაშ ორბელიანს ბევრი სხვა ნათლულიც ყავდა და ამიტომაც ყველა ნათლიოს ეძახდა. ნათლიოს ძმა ნიკოლოზი (კოლა ორბელიანი) თავისი ცოლ-შვილით, ნინო თუმანიშვილით, თავდაპირველად ნინოშვილის ქუჩაზე ცხოვრობდა. შემდეგ წავიდა რუსეთში, მოიარა სხვადასხვა ქალაქები და საბოლოოდ დასახლდა პეტერბურგში, რომელიც ცენტრალურ ქუჩაზე და როგორც ამბობდნენ, საკმაოდ ხელგამწილ თვადურ ცხოვრებას ეწეოდა. ნინოშვილის ქუჩაზე ბებო ნინოსთან, რომელიც კოლა ორბელიანმა ფაქტიურად მიატოვა, თავდაპირველად ცხოვრობდა ივანე ჯავახიშვილი თავისი ცოლ-შვილით, რადგან ჯავახიშვილებმა თავის დროს ვერ შეძლეს საკუთარი სახლის ყიდვა თბილისში, შემდეგ ბებო ნინომ 1916 წელს გაყიდა სახლი ნინოშვილის ქუჩაზე და მთელი ოჯახი გადასახლდა ორბელიანების სახლში მამიდასთან ყოფილ ნიკოლოზის ქუჩაზე (ამჟამად ჯავახიშვილის), ძია ლალიმ მიაშობო. „მახსოვს, ზამთრის ძალიან ცივი დღე იყო. რატომღაც სადამოთი გადავედი ახალ ბინაზე, ყველა დიდ ოთახში ვისხედით პალატოებში ჩაცმულები, მე კბილს კბილზე მაეცმინებდა და გაუთავებლად ვიძახდი — „მა-კან-კალეებს, მა-კან-კალეებს“, ნათელა და კახა დამცინოდნენ“. ჯავახიშვილები დასახლდნენ სახლის მარჯვენა

მხარეს მარიამთან ერთად; 1917 წელს ქუთაისიდან ჩამოვიდნენ აბაშიძეებიც, რომლებმაც სახლის მეორე მხარე დაიკავეს. ორ ფლიგელად გაყოფილი ორბელიანთა დიდი სახლი ახმაურდა ბებო სტაზიას და ბებო თეკლეს მემკვიდრეებით. ნათელა, ლალი, კახა, ერეკლე, ვატო, თამარიკო, გია აბაშიძე-ჯავახიშვილებმა, უკვე დედების მხრიდან ერეკლე მეფის მეხუთე შთამომავლებმა, აავსეს ეზო ბედნიერი ბავშვებით... გამოყავდათ თავიდან ეტლი, ცხენის მაგივრად ემემბოდნენ შიგ, უვლიდნენ ეზოს გარემოში. გარბოდნენ ბაღში, ხტებოდნენ აუზში, რომელიცაა ნოე ჟორდანიას თამაშობდა, რომელიც იჭერდა, რომელიც ანთავისუფლებდა. ეს იყო ჩაკეტილი ეზო, მთლიანად მოწყვეტილი გარე სამყაროს. ის ოთახები, სადაც მოშავალში რჩეულიშვილები დასახლდნენ, მარია ვახტანგოვანამ დაუთმო თავის გაღარიბებულ ამხანაგებს: მაკო წერეთელსა და ანდრონიკაშვილს. ფაქტიურად ეს იყო ჩაკეტილი სამყარო, სადაც ბავშვებს დაწყებით განათლებას სახლში აძლევდნენ — ან თვითონ, ან მოწვეული მასწავლებლები. ეს იყო ბედნიერი, მხიარული, ბავშვებით სავსე ეზო და საიდუმლოებებით სავსე ოთახები, სადაც უფროსები რთული დამაბული ცხოვრებით ცხოვრობდნენ. კიტა აბაშიძე ადრე გარდაიცვალა და ივანე ჯავახიშვილმა, მისმა ქვისღმა, იკისრა აბაშიძეების დიდი ოჯახის მფარველობა. ივანეს გარდაეცვალა მამა, ივანეს დას ეკატერინეს კი — მუქლე. ბებო სონა და ბებიდა კატო დასახლდნენ ერთ ოთახში, რომლის დიდი ფანჯარა აივანზე გამოდიოდა. დიდი ოთახის მაგიდას ჯავახიშვილების მხარეს, სადაც ერთ დროს მხოლოდ ორი ადამიანი ხვდებოდა ერთმანეთს სადილზე, ახლა უკვე უსხდნენ — ივანე ჯავახიშვილი და ანასტასია ორბელიანი, მარიაშ ორბელიანი და ნინო თუმანიშვილი, სოფიო ეახახიშვილი — ჯავახიშვილისა და ეკატერინე ჯავახიშვილი-კრივეცკაიასი, და გიორგი ჯავახიშვილი, რომელიც მალევე გადმოვიდა ივანესთან, და დედასა და

თავის დასთან ერთად დასახლდა მათ დიდ ოთახში. ბავშვები ცალკე სადილობდნენ. საღამოთი ამავე მაგიდასთან იკრიბებოდნენ ქალები ლოტოს სათამაშოდ. მაგიდის ერთ კუთხეში სამუშაო გაშლილი ქონდა ივანე ჯავახიშვილს, მეორე კუთხეში კი — გიორგის. მუშაობასთან ერთად ისინი ხანდახან ახერხებდნენ ლოტოს თამაშისათვისაც ედევნებინათ თვალყური და თავთავიანთი ვარიანტიც შეთავაზებინათ ქალებისათვის. დგებოდა ვახშმის დრო. ვანო და გიორგი სწრაფად ალაგებდნენ სამუშაოს, ქალები ლოტოს და იწყებოდა ვახშამი. როგორც მიაღწეული ჯავახიშვილმა მითხრა, ბედნიერი წლები გაგრძელდა იქამდე, სანამ ერთ მშვენიერ დღეს ვია აბაშიძე, ველოსიპედით სასეირნოდ გასული, სახლში აღარ დაბრუნდა. ვიას, ბებო თეკლეს გარდა, დაბადებიდან ისეთივე ამაგიტ და მზრუნველობით პატრონობდა ბებო თეკლეს და ატა ორბელიანი, უღამაზესი ქალი, რომელიც ერთ-ერთმა ფრანგმა მხატვარმა წმინდა ნინოს პროტოტიპად აირჩია. ეს პორტრეტი ახლაც ინახება აბაშიძეების სახლში.

შეიცვალა მთლიანად აბაშიძეების ცხოვრება. ამ უცნაური ცხოვრების კვალი მეც მახსოვს — დაკეტილი დარბები, რომელიც მხოლოდ ღამით იღებოდა, ბებო თეკლე და თამრიკო მუდმივად შავებში გამოწყობილები, შავი უკან გადაგდებული მანდილებით, რაღაცნაირი სიჩუმე მთელ სახლში, რაღაცა ჩუმი სევდის კვალი ყველას ლაპარაკში, ყველას ღიმილში, მიზვრა-მოხვრაში, თითქოს რაღაცა დანაშაულის შეგრძნება ყველას გამოხედვაში („ვიას“ კვალი იგრძნობა მომდევნო თაობების სახელებში — „აგი“, „გოგი“), ვიას შემდეგ ლოგინად ჩავარდნენ თეკლე და ატა. ატას თურმე თავდაპირველად 40 დღის განმავლობაში ლეთარგიული ძილით ეძინა. გაღვიძების შემდეგ ის ძალიან მალე ჩავარდა ლოგინად, მერე კვლავ მომჯობინდა და ცოტახანში გარდაიცვალა კიდევ. ბებო თეკლე ნელ-ნელა გამოვიდა მდგომარეობიდან, ლოგინად ჩავარდა მერე, ფეხის

მოტეხის შემდეგ, უკვე მოხუცებული და ასაკში. მერე აბაშიძეებთან ლოგინად ჩავარდა თამრიკო. ჯავახიშვილების მხარეს მძიმე ავადყოფნით გარდაიცვალა ბებო სონა, რომელსაც თურმე თავდადებით უვლიდა პაპა გიორგი. მომდევნო თაობას სამუდამოდ დარჩა მახსოვრობაში უნეტარესი და უწმინდესი კათოლიკოს-პატრიარქი კალისტრატე ცინცაძე, რომელმაც ბებო სონას სახლში პარაკლისი გადაუხადა. მხოლოდ ახლა გავიგე და ძალიან გამიკვირდა რომ პაპა გიორგი თურმე თავის დედას ყოველ წელიწადს ეკლესიაში უხდიდა პარაკლისს!

1924 წელს გაიხსნა ჩაკეტილი ეზო, „ნოეს კიდობანი“ და ქვედა სართული აივსო შემოსახლებული უცნობი ხალხით: „სეაზნიანები, კილაძეები, ბაჭუალოლა-თამრო — გუგულები და კიდევ ერთი — ორი უცხო ადამიანი ზემოთა სართულზე. 1927 წელს დასახლდნენ რჩეულიშვილებიც; რომელიღაც წელს ამ სახლის ქვედა სართულის ბნელ განაპირა ოთახში კი დაბინავდა სტაზიასა და თეკლეს თავგადასავლებით საესე ძმა სანა ორბელიანი, თავისი ფრანგი მეუღლით ვირჟინია რემით და თორმეტი მონადირე ძაღლით.

ახლა ჩემ თვალწინ, ბუნდოვანებაში, თანდათანობით იკვეთება ის ჩვენი ნათესავეებით საესე სახლი, სადაც გაიარა ბავშვობამ. ჩვენ ასე ვამბობდით: ჩვენი სისხლით ნათესავეები ჯავახიშვილები და ჩვენი ნათესავეები, ოღონდ სისხლით არა, აბაშიძეები.

გუშინდელივით მახსოვს ახლა ჩვენი ქვედა სართული:

ქვედა აივნის სულ ბოლო კიდეში, ბალთან, ფართო რკინისმაგვარი ღობის იქით, ზელმარჯვნივ, ერთმანეთზე აწყვირა რაღაც მოჩუქურთმებული სკამები, სავარძლები, მაგიდები, საესე მტვრით და ბალიდან შემოსული გამხმარი ფოთლებით. აივნის ბოლოს ისევ რაღაც რკინის ღობესავითაა, რომლის კიდეშიც მჭეუტაეი ოთახი მოჩანს. ამ ოთახის კარები თითქმის ყოველთვის დახურულია. იმ

ოთახის იქით კიდევ ერთი ოთახია, რომელშიც ერთხელ, ბავშვობისას შემთხვევით აღმოჩნდი. აღმოჩნდი თითქოს რაღაც საწყობში, სადაც დასაწოლად და მაგიდასთან დასაჯდომად უბრალოდ გამონთავისუფლებული იყო ადგილები. აქ, უკვე ჩვენს მახსოვრობაში, თავის რუს მეუღლესთან, თუ მეგობართან, თუ ყოფილ მოახლესთან ერთად, ცხოვრობდა ორბელიანების გვარის ბოლო წარმომადგენელი მამაკაცების მხრიდან — საშა ორბელიანი, ყოფილი დიდი მომავლის მქონე ქიმიკოსი, პოლიგლოტი, რომელმაც ოდესაში, რაღაც მნიშვნელოვან სამეცნიერო გამოკვლევებში ჩაფლულმა, სრულიად მოულოდნელად მიიღო რამდენიმე მილიონი მემკვიდრეობა ინგლისელი ბაგრატიონებისაგან. ამ მილიონებმა მიატოვებინა მას მეცნიერული მოღვაწეობა, მოატარა მთელი მსოფლიო, აცხოვრა პეტერბურგში, საუკეთესო აპარტამენტებში, თავადიშვილურად, ანადირა იშვიათ ნაკრძალებში, საუკეთესო აღჭურვილობითა და იშვიათი ჯიშის მონადირე ძაღლებით. ყვებოდნენ, რომ პეტერბურგის საუკეთესო რესტორანში იშლებოდა საოცარი სუფრა ათობით პერსონაჟე; სუფრა, რომელსაც არ აკლდა ჩიტის რძე და სადაც ნადირობის შემდეგ ან ნადირობამდე, შეივლიდა ხოლმე ორბელიანთა გვარის ბოლო წარმომადგენელი ერთი-ორი მონადირის თანხლებით, სულ რამდენიმე წუთით, ალბათ სუფრის თვალის შესავლებად, რომელიც თითქმის ხელუხლებელი რჩებოდა მომსახურე პერსონალს. ბოლოს საშა ორბელიანი ბევრად უფროს, უკვე ასაკში შესულ, ერთდროს ულამაზეს ფრანგ ქალთან და 12 ძაღლთან ერთად, როგორც ჩანს, სრულიად უსახსროდ დაბრუნდა ორბელიანების სახლის სარდაფის სართულში თავის მამიდასთან, უფროს თაობას ახსოვს ვირჟინია რემი — გამჭვირვალე, უნაზესი, პატარა პაემის კანით, სქელი დიდი ნაწნავით, ცოცხალი თვალებით, ავადმყოფი, პადაგრებიანი, დაგრებილი ფეხებით და ხელებით, ხშირად შშირად რომ ჩიოდა თუ ვინმე გამო-

ლაპარაკებელს შეიგულებდა: «У меня между ног судорог». მიაღწიეს ისიც ახსოვს, როგორ განსაკუთრებით მოწონდა ვირჟინიას „მადამ რეჟულოვას“ (ბებო საშას) ფრანგული, თავისი სუფთა ფრანგული ინტონაციითა და გამოთქმით. პაპა საშა კი ჩვენ თაობას ძალიან კარგად ახსოვს... თხელი, მაღალი, არ ვიცი მოხუცი, არ ვიცი შუა ხნის, იქნებ ახალგაზრდაც? უცნაური, არაქართული, ევროპული გარეგნობის, განუყრელი ბერტით, წელში გამოყვანილი უცნაური გრძელი კოსტუმით თუ პალტოთი, უცნაურად გამოყვანილი ჩექმებით, გალიფე შარვლით, საოცრად გაფითრებული, გეგონება სანთლის, გეგონება გამჭვირვალე კანის, თითქოს მფრთხალი, თითქოს შესინებული — პაპა საშა, პაპა საშა, რომელსაც ძალიან გავს აგი თავისი ფერმკრთალი სახით, უცნაურად, ლამაზად მოყვანილი თავით. როგორც ჩანს მას გავდა მია ერეკლეც, აგის მამა. იმიტომ რომ ერთხელ მია ერეკლემ თავის შვილს, პაპა საშას დაკრძალვის შემდეგ, თავისი ჩვეული სევდანარევი იუმორით უთხრა: „ჩემო, საშა რომ დაეინახე კუბოში, ჩემი თავი მეგონა და შემეშინდაო. პაპა საშა ხშირად მოდის რკინის ბადესთან, როდესაც ჩვენ აივნის ბოლოში ვთამაშობთ, ჩუმიად გვიყურებს, მერე გვეძახის და დაბალი ხმით გვეუბნება: „ბავშვებო, თქვენ რომ სკოლიდან დაბრუნდებით, მე აღარ ვიქნები ცოცხალი. მე მოკვდები“. სკოლიდან დაბრუნების შემდეგ, ერთი წუთით, ხელების დანანამდე, ვასწრებთ და გავრბივართ პაპა საშას კუთხისაკენ. შორს, მბეჭუტავ კარებში ჩვენ დანახვავე უჩინარდება მაღალი, თხელი, ბერტიანი კაცის ჩრდილი, რომელიც ამაოდ ეძებს თანაგრძნობას ბავშვების გულებში. ჩვენ ერთმანეთს ვუყურებთ, ვიღიმებით, ეს კი ჩვენი საიდუმლოა, ეზოს გოგოების, ჩვენი ტყუილი, რომ ვითომც პაპა საშას ჩვენ ერთხელ უთხარით: „პაპა საშა, რატომ არ მოკვდიო? ჩვენ ხომ უკვე დაგბრუნდით სკოლიდან“.

ქვედა აივანზე, რკინის ბადის შემდეგ,



ეროვნული  
არქივი

ორი ფანჯარა გამოდის. ეს ჯავახიშვილების ოთახების ქვედა დიდი ოთახია, საიდანაც ზევითა სართულზე ვიწრო ხის კიბე ადის. აქ თურმე, ოდესღაც პაპა ვანოს კაბინეტი ყოფილა. შემდეგ აივნიდან მარცხნივ გრძელი, ბნელი კორიდორია ისევ, ამ კორიდორის მარჯვენა მხარეს პელაგია ნიკიტინი ცხოვრობს, საოცარ ოთახში, საოცარი ქალი, მოკლედ შეჭრილი თმებით, მყუდროდ დალაგებული, მოწესრიგებული ოთახით, პატარ-პატარა ავეჯში, სიძველის სუნში, ღამაში მაგიდით, რომელზეც უცნაური, უცხო ნივთები აწყვია. აღდგომისას ჭადიდან მაგიდის თავზე ფერად-ფერადი, ათასფრად მოხატული კვერცხებია ჩამოკიდებული. ჩვენ ამ მაგიდასთან ხშირად ვსხდებით, რაღაცას ვჭრით, რაღაცას ვწერთ, რაღაცას ვხატავთ, რაღაცას ვსწავლობთ ღამის სინათლეზე. დღისით პელაგია წიგნით ხელში, ფეხზე მდგომი, ცალი ხელით ყვრდნობა აივნის მოაჯირს, წიგნის ფურცლებს მზის სხივს უშვერს და გაუთავებლად კითხულობს „ეს ესპერანტო“ გვეუბნება, მერ გვიხსნის რას ნიშნავს ეს სიტყვა. ერთხელ მეძახის და მაჩვენებს როგორი მთლიანი, ჩალისფერი მასა მზადდება უბრალოდ შაქრის და ნივთის ერთმანეთში გადარევისას და მეუბნება, რომ მთავარია დიდხანს ურიო, რომ მთავარია არ დაიზარო ეს რევა. მერე მაძლევს მე, მორევას ვაგრძელებ, თვითონ კი საიდანღაც გადმოაქვს პატარ-პატარად დაჭრილი მომწვანო-მონაცისფრო შუშები და მაგიდაზე მწყობრად ალაგებს. მერე დაწნული რკინები, რომელთაც ჩანგლების მაგვარი ორი ბოლო აქვს. მერე მანკენებს როგორ უნდა აიღო ერთი ლებანი, შემდეგ სახე კოვხით წაუსვა ზედ „პომადკა“, მერე მეორე ლებანი დაადო ზვიდან. მე და პელაგია ნიკიტინა ერთად ვდგევართ და ვაშხადებთ ასე რამდენიმე ცალს. მერე თვითეულს ვაცვამთ იმ რაღაცა ჩანგლისმაგვარზე, რომელსაც შემდეგ პელაგია თუხთუხა შაქრის სითხეში აწობს. მერე უცებ ამოაქვს და იმ გამჭვირვალე შუშებზე დებს. აი, თურმე

რატომა აქეთ ხოლმე ამ კამფეტებს უკეთი რომელიღაცა მხარე ოდნავ ბრტყელი. ალბათ ასე ასწავლა დალისაც, ჩემ მაშიდაშვილს, მარიამ ორბელიანის პირადმა მოახლემ ამ კამფეტების დამზადება, რომელიც ახლა საგვარეულო კამფეტებად ითვლება. ნეტავი ვინ ასწავლა თვითონ პელაგიას, ან იმას ვინ ასწავლა — პელაგიას მასწავლებელს?

პელაგიას გვერდითა კარების სიღრმიდან, სიბნელიდან გამოდიან და გამოდიან სუახიანები. მახსოვს ყველას სახე, გამოხედვა, ღიმილი, სახელი კი არ მახსოვს... მხოლოდ კიტის... მხოლოდ დიანასი, რომლებიც ჩემი ამხანაგები არიან... მხოლოდ ფოზეფინასი, რომელიც მათი ბებოა, თურმე ლიოვასიც, რომელიც მათი ბიძაა, თურმე სვეტიკასიც, რომელიც მათი დეიდაა... თურმე სტეფანე ნიკიტინისაც, რომელიც მათი პაპაა, გამოდიან სიბნელიდან ისეთი ნაცნობები, ისეთი ახლობლები, ილიძებიან, მეფერებიან, რაღაცეებს მეუბნებიან, მაქებენ და სიბნელეში უჩინარდებიან. მე, კიტის და დიანას უამრავი საიდუმლო გვაქვს. პელაგიას ფანჯრის მერე მარო კილაძის გრძელი, უფანჯრო ოთახის კარებია. დაწკრილიალებული, გაპრიანებული, უფანჯრო ოთახი, რომლის ბოლოშიც ფუმფულა, მდიდრული საწოლი დგას მაღალი, უზარმაზარი ბალიშებით, მერე კედელთან მიდგმული მაგიდა ოთხი მაღალი სკამით. მაროსა და ჩვენ საერთო კარები გვაქვს. იმ კარებზე ჩვეულებრივ ჩვენი უზარმაზარი კარადაა ხოლმე მიდგმული. როდესაც თბილისიდან მივდივართ, ჭურჭლის კარადას ოდნავ ვაშორებთ მარო კილაძის კარს და სადარბაზო კარებს შიგნიდან ვკეტავთ. უამრავი სახუმარო ისტორიაა დაკავშირებული ამ ჩვენ მეზობელ ქალთან, რომელიც აქ მამა და ძია ლეოს სტუდენტობიდან მოყოლებული ცხოვრობს. ერთხელ...

დედა, მე და გურამი ქუთაისში ვიყავით. მამა სადღაც სხვაგან იყო წასული მივლინებით, დაბრუნებისას კარები მარო კილაძემ გაკვიდო. დაძაბული, ნამტირალევი სახე ქონდა. დედას შეკითხვაზე

მარო რა მოვივიდა, გატყობ, რალაცაზე  
 ნერვიულობო, მარომ გაბზარული ხმით  
 უპასუხა: არა, არაფერი მიჭირს, ძალი-  
 ან კარგადა ვარო. დედამ მიიხედ-მოიხე-  
 და და მამა მოიკითხა. მამას ხსენებაზე  
 მარომ შეყვირა, მიშას ნუ მკითხავ, შე  
 უბედურო. დედა მგონი კედელს მიყვ-  
 რდნო, ჩვენ ვითომ უზრუნველად მოვე-  
 დეთ ოთახებს და თან გაფაციკებით უუს-  
 მენდით უფროსების ლაპარაკს. დედამ  
 თქვა: „რა ამბავია, მარო, ჩვენ თავს,  
 გვითხარი“. მარო უცებ მივარდა დედას,  
 ჩასჭიდა ხელი და გააქანა კედლის კა-  
 რადისაკენ, რომელიც მეორე ოთახის  
 კუთხის კედლებს შორის იდგა. გამოა-  
 ლო მთელ სიგრძე-სიგანეზე კარადის კა-  
 რები და დაივირა — „ა! შე უბედურო,  
 შენი მიშა დაგელუპა“. დედა უყურებდა  
 კარებს და ალბათ იმიტომ, რომ ჯერ  
 პირველ შიშს არ გაეგლო, ვერაფერს ვე-  
 რა ხედებოდა. მარო გაბრაზდა: „თუ ამის  
 მეტად არ გედარდებოდა ის კოსტუმი  
 მანდ რომ ეკიდა, შე რა თავს ეიკლაე“.  
 დედაჩემს სიცილი აუტყდა, კარგა ხანს  
 ვერ მოითქვა სული. „მიშა რომ ნორმა-  
 ლური არ არის, კი ვიცოდი, მაგრამ შენ-  
 გან ამას არ ველოდი, რა გაციენტეს? მთე-  
 ლი ცხოვრება მიშასთვის კოსტუმს ოც-  
 ნებობდი, სახლი გაყიდეთ, კოსტუმი იყ-  
 იდეთ, ახლა აღარა გაქვთ, რა არის ამაში  
 სასაცილო, ვერ გამოვივა“. ცოტა ხანში  
 მამაც დაბრუნდა სადგურიდან, სადაც  
 ჩვენს დასახვედრად ყოფილა წასული,  
 უფიქრია, რომ აღარ ჩამოვიდოდით და  
 როდესაც დაგვინახა, ძალიან გაეხარდა,  
 გადაგვკოცნა და მარო კილაძის აკომპა-  
 ნიმენტის ქვეშ ღიმილ-ღიმილით მოგ-  
 ვიყვა, რაც მოხდა, მარო კილაძე კი იდ-  
 გა იქვე თავისთვის და ჩქარ-ჩქარა ამ-  
 ბობდა „აფსუს, ალექსანდრა ალექსანდ-  
 როვნა და ღიმიტრი მიხაილოვიჩ, რა  
 რძალ-შვილი გყავთ თქვენისთანა ხალხს,  
 აფსუს!“ მამამ მოგვიყვა, რომ ის თურმე  
 გვიან ღამით დაბრუნებულა მივლინები-  
 დან; ჩვენი და მაროს სახლი გაძარც-  
 ვული დახვედრია. მარო კილაძეს გადა-  
 წყვეტილი ქონდა, რომ ასე გვიან მიშა-  
 ხათვის არაფერია ეთქვა, რათა გული არ

გაეხეთქა. გაულო კარები, მაგრამ მაშინ  
 პირველივე შეკითხვაზე — „ოკ, მარუსია,  
 გამარჯობა შენი, როგორა ხარო“ — გა-  
 დაიხსნა თურმე ხალათი და სრულიად  
 მოულოდნელად მამას ხელში შერჩა  
 საცელების აძარა მარო კილაძე. „აი, რო-  
 გორა ვარ, შემომხედო“. მამას ეტყობა  
 ჯერ შეეშინდა, ხომ არ გაგიყდაო, მაგ-  
 რამ მერე, როდესაც გაიგო, რომ საქმე  
 სახლის გაძარცვაში იყო (წალბებული იყო  
 თითოთროლა შემორჩენილი ოჯახური  
 რელიკვიაც), თურმე ძალიან გაშხი-  
 რულდა — ყოჩაღ მარუსია, რომ გა-  
 გიქცევია ის ქურდები, შენ ისეთი ყოჩა-  
 ლი ხარ, რომ ერთ კარგ ერბოკვერცხ-  
 საც გამიკეთებ სახელდახელოდო. მარო  
 გაგიჟებული გვიყვებოდა, „ღმერთმა შე-  
 არგოს, მაგრამ ამ ამბის მერე ისე არხე-  
 ინად შეექცა მიშა ოთხი კვერცხის ტა-  
 ფამწვარს შუალამისას, ისე ლილინ-ლი-  
 ლინით, რომ გვეგონება, გასახარელი ამ-  
 ბავი ეუთხარიო.

ეზოდან ზევითა სართულზე ხის კიბე  
 აღის, ხის მოაჯირით. ამ კიბეზე ასულა  
 ჩვენი აივნილანაც შეიძლება. კიბე ზემო-  
 დან გადახურულია მთელ სიგრძეზე, ისე,  
 რომ წვიმის დროს თავისუფლად შეიძ-  
 ლება არბენა ჯავახიშვილებ-აბაშიძეების  
 სამფლობელოში, „ზევითებთან“, აივნის  
 მარცხნივ რალაცა დგას ხის სკამივით, რო-  
 მელსაც „კიბეს“ ვეძახით იმიტომ, რომ  
 ოდესღაც მგონი რალაცა კიბის ნაწილი  
 იყო და იმიტომ აქვს კიდევ კიბის ფორ-  
 მა. ყველას იქ უყვარს ჯდომა. ამ „კიბე-  
 ზე“ სხდებიან სასაუბროდ უფროსები,  
 ცოტა ხნით მოცილებულნი სამზარეუ-  
 ლოს საქმეს. ამ კიბეზე კითხულობენ  
 წიგნს, აქ უკრავს დათო, ხან გიგი-გიტა-  
 რაზე, აქ უყვარს ჯდომა მზის გულზე  
 პაპა გიორგისაც და გაზეთების კითხვა  
 ბურტყუნ-ბურტყუნითა და ხითხითით.  
 აბაშიძეების „ჩემოების“ მხარე შემინუ-  
 ლია, ბოლოში თამარა პავლოვნა  
 ცხოვრობს — მოყვარული, ღიმილია-  
 ნი, ყოფილი „შავრაზმელი“, რო-  
 გორც მამა და პაპა გიორგი ამბობენ.  
 აი, აბაშიძეების საოცრად ნათელი ოთა-  
 ხიც ონკანით და ონკანის თავზე დიდი

ეროვნული  
სამსახური

სარკით, აბაშიძეებთან სახურაიდან მუდმივად ჩამოდის წყალი. ძია ვატო ამბობს: „ჩემო, წვიმის დროს ხომ ვერ გააკეთებთ სახურავს და როცა არა წვიმს კი, წყალი არ ჩამოდის და წვალებად არ ღირს“. ერთხელ ძლიერ გააკეთეს ნახევარი, ძია ვატომ დედან უთხრა: „ჩემო, ნახევარი იმიტომ გააკეთეს, რომ ჩანდეს, გაკეთებამდე ასე იყო და აი, რა კარგად გააკეთეთ“. დედა დარეჯანი... ჩვენი გიგი... თამრიკო... ბებო თეკლე, რომელიც რომელიღაც კლასში მთელი ჩემი კლასის ამხანაგებს ასწავლის ფრანგულს. ბებო თეკლე თავისი ლამაზი პატარა-პატარა საჩუქრებით, ლამაზი ღია ბარათებით, დიდი მრგვალი მაგიდით მოწაფეებისათვის, პატარა ქალაღის ყუთებით, რომლის გაკეთებასაც გვასწავლის ყველას გაუთავებლად... აივნის კარებთან ვდგევარ — იქიდან ბებო სტაზიაა, აქედან ბებო თეკლე. ბებო თეკლე ფრანგულის გაკეთების შემდეგ კიბეებამდე მაცილებს. ბებო სტაზია ერთი წამით ჩერდება და ამბობს: „როგორ გაიზარდა მარინე, როგორ გაიზარდა“ და თან თავს შეწუხებული სახით აქეთ-იქით აქანებს. მე ის არის საამაყით უნდა ავივსო, გაგბრწყინდე, რომ ახლა ბებო თეკლე ამბობს „Супная трава быстро растет“, მერე კეთილი ღიმილით თვალს მიკრავს და ლოყაზე რბილად მეფერება. მერე რაღაც შეკითხება — ჯერ ერთი ბებო შავი კაბით და უკან გადავდებული შავი მანდილით, მერე მეორე, მერე მესამე გამოდის, თამრიკო, ზუსტად ისეთივე, როგორც ბებო თეკლე და ბებო სტაზია, ოღონდ ძალიან მაღალი და სიმაღლისა. გან მხრებში ოდნავ მოხრილი. აღიშნება, მუსიკაზე შეკითხება რაღაცას, და თან გრძელ მუშტუკიან სივარტის ბოლს პაერში უშვებს. მერე სამივე რიგრიგობით რაღაცა კარგს მეუბნებიან მგონი, კარგებს მადებენ, სიბილით ვეშვება კიბეებზე, უკან მოძვება მათი თვალები!

გავრბივარ თუთის ძირში სათამაშოდ. ეზოს ღობის იქით, ხეხილის ხეებს უკან, ვხედავ ორ ერთსართულიან სახლს. ღობის იქით მდგარი სახლები ეზოს რა-

ღაც საიცარ სიმყუდროვეს უკმისებრ თხელ, მახსოვს, ეზოში თამაშის დროს გურამმა მიმიყვანა ამ ღობესთან. მერე გადამხვია ხელი და რომელიღაცა მისმა ამხანაგმა გადავგიღო სურათი. ეს სურათი ერთადერთია, გარდა ძალზე ადრეული ბავშვობის სურათისა, სადაც მე და გურამი ხელგადახვეულები ვდგავართ.

ერთხელ იმ „კიბეზე“, ზეკითების აივანზე რომ დგას, ეზიკარ და რაღაცას ვკითხულობ. უკვე სკოლაში დავდივარ, იქვე მიაჯირთან ბებიკო (ბებო სტაზია) დგას, გამხდარი ხელებით და მხრებით მიაჯირს ვყრდნობა იმ ადგილას, სადაც ეზოდან ამოსული ბლის ხე აივანზე შემიდის, მერე ბებიკო მოულოდნელად შემახის: „მარინე, აი, ამ ბლის ტოტზე ან თუ გინდა სხვაზე, რომელზეც გინდა, გითხრა რამდენი ფოთოლია!“ მე გაკვირვებული ვუყურებ. ვირჩევ რომელიღაც ტოტს, რომელიც სხვა მხარეს იყურება. ბებო სტაზია ერთ წამს შეაკლებს თვალს და მეუბნება, როგორც დათვლის შემდეგ ინკვეპ, ზუსტ რიცხვს. მერე ბებიკო ორ-ვე ხელს ლოყაზე მადებს და უცნაური ღიმილით მეუბნება: „ხედაე!“ მერე ისევ მიაჯირთან ბრუნდება და ეზოში იყურება, თან შეწუხებული თავს აქეთ-იქით აქნევს. მგონი, თარხუჯმა მოახერხა მშრალ ეზოში, გუბეში ფეხის დახვედვა.

აი, ვიკვლე გზას მოვინებების ხელ-თებში, რომლის ბუნდოვანებაში ვკეთება ის ჩვენი ნათესაობით ხავსე სახლი, ხავსე ჩვენი მსგავსი და ჩვენგან განსხვავებული ადამიანებით, სასხლით თუ არა სასხლის ნათესაობით, რომელიც იერთიანებს თავისთან, შეიმძვება, მერე რად ამ მრავალრიცხოვნობის გამო, ვკვლავ სხვას, ვინც იქ ცხოვრობს და მოთქმის გზას მიხსნის მოთქმ. და აი, ახლა, უეცრად, დროთა სიმორიდან, მე მოთქმის ვერ ეპოულობ განსხვავებას სხვა-ჩანებს, ჯავახიშვილებს, კილაძეებს, თამრო, ბჭუა, ლოდა, გუგულებს შორის. მადლობა ღმერთს, რომ ერთი წამით მაინც მარგუნა უნარი, ძავანიახ ხილვის რეალობა შემეგრძნო.

ჩვენი ეზო თითქოს სამ ნაწილადაა გაყოფილი: ერთია ნამდვილი ეზო, დიდი თუთის ხით. ამ ხეს ნაყოფი არა აქვს, და ამით ჩვენ ძალიან კამაყობთ. ხის გვერდით მწვანე გარაჟია, მერე ონკანი. ამ ონკანთანაც რაღაც ისტორიაც დაკავშირებული, ოღონდ ჩვენ დაბადებამდე. როგორ დაინახა აივანზე გადმომდგარმა ბებო ნინომ, რომელიც ერთ მეტრშიც კი ვერაფერს ხედავდა, თავისი თქმით, ამ ონკანთან მოთამაშე ბავშვები, როგორ გაარჩია, რომ ისინი შალიკო და ლამარა იყვნენ: აკი ვერ ხედავდით? და ასე გაუთავებელიც ეზოს ყველა კუთხეს თავისი ისტორია აქვს. უკვე არეული ქრონოლოგიურად, როდის რომელი მიხდა. შეიძლება უცებ გაირკვეს, რომ ბებო ნინო შალიკოს და ლამარას ვერ დაინახავდა იმიტომ, რომ მათი დაბადებისათვის უკვე გარდაცვლილი იყო და კიდევ ბევრი ასეთი რამ. მაგრამ მთავარია, რომ ეს არის გარემო სავსე კეთილი ამბებით, ისტორიებით. აი, ორბელიანების ბაღი. ამ ბაღში, რომელიც ვიღაც ფრანგმა გააშენა სპეციალურად ნათელიკოსათვის, შესვლა შეიძლება ან პაპა საშას მტკრიანი კორიდორის გავლით, ან ზევითა აივნის კიბეებიდან. ოღონდ თუ იქიდან ჩახვალ, უნდა ჩახტე, იმიტომ რომ ბოლო ორი კიბე ჩატეხილია. ამ კიბე და გადმოხტა ერთხელ ჩემს დაძახებაზე „მოდი, მოდი“ თარხუჯი, ჩემი ბიძაშვილი ჩემს გაშლილ მკლავებში და ამ კიბის ძირში გადაკოტრივდით ორივე ერთად ნამიანი ბაღის სივრცეში, რომ მერე, მთელი ცხოვრება, გაგვეხსენებინა ჩემი გაშლილი ხელები და ორი წლით შემდეგ ისი თარხუჯის უნარი, გულუბრყვილობით მინდობოდა სხვის დაძახებას.

ბაღის შუაში აუზია, ახლა მტკრით და ფოთლებით სავსე. ერთ კუთხეში მრგვლად დარგული ბზებია, მეორეში – ფერმკრთალი იასამნები, სავსე ხუთხუთი ყვავილით. იასამნები ადრე გაზაფხულზე იწყებენ ყვავილობას, მერე იაპონური იასამანი ყვავის, მერე რაღაც ჩინური ხე, მერე რაღაც უცნაური ვარდი. ყველაფერს ძლივს უდგია სული.

მაინც ყვავილობენ, მაინც ჭკეხიან, და მაინც, მერე ხელახლა ავლენენ სიცოცხლის უნარს. ხეივრა, წვრილი, თეთრი სურნელოვანი ვარდი ქუჩის მხრიდან შემოვლებულ მესერს ეხვევა მთელ საგრძე-სივანეზე. აქედან შეიძლება ყვავილების მოჭრა და ლამაზი თაფლის შეკერა, ან თეთრი ვარდის დავრუხალი ტოტის გვირგვინით თავზე შეიძლება. მეორე მხარეს კი, ძალიან ძალიან აგურის სახლის კედელია აღმართული. სადაც გაჭრილი ერთი ძალიან ფახვრით, საიდანაც არავინ არ იხედება არასოდეს.

სახლი, სავსე წარსულით, სავსე აწმყოთი... ცხენისთავიანი ოთახი... ვიღაც ფრანგის ნახატი ალექსანდრე ორბელიანისათვის. სახლი, სადაც ივანეს კაბინეტი გადადიოდა ოთახიდან ოთახში, იმის მიხედვით, თუ კიდევ ვინ ემატებოდა საცხოვრებლად ოჯახს. ჩვენ ბავშვობაში მამიდამ ქვევიდან ზევით, ცხენიან ოთახში ამოიტანა წიგნებით სავსე სტელაჟები, ხელნაწერები. როგორცა ჩანს, ვიღაცას დაჭირდა ქვევითა ოთახი ყველა ამბობს, ნათელა ძალიან ლამაზი იყო. ერთხელ თურმე წითელი კაბა ეცვა... მამიდა ნათელა ახლაც ლამაზია, ჩემი ნათელიკო – ალბათ ყველაზე ახლობელი და მშობლიური მთელ საგვარეულოში, ძია ლეოსთან ერთად. რაღაც უხილავი ძაფებით არიან დაკავშირებული ორივენი ჩემთან. თუმცა არ ვიცი, იმათ იციან ეს, თუ არა, გურამთან? აი, მამიდას წერილი, ჩემ ძმასთან მიწერილი მოსკოვში, რომელშიც იხსენებს გურამის სიტყვებს და საიდანაც შეიძლება მიხვდე, რომ მამიდას წერილი პასუხია გურამის წერილზე: „მწერ, რაც იწერება, ის აუცილებლად უნდა წაკითხულ იქნას“.

მამიდა ნათელა – კეთილი, ჭკვიანი თვალებით, რბილი, ლამაზი ფართო ხელებით, პიანისტის ხელებით. ხელებს ერთმანეთს ჩაჭიდებს, რაღაც თავისებურად ერთმანეთზე უსკამს მონაცვლეობით და მეუბნება, რომ მუსიკას უნდა გაუფრთხილდე, და რაღაც გვერდულად



იღიბება, თითქოს ოდნავ ნაღვლიანად, მერე მჩუქნის ბეთოლენის მეხუთე კონცერტს წარწერით — „შენი მოძალადე საკუთარი კონცერტების პროგრამებისათვის“. მერე კიდევ სხვას, შოპენის ვალსებს, რომელსაც აწერია ის, რაც ერთხელ მითხრა, რომ მუსიკას უნდა გაუფრთხილდე და კიდევ, „მუსიკაზე მაღლიან არაფერი გაგახარებს ცხოვრებაში“.

მაშინდას მოაქვს სკამი და ჩემს გვერდით უჯდება როიალს, რაღაცას მიხსნის, მერე დგება და ეილაცას ეუბნება: „ნახე რა კარგი ბგერა აქვს“. მერე მოდის და თავზე ხელს მადებს. მე მონდომებით გამოძყავს ბეკმეინზე ბეთოლენის საბავშვო პიესები, მერე ცოტა ხანში შემოსულ ბებიკოს ისევ რაღაცა კარგს ეუბნება ჩემზე; მე, გახარებული, დაძაბული ზედიზედ ებორძიკობ კლავიშებზე და ვცდილობ ნოტების ლაბირინთში გავიკვლიო გზა. მერე თვითონ უჯდება და იღებს გრიგის კონცერტის პირველ აქორდებს. თან მიყვება, როგორ უკრავდა ერთხელ გრიგის კონცერტს ევკენი მიქელაძის დირიჟორობით. მერე ჩერდება და ნაღვლიანი ღიმილით თავისთვის ლაპარაკობს, როგორ დაანება მუსიკას თავი, როგორ შევიდა ისტორიულზე, როგორ მუშაობს მთელი სიცოცხლე მაშას არქივზე, რა ძნელია არქივის კვლევა. მერე თითქოს რაღაც ახსენდება, ჩუმდება და შორს იყურება ფიქრიანი თვალებით. მერე სწრაფად დგება და საძინებელში გადის, მეც მივყვები; ვეძებთ რაღაც ნოტებს. ზოგაერთის აქვს მაგარი ყავისფერი მუყაოს ყდა, რომელზეც ამოჭრილია ინციფალი „ჯ. ო.“, იმიტომ, რომ ისინი საუციალურად დასტამბულია ჯამბაკურ ორბელიანისათვის სადაც უცხოეთში. იქვე მაშინდას უზარმაზარი ძველებური ხის საწოლი დგას პატარა, დაბალი, მრგვალი მაგიდით. ამ მაგიდაზე ფეხიანი ჩარჩოებიანი სურათებია. ზოგ ჩარჩოში რამდენიმე სურათია ჩასმული ერთად, ზოგს ჩარჩოს გარეთაც გამოუყვია თავი. წინაპრები ჩუმად იყურებიან მაშინდას სუ-

რათებიდან, სულ ახალგაზრდები, ბავშვები, ლამაზები, კონტად შეკრეჭილი თმებით, რაღაცა მატროსკებით, რაღაცა ჩაღისფერი აბრეშუმის პერანგებით, რბილი მალსტუხებით, ნაღვლიანი თვალებით, სულერთია, გინდ იცინოდნენ. თვალები, რომელნიც მოითხოვენ, რომ მათი საიდუმლო გამხვლილი იყოს. ნეტა ეს ჩემი სიტყვებია თუ ჯეიმზ ჯოისის, თუ გურამის, თუ შემთხვევით მოკარი საღღაც ყურის თვალები — მაშინდას მრგვალი მაგიდის ჩარჩოებიდან, ბებო თქლეს პატარა, ერთმანეთზე გადაბმული ჩარჩოებიდან, რომელიც ბუზრის თავზე დგას, და კიდევ სხვა ადგილებიდან, მთელ სახლში გაბნეულნი და ჩვენი-ჩვენი ცხოვრებით, ჩვენი საქმეებით, ჩვენი მათ გვერდზე ჩარბენებით, ჩვენი თვალისშეკლებებით, ჩვენი უპირატესობით, ჩვენი სიამაყით ყოველდღე ვიცდილებთ მათზე ფიქრს და მერე, ძალიან მალე, ჩვენი შეილები წინაპრები უსიტყვოდ ვწერდებით ჩარჩოებში, ვიცინით ნაღვლიანად და დანამდვილებით ვიცით, რომ ჩვენს შვილის შვილიშვილის შვილს ჩვენი სახელი არ ეცოდინება.

ერთხელ გივი კიბის თავთან დგას, ცალი ხელით კიბეს ვერდნობა და მეუბნება: „იცოდე, ახლა არ გააპტიებ, რომ ვირო და სხვა რაღაცეები დამიმბაზო, როდესაც ჩემთან ამხანაგები არიან ყურებს ავიწეე, გაიგე? ახლა წადი“. მაშინ მე ჯერ კიდევ სკოლაში დავდიოდი, გივი კი უკვე პირველი კურსის სტუდენტი იყო. გივი — ქერა, უკან გადაჯდებული ხშირი, ტალღოვანი თმით, ღვიდა დარეჯანის და ქეთინოს თვალებით, წყნარი ღიმილით ერთხელ შემომწერა, როდესაც შემთხვევით თვალი მოუკარი, სარკესთან პირისპირ მდგომს როგორ მიქონდა ხელები გულთან, მერე კი სარკესთან და ამბობდა: „ჯენ-ტარზან, ჯენ-ტარზან“. მაშინ ყველა აერთიდაიგივეს ვაიბაზოდა, „გივი ძალიან გავს ჯონ ვეისმიულერს“ და იმასაც ამბობდნენ, გივი საშინლად შეყვარებულიაო. მერე ერთხელ დათო დავინახე, კიბეზე იჯდა ვიტარიო ხელში, სიმებს აქლერებდა და



ჩემად მღეროდა: „შენ ნაღვლიან თვალებს...“, მერე დალისთან, ჩემს მამიდაშვილთან მოდიოდნენ ძალიან ლამაზი გოგოები სქელი ნაწნავებით, ზოგი გაშლილი თმით, ზოგი მოკლედ შეჭრილით. ვიგი, დათო, გურამი აივნის კარებს უღებდნენ. ხან შიგნით უშვებდნენ, ხან — გარეთ, როცა კიბეებზე ჩადიოდნენ. კვირა დღეს მოდიოდა ავი, ხანდახან ველოსიპედით. აივნის კუთხეში ბლის ტოტებს ქვემოდან მოაჯირს ეყრდნობოდა და რაღაცას ლაპარაკობდა უცნაური ხმით, უცნაური ექსტიკულაციით. მე ჩემად ვუყურებდი, მერე ვიღაცა თავზე ხელს გადამისვამდა და რატომღაც მეტყვოდა: „ყოჩაღ, ძალიან კარგი გოგო ხარ“ და მიჩრქვდა, ეზოში სათამაშოდ წავსულიყავი. ზევითებთან მთელი პრობლემა იყო ჩემთვის დაბადების დღეები. რატომღაც მაშინ, დაბადების დღის დროს, საოცარი სიცივე იყო ხოლმე ოთახებში. ამ დაბადების დღეების შემდეგ ყოველთვის ავად ვხდებოდი. ნეტა რამდენჯერ გავხდი ავად, ასე რომ დამამახსოვრდა? უფროსები თავისთვის თამაშობდნენ, მე — კუთხეში ვიდექი. თუ აბაშიძეებთან ვიყავი, ვანიჩკა დემურია მეძახდა და ლოყებზე საშინლად მწარედ მჩქმეტდა, ან რატომღაც ლოყებს მიწეულავდა. ეტყობა, მთელი ეზო შეყვარებული იყო მაშინ. სახლი თავიდან აივსო საიდუმლოებებით. აივნის კიბეზე, ზემოთების აივანზე ყოველთვის მაღალი, ლამაზი გოგოები ისხდნენ. ყველა კუთხიდან მაგდებდნენ მაშინ დიანასა და კიტისთან სათამაშოდ დალის ამხანაგები, გიგის ამხანაგები, გურამის და დათოს ამხანაგები. მერე ერთხელ საშინლად გამიკვირდა, როდესაც ერთ-ერთი ჩემი ძმის ამხანაგი ქუჩის მეორე მხრიდან გადმოვიდა, როდესაც სკოლიდან მოვდიოდი და რაღაცა მკითხა. არც არაფერი შემომძახა, არც ხუმრობით წამომარტყა. ცოტა ხანში გიგიმ ტკბილად გამიღიმა, თავზე ხელი გადამისვა და მკითხა, რა ნიშნები გამოიმყვა. უეცრად, ამის შემდეგ, ძალიან მალე აღმოჩნდა, რომ არსად აღარ ვიყავი ზედმეტი. პირიქითაც კი,

ხანდახან თითონაც მეძახდნენ ხოლმე. დიდი ხნის შემდეგ, როდესაც მე უკვე სხვა უბნიდან მოვდივარ სტუმრად მამიდაჩემთან, აივნის კიბეზე, მზის გულზე ზის პაპა გიორგი, მზეს ეფიცება, ჯიბეებში ხელები აქვს ჩაწყობილი. გარდაცვალა დათა, მერე ვანო, მერე კატო, მერე საშა. პაპა გიორგი ზის იმ ცნობილ კიბეზე, არც გაზეთს კითხულობს, შეიძლება ვეღარა ხედავს? არც წერს! მართოხელა მოხუცი! მხოლოდ წამით ვიგრძენი მასში სიხარულის ნაპერწკალი, რომელიც აინთო და ჩაქრა. ვკოცნი, მამიდა სახლშია? ვკითხები, მძასუხობს, თითქოს ეუხერხულება, რომ შემაჩეროს. მე შევდივარ დიდ ოთახში, საიდანაც კერები პაპა გიორგის ოთახისკენაც გადის. ფურცლებით სავსე მაგიდა ისევე დგას, არეული ფურცლებით სავსე, წიგნების კარადაც, რომელსაც ბავშვობაში თამაშის დროს ეჯახებოდნენ ნათელა, ლალი და კახა, მერე კი — ჩვენ ვეჯახებოდით ისევე თამაშის დროს — დამთხვეულები, აივნიდან მოულოდნელად ოთახში შევარდნილები. მაშინ ლალი-კახა-ნათელას მიერ კარადიდან გადმოცვენილ ფურცლებს პაპა გიორგი იღებდა და ისევე არეულს, როგორც მოხვდებოდა, დებდა, ტენიდა კარადაში. მერე ჩვენს მიერ გადმოყრილ ფურცლებს ტენიდა კარადაში უსიტყვოდ.

ამბობდნენ, რომ გიორგის, ძია გიორგის, პაპა გიორგის განსაკვიფრებელი მეხსიერება ჰქონდა და შეეძლო მუშაობის დროს მთლიანად დაყრდნობოდა მას, მოეყვანა ნებისმიერი ციტატა ისე, რომ სხვადასხვა გამოცემებიც კი არ არეოდა ერთმანეთში. ვიცი, რომ პაპა გიორგის ძალიან ბევრი აქვს ნამუშევარი ქართულ ხალხურ ფოლკლორში, რომ მას ახლო ურთიერთობა ჰქონდა შანტჩესთან, ახვლედიანთან და სხვა ქართულ ფოლკლორებთან, რომლებიც ძალიან აფასებდნენ მას და მისი ხშირი სტუმრები იყვნენ. „ნეტა, რატომ იყო ძია გიორგი პალეონტოლოგი, არ ვიცი“ — მითხრა ერთხელ ძია ლალი ჯავახიშვილმა და თვითონვე უპასუხა: — „იმიტომ, ჩემო

ერისნული  
1925

კარგო, რომ ბიძანემი ბრწყინვალე ლიტერატორი იყო". ბავშვობიდან მახსოვს ის ისტორია, რომელსაც ახლა ძია ლალი მიყვება, როგორ მიდიოდა ერთხელ გიორგი პეტერბურგში და ბაქანზე როგორ მოისმინა რადიოთი, რომ რუსეთში ცხადდებოდა კონკურსი ლერმონტოვის შესახებ დაწერილ მონოგრაფიაზე და როგორ დაწერა გზაზე პეტერბურგისკენ ეს ნაშრომი ზეპირად, ლერმონტოვის წიგნების გარეშე და როგორ მიიღო რუსეთში ოქროს მედალი ამ ნაშრომისათვის. ჯავახიშვილებთან ამჟამად, როგორც ჩემმა მამიდაშვილმა მითხრა, ინახება ამ ოქროს მედლის ბუდე.

სად არის პაპა გიორგის შრომები ქართულ ფოლკლორისტიკაში, ქართული ლიტერატურის ისტორიაში, ან თუნდაც ის მონოგრაფია ლერმონტოვზე? შემოინახა კი მისი ლიტერატურული მოღვაწეობის კვალი მისმა არქივმა, რომელიც ხელნაწერთა ინსტიტუტს გადასცა მამიდაჩემმა! ძია ლალიმ თქვა, მახსოვს, ისეთი ხმები დადიოდა ერთხანს, თითქოს ძია გიორგიმ თავისი ლიტერატურული შრომები დაწვაო. ყვებიან ასეთ ისტორიას, რომ ვითომც გიორგიმ სთხოვა ივანეს მისი რომელიღაცა ნაშრომის წაკითხვა; დალილ ივანეს უთქვამს, შენ წამიკითხე და მოვისმენო. კითხვის დამთავრებისას ივანე გამოუტყდა, რომ კარგად ვერ მოისმინა და ცხადია, ამიტომ ვერც გაიგო. მოულოდნელად გიორგიმ თავისი ხელნაწერი ავიზვიზებულ ბუხარში ისროლა. ივანე მივარდა გამოსაღებად, გიორგიმ მშვიდად უთხრა: ნუ ლელავ, თავში მაქვს ყველაფერი და მერე დავწერ უფრო უკეთესადო. არაფერ იცის, ზუსტად რა არის შემონახული გიორგი ჯავახიშვილის არქივში. ამის თქმა შეიძლება, მხოლოდ მისი შემკვიდრების დეტალური შესწავლის შემდეგ. არ შეიძლება, რომ გარეგნულად არეულ, მოუწესრიგებელ ხელნაწერებში არ იყოს შინაგანი წესრიგი და თანმიმდევრობა. ალბათ, პაპა გიორგის არქივის კვლევას აძნელებს ისიც, რომ ის

არ აკეთებდა გვერდების პაგინაციაზე; ლიან გამიკვირდა, როდესაც გავიგე, რომ პაპა ვანოს შავი ხელნაწერებიც პაგინაციის გარეშეა. ამის შესახებ თვითონაც წერს. (იხ. „ი. ჯ. ხელნაწერთა აღწერილობის“ შესავალი).

პაპა გიორგიზე უფროსები საათობით ლაპარაკობდნენ. იცინოდნენ ხოლმე, როდესაც იხსენებდნენ, როგორ ცდიდა სტუდენტებს: „აი, გაიყავით — ამის იქით ხუთები, აქეთ — ოთხები, ვისაც არ გინდათ, შეიცვალეთ ადგილები“. როცა ეკითხებოდნენ, რატომ ცდი გიორგი ასე სტუდენტებსო, ამბობდა: „ვისაც სწავლა უნდა, ის ნიშნის გარეშეც ისწავლის, ვისაც არა და არაფერი ეშველება“. ყვებოდნენ იმასაც, რომ ვანოს და გიორგის სრულიად განსხვავებული ხასიათები ჰქონდათ. ერთხელ ორივე დაითხოვეს უნივერსიტეტიდან. მერე ერთდროულად ორივეს სთხოვეს დაბრუნება. ვანო მაშინვე დაბრუნდა, გიორგიმ კი შეუთვალა: ყულიკები ხართ და თქვენთან მუშაობა არ მინდაო. ყვებოდნენ იმასაც, რომ ძია გიორგიმ უნიკალური, ვრცელი ნაშრომი პალეონტოლოგიაში, რომელიც უნიკალური იყო თავისი ღირებულებით, არა მარტო ჩვენი ქვეყნისათვის, არამედ საერთოდაც, დააბეჭდინა პაპიროსის ქალაქზე და ამიტომ ორ-სამ წელიწადში დაინახა.

ძია ვანო ძალიან აფასებდა თავისი ძმის ინტელექტუალურ შესაძლებლობებს, ოღონდ წუხდა: გიორგის თავისი სამუშაოს რეალიზაცია არ ედარებო. იქნებ არ შეეძლო? რადგან ცნობილი იყო ისიც, რომ გიორგის ძალიან უძნელდებოდა გამომცემლებთან ურთიერთობა. ეს მეც მახსოვს — როგორ ეუბნებოდა ხოლმე გამომცემლობიდან დაბრუნებული პაპა გიორგი მამას: ისიც ყულიკი გამოდგაო. შეიძლება ამ სიძნელის გამო იყო, რომ ნაშრომის რეალიზაციას იგი მუშაობის გაგრძელებას ამჯობინებდა ხოლმე. მარტოხელა მოხუცი, სულ მარტოხელა, რომელზეც ამბობდნენ — „არ აკოცო, ხო იცი, როგორ არ უყვარს, როცა კოცნიან“, ან კიდევ: „ვერაფერს ამჩ-

ნევს შეცნობებისა და პოლიტიკის გარდა და არც არაფერი აინტერესებს. მახსოვს, როგორ გაუჰკვირდათ ქალებს ერთხელ, როდესაც ძია გიორგიმ, რომელიც ქალების ჭორობას ჩუმად ისმენდა, მოულოდნელად იკითხა: „ვიზე ლაპარაკობთ? აი, იმ ქალზე ხო არა, ჩულქის ნაკერები ყოველთვის გვერდზე რომა აქვს მოღრეცილიო!“

გურამის არქივში ინახება ჩანაწერი პაპა გიორგიზე, რომელიც ისევე, როგორც ჩანაწერი ბებიანზე, 1956 წლის გაზაფხულზე უნდა იყოს გაკეთებული.

„ორიოდე სიტყვა პაპანზე გიორგიზე (ბებოს ძმაზე)

ახლა დავამთავრე ერთი პატარა მოთხრობის წერა, რომელსაც დავარქვი „სიყვარული მარტის თვეში“. ჯერ მხოლოდ დილის ათი საათია. დედას ძინავს, ბებომ კი გაიღვიძა და თავისთვის წვალობს. მე კარგ ხასიათზე ვარ რატომღაც, არა, კარგზე კი არა, უბრალოდ რაღაცას ძლიერადა ვგრძნობ — ამას ვეძახი მე კარგ ხასიათს.

გუშინ გარდაიცვალა ბებოს ძმა გიორგი ჯავახიშვილი. იგი ჩემი ბავშვობის ერთერთი საინტერესო და საიდუმლო მოგონებად დამრჩება. დაბალი, მსუქანი, მელოტი პაპა, რომელიც ზედა სართულში ცხოვრობდა მასავით მსუქანი ბებოსთან ერთად, მე ისინი ცოლ-ქმარნი მეგონა, მხოლოდ 10-12 წლისამ გავიგე რომ ერთი ჩემი ბებიდაა, ხოლო მეორე ბებიას ძმა. პაპა გიორგის ჯიბეში ყოველთვის კამფეტები ქონდა ან ხილი რაიმე, ან ნამცხვარი. „წაიღე“ — ბუზღუნით გვაძლევდა ხოლმე მე და ჩემ მამიდაშვილ დათოს. მერე თავისი ჯოხის ბაკუნით დინჯად ადიოდა კიბეებზე. „ნათელა!“ — გასძახებდა ხოლმე თავის ძმისშვილს — „აპა დღეს ესა, ერთი ოცი თუმანია. პონორარი ავიღე“ — მერე უბეში ჩაიყოფდა ხელს — ეგეტ რჩეული-შვილებს წაუღე, მიშას უთხარი საღამოს ჩამოვა-თქო“. „კატო!“ — შევიდოდა ასევე დინჯად თავის ოთახში — „აგე ეგ სოსისი“ — ამოაძრობდა უბიდან შეხვეული ფუთას, ეგეტ ხორცი“. ახლა ჯიბეში

ჩაიყოფდა ხელს; ესეც მაკარონი. ამ ჩანთაში კამფეტები და ხილი. კატო, გაიგონე! ელენესა და ნატაშა ჩიჯავაძეებს დაუძახე სადილადა, ხო, მართლა, დათო, ერთი შენა ქვევით ჩაირბინე. საშას უთხარი გიორგი სადილზე თავისთან გეპატივება-თქო და ქვევით არ ისადილოს“. მერე მივიდოდა თავის მაგიდასთან, ჩვენ შირმის უკან დამალულები (იქ სახლობანას ვთამაშობდით ხოლმე) ვუყურებდით უცნაური მოხუცის მოძრაობას. პაპა გიორგი კი მიუჯდებოდა მაგიდას და იწყებდა გახეთის კითხვას, ხანდახან შუბლს იქავებდა კოტიტა ხელეებით ან მსუქან ნიკაპს ისრესავდა. უცებ გაზეთს თვალს მოაცილებდა და მთელი ხუთი წუთი თავისთვისა ხითხითებდა. მერე იღებდა საწერკალამს და დაუსრულებლივ წერდა. ამასობაში მე დედა სასუზმოდ ჩამიყვანდა, დათოს აძინებენ, პაპა გიორგი კი სულ წერდა. სადილისთვის სასადილოში საჭმლის სასიამოვნო სუნი დატრიალდებოდა თუ არა, ის ხელსახოცს იფარებდა გულზე და მაგიდასთან შემომხსდარ ნატაშა ჩიჯავაძეს ესაუბრებოდა. „დათო, ბიჭო, საშას უთხარი ჩქარა ამოვიდეს, თორემა გაცივდა სადილი“. დათო უკვე მეთოხედ ჩარბოდა კიბეებზე. შემოუხვევდა ქვევით და ბრახ! ბრახ! ბრახ! ურტყამდა ჩვენი სამზარეულოს ფანჯარას. ჩვენ სადილად ვიჯექით, ბებოც ჩვენთან სადილობდა და სიყვარულით გვიმზერდა: „ეს ისევე გიორგიმ გამოაგზავნა ალბათ დათო“ — იტყოდა ხოლმე ბებიანზე, მერე თავის შავ შალს მოისხავდა და წელში მოხრილი მიდიოდა ზევითკენ. გზაზე მე თვალს ჩამიკარავდა ხოლმე „შენ დარჩი, ისწავლე, მე კი პაპა გიორგის შენთვის კამფეტებს გამოვართმე“. დათო წინ მიხტოდა, შევიდოდა ოთახში და გაბუზული იდგა. „რა პქენი, ბიჭო, დაუძახე“. — შევკითხებოდა პაპა გიორგი, თან კოვზს უბერავდა და წვევსა ხერებდა. „მოდის“ — იტყოდა დათო. „მოდი, საშა, აქ დავიქე, სადა ხარ ამდენ ხანსა“. ბებო მიუჯდებოდა მაგიდას. „გადაიღე, საშა“ — ეტყოდა პაპა გიორგი, აიღე მამ, ქალო“ —



იმეორებდა პაპიდა. „საშა, საშა“ — და-  
შაქრული ხმით ამბობდა ნატაშა —

მერე კისერს  
მოიღერებდა, იღიმებოდა და ბასნარევი  
ხმით განაგრძობდა — „შენი შვილიშვი-  
ლები ვნახე გუშინ, ვერ მიცნეს. «Какой  
хороший, Тамаз какой вежливый,  
наверно скоро жениться, привет  
передай».

„რას მიქარავ“ ჩაიბუზღუნებდა პაპა  
გიორგი, „ქალო შენ რას ამბობს, რომე-  
ლი თამაზი, შენ ალბათ გურამი გგონია,  
მაგრამ ის ჯერ ხომ ათი წლისაა“.

«Да, да» — განაგრძობდა ნატაშა  
ему еще десять лет, какой он хо-  
роший, высокий, наверно в школе  
отличник».

პაპა გიორგი იბერებოდა, ელენეს ქება  
საყოველთაოდ ცნობილი იყო და არაეი-  
სა სიამოვნებდა. „აილე საშა“ — ისევე ეტყ-  
ყოდა პაპა „აპაპაპაპა, არაფერი არა  
მინდა რა, ქვევითა ვჭამე“. „ხოდა რათა  
სჭამე, აილე, ეს არტალაა, ესეც ფლავი  
მურაბითა“. პაპა გიორგი ცალთვალს  
ოდნავ მოჭუტავდა და ფლავს გადმოი-  
ღებდა, ზევიდან ნახევარ ქილა მურაბას  
ასხავდა. „უიმე, უიმე“ — იძახდა ბებიდა  
კატო — „კაცო რამდენსა ჭამე“. „გაუშვი ერ-  
თი და“ — იგერიებდა პაპა გიორგი. „მართ-  
ლადა მოკვდები კაცო, რა არის“ გაუშვი  
საშა, შენ რაღა გინდა“. ამასობაში ნატა-  
შა უკვე შენაყრდებოდა, მერე შეხედავ-  
და პაპა გიორგის: «Ну и пусть питает-  
ся, зато он прекрасно выглядит.  
Да, да обаятельный князь Георгий».  
შენი გულისა, შენი გულისა, დიდად მე-  
ამა, სადილისთვის გმადლობთ“.

საღამოს ჩვენი სამზარეულოს ფანჯა-  
რაზე გაისმებოდა დინჯი ბრაზუნი. „პა-  
პა გიორგი, პაპა გიორგი“ დავიძახებდი  
ხოლომე გახარებული და კარის გასაღე-  
ბად მივბობდი. „მიშა, ადექი“ წყრომით  
ეტყოდა ბებო მამაჩემს. „ადექი, კაცო,  
ბიძაშენი მოვიდა, ამ ოთახში ახლა მა-  
რომ მარინე უნდა დააძინოს“. „გურამ,  
წყალი მოიტანე“ — იძახდა ახლადგამო-  
ღვიძებული მამაჩემი. ამასობაში პაპა გი-  
ორგი ჯოხის ბაკუნით, ან უჯოხოდ, ნელ-

ნელა, ნიკაპის სრესით შეაბიჯებდა მა-  
მაჩემთან, „მიშა, გაიგონე“, მერე მოყვე-  
ბოდა სიცილი, შემდეგ ჩამოჯდებოდა  
სკამზე და კარგა ხანს გულიანად ხითხი-  
თებდა. „უკაცრავად, მია გიორგი, მე ახ-  
ლავე წამოვდგები“, მაგრამ პაპა გიორ-  
გის აღარ ესმოდა. — „ხოდა იმას გეუბ-  
ნებოდი, რუხველტსა გამტყუნებია თავი-  
სი ოინები“. საერთოდ ცნობილი იყო  
მისი პროგნოზები პოლიტიკაში და მა-  
მაჩემიც დიდი გულისყურით უსმენდა. მე-  
რე ლიტერატურაზე ჩამოვარდებოდა ლა-  
პარაკი. „ჰოდა გარსევანი ჭავჭავაძე“  
აქაც თავის საოცარ ცოდნას ამჟღავნებ-  
და პაპა, შემდეგ რამეს მოიგონებდა თა-  
ვისი წარსულიდან. ისე თავიდანვე დიდი  
ეულივი იყო — მარგველაშვილი“. მის  
მეხსიერებას ალტაცებაში მოყავდა ყვე-  
ლა. მას ზედმიწევნით კარგად ახსოვდა  
ცხოვრების მანძილზე შემხვედური ყვე-  
ლა ადამიანის გარეგნობა, გვარი, სახე-  
ლი, რამე მაგალითი მისი ქვევინანაც  
კი.

მე ისე მეგონა მაშინ, რომ როგორც  
გავიგე ცალთვალა (ცალი შუშისა ჰქონ-  
და) პაპას ჩემი სახელიც კი ძლივს ახ-  
სოვდა. ყველაფერში უცნაური იყო იგი.  
როდესაც ჩაის სასმელად დავსხდებო-  
დით, ბებო მოუმარჯვებდა ხოლმე ტკბი-  
ლეულს „გიორგი, გადაილე, ხომ ვიცი,  
რომ შენ გიყვარს კაკლის მურაბა“. „მო-  
იცა ერთი და“ — ბუზღუნით ეუბნებოდა  
იგი, მერე ხელსაზოცს გაიკეთებდა კი-  
სერზე, როდესაც ჩაის სმას გაათავებდა,  
ჭიქას გადმოაბრუნებდა. „მორჩა, აღარა-  
ფერიც აღარ მინდა, მადლობელი ვარ“.  
„გიორგი, ეგ რა იცი, კაცო, ჭიქის გად-  
მობრუნება“ — წყენით ეუბნებოდა ბებო-  
ჩემი, მერე დაუყვავებდა — „გიორგი კაცო,  
ახლა ადი, დაიძინე, თორემ კატოც ღე-  
ლავს“. „ხო, დროა“, — იტყოდა პაპა გი-  
ორგიც „გურამ, ერთი გამაცილე კარე-  
ბამდისა“.

(1956 წ. 20 მაისი)

აი, ასეთ სახლში შევიდა დედა რძლად,  
სადაც ორივე სართულზე სხვადასხვა  
მაგიდებზე გაშლილი იყო სამუშაო, ქვე-  
ვითა სართულზე მუდმივი შრომის ატ-

მოსფერო (მიშა სულ მაგიდასთან იჯდა, ლეო სულ ხაზავდა, თვითონაც დედა გატაცებული იყო მეცნიერული საქმიანობით, თან ინგლისურსაც ინტენსიურად სწავლობდა მამასთან ერთად, რადგან მომავალ მეცნიერისათვის ერთ-ერთი უცხო ენის ცოდნა მაინც აუცილებელი იყო თუ მეტის არა) მოულოდნელად იცვლებოდა გატაცებული ქეიფებით, რომლის შესახებაც ადრევე ვთქვი. მაგრამ შრომა წყდებოდა ძია ლეოს ამხანაგების ქეიფებითაც, რომლის დროსაც იკრიბებოდნენ ვახტანგ ბერიძე, თინა ვირსალაძე, ვახტანგ ცინცაძე, კოლია ჩუბინაშვილი, კოლია ბარათაშვილი, რუსუდან მეფისაშვილი. მანანა კანდელაკი, ლონგო სუშაძე და სხვები. ძია ლეოს წვეულებებს, რომლებიც დედაჩემს განსაკუთრებით მოსწონდა, უფრო აზრთა გაცვლა-გამოცვლის, ურთიერთგაზიარების ფორმა ქონდა და არა კაცების ღზინისა — როგორც მამასთან, თავისი თამაღით, სადღეგრძელოებით და სხვა.

დედა მალე დაფეხმძიმდა. მაგრამ მოხდა ისე, რომ 6 თვისა ტროლეიბუსიდან გადმოვარდა და ზურგით დაეცა. ნაადრევ მშობიარობას მოყვა არასრულყოფილი ბავშვის დაბადება, რომელიც მალევე გამოიყვანეს საავადმყოფოდან. დედა ყველა, ბავშვი სულ ბუმბულებში იწვაო. მეორე თუ მესამე ღამეს დედას ღრმა ძილით ჩაეძინა და ნახა სიზმარი, ვითომც პატარა მტრედებმა წაიყვანეს. დედამ თურმე შეშინებულმა გაიღვიძა, გადაჰყო ხელი, სადაც ბავშვი ეგულებოდა და საწოლი ცარიელი დახვდა. დედას უფლება არ მისცეს ენახა თავისი პირმშო, რომლის სხეულს სული უკვე მოსცილებოდა. არც საფლავი უთხრეს სად იყო. ძია ლეომ საკუთარ თავზე აიღო პატარას დაკრძალვა. უნდოდა, თავისი საყვარელი რძლისა და ძმისთვის აეცილებინა შვილის საფლავის განცდა. თუმცა, დედა და მამა ამას მაინც ვერ აცდნენ სულ რაღაც 26 წლის შემდეგ. შეიძლება ამიტომ იყო, რომ დედას საოცრად ეშინოდა სასაფლაოსი, ძაძების. ერთხელ, სულ პატარაობისას, აღდგომის მეორე დღეს სასაფლაოზე,

მახსოვს, როგორ მომიჭირა ხელი თავისდაუნებურად, საშინლად გაფითრებული იყო, გვეონებოდა ის-ის იყო ქრუანტელმა გადაუარაო და თითქოა თავისთვის თქვა: „სასაფლაოს ვერ ვიტან, ნამდვილად არ შემიძლია აქ სიარული“.

დედა გათხოვდა 1932 წლის 29 თებერვალს, ქორწინებიდან 2 წლის შემდეგ. 1934 წლის 4 ივლისს, დაიბადა ჩემი ძმა ქუთაისში, რადგან პირველი ამბით შეშინებულმა დედამ გადაწყვიტა, თავისი მშობლების გვერდით ყოფილიყო ბოლო თვე. ივანე ჯავახიშვილის ხელნაწერთა აღწერილობაში გადავაწყფი ბარათს, რომელიც დაწერილია 1934 წლის 4 ივლისს და რომლის ადრესატიც არის დედაჩემი. თვითონ ბარათის ნახვა, რომელიც ალბათ მისალოცი უნდა იყოს, ჯერჯერობით არ მოხერხდა.

ერთხელ 57-58 წლებში რამდენჯერმე თვალი მოვკარი, რომ დედაჩემი ერთიდაიგივე ადგილასა ზის და რაღაცას წერს ენერგიულად. ჯერ ვიფიქრე, რომ სახლის ქვითრებს, ელექტრონის გადასახადს, მაგრამ ცოტა ხანში აღმოჩნდა, რომ ეს, არც მეტი არც ნაკლები დედას დღიურებია გურამის შესახებ. მერე ერთხელაც გამახსენდა და გურამს ეუთხარი. „წეროს, ძალიან კარგი, მოვა დრო და ყველაფერი იქნება საჭირო“ — მითხრა გურამმა თითქოს სხვათაშორის, ღიმილნარევი ხმით და რაღაც ვარჯიშის მაკვარი განავრძო.

აი, ახლა, როდესაც მართლა საჭირო გახდა ყველაფერი, რასაც ყველაზე გვიან ჩვენ, ოჯახისწევრები მივხვდით, 30 წლის შემდეგ დავიწყე წერა ჩემი ძმის შესახებ და ვცდილობ მივყვე მის ცხოვრების გზას. დედაჩემმა კი უკვე დაწერა, ჯერ კიდევ მაშინ, თავისი მსხვილი, მრგვალი ასოებით, რომელიც იმდენად გავს მისი შვილის, უკვე მწერალ გურამ რჩეულიშვილის ხელწერას, რომ ხანდახან ძნელია გარჩევა, ოღონდ მხოლოდ ხანდახან; ზოგჯერ კი იგი მამას ხელწერას გავს — უფრო თხელი, ერთმანეთზე მიყრილი ასოებით. 1956 წლის ხელწერა კი, იმ წლისა, როდესაც

პირველად დაიწყო წერა და საგანგებოდ გამოყავდა თითქოს თითოეული ასო — ივანე ჯავახიშვილისას. ხანდახან ძნელიც კია ზოგიერთი სიტყვის გარჩევა, ივანეს დაწერილია თუ გურამის.

დედამ მაშინ შეავსო სამი 12 ფურცლიანი რვეული. ახლა ეს ჩანაწერები ძველი დროიდან შემორჩენილ მწვანე საქალაქში ჩავდე, ზევიდან დავაკარი ფურცელი, ისე, როგორც სხვა საქალაქებს, და დავაწერე დედაჩემის სიტყვები: „უსაყვარლესი შვილის გურამის შესახებ“. დედამ ახლა მითხრა: წერით დარდს ვიქარვები, ხშირად ცრემლიანი ვწერდიო.

პირველი ჩანაწერები ეხება სწორედ გურამის დაბადებას და ბავშვობის ადრეულ წლებს. მომყავს ეს გვერდები უცვლელად:

„ჩემი უსაყვარლესი შვილის გურამის გარშემო.

გ უ რ ა მ ი მოუსვენარი, მეტისმეტად სიცოცხლით სავსე, უცნაური, თავისებური, კეთილშობილი, კეთილი გულის, ბოლოს თითქოს დინჯი, მუდამ მოწყვნილი, რაღაცით უკმაყოფილო, გ უ ლ რ ა ხ ე ე უ ლ ი.

წარმოდგენილია, უცხოთვისის ზემოთ-ჩამოთვლილი თვისებები როგორ თანდათან ვითარდებოდა ჩემ თვალწინ. ყველა დედა იტყვის, ძალიან გამძიმელა შვილის გაზრდაო, მაგრამ მე თამამად შემძლია ვთქვა, ასეთი საინტერესო და თანაც ასეთი ძნელი გასაზრდელი ახალგაზრდა ძნელად იბადება. გურამი დაიბადა თუ არა, ისეთი მოძრავი და მოუსვენარი იყო, ერთ წუთში უანგარიშო ფორმას იცვლიდა, ტირილი ხომ საკითხი არ არის, შეეძლო 24 საათი გაბმით ეტირნა, თან თავის გარეგნობით ისეთი კარგი იყო, ყველას სიყვარულს იმსახურებდა, მე-10-ე დღეს გამოვედით სავადმყოფოდან, ეს იყო ქუთაისში ბაბუა სიმონის ოჯახში, მოკვიყვანეს ეტლით. საწყალმა ჩემმა ძმამ ოთახის ფანჯარა გამოაღო და ეტლის გაჩერებისთანავე

ფანჯრიდან გეკოს სისტემის თოფი სამჯერ გაისროლა. ბაბუა სიხარულით შეხვდა პირველ შვილიშვილს და ისიც ბიჭს მართლაც, გურამმა მთელი ოჯახი გამოაფხიზლა, ისეთი ამბავი ქონდა. მთელი ოჯახი ფეხზე დააყენა, დიდი სიხარულით მშველოდა საწყალი დედა (ბებო ანეტა). მე არც კი მანებებდა ჩემ შვილს, მთელი სიძმამე მოვლისა ბებიანზე და ბაბუანზე იყო. გურამი ნელ-ნელა მოიზარდა, ნ თვემდე ქუთაისში დავრჩით. საღამოთ დაძინებაში მთელი ოჯახი იღებდა მონაწილეობას — ბაბუა, ბებია, დედა, ბიძა. როცა გურამი დაძინებდა, ძლივს ვიდექით ფეხზე. თუმცა გვემით გურამი ისე უნდა დაგვეძინებინა, ტარებას არ უნდა მიჩვეულიყო, მაგრამ გურამის ხასიათმა ყველაფერი დაგვაიწყვებინა. ნ თვისა ჩამოვედით თბილისში, აქ მარტო დავრჩი, მოსამსახურის ანაბარა და ცოტა უფრო ძნელი იყო ამ ამბების გადატანა. მამა გურამისა ისეთი დინჯი კაცი იყო, ყველაფერს ადვილად უყურებდა. გურამის აურზაური, რა ზედაც მე დიდი რეაქცია მქონდა, მიშასთვის არაფერი იყო. მუდამ გაუნძრევლად იჯდა თავის მაგიდასთან და წარბსეუზრელად მუშაობდა. ხანდახან თუ დაინახავდა, რომ გურამის ტირილი და მოუსვენრობა გადააჭარბებდა, სავარძლიდანვე იკითხავდა „რა იყო, რა ამბავი აქვს მაგ ბიჭს“ და ისევე განაგრძობდა საქმეს. — ასე თუ ისე, გურამი გახდა 1 წლის. უკვე დადიოდა კარგად, ყველა სიტყვას მკაფიოდ ამბობდა, ცდილობდა წინააღმდეგობას. თანდათან თითქოს გაადვილდა მოვლაც. (მოვნათლეთ 9 თვისა, ნოტიობი იყვნენ ჩვენი საყვარელი და საპატივცემულო ადამიანები ი. ჯანდიერი და ი. ჯავახიშვილი. გუნებაში ხშირად ვიფიქრებდი, იქნებ ღმერთმა ბრძანოს, ამ ორი დიდი ადამიანის ნიჭი და კეთილშობილება გურამს ნაწილობრივ გადმოეწეროს-მეთქი. გარეგნობით გურამი ძალიან კარგი და გულმისასუნლელი ბავშვი იყო. თბილისში ხანდახან გვესტუმრებო-

და ბებო საშა და პაპა ტიტო, რომლე-  
 ბიც ძალიან ხარობდნენ გურამის პატა-  
 რაობით. გადიოდა დრო და დიდი სიძნე-  
 ლეების გადალახვით, დაღლით გახდა  
 გურამი სასკოლო ასაკის. სკოლაში წას-  
 ვლის წინ, წავედით მე და გურამი, ვი-  
 ყიდეთ პატარა მაგიდა, სკამი, სასკოლო  
 ჩანთა, საჭირო წიგნები, რეულები, ფან-  
 ქრები. გურამი დიდი სიხარულით მომ-  
 ყვებოდა. მეორე დღისით წაეიყვანე ყოფ-  
 ი. ჭავჭავაძის სახ. სკოლაში, ჩავაბარე

მასწ. კატო დიდიძეს, ერთის შეხედვით,  
 მოეწონა მოწესრიგებული ახალი მოს-  
 წავლე და პირველ მერხზე დასვა. ორი  
 თვე გურამი შესანიშნავად იქცეოდა, იმ-  
 სახურებდა მასწავლებლის ყურადღებას,  
 მაგრამ ჩქარა გამოემშვიდობა ამ დამშვი-  
 დებულ ფორმას და ნელ-ნელა შეუდგა  
 ცელქობას. ხშირად უსაყვედურებდნენ  
 თუმცა სწავლაში არასოდეს არ ემდუ-  
 როდნენ, კლასიდან კლასში ქების სიგე-  
 ლებით გადადიოდა“

(გაგრძელება იქნება)



## ვანტანგ ღღონტი

### წვიმა და ოცნების ბენერლები

წვიმიანი დღე:

მე ვით ნადდი ვენეციელი  
გონდოლიერის სიმღერას ვმღერი...  
რაღვან ძველებში ახალი ვარ,  
ახლებში – ძველი,

მე ძველ სიმღერას ახლებური ვმღერი მოტივით.

ჩემი ქალაქიც ვენეციაა,  
როცა ღვართქაფი მოვარდება,  
როცა ქუჩები მდინარეებად გადაიქცევა,  
როცა ერთბაშად მოიფხიზლებს  
მზის ფერებისგან მიძინებულ კალაპოტივით.

ამ ქალაქში მოხეტიალეს

ქოლგა მზად უნდა ჰქონდეს ხმალივით,  
რა მისჭირდეს – ფარად იფარებს...

ჭკუის საზომი შეცდომაა ადამის დღიდან,  
ბრძენიც რომ იყოს შეცდომებში დაბერებული,  
არც იმან უწყის, – პაწაწინა მაწანწალები  
თავზე როდის დაესხმებიან –

ღრუბლის სანგარში ჩასაფრებულნი.

როს წყნარ ქუჩაში ქალწულს წყნარად მოსიარულეს

წვიმის წვეთები აედევნება

გალოთებული სატრფოს ცრემლივით.

როცა ქალწული ფეხს აუჩქარებს,

როცა სახლში შეიჭრება შეშინებული

და ფანჯრიდან გადმოხედავს სევდიან წვიმას,

წვიმა უფრო უმატებს ტირილს,

სწორედ ამ დროს

მე გამოვდივარ ჩემი ბინიდან.

თუ არ უყვარს ეს ქუჩები – მდინარეები.

წყალმა წაიღოს მეტივეც და

იმისი ტივიც.

მე წვიმის ტყვე ვარ ჩემივე ნებით...

რა ვუყოთ მერე თუ გაქცეულ ჯარს

ჩამორჩენილი ჯარისკაცივით

ყველას მაგივრად მე მაზღვევინებს  
 სულელი წვიმა, —  
 თავით ფეხამდე გალუმბულს და აძაგძაგებულს  
 წყლის უთვალავი ხელკეტით რომ გვერდებს მიღვეწავს...  
 ვისაც ოცნება გარდაეცვალა  
 ნუ არისხებს ხმაძაღლა ჩემი სიცილი,  
 ნუ აოცებს ჩემი სიგიჟე.  
 არავინა მყავს,  
 პირს ვინ დამბანს,  
 ან ტანსაცმელს ვინ გამირეცხავს.  
 აქვე მეჩქემის სახელოსნოს,  
 რაც თავი მახსოვს, ასე ღვას და  
 ვერას აკლებს წვიმა და ქარი,

ახმაზი კოლა  
 (ისიც ჩემსავით პოეტია),  
 ასი წლის კაცი წვიმას უცქერის და იღიმება  
 შუა ქარში კარივით მღვარი.  
 ჩვენ ვესალმებით ხელის აწევით,  
 ამის შემდეგ ვკოცნით ერთმანეთს.  
 თვალი კედლისკენ გამეცქევა,  
 რაც ვინდათ ის თქვით:  
 ღვთისშობელივით ქალებია — ნატა ვაჩნაძეც,  
 კლეოპატრა ტეილორიც და ბრიჯიდ ბარდოც,  
 ახლა გინდ ცა ჩამოსულა მიწაზე ფეხით, —  
 არ შედარდება,

გინდ იწვიმოს,  
 ან თუ გინდა დიღამდე ბარდნოს.  
 აი, ჩემი საყვარელი მასწავლებელი,  
 სხვა ყველანი გადავივიწყე  
 როგორც მათი „არები“ და „ორიანები“,  
 ფეხსაცმელს პირი დაუღია მშიერ კაცივით,  
 რა კარგია, — შეგიძლია ამოუკერო,  
 არ გიჩივლებს და არ დაიკვნესებს,  
 არც სადგისის ეშინია და არც დანების.  
 დედაქალაქს მივემგზავრებოდი სასწავლებლად  
 ყმაწვილი ბიჭი,

დაჭმუჭნული თუმანი მომცა,  
 თან ასის თუმნის დარიგება გამოაყოლა  
 მეჩქემე კოლამ:  
 „სკოლის წიგნები დაუბრუნე შენს პედაგოგებს,  
 არ დაწერილა ჯერ ცხოვრების სახელმძღვანელო,  
 იქ ხანჯლით წერენ შეფასებებს,  
 რომელთაც ვერვინ გადაგისწორებს...  
 კეთილო ბიჭო, აბა, შენ იცი,  
 უმკაცრესი მოგელის სკოლა!  
 უცხო ქალაქში ჩასუღები

„საჭირო ოთახს“ იკითხავენ უპირველესად  
 და საჭირო კაცს გამოძებნიან,  
 თუ არავის მოეწონა შენი სიფათი,  
 ნუ ინაღვლებ და ნუ შეშინდები,  
 ნუ დაიჯერებ რომ ორფეხთაგან  
 შენ ხარ ყველაზე უსუსურიც და უსახურიც.

გამარჯვება გაგალამაზებს,  
 დროის წისქვილი ერთნაირად დაფქვავს სუყველას,  
 დროს დააცადე, — რა დაგრჩენია.  
 ამხანაგი სამ რამეში გამოსცადე —  
 ფულში, ჩხუბში და ლამაზ ქალთან მეგობრობაში,  
 თუ არ გიმტყუნა, გაუფრთხილდი და გაუთბილდი,  
 ერთი სიტყვით, — ამჯობინე სისხლით შენიანს“.  
 გზები ბილიკებით იწყება და  
 ისევ ბილიკებით ბოლოვდება,  
 ისევ ერთად ვართ ოსტატი და ნამეგირდალი,  
 ოცნებობს ძველი ლოთიბაში,  
 სიმთვრალეშიც რომ ფხიზლად უჭრის გონების თვალი:  
 „ღმერთო, ჰა, ღმერთო,  
 გვენდე ერთხელაც: ღვიწოდ აქციე ეს მდინარე,  
 ჩემთვის არა გთხოვ,  
 არ შემერგება, — მე ღვინოს ვსვამ და  
 მიცვალებულს საფლავებში ჩაუღით წყალი...  
 დაკაცებულხარ, შავგერემანო,  
 გარედან — შავო,  
 სპეტაკო და ნაღღო შიგნიდან,  
 გაფიცებ ბებერ მასწავლებელს  
 რა გაიგე გაუგებარი,

რას მიმკითხავენ შენი წიგნიდან?!  
 დაკაცებულხარ,  
 შემძლია  
 უკვე განდო ჩემი საკაცეც,  
 მკვდრებს იმდენი რამ გავატანე, — თან უნდა გავყვი-  
 სიცოცხლეზე ძვირფასია თავისუფლება,  
 ვერ გავექცევი მოგონების მტანჯველ მარწუხებს,  
 ფეხები, ჩემი ჯაგლაგები, — დავარდნილან!  
 მკლავები, ჩემი მათრახები, — დაწყვეტილან!  
 ეგ არაფერი,

თხოვნა მაქვს ერთი,  
 როცა გვერდით არ გეყოლები,  
 თითქოს აქა ვარ  
 ისევ დამისვი კითხვები და  
 ჩემს მაგივრად შენ უპასუხე...  
 — შენ მოგივლია ინსტიტუტები  
 და ალბათ უკვე  
 ჰალსტუხიანთა არმიაც გყავს შეამქრებული,

აბა, რას მეტყვი გასაოცარს ჩემო მეგობრო?!  
 — ეჟას უთხარი,

ეჟას, შენი კარის მეზობელს,

გაშორდეს თავის უსაცკლო ქმარს

და შენ მეგობროს...

ჩემო ოსტატი,

პროფესორო ხელმოცარულთა აკადემიის,

შენ მართალი ხარ, — გინდა თუ არა!

წიგნი ვერასდროს გვასწავლის იმას,

რასაც ცხოვრება და ცხოვრებით განვლილი წლები.

მეგობარი?!

რა ხანია ხმამაღლა არ გამიცინია,

მეგობარი ერთადერთი მყავს,

ის მეგობარი ქალია და მე მასთან

ვწვები...

გინახავთ ხარი დაჩუხილი

საკუთარი სისხლის გუბეში,

ვერ მიიყვანა მატაღორმა საქმე ბოლომდე, —

ჩვენი ხარხარი გახელებული ხარებივით

ეხეთქება რთახის კედლებს,

ლამის თავზე ჩამოგვემხოვს ძველი ხუზულა,

კარები წვიმამ შემოგვიღო

თუ ერთმანეთთან კვლავ შეხვედრით

ბაღლებივით გაღაღებულებს

გადაგვაეიწყდა და საერთოდ არ მოგვიხურავს.

შემოდი, წვიმავ,

შემოდენე შენი ჰამქარიც,

სუფრა არ არის ჩემი ან შენი —

ის ყველასია, ვისაც უყვარს და

ძველი გრძნობების პანაშვიდზე

სადღეგრძელო სურს მიიტანოს ყვავილებივით.

მტერიც რომ იყოს, თავის მტერი თუკი არა ხარ,

ნუ ეტყვი უარს სუფრაზე თუ მივიპატიჟებს,

ყველა ქალაქს ჰყავს საკუთარი გიჟი ან ბრძენი,

ჩვენ რალა ვკეთქმის,

ჭკვიანი „ჭკვიანს“ გვეძახის და სულელი — „გიჟებს“.

ჩვენ ვართ ოცნების გენერლები, —

ბევრი ლამაზი ჯარისკაცი

შვილებივით გამოხრდილები,

ბრძოლის ველზე დაგვიკარგია.

ბედმა უმუხბილათ საცოდავებს,

ეს იარები დიგვიდასტურებს,

რომ საკუთარი უმწეობის დასაფარავად

ჩვენ არცერთი არ გაგვიწირია...

ზშირად მივსულვართ მათ საფლავეებზე



მოგონების მტეენისაგან დაწურული  
 ძვირფასი ლენით,  
 სეტყვასავით სიტყვები გვითქვამს, გვიმღერია და  
 გვიტირია.

ჩვენ ვართ ოცნების გენერლები,  
 ჩვენ არ ვიცვლებით,  
 ჩვენი ლაშქარი დამფრთხალი გარბის,  
 ჩვენ არ ვნებდებით ასე უბრალოდ,  
 დაჭრილები სისხლისაგან თუმცა ვიცვლებით.  
 სიკვდილამდე მილიარდი წელიწადია,  
 ჰა, მერიქიფეკ,  
 შენი საქმე ნუ გავიწყდება!  
 ჰე, მკუბოეკ,  
 მუქთად არ გვინდა,  
 ერთი მაგიდა შეგვიკარი შენი ფიცრებით!



## პაატა ბერიკაშვილი

მე ცა ვარ,  
ბნელი დასაბამი ერთის და ყოვლის,  
ყველა ტკივილი სიკეთე და ჯვარცმა როდია,  
მაგ ტკივილების უნებლიე დასასრული ვარ,  
ჩემთან ყველანი თავის გზით და ურმით მოდიან.

მე ცა ვარ...  
მეძებს მოგზაური ავის და კარგის,  
შენთვის ზამთარი სიცივე და თეთრი თოვლია,  
ზამთარი მე ვარ...  
რატომ მნატრობ,  
რატომ დამეძებ,  
მე თავად ჩემი დასაბამი ვერ მიპოვია.

მე ცა ვარ...  
შავად გაწელილი ანძაზე აფრა,  
ვარ დამსხვრეული ზომალდების ბოლო სიზმარი,  
ნუ მოხვალ ჩემთან,  
ნუ ინატრებ რაც არ მომხდარა,  
იკმარე რასაც შემოგნატრი ყოველ ცისმარე.

აღვიმოსებით წარმართ სიბრძნით და გრძნეულებით,  
ვიდრე ბერები გადასწერდნენ ეტრატებს ახალს,  
მოვალთ და ერთი სიცოცხლიდან გაქცეულები  
განმეორების უფლებისთვის მოგაგებთ თავევანს.

აღარც მზის დროა,  
აღარც ღვინის, არც სასთუმლების,  
დროა ქროლეისა... დაქანცულხარ ჩემო მერემე,  
შეისვენებენ შენს სენაკში ავი სტუმრები  
და მასპინძლობას კუთვნილივით შეიფერებენ.

დროა ქროლეისა!  
გრიგალს შავი რაშები შეენის,

მალე სამუმი გადაუვლის დამწვარ ქალაქებს,  
სადღაც ბრძოლაში დაცემულა ხელმწიფე ჩვენი,  
სადღაც უჩვენოდ სასახლენი წაიალაფეს...

ცხენი მოართვით, ვინც სისხლიან უზანგებს ითხოვს!  
დაე, გაგვიძღვეს მზის ჩანჩქერში გადაკარგულებს,  
ჩემო ლამაზო დედოფალო, დაღლილხარ თითქოს,  
თითქოს ბრწყინვალე მგლოვიარის კაბა გარგუნეს.

უავეუსტოესს უწითლესი ეცვას წაღები...  
ჩემი ტაძრების კანკელებო, ჩემო ეკვდერო,  
ლამის გავშალოთ მიტევების ბაირაღები.  
და მიტევების ანგელოზებს გადავემტეროთ.

მთებზე დაქანცულ მოზერებივით ყრიან ღრუბლები,  
ქარების დროა, დრო სასტიკი განაჩენისა,  
გარდმოვალთ რისხვად უმაღლესი ნების უფლებით,  
სახელით მზის და მეოხებით გამარჯვებისა...

უკვე გასრულდა საუკუნე, უკვე გათავდა,  
ქაში გასრულდა უსასრულო, ესეოდენი,  
მო, დედოფალო, ბედს მიგტირით მოუნათლაეთა  
უკანასკნელი წარმართები შენი ორდენის.

გრძნეულ სარეცელს,  
მორთულს ქარვით, მორთულს გიშერით,  
ბროწეულებით, ნიჭარებით, მარგალიტებით,  
უზღები კიდეც,  
ოქროს თმებით და ტანშიშველი,  
გალიმებული წარმართული არდარიდებით.

ნატვრაო,  
აღბათ მეც შენსავით დავინაცრები,  
ირგვლივ დელგმაა, ხისხლიანი ლელოს ჯგირია,  
და რადგან კაცთა დაუმსხვრიეს ღმერთებს ტაძრები,  
უტაძროდ შთენილს გაოგნებით შემოგცქერიან.

როგორც მებრძოლი, მოხატული ხარის ტოტემით,  
გულგასენილი უდაბნოის სიცხით და მზითა,  
მოუნათლავის მოგელოდი გაბოროტებით,  
ჩემი ცთომილის ნამსხვრევეებით მოგებულ ვზიდან.

მოხვალ და მელის სიყვარული აღუკმეველი,  
გეტყვი, რისი თქმაც გაუბეღე გაბზარულ სარკეს,  
მე უკვე შენი ავაშენე საკურთხეველი  
და შენს წყაროსთან ზეთისხილის სიმშვიდე დავრგე.

მე ვდარდობ შენზე,  
ვლოცულობ შენდა,  
მაჩუქე წამი – ლექსი კეთილი,  
ამ უდაბნოში ლოდზეც კი ენთო  
სიტყვა ჩუქურთმად ამოკვეთილი.

მიდიან დრონი, ჟამნი და წელნი,  
სისხლიდან სისხლში, გენიდან გენში,  
გელი და მაინც შორსა ხარ ჩემგან,  
გელი და მაინც არ მიშვებ შენში.

მე ვდარდობ შენზე,  
მოვდივარ შენდა,  
გზაზე დარჩენილს ვითვლი იოტებს,  
მაჩუქე წამი – ლექსს ფრთები ესხას  
ან დაჭრილ ირმის სისხლი სდიოდეს.

### შემოდგომა

ჩაკრეფილია ქარვის ბალები  
და შემოდგომა მოლეულია,  
ხვალ მთელი ეშხით კარს გააღებენ  
შენი ტუჩების გოლეულები...

მოხიბლულია თეთრი სავარდე,  
აკრთობს ფურცლებზე ქარვის ანთქა,  
გაჰყვება ზღაპრულ ირმის ნავარდეს,  
ქარი ლაყვარდში გაიფანტება.

ქალი ბადაგის დასცქერის ხაროს,  
თვალგაბინდული არავის ელის,  
ქვევრი პატარა ბიჭვიით ხარობს –  
ღვინით ნასმური დარბაისელი.

გადაშავიწყდნენ ღამისთევანი,  
მე მოსალხენად არა მცალია,  
ამ საწნახელში ყველა მტევანი  
ღამენათევი პატარძალი!

ზვარს ართული აქვს თავზე ნაღები  
და შემოდგომა მორეულები  
ხვალ მთელი ეშხით კარს გააღებენ  
შენი ტუჩების გოლეულები...



## ვაჟა გიგაშვილი

# მთხრობები

სიზმარი

ხეობა შავი და ცარიელი იყო. ირგვლივ ქარი როგორც დერეფანში, ისე ღმუღადა: „უუუუ!“ – და როცა ბოლოს მისი გვამი ვიპოვეთ, სულ სველი და ქარისაგან მთლად გაყინული და გაწეწილი იყო. იწვა წყალში და ზედ წვიმა დასდიოდა. სახე ჰქონდა სულ სხვანაირი, აქაური, და ვერაფრით იტყოდი, რომ ის როდისმე ყოფილა, ან ეხლა წამოვიდოდა იქ, სოფელში, და ცვცხლთან დაჯდებოდა...

ყველანი მოძრაობდნენ სწრაფად და მსუბუქად, ლანდებივით. მერე მე სოფელში გამგზავნეს ცხენის მოსაყვანად, თითონ დარჩნენ მის გარშემო გუშაგებივით ატუზუნნი...

კლდიან, სველ ბილიკზე ფეხი სხლტებოდა. ნისლი დაიბერა და დააწვა ფერდობებს. ქარი მძიმედ დაათრევედა ნისლს და ყველაფერს წყალი ჩამოსდიოდა წურწურით. ცრიდა. მეც წურწურით ჩამოშლიოდა წყალი, მეც გვამივით ცივი ვიყავი და როცა საფეთქლებზე ხელი მოვიკიდე, ვეღარ ვიგრძენი ჩემი სხეული. უცებ საბოლოოდ დაფრწმუნდი, რომ ის ნამდვილად იქ წევს, წყალში, და მოშინდა მასთან დალაპარაკება...

ბილიკიდან ფერდობზე ავბობლდი და სველ ბალახში უკანვე დავსრიალდი. ქვემოთ, ნისლში გამოჩნდნენ ლანდები. ფერდობზე ჩავინაცლეთ, სველ ლოდთან ჩავჯექი და ვუთვალთვალე ბდი ლანდებს, ვუცდიდი, როდის წავიდოდნენ. ის იმათ ფეხით იწვა, წყალში, მაგრამ ნისლში არაფერი ირჩეოდა...

გვერდით ლოდთან ვიღაც ჩამოვიდა და დადგა. ისიც ქვევით იხედებოდა. და ვაკვირდი და ვიცანი. დაკუძახე:

„გურამი...“

ნისლში ხმა არ ისმოდა. მხოლოდ ტუჩები მოძრაობდა. იმან მოიხედა, ქვეითებზე მანიშნა, არ გაიგონონო და ჩუმიად წავიდა თხემისაკენ. მეც უკან გავეყვი. თხეზე ავადწიეთ და პირდაპირ წავედით...

მასაც წურწურით ჩამოსდიოდა თავზე წყალი. მივედით დიდი ქვების ძირში, დავსხედით და მე ვკითხე, რანაირად მოგივიდა, რომ მოკვდი. მეთქი...

არაფერი მიპასუხა. ფეხზე გაბრიქლისაგან ნათხოვარი ქალამნები და ლაფში ამოსვრილი, ლეგა, ქისტური პაჭოტები ეცვა. შტორმულას ჯიბიდან სულ გამშრალი და გაციებული ხვრეტელას ცომი და ერთი თავი ნიორი ამოიღო. ნიორი გავფცქვენით და ხვრეტელას შევატანეთ. მერე წეკო ამოვიღე და მივეცი. მოვწიეთ. ბოლი არც კი ჩანდა ნისლში. ნიერისა და თამბაქოს გემო მიამა, ვიცოდი, იმასაც სიამოვნებდა და ვიფიქრე: დიდი სისულელეა, კაცს ჰკითხო, როგორ მოკვდა, როცა ნიორსა ჭამს და წეკოს აბოლებს...

მე მისი გაბრაზება მოშინდა და ვკითხე:

„გახსოვს, ლალი რომ გიყვარდა, გრიბოედოვზე?..“

საერთოდ, ვოგოების რიდი ამას არასოდეს ჰქონია და მაინცდამაინც ამ ლა-

ლისთან უვარდებოდა ენა მუცელში. დაჰყვებოდა შორიახლო მუნჯივით...

ჩაიფრუტუნა. გაიცინა. მერე მკითხა:

„ის ჩათლახი ქეცბა აღარ გამოჩენილა სადმე?..“

ამ ქეცბამ თავისი ბიჭები დაახვია ერთხელ გრიბოედოვზე. მერე კი მაგრად შეედეკით მათ მთლიანად... ამან და ქეცბამ ერთმანეთს თავ-ყბა დაამტვრიეს, ის ლალი კიდევ ვიღაც ახალგაზრდა იურიისტს მითხოვდა იმ გაზაფხულზე...

დაზუსტება აღარ დავიწყე და ვუთხარი:

„ქალაქი საესეა ჩათლახებით...“

„ქალაქი ჩათლახების ბუდეა, მაგრამ აქაც მრავლად არიან ჩათლახები...“

„კი. ოთხი ჩათლახი ქვემოთ გდარაჯობს, რომ არსად გაეპარო...“ ისევ დაიფრუტუნა და გულიანად ახითხითდა. წეკო მომთხოვა. ისევ შევახვეით თამბაქო და იმან თქვა:

„ეს ბეჭედი უნდა ერთ ჩათლახს ვაჩუქო. თავველეკას ბეჭედი...“

—ვერცხლის ბეჭედი იყო, თავველეკას გაკეთებული...

„ეიცო, ვისაც მისცემ, გვარიანი ჩათლახია...“

„ჩვენც გვარიანი ჩათლახები ვართ... პი-პი-პი... — ჩაიცინა მერე, — ბულდოგები გეჭირდება...“

„ჰო. მე უკვე ვიშოვე ბულდოგი“.

„მეც მიშოვე...“

„გიშოვი. მალე...“

„კარგად უნდა დაიგეონ ბულდოგები ჩათლახებზე. მერე დაუუქსკეთ ხოლმე...“

„პი-პი-პი...“ — მეც მისებურად ჩავიცინე. წავბაბე უნებურად...

„მოდი, აქ დავსახლდეთ და ბულდოგები მოვაშენოთ...“

„ჰო... — ვუთხარი მე. — კარგი იქნებოდა, ზღვაზე დასახლებაც...“

„ჰო, ზღვაზე კიდევ სჯობია, მაგრამ არ დაგაყენებენ...“

„გახსოვს, ერთხელ ზღვაში რომ დაიხრჩიე?..“

„ჰო. ხოშიანად დავიხრჩიე... ძალიან

ხოშიანია ზღვაში დახრჩობა, შენ აზრზე არა ხარ!..“

„მესმის, ოღონდ არ მინდა...“

„შენ კიდევ ბევრი რამე არ გინდა ხოლმე!..“

„ეიცო. მაგაში ცოტა ვჭაკობ...“

სულ დავსველდით. ისევ ცრიდა. ნისლი გამუქდა. წავედით, ვიცოდი, სადაც მივდიოდით. შატილში ერთი ძველი, ცარიელი კოშკია, მესამე ხართულზე უნდა კედელზე აცოცდეს, შიგ დიდი ყვერფნია, ზედ მთელ-მთელი ხეები აწვვია, გამჭვარტლული ჯაჭვის საკიდელი ჰქილია. იქ ვცხოვრობდით ერთხელ. შემას დიდი, ნაჯახივით ხანჯლით ვჩეხდით, დიდ ცეცხლს ვანთებდით ყვერფნზე. მოუხუხდებოდით და ვესვამდით მგრალ არაყს. ეხლაც იქ მივდიოდით...

გარშემო სველი ღორღის და დიდი ლოდების ქაოსი იყო. ნისლი ქვევს შორის მოძრაობდა და ზოგს დამალავდა, ზოგს გამოაჩენდა. დიდხანს ვეხეტეთ და მერე ნიში დავდგით სამი დიდი ქვით... რამდენიმე ხნის შემდეგ ისევ ნიში დავინახეთ. ნიში ჩვენი იყო, მაგრამ ადგილი სხვანაირი. ნისლი ცვლიდა ადგილს და ჩვენ ერთგან ვტრიალებდით. ვიარეთ კიდევ დიდხანს და ვერსად გავედით... ცუდი სიზმარივით იყო, როცა გაქცევა გინდა და ვერ გარბიხარ, გინდა დაიფვირო და ხმა არა გაქვს. ვიბორივალეთ აქეთ-იქით და სამჯერ ვნახეთ ისევ ის ნიში. მერე სადღაც დამეკარგა იგი.

ნისლში აღარაფერი ჩანდა...

„გურაამ!.. გურააამ!..“ — ვყვიროდი. მაგრამ ნისლი გუდავდა ხმას და არაფერი ისმოდა. ალბათ, ისიც მეძახდა და არც მე მესმოდა...

მერე ვიფიქრე, რომ ის პირდაპირ კოშკში წავიდოდა. ალბათ, იმანაც ჩემსავით იფიქრა. შევეშვი ძებნას და პირდაპირ წავედი. ნისლი კიდევ უფრო ჩამუქდა და ჩამოაბნელა. ისევ ლოდებში ჩავეჯექი და წეკო შევახვიე: გამახსენდა, რომ იმას წეკო არა ჰქონდა... რას იზამ, მოიცდის კოშკში მისვლამდე. გაგაბოლუდავუწვევ ცდა, რომ ნისლი ცოტა მაინც გამშლიდიყო...

## შიში

— „რამდენი მოგცა?...“

„ორი...“

„ეეე!“ — აიქნია ხელი მრგვალთავა, დაბალმა, განიერბუჭებიანმა.

„მაიცა რა!.. ეს ის კი არ არის... წაზომირას ექვს ბაშს უდრის...“ — უპასუხა დიდშავთვალეზიანმა, ქოჩორა, თხელმა ბიჭმა.

სწრაფად, თითქმის ძუნძულით მიდო-ოდნენ თავდაღმართში.

„ქსენიასთან?...“

„ქსენიასთან...“

„შინ იქნება?...“

„მე რა ვიცი?... გასაღები მაქვს...“

რკინის ჭიშკრით მრგვალ, ქვით მო-გებულ ეზოში შევიდნენ.

რამდენიმე საფეხური ჩაირბინეს და ვიწროშუშებიან, მარლისფარდებიან კარს გასაღები მოარგო შავთვალეზიანმა... კარი შეაღო და ხედ წააწყდა თეთრ, ფუმფულა მოხუცებულ ქალს. ქალს გულხელი დაეკრიფა და დაფეთებული შესწერებოდა შემოსულთ...

„უი, შენა ხარ?!.. გული გამისკტა...“

— ქალი რუსი იყო, მაგრამ ქართულად ლაპარაკობდა, აქცენტით.

„მე მეგონა, სახლში არ იყავი...“

„ჰო, ეხლა მოვედი... მოდით, შევიღებო, მოდით!.. მოდი, ჩემო ბიჭო!..“ —

ისე შეხედა დიდშავთვალეზიანს წყლიანი თვალებით, რომ ალბათ, კოცნა უნდოდა, მაგრამ ბიჭი ამ დროს შეტრიალდა და მოხუცმა ოთხკუთხა, სიფრიფანა ბეჭზე ხელი რუღუნებით მოუთათუნა. ამით დაკმაყოფილდა.

„...„ვარენიკები“ მაქვს... ეხლავე ვაცხებლებ...“ — დაფაცურდა მოხუცი ქალი, სმეტანით შეჭამთ... კომპოტიც მაქვს, ცივი!.. ჩაისაც ავაღულებ!..“ — იგი უკვე ლინოლეუმით დაგებულ, ცალკე შემორავულ კუთხეში ფათურობდა, სადაც გაზის ქურა და სუფთა, ჩაწკრიალებული თაროები მოჩანდა...

...ბიჭებს პაპიროს „კურორტის“ კოლოფი ედოთ მაგიდაზე; მერე გააბოლეს და ერთი წუთი ხმა არ ამოუღიათ. და-

ძაბულობა მოეხსნათ. დაწყნარებული სახეებით შეხედეს ერთმანეთს...

„კარგია!..“ — თქვა ქოჩორამ, შავთვალეზამ.

მრგვალთავამ, ჭროლამ, მხოლოდ თავი დაუქნია. მერე უთხრა:

„ნამდვილ წამალს ხვალ გავასინჯებ, თუ ამაღამ გამოვიდა...“

ქოჩორამ გაიღიმა. თვალები უჭუჭუნებდა...

...აი, ნეტავი შენ პაპიროსის წვევა არ დაგეწყო და სხვა ვველაფერში კარგი ბიჭი ხარ...“ — თქვა კუთხე-სამზარეულოდან გამოსულმა მოხუცმა ქალმა და მაგიდაზე ორთქლიანი, ცხიმით აპრიალებული გირცებით ხავსე ემალის ჯამი დადგა.

„...აი, ჩემი სიძე იაშა... ძველი ნაკაზა-კარი იყო, დონელი... — ამ ჩანართით მან მრგვალთავას მიმართა და განაგრძო: — სულ პაპიროსებს ეწეოდა, თან სულ ამბობდა: ეს რა არის, „მაზორკა“ სჯობიაო... მერ ვინ გიშლის? შენც აიღე და „მაზორკა“ მოსწიე-მეთქი და... ეეე. მაგი-სი შეხვევის თავი ვისა აქვს, რაც ახალ-გაზრდობაში ვახვიე, მეყოფათ... აი, ასეთი კაცი იყო!..“ — თქვა მოხუცმა და არაქანის მოსატანად წავიდა.

...  
„ქსენია?...“ — თქვა შავთვალეზამ, — ქსენია მამაჩემის ძიძა იყო, — მეც მაგან გამზარდა... ჩვენი გადიოდა. მერე მამაჩემმა მინისტრთა საბჭოში მოაწყო დამლაგებლად“.

მრგვალთავამ ირიბად გაიღრინა.

„საითაც გაიხედავ, ვველგან კომუნისტები!..“ — თქვა მან.

შავთვალეზამ ვერ გაიგო, ეს ქსენიასაც ეხებოდა, თუ საერთოდ... დაბნეული უყურებდა, მაინც იღიმებოდა...

„ხო თანა გაქვს?!..“ — ჰკითხა უცებ მრგვალთავამ სერიოზული სახით.

შავთვალეზამ სვიტერი აიწია და ქამარში გარჭობილი პატარა ბრაუნინგის ტარი დანახვავა.

„რამდენი გაქვს?..“  
 „ექვსი... ველას თოკები სადა აქვს?..“  
 „მუშაბანდში, სადაც სძინავს.. ფანჯრიდან გადმოავადებს...“

„მაგარი ალბინისტია?..“  
 „რა ვიცო, ერთი წელია დადის...“  
 „...საერთოდ, ალბინისტები ჯიგრები არიან, არა?..“

„რა ვიცო?... რა ჯიგრები?... შარშან ალბინიდაზე წავეყვი, არა?... გული შეალონეს ჭკუის დარიგებით, ასე არ შეიძლება, ისე არ შეიძლებოდა... ავდექი და ღამე წავუდი, ბანაქის თავზე ერთ დიდ კლდეზე დავიწვე ცოცვა... ავდივარ და ავდივარ... მერე დავიღალე და ჩამოხვლა მომინდა... ევლარ ჩამოვდივარ... ისევე ზევით წავუდი... ევლარც ზემოთ მივდივარ... გათენდა... დაშინახეს ქვემოდან, ატყდა პანიკა... ამოვიდნენ, ჩამომხსნეს... მერე კრება, ერთი ამბავი... გამოძაგდეს... ეგენიც კომუნისტები არიან...“

თრივეს ხარხარი აუტყდა.  
 „შენც კაი ტიპი ხარ, რა!..“ — თქვა შავთვალეზამ და ისევ ახარხარდნენ.

„...კომუნისტები არიან, აბა, რა!.. — დაძაბა მრგვალთავამ, — ადგებიან დამიანად, სიცოცხლეში, ვინცაში, დაწყოფიან რიგში, მიდიან მკაცრად, მიზანდასახულად, ორგანიზებულად... რა ვინდა, სად მიდიხარ, რა დაგარგვია?... მე ეგეთ ხალხს ვველას კომუნისტებს ვეძახი!..“ — ისევ სიცილი...  
 „ოღონდ ეგენი მაუნები არ არიან!..“  
 — დაძაბა მრგვალთავამ, ჭროლამ.

გაჩუმდნენ... უცებ ჭროლას თვალები წამოენთო და ჭიქურ იკითხა:  
 „ე თქვათ, იმდენი იმოქე, რომ სამუდამოდ გეყოს... მერე რას იზამ?..“

„მერე?... რა ვიცო?... ათასი რამე... რაც მინდა, რა, ვკვლავფერი მექნება... წაყალწამოვალ... გოგობები, რამე... ვიკაიფებ...“  
 „მერე?... მერე?..“

„მერე?..“ — შავთვალეზას გამოხედვა მიამიტი, დაბნეული გაუხდა. თან ცოტა დაიძაბა ხეით...  
 „შენ რას ვააკეთებ?“ — შეუბრუნა კითხვა.

„მეუ?... დილიხორს გავისწორებ...“  
 „...“  
 „ლა კომუნისტებსა და ბოზებს რიგრიგობით დავსჯი...“

„როგორ?...“  
 „...ისე... სიცილივით გავუმწარებ, ტიფად გადავქცევო...“

„როგორ?...“  
 „...ეგ მე ვიცო!... არაა სალაპარაკო! ოღონდ ბოლოს ვველამ უნდა გაიგოს, რომ მე გავაკეთე... ეგაა მთავარი კაიფი... შავთვალეზიანი ცოტა შემცბარობ, თითქმის დამფრთხლიც კი უყურებდა; მაგრამ მაინც იღიმებოდა...“

მრგვალთავა-ჭროლა არ იღიმებოდა. თვალგამტრებული იყურებოდა სადღაც, მაგიდის კედის იქით. ფიქრობდა და ეტყობა, ფიქრი აწყოიბლად გამოხდიოდა, მოსწონდა და ხახვზე თავდაჯერებული კმაყოფილება ეხატებოდა...  
 „რას გაიგებ?! — თქვა მან, — ...უცებ ისეთ მავნებს ნახავ, რომ აზრზე ვერ მოხვალ, გესმის?... აი, ის მღვდელი; მე რო დავდიოდი, რა, ხო იცი?... მღვდელია არა და, რას შეუბნება, იცი?... ერთხელ ეგა მქონდა, შენი „ხუთი ნომერი“... დაშინახა და მე შემერცხვა. მეთქი, ეხლა დამიწყებს, ხო აზრზე ხარ?... ის კიდე შეუბნება, ეგ რა იარაღია... მაგით კაცს სამჯერ მოარტყამ და ის კიდე გვესურის და მოკვლავსო... მაგით სროლაში ვერ შეხვალ... იარაღი ისეთი უნდა, მსხვილი, მძიმე ტყვიით, რო გლიჯავ, კაც კედელზე უნდა მიაფრთხოხ, რო აღარ გაიწმრესო... და იცინის... ყიი!.. მე უთქვი, ეს ვინ არის, მღვდელია, თუ ბანდიტია, სუკია, თუ ვინ არის?... ავდექი, წამოვედი; მეტი აღარ მივსულვარ...“

„ყიი!..“ — გაიკვირა შავთვალეზამ, ისევ იღიმებოდა.  
 „...ო!.. — დაუქნია თავი მრგვალთავამ და მერე თქვა: — ...კიდე ის მწერალი რო იყო, რა კაი ტიპი იყო... რა კაი რაღაცებს ამბობდა, მაგრამ შეეახებოდა, გესმის?... მერე მეც მომინდა, რომ ჩემი რაღაცები შეთქვა... მეთქი, რას იტყვის, მინდა რომ გამიჩიოს, გესმის?... ის კიდე არ მისმენს, სადაც იყურება, მანვე ვეტივებს, ეჭვარება თავისი მოძვევს...“

„როგორ?...“  
 „...ისე... სიცილივით გავუმწარებ, ტიფად გადავქცევო...“  
 „როგორ?...“  
 „...ეგ მე ვიცო!... არაა სალაპარაკო! ოღონდ ბოლოს ვველამ უნდა გაიგოს, რომ მე გავაკეთე... ეგაა მთავარი კაიფი... შავთვალეზიანი ცოტა შემცბარობ, თითქმის დამფრთხლიც კი უყურებდა; მაგრამ მაინც იღიმებოდა...“  
 „რას გაიგებ?! — თქვა მან, — ...უცებ ისეთ მავნებს ნახავ, რომ აზრზე ვერ მოხვალ, გესმის?... აი, ის მღვდელი; მე რო დავდიოდი, რა, ხო იცი?... მღვდელია არა და, რას შეუბნება, იცი?... ერთხელ ეგა მქონდა, შენი „ხუთი ნომერი“... დაშინახა და მე შემერცხვა. მეთქი, ეხლა დამიწყებს, ხო აზრზე ხარ?... ის კიდე შეუბნება, ეგ რა იარაღია... მაგით კაცს სამჯერ მოარტყამ და ის კიდე გვესურის და მოკვლავსო... მაგით სროლაში ვერ შეხვალ... იარაღი ისეთი უნდა, მსხვილი, მძიმე ტყვიით, რო გლიჯავ, კაც კედელზე უნდა მიაფრთხოხ, რო აღარ გაიწმრესო... და იცინის... ყიი!.. მე უთქვი, ეს ვინ არის, მღვდელია, თუ ბანდიტია, სუკია, თუ ვინ არის?... ავდექი, წამოვედი; მეტი აღარ მივსულვარ...“  
 „ყიი!..“ — გაიკვირა შავთვალეზამ, ისევ იღიმებოდა.  
 „...ო!.. — დაუქნია თავი მრგვალთავამ და მერე თქვა: — ...კიდე ის მწერალი რო იყო, რა კაი ტიპი იყო... რა კაი რაღაცებს ამბობდა, მაგრამ შეეახებოდა, გესმის?... მერე მეც მომინდა, რომ ჩემი რაღაცები შეთქვა... მეთქი, რას იტყვის, მინდა რომ გამიჩიოს, გესმის?... ის კიდე არ მისმენს, სადაც იყურება, მანვე ვეტივებს, ეჭვარება თავისი მოძვევს...“



ჩემს ახალგაზრდობაში ასე და ასე... ესე იგი, ჩვენ უფრო მაგრები ვიყავითო, რა... ესე იგი, ჩემი არ აინტერესებს, რა მალაპარაკებს, სულ თავისი უნდა რო მოეუსმინო... რო რა მაგარი ვარო, გესმის?.. ჯობნა უნდა, თუ რა კიცი... გამიტყდა, რა, წამოვედი..."

შავთვალემა უყურებდა. „ჰო, მანუა...“ — დარწმუნებულად დაუქნია თავი, მერე დასკვნა გააკეთა:

„გველა მანუე შენა გვხდება!..“ — და გაიცინა.

მრგვალთავამ უცებ თითქოს მოიწყინა. სახე საქმიანი გაუხდა და სწრაფად, ფაცაფუცით დაიწყო გირცების გადაღება თუფშე, დაახვავა... ასევე სწრაფად, ფაცაფუცით შეუდგა ჭამას. პირგამოტყინილი, სწრაფად და საქმიანად დაეტაკა არაქანიან ჯამსაც, ორი-სამი სახსე სუფრის კოვზი გადაისხა გირცებზე და რაღაცნაირი გააფრთხილებით განაგრძო ჭამა.

შავთვალემა მონუსხულივით მისჩერებოდა და იღიმებოდა. მერე თითქოს გამოფხიზლდაო, ისიც დაეძგერა გირცებიან ჯამს. მხოლოდ არ გადაუღია, პირდაპირ ჯამიდან იყრიდა პირში...

მერე ისე უცებ გამოცვივდნენ, რომ ქსენიასთან დამშვიდობებაც დაავიწყდათ. უკან გამოდევნებული მოხუცი რაღაცას უძახოდით კომპოტზე, მაგრამ ყურადღება აღარ მიუქცევიათ...

.....

...გაჩქარებული ადიოდნენ მიხვეულ-მიხვეულ აღმართზე. მერე ქუჩიდან სადღაც ხევში გადაუხვიეს, იბლოტიალეს, წრე დაარტყეს და ძველ, სამსართულიან სახლს უკანიდან, შუშაბანდებიანი მხრიდან მიადგნენ. ფერდაზე, ბუჩქებში ჩაცუცქდნენ. უყურებდნენ.

„მეორე სართულია?..“ — იკითხა შავთვალემა.

„ჰო, ავე, ეგ შუშაბანდი...“ — თქვა მრგვალთავამ და კენჭი ესროლა. კენჭმა მინაზე გაიწკარუნა და მერე ძირს მოიღო ტკაპანი. ჩაბნელებული შუშაბანდებიდან ჩამიჩუმი არ ისმოდა.

მრგვალთავამ კიდევ ესროლა კენჭი. მერე ორჯერ დაუსტყინეს. ისევ სიჩუ-

მე იღვა, მაგრამ შუშაბანდის ბნელი მინის უკან, თითქოს რაღაც დაილანდა. უყურებდნენ. აშკარა გახდა, რომ შუშის უკან ვიღაცა იღვა...

„გელა!..“ — მოგუდულად დაუძახა მრგვალთავამ.

ფანჯარა მოწყვეტით გაიღო და გაიხმა ღრიალი:

„უუუ თქვე ვირიშვილებო!.. რას დარწმინხართ ამ შუაღამისას, პატრონი არა გყავთ. თქვენი...“ — და გინება მოაყოლა.

მრგვალთავამ ხმაურით გადაყლაპა ნერწყვი და წაისისინა:

„მამამისია...“

შავთვალემა მაც გადაყლაპა ნერწყვი. არ განძრეულან. უყურებდნენ. გინების გრძელი ფრაზა განმეორდა. შავთვალემა გამოხედვა მეოცნებე გაუხდა, ბრაუნინგი ამოიღო და ჩუმად თქვა:

„გინდა ვგლიჯო?.. — თან იღიმებოდა.

„მოკეტე!..“ ისევ წაისისინა მრგვალთავამ და მარჯვენა მტკიცედ გაუკავა შავთვალემა.

შუშაბანდში გადმომდგარი მამაკაცი ისევ იგინებოდა, თან თვალებს აქეთ-იქით აცეკვებდა. ეტყობოდა, ვერა ხედავდა ბიჭებს. მერე ფანჯარა ჯღახუნით დაიკეტა. რამდენიმე წამი ისევ ჩაცუცქულნი ისხდნენ. მერე ისევ იმ ხევში ჩაეშვნენ ფხაწა-ფხუწით...

გაჩქარებული ნაბიჯით, თითქმის სიბილით ჩაუყვინნ დაღმართს ფართო ქუჩამდე...

„...მაგისი... სარეცხის თოკებს წამოვიღებ... ორმაგად დაკვრეხ... არ უნდა გარიო ასეთები საქმეში... არ შეიძლება...“ — ნაწყვეტ-ნაწყვეტ, სისინით ისროდა მრგვალთავა გზადაგზა...

.....

ფართო გაზონში, გადაბლანდულ ბუჩქებში, მრგვალად გაკრეჭილი გუნდის ხის ძირას იჯდა შავთვალემა, პატარა ბრაუნინგით ხელში. მოუსვენრობდა.. რამდენჯერმე ადგა, ისევ დაჯდა. ერთხანს ფეხებმოფრთხილი იჯდა. ვერ გაჩერდა. ადგა. ჩაცუცქდა. მერე ცალ ფეხზე ჩამუხლული ვაყურდა. გაფაციცებით ათვალეობებდა გაზონის იქით დაქან-

ბულ ფართო ქუჩას. ქუჩაში სრული სიჩუმე და სიცარიელე სუფევდა. ყრუდ აღწევდა ქუჩის პირას ჩარიგებული ლამპიონების ოდნავ გასარჩევი ზუზუნნი... ისევ ადგა. ასე სჯობდა. უფრო კარგადაც ზედავდა ქუჩის ზედა და ქვედა მხარეებს. მერე უკან, ხუთსართულიან სახლს გახედა. სახლი ძველებურად იყო, ორსართულზე ფლეთილი ქვის რუსტიკით შემოსილი, მაღალი, თაღებმოჩუქურთმებული ფანჯრებით, მთლად სიბნელეში ჩაძირული. შავთვალემა დაძაბულად აკვირდებოდა სახურავსა და მაღალ ლავგარდანს, ლამპიონების შუქი იქამდე თითქმის არ აღწევდა... უეცრად გულმა სწრაფად დაუწყო ბაგუნი. დამფრთხალივით შემოტრიალდა და თვალები ქუჩის სივრცეზე დააცეცა. არაფერი — არც მანქანა, არც ფეხით გამკვლევი... გულის ბაგუნი ისევე უეცრად გაქრა... ისევ სახლისაკენ შეტრიალდა და ლავგარდანიდან ბნელი ფანჯრის ჩასწვრივ თეთრი ხაზი დაინახა. თოკი!.. ფანჯრის არეზე შუქი აღწევდა და თოკის თეთრი ხაზი მკვეთრად მოჩანდა...

„მოდის!“ — თქვა თავისთვის და უცებ გული ისევ აბაგუნდა. ლავგარდანზე მრგვალთავიანი გამოჩნდა. ის ფრთხილად ჩაცუცქდა, რაღაცას აკეთებდა თოკებით... მერე გადმოუკიდა და ფანჯრისკენ ჩამოსრიალდა...

„მოდის... უკვე!“ — თქვა ისევ და — „ჰი-ჰი-ჰიყ!“ — რაღაც სიცილის მაგვარი აღმოხდა... უცებ საშინლად, თავშეუკავებლად მოუნდა რაღაც ენიშნებინა, ან დაეძახა მრგვალთავიანისათვის, მაგრამ არ შეიძლებოდა... მერე ასევე თავშეუკავებლად მოუნდა, თვითონაც სახურავზე ყოფილიყო და თვითონაც ჩამოჰყოლოდა თოკს და ამ დროს ყურთახსმენაში რაღაც ახალი ხმაური შემოიპარა...

შავთვალემა ისევ სწრაფად, დამფრთხალივით შეტრიალდა და თვალები დააცეცა. ისევ სიცარიელე, მხოლოდ ზემოთ გამავალი გამზირიდან მოდიოდა შორეული ხმაური... ხმაური თანდათან გამოიკვეთა... მოტოციკლი!.. მოტოციკლანელა მოახლოვდა და გაჰყვა გამზირს...

ზმა დაშორდა, დაშორდა და სადღაც მიწვდა... შავთვალემა ისევ სახლს მიხედა, მრგვალთავას ცალი ფეხი ფანჯრის რაფაზე ედგა და ისევ თოკებზე ჩალიჩობდა რაღაცას... მოტოციკლის ხმამ ისევ დაიწყო მოახლოვება... მოახლოვდა, ქვემოთ ჩამოუხვია და გამოჩნდა კიდევ ქუჩის თავში. კალათიანი მოტოციკლი იყო, ორი მილიციელი იჯდა... „ვაჰ!.. აქეთ!“ — გაიფიქრა შავთვალემა და ჩაცუცქდა. მილიციელებმა მისგან მარჯვნივ, ორმოცდაათ მეტრზე შეაყენეს მოტოციკლი ტროტუარზე და გადმოვიდნენ. ნელა უახლოვდებოდნენ გაზონს და თან ორივე ზემოთ, სახლისაკენ იყურებოდა. ერთმა, ჩექმებიანმა, ხელიც მოიჩრდილა. მეორეს პირდაპირ ჩაშვებული შარვალი ეცვა. ორივე ძალიან შკაფიოდ ჩანდნენ ლამპიონის შუქზე...

„ეეეე!“ — გაუელვა თავში შავთვალემა და უეცრად საზარელმა შიშმა ცივად გასჭოლა თავით-ფეხამდე. შიში გაუთვითცნობიერებელი იყო... რისი იყო შიში და რატომ, ფიქრში არ ჩამოყალიბებულა... უნებურად იარაღის საკეტის გამოწვევა და გადატენა მოუნდა, მაგრამ გაახსენდა, რომ ვაზნა კაი ხანია პირში ჰქონდა მიცემული. შიში უეცრადვე სადღაც გაქრა და, როცა მილიციელები (ისევ ზემოთ იყურებოდნენ) მის პირდაპირ ათიოდე მეტრზე შეჩერდნენ და პისტოლეტები ამოიღეს, მას უცნაური საზეიმო განწყობილება, აღტკინება და ეუფლა... „ეხლა ჰოო!.. ეხლა ჰოოო!“ — გარბოდა თავში უაზრო სიტყვები და დაძაბული, ორივე ხელით ჩაბლუჯული ბრაუნინგის ლულას ხან ერთ, ხან მეორე მილიციელს აშვერდა...

„ტაკ!.. ტაკ!.. ტაკ!.. ტაკ!“ — ახშიანდა ბრაუნინგი... და შესაბამე ტაკცანს, „ბაც!.. ბაც!.. ბაც!.. ბაც!“ — ორი მაკაროვიც დაერია... ბრაუნინგის მეორე ტაკცანზე ჩექმებიანმა წაიფორზილა და შავთვალემა — „ჰი-ჰი-ჰიყ!“ — აღმოხდა სიცილივით... „მეორესაც!“ — გაუელვა თავში და აჭერდა და აჭერდა სახლეტს თითხს. უეცრად ძლიერმა დარტყმამ მარჯვენა უცნაურად გააქნეო-

ნა და ბრაუნინგიც სადღაც გაფრინდა... „ვააჰ!“ — ხმაბალა აღმოხდა გოცე-ბით, თითქოს ეხლავა მიხვდა, რომ ნამდვილად ესროდნენ... ამ დროს ისევ და არტყა რაღაცამ თვალებშუა და მეტი აღარაფერი გაუგია...

როცა მილიციელებმა ბურქები გადასწიეს, ლამპიონის შუქმა მკაფიოდ გაანათა მოკლული ბიჭის სახე... ღიად დარჩენილ თვალებსა და მთელ სახეზე უსახლერო გოცემა და რაღაც ღიმილის მაგვარი იყო გამოხატული....

მილიციელები ერთ წუთს გამტარებულები დასწერებოდნენ ამ სახეს. „ფუჰ!.. ჩემი ბედი!“ — ხმადაბლა, მაგრამ გულიანად შეიკურთხა ჩექმებიანმა.

„ბიჭოს, მეორე?!“ უცებ გაახსენდა შარვლიანს და გაქანდა სახლისაკენ. რომლის ზედა სართულის ბნელი ფანჯრის ფონზე ისევ თეთრ ხაზად მოჩანდა თოკი.

„რა მეორე?..“

„მეორე!.. სახლზე რომ იყო“... — სირბილშივე, უკვე გაზონის იქიდან დაიძახა შარვლიანმა.

„ჰო!.. ნაღდად დაითესა...“ — თქვა ჩექმებიანმა.

.....  
შავთვალეხს მამა, თვალებდაბერილი, წარმოსადეგი მამაკაცი, წინ და უკან მოუსვენრად დადიოდა თავის ოთახში. უკვე მეოთხედ დაისხა კონიაკი ბროლის პატარა ჭიქაში და გადაჰკრა. მერე სიგარეტის კოლოფს ეცა და გააბოლა...

კიდევ ერთხელ გავიდა დერეფანში და სასტუმრო ოთახს გახედა, სადაც მისი მეუღლე, ლამაზი, შემართული, თამამი ქალი თავის შეგვიანებულ სტუმრებთან, ორ მეგობარ ქალთან, გახურებული საუბრის დამთავრებას თითქოს არც ამბობდა...

კაცს ეჩქარებოდა სტუმრების წასვლა, რადგან ერიდებოდა მათი თანდასწრებით კიდევ ერთხელ მეოთხოვა ცოლისაგან ბიჭის ადგლსამყოფელის გამოჩე-

ვევა, ერიდებოდა იმიტომ, რომ როცა პირველად კვითხა: ხომ არ იცი, ბიჭი რატომ აგვიანებსო, ცოლმა დაქალების თანდასწრებით, მოკლულ მოუჭრა:

„ნუ ფეითიანობ!“

ორსაათიანი მოუსვენრობის შემდეგ, კაცი ისევ გავიდა სასტუმრო ოთახში და ცოლს სთხოვა, ბიჭის მეგობრების ტელეფონები თუ გაქვს, მომეცო...

„კარგი რა, კარგი!.. დაიცალე ბავშვს სიცოცხლე!.. აქედანვე ყოველ ნაბიჯს ნუ უზომავ!“ — ისე აუქენია ცოლმა ხელი, აბეზარა ბუზს რომ აუქენვენ ხოლმე და მამაკაცმა ერთი წუთით მართლაც აბეზარა, დუღღუნა მტარვალად იგრძნო თავი... თავის ოთახში გაბრუნებულმა, კონიაკის ბოთლი გამოიღო და პირველი ჭიქა მაშინ დაისხა, მაგრამ რამდენიმე წუთში ისევ მოეძალა მოუსვენრობა... საქმე ის იყო, რომ დღეს საღამოს აღმოაჩინა: მეზუთეჯერ გადაძალული ბრაუნინგი ისევ გამჭრალიყო... ალბათ, ეს იყო მიზეზი ამ უჩვეულო აფორიაქებისა...

„კოტე! — მოესმა დერეფნის ბოლოდან ცოლის ხმა: — ...გოგოებს გავიფიქვან და დაუბრუნდები...“

როცა დაისახლისმა სტუმრებიანი ავტომანქანა დარდიმანდულად მოსწყვიტა ადგილიდან და ცარიელ ქუჩაზე გააქროლა, გვერდით მჯდომმა, ცოტა ძველმოდურად, მაგრამ გემოვნებით ჩაცმულმა დაქალმა მოზიბლული მხერგა შეავლო და კეთილი შურით გაიფიქრა:

„რა მაგარია!.. როგორ ფლობს ცხოვრებას!..“ — და სირცხვილით გაახსენდა, როგორ უწყალებდა ხოლმე გულს დაბადების დღეზე წასულ თავის, ისედაც გაუბედავ და წყნარ ბიჭს ტელეფონის ზარებით, როგორც კი საათი თორმეტს გადასცდებოდა...

ამ დროს შავთვალეხს ბინაში ტელეფონი რეკავდა და თვალებდაბერილი ოჯახის უფროსი კისრისტეხით გარბოდა და ყურმილის ასალებად...



## მანანა კვაჭანტირაძე

# „მარტის მამალი“ — დრო და სივრცე

დღისა და ღამის გასაყარია, ამინდების გზა-ჭვარდინი, წელიწადის დროთა საზღვარი. ღამის იდუმალი, დამაბუღი სიჩუმეში მამალი ყივის. ჭერჭერობით იგი ორივეს ეკუთვნის — დღესაც და ღამესაც, გაზაფხულსაც და ზამთარსაც, სიცოცხლესაც და სიკვდილსაც ერთდროულად. მაგრამ დრო წინ მიიწევს და სიკვდილის წიაღში სიცოცხლის ჩასახვის იდუმალი წაში დგება, წყვედაღში სინათლის მოვლინების ვაში... ბიჭის ცნობიერებაში რაღაც იღვიძებს... შეუცნობლის წიაღიდან თავდაღწეული მისი ხული ისე ფხრჩუნს წყვილადის ფარდას, როგორც მარტის მამლის ყვილი — ზამთრის ღამისა გაუზარავ სიჩუმეს...

...ასე იწყება ოთარ ჭილაძის „მარტის მამალი“.

რომანის ფაბულური დრო-სივრცე ომის შემდგომი წლების ხილანია, რეალური ისტორიული დროისა და სივრცის ეს მოდელი საგანგებოადა შერჩეული, რათა იმთავითვე განისაზღვროს დრო-სივრცის პერსპექტიული (სუბიექტური-ფსიქოლოგიური) „მოქმედების“ ძალა. იგივე მიზანი, მხოლოდ უკვე რომანის შიგნით მხატვრულ სახეებსა და სახე-ადეგებშია გამდევნებული. სიღნაღი თავშესაფარია, ხოლო ომის შემდგომი წლები — ახალი თაობის ჩამოყალიბების, ამ თავშესაფარში გამოშვებისა და დაკაცების წლებია, ის დრო, რომლის განმავლობაშიც შეუდინლავი ბარტყიდან ბუდის დასატოვებლად შიდაფოფი არსება უნდა ჩამოყალიბდეს. კონცეფციური დრო-სივრცული მოდელი შესაბამისად ისტორიის ამ მონაკვეთში უნდა დაიწყოს ეროვნული ცნობიერების „დიდი გამოფხიზლება“, შოვიდეს ახალი თაობა, სიკვდილის შიშისაგან თავდაღწეული, წინობრივი ფანელობების აღმდგენი და გადამრჩენი, გზის გამკვლევი კულტურულ-ეთიკურ ფანელობათა ამ სისტემისაკენ, რაც წინა თაობებმა დაკარგეს.

კონცეფციური დრო-სივრცე, ანუ დრო-სივრცის ფიქციურ-ფილოსოფიური მოდელი მთლიანად მდგანდება მხატვრული დროისა და სივრ-

ცის ორგანიზაციაში. ჩვენ აქ დროის ორი ქლანის გამოთიანების მოწმენი ვხვდებით: პირველი — მოვლენითი დრო. რომელიც ბიჭის თავს გადამხდარ მოვლენათა რეალურ, ფიქციურ დროით საზღვრებს აღადგენს; მეორე — ფსიქოლოგიური. მისი ცნობიერების სუბიექტური დრო, სადაც თავს იყრიან აღქმები, შეგრძნებები, წარმოსახვა, სიზმარი, ინტუიციისა და ფანტაზიის ნაირგვარი წარმონაქმნები. ამ დროთა შორის კავშირი შეარდება ავტორის სიტყვის განსაკუთრებული დროით, რომელზედაც მოგვიანებით გვექნება საუბარი. ნიკოს ფსიქოლოგიურ დროში არაცნობიერის სიღრმიდან სპონტანურად ამოტივტივებული სახე-შეტაფორები, პარადიგმები, არქეტიპები და მითებები ბიჭის ცნობიერებაში ერთვებიან როგორც გენეტიკურად კოდირებული წინობრივი რეგულატორები. დროის მეორე ქლანის დანიშნულებაა ემპირიული დროის (პირველი ქლანის) გადართვა „დიდ დროში“. მისი დაკავშირება ერის ისტორიულ ხვედრთან, ადამიანის მარადიულ დანიშნულებასთან.

რომანის ფსიქოლოგიური პრობლემა ურთულესია: ფსიქიკის ძველი და ახალი პლასტების დაპირისპირება, ურთიერთწმობაზედგება ობიექტური დროისა და სივრცის გადალაგვის მიზნით; რეალური უფიქრების დაძლევისა და წინობრივი განახლების პროცესის ჩვენება ამ პლასტების ურთიერთშეჭრის ფონზე. ობიექტურ, მოვლენით დროში მიმდინარეობს დაშლის, რღვევის პროცესი, ცნობიერებაში კი კვლავ ხდება გამოთიანება, აღდგენა, გადამრჩენა. ამიტომ ნიკოს ცნობიერების დრო რეალური დროისაგან განსხვავებით ხარისხობრივი დროა და მისი მაჩვენებელი შორალურ-ეთიკური წინაპრისაა. უველაფერს, რაც ამავაში, ფაბულაში, ერთი სიტყვით, მოვლენით, სიუჟეტურ დროში იგულისხმება, არღვევს კომპლუციკა, რომელშიც მისი ცნობიერებისა და წარმოსახვის ელემენტებში ფუნქციურად განსხვავებულ დროით ურთობ. ერთკვირებში მოქცევიან, სიუჟეტური დროის ასეთ დარღვევათა მიზანია მოსპობ მკითხველის წარმოდგენა ობიექტურ გარემოში მიმდ-



ნარე პროცესის მიზეზ-შედეგობრივ კავშირებზე და იგი ჩართოს ურთიერთადამოკიდებულუბნებისა და ურთიერთგანსაზღვრულობების სხვა წრეში, რომელსაც ნიკოს ფსიქოლოგიური დრო ახაზავს და რომელშიც ცნობიერის ვერტიკალი და უფრო ინტენსიურადაც არაცნობიერი შიდა სტრუქტურების მუშაობა, დროისადმი ასეთი დამოკიდებულება რომანის ხიუვეტური ავებულების დონეზე დისპოზიციასში შედგენდება.

ჩვეულებრივ, რელიგიურ რომანში ობიექტი და მისი გამოსახულება დრო-სივრცის დონეზე ერთმანეთს ენთხვევა (უფრო ზუსტად, ამ დამთხვევის ილუზიას ქმნის), რამდენადაც „მარტის მამალი“ ცნობიერების რომანია, ამიტომ გამოსახულება აუცილებლად უნდა „ახდეს“ ობიექტს დრო-სივრცეში. ასეც ხდება: გამოშვებულად გადასვლებით „სხვა“ სივრცეში (სიღნაღი-ბათუმში) „სხვა“ დროში (აწმყო-წარსული), ცნობიერიდან არაცნობიერიში, რელიგიიდან წარმოსახვაში ბორცვივდება ცნობიერების უველა ფენის, ყველა სტეროს გაუცხოვება — წნეობ-რეივის, სოციალურის, ისტორიულ-გენეტიკურის, ესთეტიკურისაც კი — რთა ნიკო კელავ იპოვოს, კვლავ აღმოაჩინოს საკუთარი ადამიანური არსი ახლადაღმოჩენის სიხარულითა და აღტაცებით.

ნიკოს ფსიქოლოგიურ დრო-სივრცეში რელიური საგნები და მოვლენები ექცევიან ნაირგვარ კავშირებში, რომელნიც უფრო მრავალფეროვანია და მრავალგანზომილებიანია, ვიდრე ობიექტურად არსებულნი. აქ ისინი ამჟღავნებენ უარულ თვისებებს, ააშკარავებენ უჩინარ კავშირებს. ეს ახალი დამოკიდებულებები ოთარ ჭილაძესთან ქმნიან ურთულეს თვითშობრავ სინტეზს, რომელშიც შინაწილებობენ პირსვენების მთელი ფარული ინტელექტუალური, ინტუიტიური, ემოციური შესაძლებლობები — გაუმჟღავნებლად დარჩენის საშინარების წინაშე მდგარი ფიზიკურ რელიგიის არეალში.

ცნობიერი და არაცნობიერი კლასტების, ისტორიული და მრავალფეროვანი დროის აღმქმედი მექანიზმების, ინტუიტიური და ლოგიკური, ბიოლოგიური და ფსიქოლოგიური ძალების ასეთი ჩოულა და უკიდურესი მობილიზება მომართულია გადარჩენისკენ, ხოლო გადარჩენა ანტიდაპიურად ჩადებულია იმ ვენტიკურ კოდეში, რომელსაც ბიჭი ატარებს. ორიოდე სიტყვით კოდზე კოდი არის საიდუმლო, ეს საიდუმლო ცნობილია მხოლოდ შეფიცულთა ვარკვეული ქვეფოსათვის. ოთარ ჭილაძესთან ეს ქვეფო უპირისპირდება მთელ დანარჩენ სამყაროს, ქაოსს — როგორც საიდუმლოს მფლობელი. ამ საიდუმლოს მფლობელი ინტუიტიურად ბევრია, ვაცნობიერებულად — მხოლოდ ნაწილი. ამ ნაწილს შეგნებული და ვაოაიხიბული აქვს მისია, რომელიც აკისრია მარადიული ეროვნული სიცოცხლის შენარჩუნების საქმეში: იმის და-

სამტკიცებლად, „ღირსი რომ იყო არა მარტო გაჩენის, ვადარჩენისაც, რადიაცის გადარჩენა ევალება მასაც... სულერთია რისა, თუკი ის ნამდვილად მისია, მტკიცებულად, უკიდურესად მისია...“ ამ საიდუმლოს ცნობიერად ფლობს ვანო მასწავლებელი („ყველაზე ამირანის შვილები ვართ“) გაუცხოებრებლად კი სხვების: ვიუკოლა, ბებია, დეიდა, პაპა, აბელი, მარგალიტა, ბრწყინი, სავსებით ვერ ფლობენ გოგია, გოგიახ დედა და ბიძა. ასევე ფლობს ნიკოს მამა, როგორც „გადამრჩენთა“ გენეტიკური ქაჭვის ერთერთი რგოლი, მაგრამ ქმედების უნარმოკლებული, თაობათა განფთხარების ქაჭვიდან მოლოტიკური ეპოქის მიერ ამოკლებული. იგი აცნობიერებს, მაგრამ ვერ აზორციელებს, ხოლო ის, რაც მამამ ვერ განახორციელა, შეილება უნდა განახორციელოს. აი, ამახ უნდა მიხედვს ნიკო და საიდუმლოს მფლობელთა რიგში ჩადებულ. მიხედვად, ანუ საიდუმლოს ფლობა ვულისხმობს წარსულის გავლით დაიუფლო დროს. მესხიერების გზით მიადწიო საიდუმლოს ჩასახვის უპირველეს წერტილს დროში. და ბიჭი აგნებს, ხვდება, საიდან მოდის ხასტელი: „მთელ მის მოდგამს და მთელ მის ზალს, დანარჩენი მსოფლთსაგან განსხვავებით, კიდევ სხვა, საკუთარი, განსაკუთრებული ცოდეაც ადევს — მამის მკვლელობა“. ოთარ ჭილაძის რომანების საერთო მსოფლმხედველობრივ და ესთეტიკურ სტრუქტურაში დროის ასეთი წერტილები, მომენტები ქმნიან გადამწყვეტ საორიენტაციო ნიშანსებებს ერის ისტორიული ბედისწერის განცნობიერებისათვის. აიტების სამეფოს დაქცევა, მკაბელთა უგვარტომო დინასტიის გაბატონება, რეინის თეატრის სტატუსტის როლთან შეგუება, და ხოლოც, ილიას მკვლელობა — ამ ისტორიული დროის ის მომენტები, როცა ბედისწერის დეტერმინაციამ დაანგრია, და ნაცობტრუად აქცია ჩვენი ეროვნული შემოქმედების მთელი მონაპოვარი. ამ მომენტებს თავიანთი მახასიათებელი აქვთ, მაგრამ ეს უკვე ცალკე საუბრის თემა გახლავთ და ამჯერად მათ არ შევხებით.

„მარტის მამლის“ მიხედვით, უახლოესი ისტორიული ეპოქის დროით საზღვრებში ილიას მკვლელობა ვახლდათ ის ნიშანსებტი, რომლის შემდგომაც იწყება სრული წნეობრივი ვანურჩელობა, ქაოსი, სიკვდილი. ბიჭი სიკვდილსაქენ ამ მიდრეკილებას საკუთარ ნულშიც ვრწმობს, როგორც საერთო ეროვნული ბიჭობების ვენტიკური მშპვიდრე და ამ ტრაგედიის უპირობი, უთუოდ მახუხისმხეებელი. ოთარ ჭილაძის სამყაროში „რაც ერთხელ ხდება, სამუდამოდ ხდება“ და რასაც ერთი სწადის, იმ ცოდვის ტვართი ადამიანთა მთელ გენეტიკურ ერთობლობაზე ნაწილდება მეტ-ნაკლებად, რადგან: „ადამიანს არა აქვს ასაკი. ყველა ადამიანი, ჭერ არ შობილიც, ადამა თან გამოიყოლა, სა-

მოთხიდან... აქედან იწყება ყველა ადამიანის „წელთაღრიცხვა“. ანუ, რომ თავისთავად ცხადია ნიკოშიცაა თავმოყრილი, რაც მის გამოშტან ბალახსა თუ ზეს ცადაზდენია თავის ცხოვრების ჯანაფხულოდან ცხოვრების შემოდგომაზე. დღემდე, ნიკოშიცა.

„მარტის მამლისი“ კომპოზიცია, უფრო ზუსტად დისპოზიცია ამ მომენტის გამოკვეთას ემსახურება. რომ არა დისპოზიცია, რომლითაც დაძლეულია ობიექტური დრო და მასთან ერთად ცნობიერების მაცდუნებელი მიწვევ-შედეგობები კავშირები, შეითხველი ვერ იგრძნობდა დროის მდინარებაში იმ მომენტებს, რომელთაც ვალდებულება და უნდა დაუკავშიროს კიდევ უფროა შემდგომი უბედურება პიროვნული და ეროვნული მანშტაბით. ამ აზრით, როგორც შემოთხი ვთქვით, რომანის დროითი კავშირები ფუნქციურია და არა რაოდენობრივი (კომპოზიციაური და არა სიუჟეტური). მათ ევალებათ დროის გარკვეული მომენტების ახალ ხარისხში წარმოჩენა. მოვლენის არსი უნდა აიხსნას ცნობიერების მიერ აგებული დროითი კონსტრუქციების მეშვეობით (მავალითავე, ბიჭის შიშის კომპლექსი უნდა მოიხსნას მისი გენეტიკურ-ეროვნული დანაშაულის გაცნობიერებით, ანუ წარსულში შებრუნებით).

ორივე სიტუტეი შიშზე. ბიჭის შიში სიკვდილის შიშია, თუ ფრჩხილებს გავხსნით, ეს შიში, გარდა იმისა, რომ პიროვნულ-ონტოლოგიურია, ამავე დროს გენეტიკურია და ნიკოს ბაბუის პოლიტიკურ დამარცხებას უკავშირდება (1921 წლის თავისუფალი საქართველოს ოკუპაცია). პირველ შემთხვევაში ესაა გოგიახაგა დაშიშვებული თოფით და სიკვდილის შესაძლებლობის შიში: „თვალეგადადგომარკლული გოგია ორლუდიანი თოფით დაეძებს მოხალეა ვად, ის კი ღაბის წლახარში გადასულა, გადაკარგულა, გადახვადერებულა“. მეორე შემთხვევაში ნიკოს პიროვნულ შიშს გენეტიკური კუთვნილება აღრმავებს: „ოდესდაც პაპის თავზე დარეკილი შიშის ზარი კიდევ უფრო მძლავრად გუგუნებს შვილიშვილის წარმოდგენებში“. აქ არის ერთი, ფსიქოლოგიურად ძალზე ზუსტი მომენტია, რომელიც ხსნის ნიკოს პასუხისმგებლობისა და თვითდაჯნის შინაგან მექანიზმს: იგი ვერ გარკვეულა, შიშმა გამოაქცია და იბიტომ ვერ მოასწრო სტუმრის ფაფრთხილება თუ უბრალოდ, „იმათ“ დაასწრეს. ანუ, სხვაგვარად: ვერ გარკვეულა, ვინ გამოეცვა: ნიკო — გოგიას თუ მასში შთვლემარე, უკვე ათასგზის შემინებული გენეტიკური წინაპარი პოტიციურ თუ რეალურ მკვლევებს. ის, რომ ბიჭის შიში გოგიას მიერ გამწადებულ თოფს უკავშირდება, ხოლო გოგია კი გენეტიკური მკვლელია და ეს საჭმე მას არად უღირს — განსაზღვრავს ნიკოს უპირობო შიშს: ისეთმა, როგორც გოგიაა, ყოველთვის შეიძლება მოყ-

ლას ისეთი, როგორც ნიკოა. გოგია ისევე, როგორც კუხა („ჯანზე ერთი კაცი შიდილია“) წარმოადგენს დროისა და ვითარების ზანგანეზოდ დამუშავებულ ტიპურ ნაყოფს. გოგია არის ის, რაც შექმნა დრომ, როგორც რაღაც გარემო და მტრულმა ძალამ ადამიანის მთელი მოღვაწეობის მიმართ. დროის მთელი მანკიერება დასტურდება გოგიას არსებობით, მისი ცნობიერებისა და წენობის დონით, მაგრამ გოგიათი შინც არ ამოიწურება ყველაფერი. შთავარია, რომ ბიჭის სიკვდილის შიში არის არაპირდაპირი და პირდაპირი ნაყოფი დროისა და ამ დროში განხორციელებული მთელი ქაოსისა საზოგადოების სოციალურ, წენობრივ, ფსიქოლოგიურ ცხოვრებაში (გავიხსენოთ ქარწილის სენა, სადაც ეს ქაოსი სიტყვიერი აზრკადაბრის; მოუწესრიგებელი, ერთმანეთთან დაუკავშირებელი, უთავბოლო, უპაურო შესიტყვებების ფორმითაა გამოხატული).

ის შიში და ძრწოლა, რახაც პაპის შემთხვევაში (1921 წლის შემდგომი საქართველოს ისტორიულ ვითარებაში) უკანონო პოლიტიკური და ფიციური მკვლელობების შესაძლებლობა წარმოშობდა — შვილიშვილთან უკვე ისტორიულად განხორციელებულია, ამას ემატება სოციალური და წენობრივი განუყოფლობის „ატმოსფერული“ შიში. გამოტოვებულია მამის ცხოვრების მონაკვეთი, რომელიც ამ შიშს ერთის მხრივ აძლიერებს, როგორც განუხორციელებელი მხარდაჭერა მომავალი თაობის მიმართ, იმ მოლოდინის გაცრუება, რომელსაც წინა თაობისაგან ელის მომდევნო, მაგრამ მეორეს მხრივ აქრობს, სადაც კარნახობს, ავადებს ძალთა მობილიზებას ახალისის შემხრულდებლად, რომელიც არ თქმულა და რომელიც ბიჭმა თავისით უნდა იგრძნოს, მიხვდეს და შეახრულა: „ღირსეული შეგვიდგრა პაპისაც და მამისაც — ერთი გაიქცა, მეორე წაიქცა. მამს კი ჭერ ვერ გაურკვევია, რა ევალება თავად, უფრო სწორად, რა შეუძლია კიდევ; გარდა გაიცეცისა და წაქცევისა“).

როგორც ვხედავთ, სიკვდილის შიშთან დაკავშირებული ორივე მომენტი — ცნობიერიც და არაცნობიერიც ერთდ გენეტიკურ კავშირთა კონტექსტშია მიქცეული, როგორც საკუთრივ ბიჭის ოჯახის, ისე საერთო ეროვნული ერთიანობის თვალსაზრისით. შიშის ეს კომპლექსი ერთდროულად უპირობოცაა და პირობითიც. უპირობოა ყველა იმ მიწვევის გამო, რომელზედაც შემოთ ვილაპარაკებ. პირობითია იმდენად, რამდენადაც მას საფუძველი მხოლოდ ცნობიერებაში აქვს და არა რეალობაში: ბიჭი გაციებულა, მას კი ეჩვენება, რომ სიკვდილის ნაპირს მისდგომია („წელიწადის მებუთე დრო დაზდგარა და რგაა“). ის, რაც ჩვეულებრივია, ბანალურიც კი (ბიჭების წყაილება, ჩხუბი და ა. შ.) და რაც ამ ბანალურობას ხაზს უს-



ვამს (გოგიახა და დედამიძის შემრიგებლური ვიზიტო), ბიჭის ცნობიერებისთვის ქვეყნულა სა- შინელი მნიშვნელობის მქონე მიწანად, წებო- რად, რომლის გადაღობვაც ნიკოს მიერ სიცოცხ- ლის ვაგრძელების გარანტიად აღიქმება.

სწორედ ამიტომ საზღვრის, გადახვლის მო- მენტი წარმოადგენს რომანის მხატვრული დრო- ის ძირითად მარგანიზებელ სტრუქტურას. ბი- ჭის ცნობიერება იწყებს დროისა და სივრცის რეალური, ფიზიკური სტრუქტურების დაშლას, არსებობად, ბიჭის ბრძოლა გადატანილთან მიმ- დინარეობს როგორც ბრძოლა დროსთან — გან- კაცებისათვის, პიროვნული თავისუფლებისათ- ვის, ეროვნული საზის შენარჩუნებისათვის: „გამ- წარებული გამოცდის სხვათა წარსულიდან, თეს- ლის ბნელსა და იღვწოდა გზის მიხვევება არა- რაობიდან სიცოცხლისაკენ, რათა იშვას, დაიბა- დოს, აღმოცენდეს და თავიდან დაიწყოს უკე- ლაფერა“.

სიკვდილი პერცეპტუალური დრო-სივრცის შეუქცევადობის, ე. ი. ადამიანის შინაგანი თა- ვისუფლების აღმკვეთია. სიკვდილის შემთხვე- ვაში, რომელიც გადაუღალავია და რომელიც სამყაროსთან მის ურთიერთობას ანეიტებს არა- თავისუფლების სახეს, ნიკომ უნდა სძლიოს სიკვდილის მიშს ცნობიერების დროში ჩაძირ- ვის გზით. ფსიქოლოგიური დრო-სივრცე მას ათავისუფლებს აწმყოსაგან, აცხრობს საკუთა- რი უმწირობისა და რეალური დროის შეუქცევა- დობით გამოწვეულ მის გამძაფრებულ განც- დებს.

პლატონი ამბობს, რომ სულიერი ცხოვრება გრძელდება დროში, მაგრამ არ ლოკალიზდება სივრცეში, ნიკოს ფსიქოლოგიაში დრო აწეს- რიგებს სულიერი ცხოვრების შექანის (ცნო- ბიერების) მოძრაობას, ამიტომ ცნობიერების მოვლენები და ხატები წარმოადგენენ ადამიანის შინაგანი დროის ცნობილ ქმნილებებს, რომ- ლებიც არსებობენ განსაკუთრებული რეალობის სახით. არა ეკვილიდურ სივრცესა და დროში, არამედ სხვა, არამატერიალურულ განზომილე- ბებში. ასეთი რეალობის სახით არსებობს ნი- კოს ცნობიერებაში ხსოვნის გზით დადგენილი მთელი წარმოსახვითი სამყარო (მაგ, ალბის მკვლელობა, სულთქმის ციხე და ა. შ.). წიწმუ- რის სცენაში დრო დაუყოვნებლივ გადაერთვება წარსულიდან აწმყოში, რათა ცნობიერების დრო-სივრცული რეალობის უფლებამოსილება დააფიქსიროს, წარსულ დროზე უტყუარო ცოდ- ნა ოთარ ჭილაძეს სჭირდება: „დროთა კავში- რის“ განსაზოცილებლად. გენეტიკური სუ- ლიერი ცხოვრების ისტორიულობის, განგრძო- ბითობისა და ერთიანობის დასამტკიცებლად, იმის ნათელსაყოფად, რომ ყოველ სავანსა და მოვლენას უნარი შესწევს იარსებოს ორმავე ყოფიერებაში — მატერიალურ-ფიზიკურშიც და

ცნობიერებისეულ-ფსიქიკურშიც. და რომ ადა- შიანის დანიშნულებას ხსოვნაში შეინახოს, გა- დარჩინოს და აღადგინოს ეს განსაკრებად გან- წიურული სამყარო.

ნიკოს ცნობიერების, დროში იჭრება მითო- ლოგიური დრო, როგორც მის გენში მოთვლმა- რე ძაღლისა და უფლების მიმნიჭებელი დრო, როგორც ხსნის დრო. ნიკოს ცნობიერებისათვის იგი დროის იდეის არქეტიპია, ციკლურ დროზე უარის თქმა ნიშნავს ადამიანისა და სამყაროს ცხოვრების კვლავანმეორების შესაძლებლობის აღკვეთას. ამიტომ ციკლური დროის შეგრძენება იმთავითვე ჩართული არა ცნობიერში. რაც არ უნდა უარყოფდეს ადამიანის ლოგიკური ინ- ტელექტი დროის შექცევადობის იდეას, იგი გაუცნობიერებლად მაინც განაგებს მის ზოო- ლოგიურ და ფსიქოლოგიურ შექანისშს. სიკვდი- ლის დაძლევის საიდუმლო შექცევად დროში შესვლა, ანუ წარსულში დაბრუნება, ბიჭს სი- ცოცხლის უფლების მოპოვების ნება უბიძგებს შიშის დაძლევისაკენ. ამისათვის მან უნდა სძლიოს დროის კანონს, შეუქცევადი შექცევა- დად აქციოს და მუხსიერების საშუალებით დაე- უფლოს დროს. გონება უნდა აღიაროს ციკ- ლურობა, რათა ირწმუნოს განახლება. ნიკომ უნდა იგრძნოს ამირანის არსებობა თავის გენ- ში, რომ განათავისუფლების შესაძლებლობა დაი- წიროს და წარმოსახვა ახორციელებს ამას.

მითოლოგიური მოდელით დაძლეულია, გა- დაღალანულია რეალური დრო, გადაქცეულია სა- შუალო რგოლად უფრო დიდი კუმშობიერებისა- კენ მიმავალ გზაზე. ეს გზა ოთარ ჭილაძის რომ- შინაში წარსულისაკენ მიდის. მუხსიერების გზით — წარსულისაკენ. (საკვლისსმთა, რომ ძველ- ბერძნულ მითოლოგიაში ქალღმერთი მინერ- შინა განაგებდა როგორც მუხსიერებას, ხე დრო- ის სვლასაც). ხსოვნა ფლობს რაღაც ისეთ ცოდნას, ისეთ საიდუმლოს დროზე, რაც ცნო- ბიერების სხვა შექანისშებისათვის მოუღწევე- ლია. მაგალითად, ნიკო დარწმუნებულია, რომ ოდესღაც ფრინველი აქო: „ბუდე ამსოვს ცხა- დად, ბუდის ზუნე, ბუდის კიდეზე აფრიალე- ბული ბუშბული და პიტალო, თასნაირად დაბ- ზარული, შინაშეუქმბული კლდეები“. პლატო- ნის აზრით, მარადისობა (უძრავობა) შექმნა თავისი მოძრავი ხატი — დრო, როგორც შეტ- ყობინება საკუთარ თავზე, რაკილა ასეა, მანინ უნდა ვირწმუნოთ, რომ შექცევად დროში შეს- ვლა, ანუ წარსულში მებრუნება მარადისობას- თან კონტაქტის, შინა შეტყობინების აქტია: „თუკი, როგორმე, წარსულში მებრუნება შეს- ძეღელ, მერე კ წარსულში გადაღახე, მარადი- სობაში აღმოჩნდები თურმე და აღარასოდეს მოკვდები“.

მაგრამ, როგორც ვხედავთ, ოთარ ჭილაძის- თვის ეს გზა წარსულთან არ წყდება, რადგან ის, რაც ერთმელ იშვა, მარადიულ მყოფნობას



უერთდება, რაც ერთხელ მოხდა, უთვალავჯერ შიშობდება და მოვლენის ეს ძალი — სიცოცხლის, არსებობის წრებში წავიშლი მოქცეული არსებობის მარადიულად — იმთავითვე გული-სხმობს მომავალს. ზოლო ამის გარეშე, ე. ი. მომავლის გარეშე „დრო კი არ არსებობს, ვეღარ არსებობს. წარსულიდან აწმყოში კი გადმოვიდა, მაგრამ ისევ წარსულს რომ დაუბრუნდეს, მომავალი უნდა გაიაროს ჯერ (ე. ი. დროთა ბრუნვის ციკლი უნდა გასრულდეს — მ. კ.), მომავალი კი არ არსებობს, იმიტომ, რომ არავის ადარ ახსოვს და არავინ ადარ გახსოვს“. უმომავლოა არსებობის წრებში უნივერსალური ამოცდების ნიშნავს ხიჯვდილ-სიცოცხლის ციკლი. მომავალი შეხვედრის უფლებას კი წარსული მხოლოდ სხვისთვის უნდა იძლეოს: „მკვდარი — გამხსენებელი თუ ჰყავს, მომავალიც აქვს, მასთან ერთად გადამდის ზეადინდელ დღეში. ყველაზე მწარე ხიჯვდილი უმომავლო ხიჯვდილია“.

მითხები დროის მკვლევარნი (და ხატითავე აქავე) დროის მოვლენები, რომლებიც ძალზე გავაგონებს ოთარ კილიძის მხატვრული დროის მოვლეს, ლოსკის აზრით, აინტეგრირებს თეორიასთან მსგავსებას შეიცავს. სახელდობრ, მის ციკლურობასა და მარადიულობაში ასახულია „КЛОЧКОВАТАЯ ВСЕЛЕННАЯ“ — თანამედროვე ფიზიკური მოდელი, რომელიც გულისხმობს, რომ სამყაროში უკვე მოცემულია ვევილადობა; უკვე აღბეჭდილია „ფირზე“, მხოლოდ კინოს კადრებით ცვლილება, გადაადგილება ხდება დროში. რომანის დიასპორულს ბიჭი ხწორდა და სამსოცხლო წყობის ამასხველ კადრებში შემოიღეს, როგორც მისი მხატვრული და განმარტებელი. მოცემულია დანიშნულება და ქაოსი წესრიგად იქცევა, სამყარო კვლავ პოეტურ სახურველში ეხვევა, მხოლოდ ამქერად ეს სახურველი ბიჭის მიერ მოპოვებული ცოდნის შუქითაა გაბრწყინებული. სრულდება მხატვრულ დროთა ურთიერთშეხვედრის რთული პროცესი, ერთ რკალში ექცევა ავტორის სიტყვის მარადიულ ფასეულობათა დრო და ნიკოს სუბიექტური დრო. პირველი მიმართულებების და დანიშნულებების აძლევს შიშობებს, ოთარ კილიძისთვის სამყაროში არაფერი არ არსებობს ახტრატულიად, სიცოცხლის გარეშე, ზნეობა არის ადამიანის იმთავითვე განსაზღვრული შინაგანი დანიშნულება. „მარტის მამლის“ მხატვრულ სამყაროში ეს სფეროები განსხვავდებიან არა ზოგადკოსმოსურად ყოფიერების თვალსაზრისით არამედ მხოლოდ ლოკალური ინტელექტის დაშვების თანხმად. რომანის მთელი დრო და სივრცე „შეხვედრულია“ ამ დანიშნულების მატარებელი საგნებით. მაგალითად, ხე არსებობს იმისთვის, რომ სიცოცხლის მარადიულობის რწმენა ჩაუნერგოს ადამიანს: „ხე დმერტის

სახლია. ხე ყოველ წელიწადს ზედალდა იწყებს სიცოცხლეს და არასოდეს ამთავრებს. არასოდეს ზერდება. რადგან, ვარდა იმისა, რომ სიცოცხლე უწყარს, ადამიანიც ეცოდება, უნდა, იმასაც ჩაუხახოს ყოველ წელიწადს გულში იმედი“. სიცოცხლის სიუცარულია და სიყვითის რწმენის ეს ხატითა პრინციპი საბირკველად ედება იმ ხაოცარ კოსმოსურ წერტილს, რომელიც სიკვდილ-სიცოცხლის წონასწორობასა და სიმეტრიულობასთან ერთად მარადიულია და წარმავალი დრო — სივრცის წონასწორობასაც აღიარებს: „მკვდრის დაბინავება თავისთავად უკვე სიცოცხლის სამხატვრო იყო. ის თუ საფლავს უთხრიდა მკვდარს, მკვდარი ვიღაცას ადგის უთავისუფლებდა მიწაზე“. ეს, ერთი შეხედვით, მექანიკური „შენაცვლება“ ზნეობრივი სამყაროული დანიშნულებითაა გასულიერებული და მასში უზენაესი სიყვითე და ხამართლიანობა გამოხატვის. ამ თავისებურებითა გამო, რომელიც ყოფიერების გლობალური პოეტური ხედვის ნაყოფია, ოთარ კილიძის სამყარო არა მარტო მხატვრული, არამედ უნივერსალურიცაა.

„მარტის მამალი“ მხატვრული სახე, ხატი შენდება როგორც დრო-სივრცე, დრო წარმოადგენს არა მოვლენათა ყოვლისშემძლე, მაგრამ მაინც გარკვეულ ფონს, როგორც, მაგალითად, რეალისტურ ტიპურ პროზაში, არამედ მათ შინაგან მახასიათებლებს, რადაც ისეთს, რომლის ძალითაც საჯნის არსი შინაგანად იმთავითვე განსაზღვრულია და მიხმულია თავის დანიშნულებასთან. დროის იდეა, როგორც ფილოსოფიურ-ესთეტიკური იდეა, ოთარ კილიძის მხატვრულ სიტყვაში მოქცეულია ხატის შიგნით და უნივერსალურად იწყებს ხატის აღქმისთანავე. თავისი მოვლენითობის-გამოვლენითობის ძალით, თავისი ემოციურ-ესთეტიკური დანიშნულების განზორციელების გზაზე ხატი იმთავითვე და აუცილებლად „შეიცავს“ დროს. გაიხსენოთ ზღვის ხატი რომანიდან „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“. იგი ზედისწერის მეტაფორაა და კაოზად იქცევა თავისი საბედისწერო დანიშნულების დინამიკის შესახამისად. ამ დინამიკის განაგებს დრო, რომელიც ხატში იფულისხმება, მაგრამ გარედაც არ ჩანს.

აქ გამოვლენებულია ოთარ კილიძის მხატვრული საბედისწერის დამახასიათებელი უმთავრესი ნიშანი: პროცესუალური და პლასტიკური სტრუქტურა. როგორც ვთქვით, იგი იწყებს დროში ცვლილების შეგრძნებას თვით სახის შიგნით, მისი უშუალო აღქმისას (მაგალითად, ლედვის რძის წვეთის ხატი). ამგვარი პროცესუალური ბუნების შედეგად ხატები ჩვენს აღქმის შიგნით შემოდიან პროცესის, გრძობის, კონტრინუმის სახით. ოთარ კილიძის მხატვრული დრო და სივრცე სუბიექტური დრო-სივრცე



საქართველო  
საქართველო

ლი კონტინუუმა, ანუ ხაშყაროს წარუვალად მარადმორავი ხასიციპშლო დროის ფორმასთან იზომორფული ესთერეკური მოცემულობა.

პრინციპული შეუთავსებლობა დროში მოკლებუნა და მის აღქმას შორის ლიტერატურაში გადაქცეულია სიუჟეტის კომპოზიციის მარტანინზედელ პრინციპად, რეალურ ცნოვრებაში ეს დაუმთხვეველობა ადამიანის სრულყოფის კოეფიციენტი — რამდენადაც არ ემთხვევა, იმდენად წინ მიიწევს განაკუცების გზაზე. მიწერი განსახებია: დროთა შეუთავსებლობის უკვედ მონაკეთში სორციელებია ახალი ცნობიერებითი და ემოციური ღირებულებების შექმნა, გათავისება, ცნობიერება მიწერ-შუდეგობრივ კავშირებს განქმისთანავე არ აფიქსირებს. ამ ვაკუუმის გამო, რაც მოკლებუნათა რეალურ ფიზიკურ კავშირსა და მის აღქმას შორის არსებობს, ცნობიერებამ ამ კავშირის მიღწერი, წეცნობიერი არხის შეხადლებლობა დაუშვა. ამ ფაქტორმა კი, თავის მხრივ, მისი ესთერეკური აღქმის პირობა გააჩინა. ცნობიერების ეს „თვითნებობა“ დროთა განმავლობაში მხატვრულ დროში ადგილობრად.

მთელი ის გამოცდილებია, რითაც ისტორიულად მოთხრობის მხატვრული ფორმა მოქმედების დროს ებრძოდა, სრულყოფდა და ხვეწდა, ბოლოს და ბოლოს ჩამოყალიბდა საკუთარი ტრადიციის მქონე მხატვრულ დროდ — შემოქმედებითი ცნობიერების განსაკუთრებულ ფორმად, სახედ, სტრუქტურად. იგი კომბინირებული დროა: ფიზიკურ, ბიოლოგიურ, ფსიქოლოგიურ, ესთერეკურ დროთა რთული თვისობრივი ერთიანობა, იგი დროის შეგრძობების განსაკუთრებული, ესთერეკური ხარისხის განმსახიბრებელი დროა.

ნიკოს ცნობიერების დრო „მარტის მამალი“ არ ემთხვევა რეალურ დროს, იგი შეტია რეალურ დროზე, რადგან შეიცავს არაცნობიერი დროის პლანტებსაც წარსულისა და მომავლის სახით, წარსულის დანახრებებსა და მომავლის ჩანსახებებს, უფრო შეტია, ბიჭის ფსიქოლოგიური დრო ინახავს თავისი გენეტურ-ნაციონალური კუთვნილების მთელ სექტორს, მთელ ეროვნულ დროით გამოცდილებას, გარკვეულ გენეტურ „ძილებას“ მის მიერ უშუალოდ განუცდიელი დროის მიმართ, ამავე დროს იგი შეიცავს განვითარების შეხადლებლობების ვაკუუმობიერებელ ჩანასახსაც. დროის ეს ნიშანი დაფიქსირებულია ოთარ ქილიძის უველა რომანში, და ადამიანის ფსიქოლოგიური დროის უმთავრეს თვისებადაა აღიარებული. ეს კი, თავის მხრივ, იმას ნიშნავს, რომ ადამიანი არის არამარტო ათვლის ინდივიდუალური ხისტემა, არამედ ათვლის ხისტემასა ურგანული ერთიანობის ნაწილიც. ისევე, როგორც კოსმოსი სხეულებში, იგი უფლებამოსილია არა მხოლოდ აღიქვას, არამედ განავოს ეს ხისტემა უნივერ-

სალური დროისაგან დაშოკიდებულად, როგორც საკუთარი ფსიქოლოგიური ულოცებება. სწორედ ამ რწმენიდან მოდის ოთარ ქილიძის უველა რომანის ოპტიმისტური ფინალური თვადობა. ესაა შემოქმედის ანტიტიპიანია თავისერის პოტენციურ მომავალზე და თვალთუნახვ წარსულზე.

რომანის მხატვრულმა დრომ უნდა შექმნას განვითარების, წრდის, ჩამოყალიბების სრული შთაბეჭდილება უველა დონეზე — ეროვნული თვითშეგნების, ხასიანის, „წერობრივი „მე“-ს და ა. შ. „მარტის მამლის“ დროში უნდა მოხდეს რადენობრივის გადახველა თვისობრივიში, ფსიქიკამ უნდა გადააღვავოს ბიჭის მთელი ცნობიერი და არაცნობიერი ინფორმაცია. რეალური ფიზიკური დროის თვალსაწრისით ამ მონაკვეთის ხანგრძლივობა დაახლოებით ერთი თვეა. ფსიქოლოგიური დროის ასპექტით კი — ბიჭის მთელი ცნოვრება.

სულიერი მოძრაობის პირველივე ნახიჭები პირველუბობისაყენ ქაქვის მხატვრევის ხმას გამოცემს. ეს ხმა ამირანის ბორკილებთან გვაბრუნებს ასოციატურად და ახეც უნდა იყოს: ნიკოს ნახიჭები წარსულის განცნობიერების გზით თავისუფლებისაყენ გადადგმული ნახიჭებია. სიკვდილისა და გადაგვარების არაცნობიერ გენეტიკურად ონტოლოგიურ შეშთან მიჯაჭვული მისი არსებობა „ერთთვინია ავადმყოფობისა თუ ერთთვინია სიკვდილის შედეგ“ ბოკალიისაგან თავისუფლებია ცოდნისა და სხოვნის წყალობით. ადამიანმა, და ნიკოშაც, მათ შორის, უნდა იცოდეს, როგორ უნდა იცხოვროს, რათა ცხოვრების ქუქუიან მორევი არ ჩაძიროს უძრავობამ, თვლებმამ, სიკვდილამ.

ხავუვობად კაცობის გადახველა სწორედ ამ პასუხისმგებლობის გაღვიებით, ანუ მორალური ცნობიერების გამოფხზრლებით იწეება. იწეება იმ მომენტიდან, როცა სიკვდილის გარდაუვალობას აღიარებ, როცა აღმოაჩენ, რომ რეალურ დროს ვერაფრით შემოაბრუნებ (მანამდე ცნობიერება არ უძირისპირებს ერთმანეთს ადამიანსა და ხაშყაროს, როგორც წარმავალსა და მარადიულს); მხოლოდ მას შემდეგ, რაც დროს აღარ შეიგრძნობს როგორც ისეთ მხასს, რომელშიც ხილიად ხარ ჩაფლული შენი ცხოვრებით, არამედ როგორც ვარს, რომლის გარდევასაც ვერ ახერხებ. რომელიც უკვედ მას ბოჭავს შენს მოძრაობებს, გიცვლის ფორმას, გაძულებს შენი ხილიად ათარგუნო მისი რყინიებული უდრეკელობის მარწუხებში. ადამიანის გონება მხოლოდ ამის შემდეგ აფიქსირებს წარმავლობას, როგორც დროის ხვლას. როგორც გარდაუვალ, უღმობელ, დაუძლივედ ძალას, რომელიც თავის უძირატესობას ამტკიცებს იმით, რომ მიდის გამოგნებელი გულგრილობით, შეუჩერებულად და თავის გზაზე შეიწოვს და ძო-

რავს ყოველივეს. ადამიანი გამოდებით ცდ-  
ლობს წინააღმდეგობა გაუწიოს მას, მაგრამ ამ  
დაუღალავ ბრძოლაში მხოლოდ საკუთარ უფ-  
ლებურებას აფიქსირებს. ეს დამამცირებელი, ცნო-  
ბიერებისათვის შეურაცხველი უპირობო ტრა-  
გიკული ხდება სიკვდილის გარდუვალობის ფაქ-  
ტით. რისთვის ვებრძვით დროს? რომ დავახანოთ.  
შევაყოვნოთ სიკვდილი, უკუვადლოთ იგი ჩვენი  
საქმიანობით, აზროვნებით. არ დავუშვათ მისი  
შემოსარება ჩვენს „სახიცოცხლო წრეში“. დრო-  
ის წყალობით კი ამ თავგანწირული ქმედებით  
მხოლოდ იმას ვიღებთ, რომ ვიპატივებთ სიკვ-  
დილს; ვიხარჩები, ვიღვავით ჩვენს მიერ და-  
ხარჩულ დროსთან ერთად. ეს ორმაგი ცინიზმი  
დროის მხრიდან ცნობიერების მიერ აღიქმება  
საშინელ უშუქობად, რომელიც ადამიანისათვის  
სრულიად აუტანელი იქნებოდა. რომ არ არსებ-  
ობდეს გამაწონასწორებელი შექანიზმი — წარ-  
მოსახვა, წარმოსახვის სამყარო ჩემი სულიერი  
რეალობა, სადაც სული უკონფლიქტოდ ცხოვ-  
რობს თავის თავთან იგივეობრივ ფორმაში, მე  
მარადიულ დროში მხოლოდ ხსოვნისა და წარმო-  
სახვის მეშვეობით ვეჭქვები. ესაა მშხნელი უნა-  
რი, ჩემი წარმავალი დრო და საკუთარი თავი მა-  
რადისობის ნაწილად შევიკრძნო. ე. ი. ჩემი  
წარმავალი „მე“ წონასწორობაში მოვიყვანო ჩემს  
მარადიულ „მე“-სთან. ფაქიკური დროის  
შეუქცევადობა იწვევს აგრესიას დროის  
ფაქტორის მიმართ, ხოლო ფსიქოლოგიუ-  
რს და ესთეტიკური დრო აქრობს ამ აგრესიას  
და დროსთან ადამიანის კეთილგანწყობილი და-  
მოკიდებულების წყაროდ იქცევა.

არის კიდევ ერთი ფაქტორი: წარმოსახვა ემ-  
პირიულ ფაქტს აძლევს ცვალებადობის, გამოხ-  
წორების შანსს და ამ შანსს ძალზე მნიშვნელო-  
ვანი ზნეობრივი შესაძლებლობები ვაჩინო. უპი-  
რველესად იმპიტომ, რომ იგი ადმანტურებს ადა-  
მიანის დაუმარცხებელ ხულს დროსთან და ყო-  
ფიერებასთან მიმართებაში. „წარმოსახვა „მე-  
სა-  
წორებს“ მე, ჩემს „მე“-ს სიგინიდან, უახლოვებს  
საკუთარ თავს. მისი მუშაობა ამ მიმართებით  
ნაყარნახვია ფსიქიკის დაუქმყოფილებლობით  
— ვზორცილდები თუ არა სრულად და ადე-  
კვატურად. წარმოსახვა მახლოვებს ჩემს დანიშ-  
ნულებასთან. „ის ცხოვრება, რომელსაც წარმო-  
ვიდგენ, მამდევს რწმენას, რომ მე ვზორცილ-  
დები ჩემს დანიშნულებაში“ (ბაშლიარი). წარ-  
მოსახვაში, ისევე როგორც სიხმარში რეალობის  
მიერ დათრგუნული ჩემი არაცნობიერის სუბ-  
ლიმიცია ხდება.

ცნობიერება ყოველთვის პასუხისმგებელია  
ყველაფერზე, რაც მის არეში შემოაღწევს. იგი  
ერთნაირად მოვალეა წარსულისა და მომავლის  
წინაშე. მაგრამ: წარმოსახვაში მონაწილე-  
ბული და გამოსწორებული ცოდვა აღარ ამიძიებს  
ხულს. იგი ცოდვად კი აღარ ითვლება, არამედ

ცდომილებად. ნიკომ უნდა გააცნობიეროს წარ-  
მოსახვის ეს უცნაური უნარი. ერთი ტიპის რეა-  
ლობის ეს უცნაური pardon-ი მეორის მიმართ,  
რათა მორალურ სამყაროში შესაღწევი ძალა  
მოიკრიბოს.

არსებითად, მოვალეობა დროსთან დამოკი-  
დებულების სახეა. საკუთარ ყოფიერებაზე პა-  
სუხისმგებლობის განცდით იწყება „მე“-ს მოძ-  
რაობა სახიცოცხლო დანიშნულების ზაზწე, დრო  
არის შინაგანი გამოცდილების ფორმა, ამიტომ  
დრო, როგორც ფანტელომითი გაცნობა გარკვე-  
ულ ასაკამდე, გამოცდილების გარკვეულ კონ-  
დიციამდე არ „მუშაობს“, ჩვენი განუფითარებე-  
ლი. ინფანტილური ცნობიერება სივრცული წარ-  
მოდგენებით უკავშირდება გარეშე სამყაროს. ამ  
ფსიქოლოგიური ფაქტორის ნაყოფია „მარტის  
მამლის“ გარდამავალი დრო — სივრცული ბატე-  
ბი, სადაც სივრცული შეგრძობები პერსონა-  
ტის შინაგან გამოცდილებად (დროის ფორმად)  
უშუალოდ მკითხველის თვალწინ ეალიბდე-  
ბა. მაგალითად, საავამყოფოს ეპიზოდი, სუ-  
ღარი, წიწმური, სულთქმის ციხე, წარმოსახ-  
ვის მიერ შეგრძობებულ სივრცულ დეფორმაცი-  
ებში მდღავდება ადამიანის წარმოდგენა სივ-  
რეზე, როგორც შისადმი დაქვემდებარებულ  
კატეგორიაზე. რაღაც ისეთ მოცემულობაზე,  
რომელიც არ ემორჩილება და რომლის  
ძალაც მისას ამ აღებატება. საპირისპიროდ ამი-  
სა, დროით დეფორმაციებს იგი განიცდის რო-  
გორც უშუქობის დროის მიმართ, რაცაც ისეთის  
გადღაზვას, რომლის დამღვევის უნარიც მას  
არ შესწევს, დროის დამღვევის შესაძლებლო-  
ბა აკეთდება მხოლოდ მისი სახარტებლო ხარ-  
ტვის შემთხვევაში (სივრცის მიმართ ეს მოთხოვ-  
ნა არაა წყვენებულში) ე. ი. ადამიანის დროსთან  
ადამიანისპირების განცდას დადებითად იქმყოფ-  
ფილებს მხოლოდ საკუთარი საქმიანობის მორ-  
ალური დანიშნულების აღიარებით.

როგორც უკვე ვთქვით, „მარტის მამლის“  
იდეო თავისი არსით პროცესუალურია, სახელ-  
დობრ, ნამდვილ ყოფიერებასთან ადამიანის  
დახტუნება, ცნობიერების მიერ ამ ყოფიერე-  
ბასთან საკუთარი მიმართებების დადგენა. ცნო-  
ბიერების ვალდებების თვისობრივად ახალი ხა-  
ფხებურები. ამიტომ მართებული იქნება „მარ-  
ტის მამალში“ დრო განვიხილოთ როგორც  
შინაარსისული მომენტები, როგორც რომა.  
ნის თემა და იმვე დროს, როგორც რომანის ორ-  
განიზაციის მხატვრული პრინციპი.

მხატვრული დრო, ისევე როგორც ფსიქო-  
ლოგიური, რეალური დროის აბსტრაქციას აბ-  
დენს. ეს კი ნიშნავს მოვლენებისა და პრო-  
ცესების, განვითარებისა და ცვალებადობის.  
ერთი სიტყვით, დროის აბსტრაქტების აბს-  
ტრაქციას. პროცესს, როგორც მოძრაობას, გან-  
ვითარებას, ქმნალობას — ახასიათებს რიტმი. ეს  
კი, თავის შტრივ, იმას ნიშნავს, რომ „მარტის

საქართველო  
საქართველო

მაშალში“ რიტმი. შინაგანა და არა საგანგებოდ შემოტანილი, ე. ი. რიტმი, როგორც ფორმადწარმოქმნილი სტრუქტურა მახალის ანალოგიურია; ფორმა თვისობრივ ერთიანობას ამჟღავნებს მახალის მიმართ. რიტმი სახეცოცხლო ძალის მახასიათებელია. იგი გაივება მხოლოდ მოძრაობასთან და განვითარებასთან ერთად. მარადისობა ურთობია. რიტმი იქ არის, სადაც ბრძოლაა, კმნადობაა, წინააღმდეგობაა დაძლევა. რიტმი ახასიათებს დროს, როგორც მიმწრავ, გადაშლახავ, მებრძოლ კატეგორიას: ეს თვისებები ახასიათებს როგორც უნივერსალურ, ფიზიკურ დროს, ისე ფსიქოლოგიურს, ერთს — ბუნების მიმართ. მეორეს — ადამიანის არსის მიმართ. რიტმი დროის დამახვდობის ხარისხის გამოხატულებაა. უური დავუვდოთ დასაწყისს: გადახვლის მოლოდინი... იშთავითვე დაქვრივია დროის „უმთავრესი თვისება, დროის თვითგამოცხადება მომენტის. „რიტმი არის დროის შიერ საკუთარი თავის აღქმა, მასზე ლაპარაკი“. რიტმი დროის თვითგამოცხადებაა. რომანის უველა რიტმულად აქტიურ მომენტში (გადართვის წერტილებში) იგი ნიკოს ცნობიერების დროს აცხადებს წნობრივ-ხარისხობრივი არსის მატარებლად. რიტმი არის ცვალებადობის მოლოდინი და არჩევანისათვის მზადყოფნა დროის დინებაში, მაგრამ არა პასუხი მოლოდინი, არამედ შესაძლებელის მოლოდინი, რომელიც აქტიურობას გულისხმობს. რიტმი ვნების, სწრაფვის, მზადყოფნის, და ბოლოს, დაშლის ნების მახასიათებელიცაა — გაუცნობიერებლად ან ცნობიერება. რიტმი არის მზადყოფნა.

ბიქის ზღვიერი ცნობრების რიტმი ამ პერიოდში უაღრესად დამახულია, უთანაბრობა და აღსაკვება გამოვარდნებით შევუბებიითა და ნახტომებით. იგი რიტმის იმ სახეებს წააგავს, რომელიც შეეფერება უოფიერების პირველსაწყის მოძრაობას — მიქის, გადახვლის, ფერიცვალების ხიტუაციათ, გამოდვიძების, აღმოცენებისა და დაბადების პლასტიკას. ესაა სასიცოცხლო ძალების ამოქმედების რიტმი ცხოვრების უზახაუართან.

განმეორებლობა „მარტის მაშალში“ არის სტაბილურობა, ხიშკარე დროის ცვალებად ნაკადში. განმეორებები იწვევენ რიტმულ დარტყმებს დროის თანაბარწონიერ დინებაში, ერთს მხრივ, ისინი ასრულებენ ხიუფეთის მომავლირიგებლის ფუნქციას, მეორეს მხრივ, იწვევენ ეპიკური დროის მონაკვეთებად, ნაწილებად წარმოადგენის შესაძლებლობას, სწორედ განმეორებულ სტრუქტურათა რიტმული ცვალებადობა და კომპოზიციური ნაწილების მონაცვლეობის „გადააადგილებს“ მათში მოთავსებულ შინაარსს, იდეას.

რაც შეეხება მითოლოგიურ სახეთა რიტმულ განმეორებებს, მათ აქ განსაკუთრებულ

ფუნქცია აქისიათ, მათი შემეგვირობა მკაცრ ცნობიერებაში შემოდის მითოლოგიური დრო. არცნობიერის წიალიდან უტრება აქტიული რიტმები. მათში გამოხატულია კავშირი იდუმალსა და საჩინოს, გამოუქმანდა და გამოუთქმელს, არსსა და ფორმას შორის. აქ რიტმი მხოლოდ მოძრაობის თვისებას კი არ შეადგენს, არამედ თვითონ არის კავშირი, იგი წარმოადგენს გადახვლის ნიშანს და თანაც ისეთ ნიშანს, რომლის გარეშეც ეს კავშირი ვერ განხორციელდება. ამ წერტილში იქმნება განსაკუთრებული ღირებულებების წარმონაქმნები, განსაკუთრებით გამკვრივებული სივრცული და დროითი სურათი, რაც ქმნის არა მხოლოდ ფსიქოლოგიურ, არამედ საერთო ფსიქიკისეულზე შემოქმედების სახეებს. ისინი წარმოადგენენ არა უბრალოდ ხატებს, არამედ სახე-იდეებს, ცნობიერების პროცესების რიტმულ გადართვათა თვისებურ ენერგო-სტიმულატორებს და განსახიერებენ კავშირს ცნობიერებას და არცნობიერს შორის. ეს ფუნქცია უმთავრესია და რიტმული გამოვარდნებიც უმთავრესად ამ სახე-იდეებთან იური თავს. ასეთია ამირანის აქტიუბა, რომლის ვარიანტული ხაზიცივლილებით იქმნება რომანის ძირითადი იდეის გამოხატვითი ასოციატურ სახეთა ხასტრება. ამ ხატების მნიშვნელობაზე დაწვრილებით საუბარი სხვა დროისათვის გადავდოთ, ახლა კი წაგადი სქემითა და საერთო დასკვნით დავეყვოფილდეთ: ილიას მკვლელობა — მამის მკვლელობა. ამ იგივეობას მივევარდნ ამირანის მითითა, თავის მხრივ, მათ უკავშირდება მამის ხალუაჯის (ანუ ტრადიციის, ან სისხლისმთიერი თუ მისტიკური ერთიანობის) დამკარგველი (უგულბებლმკოფელი) და მძებნელი კაცის სახე — იდეა (გაუკული), მათ გარშემო კონკენტრირებული ნიკოს ცნობიერება ქმნის სახეთა ახალ ქაფუს (ამირანი — მამა — უაჩალი), რომელიც გამოხატავს მამის წინაშე (ანუ წინაპრის წინაშე) მოვალეობის ვერშესრულების, სასიცოცხლო დანიშნულების ვერშესრობის კომპლექსს.

ნიკო, მამა, დედა, გიგოლია, უაჩალი — საბოლოოდ უველანი უკავშირდებიან ამირანის სახე-იდეას, რომელიც წარმოადგენს არაცნობიერის ხინაღლს გენეტოკური ზვედრით დაკისრებული მოვალეობაზე, უველაფერა ერთიანდება ნიკოში, რომელსაც ევალება მოხსნას დაიწვევული მოვალეობის კომპლექსი. ახსნა უნდა განხორციელდეს მისი ონტო-გენეტოკური დანიშნულების გაცნობიერებით. მისი კონკრეტული უოფიერების დროში უნდა ჩინახოს პასუხისმგებლობა ისტორიული დროის მიმართ, მომავლის მიმართ, რადგან მხოლოდ მას შემდეგ, რაც ცნობიერება იწვებს მომავალთა, აქტიური და მოკიდებულიდებს დამეორებას,

იგი ამორცხვებებს, „დროთა კავშირს“ და ერთგება „დიდი დროის“ დინებაში: სწორედ ეს ვახლავთ ნიკოს ავადმყოფობის უმთავრესი მონათხარა. „ესაა შენი დანიშნულება. შენი მოვალეობა“, ამისთვის გაგაჩინა აღბათ ბუნებამ, არა მარტო რალაის გამგრძელებლად, არამედ გამხსენებლადც. მახსოვრობის წყალობით, ზვალნიდელში უნდა გადაიტანო დღევანდელი, მომავალს დაახვედრო რაც დღეს იცი, რაც დღეს განვიცდია, მოგისმენია და დავიმაჰ. სოვრება საშუალოდ, სამარადეთოდ გადაქცეული სხოვნის ყულაბად, რომელიც თავის ბნელ წიაღში იშვიათ საგანსურს შალავს...“

მითოლოგიური დროის პრინციპით ის, რაც ერთხელ ხდება, საშუალოდ ხდება, ის, რაც ერთხელ იხადება, მარადიულად იკავებს ადგილს საერთო კოსმიურ ყოფიერებაში და კოსმური სივრცების ნაწილად იქცევა. ქალიღან, ინერტული არსებობიდან ყოფიერებისაკენ გამოტყორცნილი მომავალი ნიკოს აწმუოში წარსულთან დაწყვილებით შემოდის.

ამირანის მითოლოგიური არქეტიპის შემოტანით ნიკოს ხაზე იძენს დროით განუხსლვარელობას და უფუნდამენტო ეთნიკურ-ისტორიულ უსაფუძვლებზე ორიენტაციის უფერობას იღვებებს. ყოველთვის, როცა ნიკოს ცნობიერებაში ამირანის არქეტიპი იღვივებს, მისი არაცნობიერი იმპულსური ბიძებების საბით ირუევა, რათა ზედაპირზე ამოტივტივდეს და ცხოვრების სახელმძღვანელო წერილობით პრინციპად აქცეს ნიკოს ვინტეჯური საიდუმლო და წინასწარმეტყველება მომავალზე. სწორედ ამიტომ ნიკოს ცნობიერებაში აღდგენის პროცესი ამირანის სახეს უკავშირდება. ის, რაც ამ სახე-იდენტობაში ჩადებული — თავისუფლების ნება და მასთან დაკავშირებულ ღირებულებათა მთელი კომპლექსი ერთგული ყოფიერებისა და ცნობიერების გამოუსწორებელ უმძიმეს დანაკარგს შეადგენს. ერთი წუთით აღვიდგინოთ ამირანთან დაკავშირებული ასპიციტური ველი და კინებულთა, ჩაქვზე მიბმული და სამასხაროდ დააქცეული (გვიკლავს ხიშმარი) გაუნარტვად მწოდარე, თავადსაბუკული და უძალი (მამა); მისი „ჩაქვის მლაკველი“ დედა (ნიკოს წარმოსახვის ხატი) სახურავჩამოქცეული საუღრის (თუ ფენსადგლის) ცეცხლზე ბელებშიშვარილი, სიცივისაგან გათოშლი ფარაქა-შემოხეული (ვითამ ყარალი) — უკვლანი — ხაიროდლოდ გამზადებულნი, ერთგული მეგობრის თუ მხსნელის მომლოდინენი. გავიხსენოთ თვითონ ნიკოს მათთან საშუალო ჩაქვით მიბმული დახადებისა და სიკვდილის წინაშე მოვალეობის გამო, ისევე; როგორც გეტყობა თავის მკვადრ მამასთან ამ მოვალეობის შეურსულდობლის გამო; ან როგორც ნიკოს მამა — თავის საწმლთან, მხოლოდ ამტყრად ამ მოვალეობის დავიწყების გამო; (არა ინდივი-

დუალური, არამედ თაობისეული, განხილვისა და დავიწყების გამო). ეს რეივები უფრო და უფრო ძლიერდება ჯველულის, ექსტრანსტების და ბოლოს, ნიკოს ცნობიერების თავლით ტანს. ხული ილიას სიკვდილის კადრები.

ახებობს მოსაზრება, რომ შეუწყვეადი დრო არსებითად მხოლოდ სივრცე და სხვა არსებობს. თუ არ დავუშვებთ, რომ დრო შექცევადია, ვერ ვიგარნობთ განხილვების დროში; ნ. კ. დრო გაიყინება ერთ კადრში. ფაქტობრივად დაიკარგება აწმუო, რომელიც მხოლოდ წარსულთან და მომავალთან შედარებით არსებობს ჩვენთვის ფსიქოლოგიურად დროის ამ რეინტენის საპირისპიროდ „სივრცის გაყინვა“ რეაქტილი „გადართვის“ ეფექტს იწვევს; შეუწყვეადი სივრცული კადრები შინაგანი დროის დამაბულ, ინტენსიურ მუშაობაზე მიგვანიშნებენ. თარ კლადის ხატების შეტყორცვით მნიშვნელობათა სისტემა შალზე თავისებური და ტივადია, უპირატესად არა აზრობრივი არამედ ემოციური ამბულის აღმძვრელი. რეაქტილი, გორც ემოციური (და არა ლიკვიური) აღქმის ფაქტორად ამ იმპულსის გაძლიერებას ემსახურება. დროითი ხატების აღქმის ახლავს რეაქტილ შეგრძნება, სივრცისა — ნაწილთა კომპოზიციისა. ორივეს — გარკვეული დამაბულთა. მაგრამ სივრცის კომპოზიციაც, საბოლოოდ რეაქტილ შეგრძნებას აძლიერებს. რადგან ყოველი სივრცული საგანიც დროში არსებობს ცნობიერების პროცესში მას ნაშუაწარ მნიშვნელობა ენიჭება. რადგან იგი გარეგანის შინაგან გამოცდილებად გარდაქმნის აუცილებელ საფეხურს გულიხმობის ასეთია რომანში უცხოებისა და ილიას მკვლელობის კადრები, გვიკლავს ჩვენებები. უნდა შევიგარნოთ შინაგანი გარეთარება, ცვლილება, როგორცაა ეულიერი მნიშვნელობის არსი, რაც მიუღწეველია შექცევადი დროის აღიარების გარეშე ამ დროის შატრე. ბელი კი მხოლოდ ნიკოს დრო, რომელიც მას წარმოსახვაში არსებობს მორალური ღანძრულეებისა. მისი ფუნქცია არა მარტო შედარებაა, არამედ ვახუბისმგებლობაც. მასში შეუწყნება (კადრის გაყინვა) ამ მახუბისმგებლობის ზრდაზე უნდა მიგვაჩინოს.

გავიხსენოთ საავადმყოფოს ეპიზოდი და ხათი, როგორც გაუქმებულ, უფუნქციო დროის სიმბოლო. იგი ასახავს რეალურ დროს, მასში, როცა ვერც ნიკოს და ვერც მამამისი თხრობის მომენტში რეალურ დროს ვერ აღქვამენ საათის წიწვიკმა უნდა მიგვაჩინოს სწორედ ამ გაუქმებულ დროზე, მისმა შმაურმა — დღეშილის მნიშვნელობა უნდა შეგვგარტობინოს რეალური დრო წინ მიდის, ნიკოსა და მამამისის ერთიანობის დრო კი წარსულში რჩება. ნიკოს გაღიზიანება ამ შმაურით არსებითად სხვა არცფერია. თუ არა აწმუოზე უარის თქმა, ანუ უფუნქციოდ დარჩენილი რეალური დრო, მამაშვილის დილოგა, ანუ სახუბარს, რომელიც



რეალურ დროში უნდა ახახოს, არ შედეგა, ცნობიერებათა დიალოგი კი არ შეიძლება მიმდინარეობდეს რეალურ დროში. რადგან ეგი ფსიქოლოგიური დროის კუთვნილებაა. საათის წიკჭიკი აღქმება, როგორც ეპიპარული დროის შეტრა ფსიქოლოგიურ დროში, თაობათა შინაგან დიალოგში, რომელიც მხოლოდ მარადიული დროის კუთვნილება შეიძლება იყოს. გარდა ამისა, წიკჭიკი გაჩვევით მიგვანიშნებს, რომ აქ დუმილია და არა ხიჩხუმი. საათის გამოდგომული სპაერო ამ დუმილის ხიდრმის და შინაგნულლობის ხაზობია, დუმილი არის ვერსემდგარი დიალოგი, შინაგნულ ცნობიერებათა მტკიცეულად დაძმული ხიერცი, სადაც ეს ცნობიერებები ვერ ახერხებენ შეგებაში მოხვლას. ამ დუმილია საათის წიკჭიკი სიმბოლური ხმაურია, თაობათა ურთიერთობისა, და ამ თვალსაზრისით, რეალური დროის უჩაყოფობის დამატიქსირებელია. შამა-შვილის ვერსემდგარი საუბარი შინაგანი, გენეტიკური დიალოგია თაობათა შორის და მისი დრო გენეტიკური კოდლი ნაქარხანცი საეროთი ხიიდრულან ამოხსნის უნდა მოხმარდეს. დუმილი — აუცილებელია, უფუნქციოდ უნდა რჩებოდეს რეალური დრო, რადგან აქ სიტყვას ისევე, როგორც ობიექტურ დროს არ ძალუხს თავისი არხებითი ფუნქციის შესრულება. შინაგანი დიალოგი მახში მონაწილედ პართა ურღვევ შინაგან ერთმონობას გულისხმობს, რომელსაც გარგანი ხიტყვა მხოლოდ დარღვევს. შ. ხახტინის მოხარებით, დიალოგს პასიური შინაგანი ხიტყვის გააქტიურების ფუნქცია აქისრია. აქ პარტიოთათა შინაგანი ხიტყვა იმდენად დატვირთულია, რომ პარტადმირი ხიტყვით ვერ გამოითქმება. ეგი სხვაგვარად უნდა გამოიხატოს, მავალითად, მოქმედებით (კატელტის ცდაცემის ცენა), ემტრით, რომელიც გამოუთქმელი ხიტყვის, გამოუთქმელად დამახულობის პლესტატური ექვივალენტია (შამა თვალდახუტული წევს — რეალური ხიტყვის უფულებეულობა). ეს დუმილი თაობათა ხაქარლური ერთობის დუმილია. მახში ნიკომ შამანისაგან რადაც შინაგანი წვდომით უნდა მიიღოს საიდუმლო კოდლი შინაგანი არხებობისა და სიციცხლის განაგრძელებლობა. იმას, რომ შინაგანი დიალოგი ნაშედეგად შედეგა, ვოტხელ მოგვიანებით რაცა ნიკომ ისუნენებს და აცნობიერებს საავადმყოფოს ეპიპოდს, როცა ამ მომენტის ზავშეგონილდრონდელ გამოდინაინებულ უნდაღვანებას, ორტოფულობას, უწეფოობას (გაფივე თუ ვერა? მივხვდი თუ ვერა?) მოვალეობის, პასუხისმგებლობის, ამქვეყნიური დანიშნულების ნაიტილი შეტარება მოხუტება.

კიდევ ერთხელ: „საავადმყოფოს“ ეპიპოდის ორი „გამოდინაინებელია“ (საათის წიკჭიკი და კატელტო) პირველი დროითი გამოდინაინებელია — ეგი რეალური დროის ხელაზე, ახიწუტავაზე მიგვანიშნებს, რომელიც „დიდი დროის“

კონტექსტში ორივე შინაობის მიუღებელია. ნიკომ ფსიქოლოგიურად ერთობილად განსაზღვრის დროის ნაკლებობას და ხიქარებას. მისი ფსიქოლოგიური დიქსიონარის შიორც წყარო არის გატელტო, რომელსაც ადგილი უნდა მახტინის (უხუტად ისევე, როგორც რეალურ დროს) და რომელიც, გარდა ამისა, უხერხულიცაა, რადგან ავადმყოფი მამის კუთვნილი, მისი წილია ლუკმა. ამ ორი მომენტის ერთობილია იქვევს საშინელ ფსიქოლოგიურ დამახულობას. რომელიც მახში ცნობიერება როგორც მტანჯული განცდა რადაც აუცილებლობის ვერგაგებასა, ვერჩახვედრისა. უხერხეულად ნიკომ წარშობახვაში ადგენილი ეს ხიტყვითა მის მომწოდებულ, შინაგნულ ცნობიერებაში ცხოვრების სიმბოლური განსაკლების ფუნქციას შეხარულებს. ვაინსენოთ შამის წინაწარმეტყველება: „თუ ვერ გაიგებ, არა უშავს, ნუ შეუფოთდები. შიავარია განსივდის. თავის დროზე გაიგებ, მიხვდები“. დამახინათებელია: ოთარ კილაძის საშუარო შედეგა, არა ზეულებრივი ხანებისაგან, არაშედ ხანებისაგან, რომელიც მოვლინილობა ახსიათებს. შამის უკანასკნელი, უთქმელი „აქდერკი“ სწორად იმ ცივი, ჭინაბი კატელტოთი იხიერება — შვილისათვის გადამცემული თავისი წილი ხაქმლითა თუ ხაქლით. რომელსაც ნიკომ ეპიქის მიერ ჩამოხილი, გამოუყენებელი შინაგანი ენერჯიის ფანტომი უნდა ვადახცეს იმ ძალისა, რომელიც ბიჭის ცხოვრებას აუცილებლობის ხიტყვის შინაქვებს და ეროვნულად განვითარების ქავის ერთ საშინალო რკალად შეტრავს. სწორად ამის ვაწი ეს ძალე ზეულებრივი (ხანალოცი კი) „ქონინი კატელტო“ იმ ხორცის ნაგლეჯის ასიციაციას ხადებს, რომელსაც ზეპარის ვიორი თავისი ხეულებადან უწვდის ახეთავის ზეპარულ რაშს. უკანასკნელი ნაშობის განაკეთებლად როგორ ვავს ეს ზეპარული ზატი, თავის შირფ, თავისავე ხულის შერანზე ახიერებულ კაცს ხეულებრივი არსის დამთმობს ხელური ნების აღკვეთისათვის.

„მარტის მამალი“ გარკვევით იყიებება დროის ორი ტიპის იდეა. ერთია ისტორიულ-შეუქცევადი, შიორც — მარადიული დრო. ეს უკანასკნელი არქაულ ცნობიერებაში ცალკურ ხელონური მითოსური დროის საბით ვხვდებოდა. მითოლოგიური ახრატვისხიხიანის, ჭონ უტიროუს არსით, დამახინათებელი იყო დრო: იმნიხად არა განსტომობის, შეუქცევადობისა და შინაგნულების შინაგნა, არაშედ განსტორობითობისა და ეროდროულმის. ოთარ კილაძე განაგრძობითობას ერთდროულობის სახეცხვობას აღიარებს, ხელთა შეუქცევადობას ხაერთოდ უარყოფს, ე. ო. თავისი მხატვრული და მხარულშედეგობრივი პრესდექსიის ვადწვევების შინაგნულ დროს ანიებებს უმარტისობას რეალური-ისტორიულიად შედარებით.



მისი მსოფლმხედველობრივი, კონცეფციური დრო გარკვეულად შეშოგარსულაა მითო-პოეტური დროით. ან, უფრო ზუსტად: მისი, როგორც თანამედროვე შემოქმედის ცნობიერება ჩამორულაა (დადებითი მნიშვნელობით) ვარკულ პოეტურ მწერაში, ინტუიციამო, სამყაროს პირველ-საწყის ალქაში. რომანის უშთავრესი პარალელმა უფროდნი ინტორიული დროის ნაკადის, ანუ, ეფლა ნიშნით, ამოწურული, დაშრეტილი დროის ნაკადის მარადიულ დროში გადაართვა. ამიტომ „მარტის მამალში“ მახალა ინტორიული სიბრტყიდან მითო-პოეტურ სიბრტყეზეა გადატანილი და სამყაროს მარადიული სიცოცხლის დროის კონტექსტშია წარმოჩენილი.

მითოსური დროისა და სივრცის ფორმები გამოყენებულია ცნობიერების არქაული შრეების წარმოსახრედა; მადლოდა. ნიკო ზღაპრული გმირივით ორ კვარაში გადალახავს იმ საზღვრებს, რასაც ზოგი წლებს და ათწლეულებს ახმანს. ამით აღიარებულია ამ გადალახვის განსაკუთრებული მნიშვნელობა და მოქმენილია მისი მხატვრული ექვივალენტი. ამავე გზით იგი მართულია „იდე დროში“, როგორც ზღაპრის გმირი, რომელსაც ბედისწერით ევალება გადადგას ის ნაბიჯი, სხვებს რომ არ გადაუდგამთ. მეორე მთავალით: კემოტიტი ადამიანური არხი სწორედ იქიდან უნდა ამოვიდეს, საიდანაც არავინ ელის — არარსის ქურდმულიდან, ჭინვით, ყველაზე შეუძლებელი, ყველაზე ნაკლებმოსალოდნელი ადგილიდან, სადაც კი ადამიანის გონების შეუძლია სხვა ადამიანის მატრიალური წარმოდგენა — ბოლიდან უნდა უნდა მოხდეს თითქმის ზღაპრულად, რადგან რეალურად იგი განუზოცივლებელია. უნდა მოხდეს სწორედ შეშინებულია (და არა განსაკუთრებით ვამხედვით) ოქბში (პაპა, მამა, დედაო; სილნაღში (თავშესაფარში არა თბილისში — დედაქალაქში). სწორედ ვაწლეკლია ჰეპმა უნდა მიაღწიოს, დედას მოშორებულში, სიბერეადმეორება და სწორედ ომის ბედურულ წლეში. რაიდა ისევე, როგორც ზღაპრში თითქმის დეუქრებელი გარემოებებია თავ-მოყრალი, ამიტომ ცუკლური წესით უნდა განხორციელდეს, რათა ბუნების წესრიგს, კოსმოური კანონშორებების, საყოველთაო სისიცოცხლო მალთა სამართლიანი განაწილების შეგრძენის გააჩინოს.

სივრცე პარითადად ცნობიერებისეულია და არა ემპირიული, პირველი შეიკრეს გამოდგებით ექსპლადებებზე, რათა დახმობოს და „შინით მოაკციოს“. წარმოსახვისეული და ემპირიული სივრცეთა შორის ნიკო ეძებს გზას, რომელიც აქ სისიცოცხლო აუცილებელი ეთიკური სივრცის დანიშნულებას შეხარტულებს: „გზასაც პოვნა უნდა, გზას უნდა სწორედ პოვნა, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ყველაფერი უნდა აიტანოს, ვიდრე სხილოდო აქნივლია გზის დასა-

ნახი თვალ. კიდევ უფრო ზუსტად, ვიდრე სი-ნამდვილიანგან თავის დასაცავი მოვლენები, სიწმრები თუ მოგონებები ისევე სინამდვილეს დაუთმობენ ადგილს“. რომანის სიუჟეტის განვითარების კვლადაკვად გამოდგებით მიმდინარეობს ემპირიული სივრცის გადალახვა; შინაგან სივრცედ გადაქცევა („სიუჟეტის ცხე“, მგლის მკვლელობა, ხაყდრისა და წიწწორის სივრცე). გმირის შინაგან სივრცეს მხატვრულ ნაწარ-მოებებში ქმნის დრო. იმისდა მიხედვით, თუ რითა შეგებული ეს დრო, რა მოქმედებებით, რა შინაარსის ცნობიერებით — იქნება შინაგანი სივრცის სხვადასხვა სურათი: ეთიკური, სოციალური და სხვა. რაც შეეხება პირველების მთრ ცხოვრების მანძილზე დაგრკოვლი ვიქტორლოგურ, ზენობრეს, სოციალურ, ემოციურ გამოცდილებას — ამგვარი შინაარსის შემცველი შინაგანი სივრცე გამოყვეთილი დროულობის ნიშანს იძენს. არხებითად ის მხატვრული სახეები, რომლებიც შინაგან სივრცეში არიან გამოხატებულიან, დროის მეტაფორებას წარმოადგენენ. ის საყდარი, რომელშიც ნიკო უჩაღს შეხედება, არხებითად პოლიტიკურად და სოციალურ-მორალურად მკაცრად დეტერმინირებული დროის მეტაფორაა. იგი ერთხალყოლადა საყდარიც არის და ფუნსადგოვლიც. სამალვია, რომელშიც ვერ დამოხლები, თავშესაფარია, რომელიც ვერ შეგიფარებს და ა. შ. მისი უძველესი და უშთავრესი დანიშნულება, რომლის ხსოვნასაც იგი ჭიოტად იხსავს, გადაფარულია თანამედროვე დანიშნულებით, ერთი სიტყვით, იგი ფანტურობათა გაუფასურების დამტკიც მეტაფორაა ვამლავთ და როგორც ასეთი, ნიკოს შინაგანი სივრცის ნაწილს შეადგენს: „ამქიდან დაწყუ ამ ერთი თვის წინ მისი უსასრულო, არსადან არსათ მიმავალი გზა“. ეს უსასრულო გზა ნიკოს ცნობიერების დრო-სივრცული კონტინუუმიია, რომელიც ფიქსირური დრო-სივრცისაგან განსხვავებით წარმოადგენს თაობათა უწყვეტი მორალური მენსიერების ერთ მოწყვეტის, ერთგვარ სულიერ ტრადიციას, რომელიც გამოხატება, ერთი შეხედვით, საკმაოდ ვაკრცელებული ბატი — სანგარი; „უნდა ვავიკოთ, ვივარს და ვიწვინოთ სიკვდილის ძალა, დაუნდობლობა და თვლისჩინივით ვავფრთხილდეთ დარჩენილს, ვადარჩენილს, არ დავანებოთ სიკვდილს, შტერს, წყვიდადს... გოქი არ დავთმოთ ჩვენი სულიხა, სინდისხა, სიუფარულიხა, სიძულვილიხა. ანუ არასოდეს მივატოვოთ სანგარი, ოდღონ და ის სანგარი, სადაც ვანგება ჩავყვამს“.

გზა და სანგარი — აი, „მარტის მამლის“ მხატვრული სივრცის ორი უშთავრესი სახე — იდეაოთარ ექლადის სამყარო სავნება სიცოცხლის უსასრულო გზაზე შემდგარი მარადიული მგზავრებით. გოქოლა („სამითობიდან გაქვეებული ლმერთივით“), უცხოში („ამირანი თუ შვეკაბუკი“), ნიკო („ამირანის შვილი“) ამ მარადიული



გზის მგზავრები არიან, „მარტის მამლის“ სივრცე ფიზიკური და ცნობიერებისეულ სივრცეთა გამყოფი სივრცეა, სივდილ-სიცოცხლის, მუდმივობისა და წარმავლობის, აწმუსა და მომავლის მიქნა, საიდანაც მარადიული სიცოცხლის გზაზე სიარული უნდა განაგრძოს გადაარჩენილმა. გზის ეს მონაკვეთი თუ ვაში, უფრო ზუსტად, დრო-სივრცული ერთიანობის ეს შევსებული მომენტი სივდილის წინააღმდეგ სიცოცხლის გადასარჩენად, გასაგრძელებლად იბადება. და ნიკოც „სხვისი სიკვდილიდან ამოწვდილი“ თუ „დაბადებული, უველას მაგივრად მიფრინავდა უკიდვანო ცაში, უველას მაგივრად, ვინც ქვის ბუდეში გამოიქცა ბედს, ამოფრინის საშუალება კი წაერთმია“. ოთარ ჭილაძის სივრცულ მტეფორიათა სიღრმისა და ზემოქმედების გადაჭარბებით შეფასება თითქმის შეუძლებელია რადგან ისინი გლობალური მნიშვნელობის ბატონია და მათზე თავისუფლად შეიძლება როგორც ფიზიკურ, ისე ფსიქოლოგიურ ასოციაციათა მთელი სისტემის აგება: ერთი მაგალითი: „გზას იმითმე მქვია გზა, უსასრულოდ რომ გაგრძელდეს, უველაფერს მისწვდეს, ფიქრით, უველაფერზე გადააროს, დრო-უმივით, და ისიც პირნათლად ასრულებდეს აქამდე თავის მოვალეობას — ურჩხულიანი შემოხვევითა ქვეყანას, საკუთარი კუდი პირში ჩაუღია და მშვიდად სძინავს, რადგან აღარაფერი არსებობს მისთვის მოულოდნელი, განუცდელი, გაუთვალისწინებელი... თავიც იქ უდევს, სადაც ბოლო, — იქ იწევება, სადაც მთავრდება, ბოლო, ვინაც ქერ ერთიც ვასარკვევთ აქვს და მეორეც, აქამდე უნდა იაროს, ვიდრე ურჩხულის ხანდიან ისევ ურჩხულის ხანაში დაბრუნდება. დრო-სივრცული უსასრულობის (ასევე, ცნობიერებისა და არაცნობიერის ერთიანობის) ეს ბრწყინვალე სიმბოლო „უოვნდება“, თავსდება სასრულად იქცევა ხანგრძლივ საფლავის, საწოლის ხატებში. მისი შემოფოთებით, შიშის-მომგვრელი უსასრულობა გადალახულია, „მოშინაურებულია“ კონკრეტული უფიქრებისეული სივრცით: თავშესაფრით, ანუ „ქვის ბუდეში“, „რომელსაც უველანი დაეძებენ, შეიც, შეიც, უველანი“; ხანგრძლივ, რომელიც ადამიანის ღირსების ხანგაჩივს; საფლავით, რომელიც „ორმო კი არ არის“, არამედ „სიუყვარულით გათბრილი სიამარვე“. რაც შეეხება საწოლს — ესეც უფიქრებისეული სივრცე გაბლავთ, ადამიანის უმწვერების სიმბოლო, სიკვდილისადმი მისი მზადყოფნის ხატი, „ნებაყოფლობითი ხატობა ვის“ საგანგებო ადგილი, სადაც „გარე საშუაროსთან ბრძოლის მამისაგან შემკვიდრებით მიღებული ბერბითა თუ მეთოდით“ ნიკო რეალური სივრცის უსასრულობას ემიჯნება. მაგრამ მამისაგან განსხვავებით, იყურნება და ქანსაღდება, რათა წარმოსახულ სივრცეში შეიძინოს ის გამოცდილება, რაც ობიექტური სივრცის

გადალახვაში დაეხმარება. სწორედ ეს ავალდებულებს უძრავობას („უძრავად წოლას, მკვდარივით“), ესაა ნიკოს სივრცული სხეულის უველაზე აქცენტირებული მდგომარეობა. და ეს ანიჭებს ამ მდგომარეობას გამორჩეულობის ნიშანს. ეს უძრავობა ინიციაციის რიტუალზე მიგვანიშნებს, რადგან ამ ფიზიკურ უძრავობაში ნიკოს მორალური ცნობიერება იბადება და მომავლისაკენ იკვლევს გზას.

სხვადასხვა სივრცულ ნაწილებს შორის (მათში-სიღნაღი) უნებურად შეარდება ქრონოლოგიური შესაბამისობა (ხავშეობა-უძრავობა), ოთარ ჭილაძის მიერ შემოთავაზებული მომენტებიდან, დეტალურიდან იქმნება ნიკოს ცხოვრების ბიოგრაფიული დრო და სივრცე. ამ მონაწილეობის გამო მკითხველი ჩართული ადამიანდება მის სუბიექტურ დროსა და სივრცეში, რომელსაც ობიექტური საშუაროს დრო-სივრცისაგან განსხვავებით ზნეობრივი მახასიათებელი გააჩნია: იგი მუხსიერების მატარებელია სავნებითაა დასახლებული, რომელზეც დაკარგად უდგანან წარსული, ხოცვას იწავეს, მაგალითად, „ქვითყირის ძველი, გამოშრალი, გამოფიტული ბაღი... უდროო დროს, დაუდევრად გამოღვიძებული, წარსულიდან გამოშრებული, კიდევ ერთი ხილმობის გასაწვავად წარსულსა და მომავალს შორის“.

დოსტოევსკის რომანებიდან ბოლო ასევე, რომ იგი მოკლე, აჩქარებული სუნთქვის ადამიანი იყო. ამ აზრით, ოთარ ჭილაძის რომანებიდან საპირისპირო დასკვნის გამოტანა ვეაძრებო. ისინი გრძელ სუნთქვაზეა გათვალისწინებული და ეს გარემოება მკითხველს პერსპექტივის რწმენას უშაბიძგებს: გრძელ სუნთქვას სტირდება დიდი დრო, დიდი ძალე... იმას, რისი რწმენაც გამქარალია, შორეულ დროით პერსპექტივაში ვერ იგარაუდებ. წარმავლობის განცდას ოთარ ჭილაძე ჩვენში შეგრძნების დონეზეც თრუვნავს, არა მარტო შინაარსის, არამედ ფორმის დონეზე, არა მხოლოდ მხატვრული ხახებით, არამედ რიტმით, ინტონაციით, ფრაზების სიგრძითა და ურთიერთგადაბმულობით. მისი უპაურო მტეფელება დროის უწყვეტობის, ცნობიერების პროცესის დაუცვრობლობის, სიცოცხლის ნებისა და სწრაფების, ამოუწურავი ენერჯისა და ძალმოსილების იწომარსული გამოსახულებაა.

გრძელი, რთული წინადადებები უწყვეტობის, დროში გადაბმულობის, გავრცელებულობის შთაბეჭდილებას ქმნიან. ისინი ცვალიდ ბუნებრივნი არიან, ერთი წყაროდან აჩვენებ ენერჯითა გავრცელების სულ უფრო და უფრო მზარდ წრეებს. აქ არაფერი არ უკდება ფრაზის გასრულებასთან ერთად. რჩება დროის ფანატონი, რომელიც ეძებს მეორე ფრაზას, გადადის მასში და ასე დაუსრულებლად (განსხვავებით, მაგალითად, მემინგუეის ფრაზისაგან, რომელიც,



ენ-პოლ ხარტის აზრით, უოველ ჯერზე ბელ-ახლა იმადედა და ცალკეული ენტინა თუ სავ-ნის შეყვნილ ანაბეგის მგავსს. ფრანკთა ამ მუღმივი, შეუფერხებელი მოძრაობიდან, ურთი-ერთგანსვლიდან ჩნდებოდა უწყვეტობის, ქმნა-დობის შეურყეველი პარციესუალური წინსვლის შერგნება. ასეთი ფრანკ აბა მხოლოდ ოთარ-ტილაძის მხატვრული აზროვნების სტილია, არა-მედ მისი პოეტური მოსფლშერგნების ნაყო-ფიც. სადაც ქვეყნიერება ერთი განუყოფელი მთლიანობაა დროსა და სივრცეში, პოეტური აღქმის ველში თავმოყრილი უთვალავი კავშირი ქმნის უძლიერეს ასოციაციურ ქვე-ფენას, სა-დაც შეესაბუთება აღმოცენებული ახლა-ახალი კავშირები ერთმანეთს ემანა: სხვადასხვა სივრ-ცულ და დროულ განზომილებაში, ამიტომ მხატვრული სურათი აღიქმება, როგორც უსას-რულლო ასოციაციურ შესაძლებლობათა მხო-ლოდ პირობითი განსაზიერება. იგი იწვევს მკით-ხველის შინაგანი ფსიქოლოგიური მქეანიშის მზადყოფნას, დააფიქსიროს ერთიანობის შერგ-მნება ყველა დონეზე, ამგვარი ერთიანობა კი მხოლოდ ერთადერთ ადგილას შეიძლება აღ-მოცენდეს — ხემყაროს გლობალური პოეტუ-რი აღქმის წიაღში.

სწორედ ამ მარადიულ ერთიანობაში იჭრება ნიკოს ცნობიერების დრო, რათა მისი შინაგანი სიტყვა უზუნაების მიერ შექმნილ პოეტურ სამყაროში გახშიანდეს. ესაა ადამიანის დანიშ-ნულება და ნიკოს შინაგანი წვდომით აგნებბ მას. რომანის ფინალში სიცოცხლის ძალით ხავ-ს ქვეყანა შემართული და სულგანახული ეღის ამ გვიანდლიოწული საკრალური აქტის აღსრუ-ლებას. ერთი კაცო — ნიკო თუ ფარნაოზი („გზა-ზე ერთი კაცი მიდიოდა“) ისევე იტევს და ატარებს მთელ სიცოცხლეს, როგორც ყველა, ერთი კაცის სიცოცხლე, შიში და გზა მრავლის შიში და გზაა, ასეთია კაცობრიობის ინტრი-ული, რელიგიური და ფილოსოფიური გამოც-დილება და ოთარ ტილაძის სახე-სიშპლოები კიდევ ერთხელ შეგვახსენებენ მას.

ნიკოს ფსიქიური სამყარო იმდენად დატ-ვირთულია ურციენვი მოვლენებითა და მათი კავშირებით, რომ ხანდახან შეუძლებელიც კი ხდება მათი მოქცევა სიუეტურ დროში, რო-მელიც კავშირთა დიალურობას გულისხმობს. მისი დაცვა, ესთეტიკურ წონასწორობაში და-ტოვება მხოლოდ ლირიკულ დროს შეუძლია, რომელიც ეპიკურისაგან განსხვავებით ემოციუ-რია, აქ ემოციის დანიშნულებაა მკითხველის ცნობიერება იბიექტი დროის ქრონოლოგიური ჩარჩოდან და მიწეუ-შედეგობრივი ლოგიკური ურთიერთობიდან მხატვრულ-პოეტური აზ-როვნების პარციესში გადაბრუნ. მავალითად, ბავშვობის მოგონებათა დროს ახლავს ფსმინის სურნელი, შემწვარი თევზის სუნე, ე. ი. ნიკოს ფსიქოლოგიური დრო ივსება იმგვარი ემოცია-

ური შინარხით, რომელიც იბიექტურ დროს არ გააჩნია. ფსიქოლოგიური დროსაც ეს შინა-არსი მხატვრულად შემოქმედებს არა როგორც დრო, არამედ როგორც ემოცია, რომელიც უმაღლ მოგვახედებს დანაქარგისაგან, აწმყოსა-კენ, რეალობისაგან. დანაქარგის ეთიკური მარ-ვენიებელი ემოციური გზით ვალიბდება.

სუბიექტური დროისა და სივრცის ემოციური კავშირი მხატვრულ ნატში ინტუიციურად ბორ-ცილდება, მაგალითად: „არასოდეს დაავიწყდებ-და თავისი ბავშვობის ბაღი, როგორც არ უნდა გადასხვაფეროს, გაახშოს, გამოკაფოს იგი დროში“. აქ დროის ემოციური ელფერი სწორედ სიტყვული ნატებით იქმნება და დროთა ეს კავ-შირი ინტუიტიურია. იგივე მოვლენა, მხოლოდ მოვლენითი დროის მხატვრული ანსტრაქციის დონეზე თავს იჩენს სიუეტის კომპოზიციურ სტრუქტურაში.

მხატვრული დრო ესთეტიკური ამოცანით მკაცრად განსაზღვრული დროა. „მარტის მამ-ლის“ დრო ცნობიერების დროის მხატვრული ექვივალენტია და ცნობიერების პარციესების უსაზღვრობებსა და ერთგვარ უფორმობას მკაც-რად მოწესრიგებულ ფორმით გადალახავს. ამ ამოცანის შეხასრულებლად „მარტის მამალში“ გამოყენებულია დროის ინვერსია და ნახევარ-ინვერსია, რტროსპექტია, წყვეტილობა, შექ-ცივადაობა, მოვლენის ასახვის განსხვავებული ტემპი — ერთი სიტყვით მხატვრული დროის გამოსახვის ყველა ის ძირითადი ზეწონი, რაც ცნობიერების ნაკადის ლიტერატურაშია ცნობი-ლი.

შემჩნეულია, რომ ეპიკურ რომანში, სადაც სიუეტის განვითარებას გადამწყვეტი როლი აკისრია, თხრობა ხანდახან აშუბურებებს მოქმე-დების განვითარებას (შერლოკისათვის ყველა-ზე რთული დასაძლივია სწორედ ეს ინტერპული მოქმედების დროსა და თხრობით დროს შო-რის). ცნობიერების რომანში სიუეტის განვი-თარება შერობებარისხვანია: ცენტრი გადანაც-ვლებულია გარედან შიგნით, ყოფიერებაიდან — ცნობიერებისაგან და წამყვან პრინციპად შინა-განი დროის კომპოზიციური გაფორმება იქცევა. ცნობიერება ლამარკობს საკუთარ თავზე, ე. ი. ცდილობს საზღვრებში მოაქციოს ის, რაც სი-ცოცხლის მსვლელობაში არანაირად არ ეტყება საზღვრებში, თხრობის დრო მანლის მიმართ დაუინტერესებელი იბიექტური ეპიკური დროა, აღმსარებლობითი დრო კი — დაინტერესებული, სუბიექტური, (შ, ბახტინი) ეს სხვაგვარაა საფუძე-ლად უდევს არსებით განსხვავებას ეპიკური და ლირიკული რომანების მხატვრულ დროთა შორის (მათი აგების პრინციპებს შორის). „მარ-ტის მამალში“ ირივე ეს ფენა — თხრობითიც და აღმსარებლობითიც შერეულია, ამიტომ მხატვრული სიტყვის მთელი ნაქადი ლირიკულ და ეპიკურ დროთა ნარევეშია განფენილი: ეპი-





კური — დროის მასიური, მდორე ნაკვეთებია, ლირიკული — პირიქით. უკიდურესობამდე და-  
ძაბული უმცირესი მომენტების ერთობლიობა,  
დროსა ეპიკური და ლირიკული ნაკადები არ  
არის საგანგებოდ გამოყოფილი. მოვლენათა  
პლანი რომელიც ეპიკურ ტვირთს ატარებს,  
ზნორად იკითხება ბიჭის მონოლოგში და პირუ-  
კუ — მოვლენათა პლანში იჭრება ნიკოს „არა-  
ფაბულური“ (რამდენადაც აღმსარებლობითი და  
ემოციურია) მონოლოგი. მოვლენითი დროის  
ნაკადი უპირატესად მიმართულია ნიკოს ცნო-  
ბიერებაში არცაღლი მოვლენათა აღწერისაკენ;  
ლირიკული დროისა კი — ამ მოვლენის შინაგა-  
ნი პოეტური ინტერპრეტაციისაკენ. მოვლენითი  
დრო არსებითად სიუჟეტური დროა, ლირიკულ-  
ლი დრო კი თავს აუღუნს კომპოზიციაში, სახე-  
თა სისტემაში, ფრაზის აგების პრინციპში და  
ა. შ. საბოლოოდ, ტილამის რომანების მხატვ-  
რული დრო ნიკოს ცნობიერების და ავტორის  
დროსა რთული ურთიერთშეთანხმებით იქმნება.

როსა ტილამის რომანს ახასიათებს შინაგანი  
კომპოზიციური ჩიტი. საერთოდ პროზის რიტ-  
მის აღქმა ლექსის რიტმულ აღქმასთან შედარე-  
ბით ძნელია, მაგრამ შესაძლებელი და რაც მთა-  
ვარია აუცილებელი, რადგან რიტმული გადარ-  
თვებით შეიგრძნობა დროისა და ლირიკულ  
განწყობილებათა დიდი ნაკადების ვალართვა,  
იგი გვიანდობებს რომანის აზრობრივი და  
პრობლემური მიმართულების წუსტ აღქმას. ეს  
უყანასენელი საგანგებოდ წუსტდება ბიჭის  
ცნობიერებაში შემოჭრილი ავტორის სიტყვით,  
რომელიც „მარტის მამალი“ განსხვავებულია  
ეპიკური რომანების ავტორის სიტყვისაგან,  
რადგან მთლიანად ანონიმურია. ამის გარეშე მი-  
სი უკვლისმზილველობის ესთეტიკური გამოთ-  
ლება გაჭირდება. მხოლოდ ახე, ნიკოს ცნო-  
ბიერებაში „შეჭრით“ პოულმობს იგი ესთეტი-  
კურ საყრდენს. ავტორის სიტყვა გაიხმის არა  
როგორც გარეგან შემოტანილი ბიჭის ცნობი-  
ერებაში, არამედ როგორც ამ ცნობიერების  
მიერ აღდგური პრობლემების პასუხი საკუთარ  
თავზე; როგორც შეხსიერების მიერ აღდგენა-  
ლი, ხელახლა მოპოვებული გენეტიკური სუ-  
ლიერი გამოცდილება, ცოდნა და სიტყვა, ბიჭის  
ცნობიერისა და არცნობიერის შინაგან დიალოგ-  
ში ავტორის სიტყვა ამ გამოცდილების აღმა-  
ტია, მისი განსახიერებელი, ნიკოსა და ნიკოს-

ნაირთა წარსულის მცველი და გადამჩრენი.  
ავტორის სიტყვითა განსახიერებელია რომა-  
ნის ავტორიტეტული დრო, უფრო წუსტად კი —  
წედროული რეალობა, როგორც ეროვნული  
ცნობიერების წენობრივ-კულტურული გამოც-  
დილების კონდენსატი. მასში გივილის ყველა-  
ფერი, რაწედაც ბიჭის გონებას ჭერ პასუხის  
გაცემა არ ძალუძს. ეს რეალობა ისე იჭრება  
ბიჭის პერსპექტიულურ დროში, როგორც ბუნებ-  
რივი აუცილებლობა, როგორც გენეტიკურად  
განცდილი ვრცელი დროის ანაბეჭდი და მოლი-  
ანად ფარავს უკველგვარ სხვა სიტყვას. მისი  
განცდალაგება მოსხრობელის, აქ, ნიკოს სიტყვი-  
საგან ძნელია არა მორალისტური პათოსის გა-  
მო, რომელიც შინაგან სიტყვას, ჩვეულებრივ, არ  
ახასიათებს, თუმცა ზნორად იგი ადამიანის  
ცნობიერებაში უანგაროდაა განფენილი და ცნო-  
ბიერისა და აკცნობიერის (ან, სხვა სიბრტე-  
ზე ავტორისა და პერსონაჟის) შინაგან ერთი-  
ნობაზე მიგვანიშნებს. მარადიულ დროში წარ-  
მოქმედი ეს ავტორიტეტული სიტყვა არ შე-  
იძლება ეკუთვნოდეს ვისმეს, შემოქმედის გარ-  
და, რადგან მასში არის წედროული სიტყვის  
უკვლისშემძლე ძალა, იგი ჩვენი დაცარიელ-  
ებული წენობრივი და კულტურული ატმოსფე-  
როს შესავსებადაა მოწოდებული და წარმოად-  
გენს მხატვრული სიტყვისა და შემოქმედებითი  
გონის პროტესტს სიკვდილისა და გადაგვარე-  
ბის წინააღმდეგ.

„მარტის მამლის“ დრო ღია დროა, რადგან  
იგი ფაბულის გარეთაც „შუშაობს“. იგი წარ-  
მოადგენს უსიქოლოგიური დროის მხატვრულ  
ინტერპრეტაციას და როგორც ცნობიერების  
დროის ესთეტიკური ფორმა, არ შეიძლება  
იყოს დაბურთული (ცნობილია, რომ ცნობიერე-  
ბის დრო ღია დროა, რადგან დაბურთვა ცნობი-  
ერების მიერ საკუთარი სიკვდილის აღიარებას  
ნიშნავს, რაც სიცოცხლის საწდურებში შეუძ-  
ლებელია), მაგრამ რომანის დრო მხოლოდ ამი-  
ტომ არ არის „ღია“, იგი ფაბულის გარეთ გა-  
დის, როგორც საერთო ეროვნული ცნობიერე-  
ბის, სამყაროს სიცოცხლის დროის ნაწილი და  
არ ამოიწურება ნიკოს ცნობრების რაიმე ერ-  
თი მონაკვეთით. იგი პერსპექტიული დროა,  
რომლის გზითაც უნდა განსრციელდეს არა  
მარტო ნიკოს, არამედ უამრავი, ქაცობაში ფტე-  
შედგებული ნიკოსნაირი ბიჭის მომავალი.



### რემონ დიუგე

## მოსკოვი და ნაიპულის საქართველო

... აქ საქმარისია ამ შთავარი ხაზების მონიშვნა, რათა დავუბრუნდეთ ისტორიული გურუტის სტილს და ვთქვათ, რომ 1915-1921 წლებში საქართველოს დემოკრატია, რომელიც სოციალ-დემოკრატების დიქტატურის ვ. ა. შემარტვენიე ფრთის მარქსიზმის ფორმა იყო, წარმოადგენდა საქართველოში ხაბუკთა დიქტატურის გამარჯვების მოსამზადებელ პერიოდს. სოციალური პოლიტიკის შთავალი შინაარსითა და თვითი ხელისკვეთებით ეს დემოკრატია, თუმცა მის წინააღმდეგ აღვიბებდა ხალხის შეგნება, სინამდვილეში მოსკოვისაკენ იყო მიმართული და არა ევროპისაკენ და ამით იქმნებოდა ის ძირითადი წინააღმდეგობა მისხვედ ნაგარე პოლიტიკის იმ ევროპულ ორიენტაციასთან, რომელსაც საქართველო დახედავებით მოჰყვებოდა 1920 წ. გაწაფხულამდე.

რადგანაც 1921 წ. თებერვალ-მარტის მთავრდღებში საქართველო მაგარაზე დააწვიანეს და ნაცადმა დასტაქარმა, ნახებოთა ხელისუფლებამ, სასტიკი ოპრაცია ჩაუტარა, ამ ქირურგმა იყო, და, რომ სავცენტი ქლოროფორმით დაბანჯადა საოპრაციოდ მოამზადა საქართველოს სოციალ-დემოკრატების ასევე გამოცდილმა, თუმცა წაქლებად კანდიერმა ხელმა.

ის, რაც პოლიტიკურად, და სუბიექტურად იყო ბრძოლა და გადატარებლად აღიჭებოდა, ისტორიულად და ობიექტურად აღმოჩნდა შრომის მარტვე განაწილებად და ფაშათა მონაცვლეობად."

თუ მე დაფინებით ვუხვამ ხაზს, რომ საქართველო იყო მხვედრული სოციალისტური გამოცდილებისა, ეს ომს არ ნიშნავს, რომ მინდა ქვევსრლოლ მის შთავრობას. მის თავშელომარტს, რომელიც აშუამად პარაზოთა გადმოხვეწილი-ობა, ეს აზრდაც არ მომხვლია.

გაუქმებულია. დასაწვისი იხ. „ცისკარი“ № 1.

პირიქით, ვალიარებ: მიუხედავად იმისა, რომ ისინი ეკუთვნოდნენ იმავე პარტიას, რომელიც შერე ბოლშევიკურად გადაიტყა, რომ ისინი სრულიადრუსული მენშევიკურ პარტიას ჩამოსცილდნენ მხოლოდ 1917 წლის რევოლუციის შემდეგ, ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა გარდატეხის მინშენელოვანი გზა გაიარეს. მათ პატივსაცემად უნდა ითქვას, რომ ნელ-ნელა არსებითი ევოლუცია განიცადეს. მათი იდეები, გრძობები, კონცეფციები უფრო და უფრო ეროვნული ხდებოდა. ამ ტანჯვა-წაშებამ (ახლაც იტანჯება), რაც მათმა სამშობლომ გადაიტანა, დაატარა ქართული სოციალ-დემოკრატის ევოლუცია. ამ ბოლო დროს, სოციალ-დემოკრატებისაგან შემდგარმა ქართულმა მთავრობამ მოუწყო საქართველოს სხვა პარტიებს (განსაკუთრებით ეროვნულ პარტიას), გაეროიანებისა და ერთად თანამშრომლობისაკენ სამშობლოს მომავლისაკენ.

ჩემი მოკრძალებული აზრით, ამანია ამ ქვეყნის ხსნა, ქვეყნისა, რომელსაც, როცა კარგად გაიყნობ, შეუძლებელია არ შეგაუვარდეს. ხსნა არის „ხალმთო კავშირში“.

იმ დღეს, რა დღესაც ბოლშევიკური ურჩხული მიწვევს დაეწარცხება, აუვლა ღონე უნდა იხმარონ საქართველოში წარმომლორი პირობების აღმადგენად. უნდა გაერთიანდეს სახელმწიფო საქმეების ცოდნა (რისი გამოცდილებაც აქვთ სოციალ-დემოკრატებს), ეროვნული პარტიების გაველნა და პატრიოტული ენერჯია.

აქვე უნდა მოვიყვანო ნაგულისხმო სიტყვები, რომელნიც შთიხრა სოციალ-დემოკრატული პარტიის წევრმა, ვისთანაც მივიდი წოვიერთი სახუთის გახაცნობად:

„თქვენს სტატებში ჩემს პარტიას ხშირად ესმოდით თავს. მაგრამ არა უშავს, საქმე აშუამად პარტიას აღარ ეხება. თქვენ ჩემი სამშობლოს, საქართველოს დასაცავად წერთ. აბა, ამან შეტი რაღაა ხაჰირ... დიდ მადლობას მოგახსენებო“

რა გულწრფელი და აღელვებული ტონით



იყო ნათქვამი ეს უბრალო სიტყვები: „აბა, ამა-  
ზე მეტი რაღა საჭირო...“

მაშ ასე: უნდა შეიქმნას სააღბროთო კავშირი  
უკვე ქართველს შორის. მაგრამ ეს არ კმარა.  
უფრო ფართო კავშირია საჭირო. კავშირი კავ-  
კასიის უკვე ხალხს შორის. ეს შაიშულებს  
რამდენიმე სიტყვა დავამატო კავკასიაზე. უკვე  
დროა კავკასიის საქითი დღის წესრიგში დაიხ-  
ვას. თუ კავკასიის საქითი სათანადოდ გადაწყუ-  
დება, ეს იქნება მშვიდობის, კომერციის, ეკო-  
ნომიკის განვითარების დიდი გარანტია ახლო  
აღმოსავლეთში.

თავისი ადგილმდებარებით კავკასიის უდიდესი  
თითქმის მოწოდებულია მშვიდობიანი როლი  
შესარჩულოს ხვერთაშორისო ურთიერთობებში.  
სამწუხაროდ ასე არ ხდება. საუფუნეების გან-  
მავლობაში იგი ბრძოლის ველი იყო და ასე-  
თაღვე დარჩა დღემდე.

კავკასიის პრობლემის ხაუეთესი გადაწყვე-  
ტა, როგორც ჩანს, ამ უდიდეს ნეიტრალიზაცია-  
ში მოჩანს. ერთა დიდას მფარველობის ქვეშ  
დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნით, რო-  
მელმაც სხვა შემთხვევაში უკვე გააშართლა:

შეორე მხრივ, ეკვი ჩნდება: სახელმწიფოთა  
ეს კონფედერაცია, შეშდგარი ჩრდილო კავკა-  
სიის, საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანი-  
საგან, ანუ ტერიტორია დასახლებული ქართ-  
ველებით, სომხებით, აზერბაიჯანელებით, და-  
ღესტნელებით, ყაზარდებით, ოსებით, ინგუ-  
შებით, ჩეჩნებით — იქნება კი სიცოცხლისუნა-  
რიანი?

ფიქტობ, იქნება. კავკასია შევეთრად ვანსხვა-  
ვდება რუსეთისაგან. ეს იმდენად ცხადია, რომ  
ცარიზმის რეჟიმის დროს იგი უოველთვის ქმნი-  
და კავკასიის საშეფისნაცვლოს. ორ ზღვას შუა  
მდებარე, აღმოსავლეთ-დასავლეთის დამაკავში-  
რებელი კავკასიის უდიდეს ცხადად გამოხატულ  
გეოგრაფიულ ერთიანობას წარმოადგენს. აბას-  
თან ერთად, მას ეკონომიკური ერთიანობაც  
აქვს. დაბოლოს, კავკასიაში მცხოვრებმა ხალ-  
ხებმა, უკანასკნელ წანებში, ნათლად გამოხა-  
ტეს თავის ნება — ჩაშოსცილებოდნენ რუ-  
სეთს. არც ეკონომიკური და არც ფინანსური  
თავლსაშრისით კავკასია არ უკავშირდება  
რუსეთს. ამდენად, მისი რუსეთთან მიერთება  
უაზრობაა. დაახლოებით 12 მილიონი მაცხოვ-  
რებლით კავკასია შექმნიდა ძლიერ სახელმწი-  
ფოს, სუფერენულ სახელმწიფოს, რომლის აუ-  
ცილებლობა უკვე იგრძნობა ახლო აღმოსავ-  
ლეთში.

ნორმალურად რომ იცხოვრონ და განვითარ-  
დნენ, კავკასიის ერებს ერთიანად სჭირდებათ  
დამოუკიდებლობა. ევროპაში და მსოფლიოს  
ინტერესაც არის ის, რომ რაც შეიძლება მალე  
შეიქმნას კავკასიის კონფედერაციული სახელ-

მწიფო. მხოლოდ ის ფაქტი, რომ ასეთი სახელ-  
მწიფო არსებობს, დიდად შეამცირებს ახლო  
აღმოსავლეთში კონფლიქტების შესაძლებლო-  
ბას. ამ სახელმწიფოს აურაცხელი ზუნებრივი  
სიძლიერე დიდ იმედებს აღუძრავს მსოფლიო  
ეკონომიკას.

იმით მივმართავ, ვინც შემდგომ გვერდებსაც  
წაიკითხავს, რომლის დასაწერადაც უაშარავ სა-  
არწმუნო და სერიოზულ სახუთს ვერადნობოდ  
— არ იფიქრონ, რომ საქართველოში სიმშვიდე  
სუფევს, რადგან ბოლშევიკების უდიდი დად-  
გებს, განუკითხავი და უსაშართლო დაქვრები,  
გადასახლებები და დახვრებები შეწყდა. შეცდ-  
ბას, ვინც ასე იფიქრებს. არაფერი ამის მხავს  
არ ხდება.

როგორც წითლების მიერ დაპყრობილ უკვე  
ტერიტორიას, ისე საქართველოს და მთელ კავ-  
კასიას განაგებს ჩეკა. ის არის ახლოღურტი  
ხატონ-პატრონი. მართვის მეთოდები უკვე გან-  
ერთი და იგივეა. შეიცვალა მხოლოდ სახელი  
(ამ წითელ ინკვიზიტორს ახლა ბეჟუე მკვია).  
იმდენი დააბატონრეს, იმდენი წაიყვანეს, იმდენი  
გაუღიბეს, რომ ახლა ცოტათი შეამცირეს  
მსხვერპლი. ეს არის და ეს. მაგრამ ის კი უნ-  
და ვიცოდეთ, რომ რეპრესიები გრძელდება,  
თუმცა ჩვენამდე იშვიათად აღწევს წითლების  
ახალი დანაშაულებრივი ამბები. ჩეკისტური აღ-  
მინისტრაცია ჩუშად მოქმედებს. იშხასაც უთვალ-  
თვალებს, რომ სხვებიც ჩუშად იყვნენ.

როგორც უნდა ფრთხილობდნენ ბოლშევიკე-  
ბი — დაწალიონ თავიანთი დანაშაული — დრო  
და დრო ჩვენამდე მაინც მოდის ცნობები, ასხე-  
ნებს ცვეთილზედელ საშყაროს, რომ იქ წითელი  
ტერორი ისევ მშვიფვარებს. მაგალითად, ვახულ  
მარტს პარიზის პარესაში ნახავდით ცნობას:  
„თბილისის მუშათა წრეებში დიდი მღელვარე-  
ბაა; მათ გაიგეს, რომ ქალაქის ჩეკამ ციხეში  
მოკლა ბ-ნი ილიკო მახარაძე, ქართველი სო-  
ციალ-დემოკრატის. მას ბრალად ედებოდა ანტი-  
ბოლშევიკური კომიტეტის სხდომაზე თავშედო-  
მარეობა, ეს კომიტეტი თბილისის მუშების  
შექმნილია“.

არანაკლებ მნიშვნელოვანია თბილისის უნი-  
ვერსიტეტის ამბავი. თბილისის უნივერსიტეტი  
იყო ინტელიგენციის, ნაშდელი ქართველი პატ-  
როტების უკანასკნელი ციხე-სიმაგრე. აქ დაახ-  
ლოებით ხუთი ათასი სტუდენტი სწავლობდა  
ხუთ ფაკულტეტზე. ლექციები ქართულად ტარ-  
დებოდა. უნივერსიტეტს უძღვებოდა რექტორი,  
თავად კავახიშვილი. ხანამ წითლები სხვა უფ-  
რო საჩქარო საქმეობი იყვნენ დაკავებული,  
პროფესორებს საშუალება მქონდათ რექტარე-  
ბინათ ლექციები, სტუდენტებს კი ესწავლათ.  
წითელი დიქტატურის დროს, ცხადია, ნორმა-  
ლური ვითარება დიდხანს ვერ გაგრძელდებო-

და ივლისის თვეში თავიდაც კავშირში ვიყავი უნივერსიტეტიდან გაგადგენ. იგი შეცვალა ბოლშევიკების სამსახურში ჩამდგარმა ვინმე ლლონტმა, გაუნათლებლმა კაცმა, რომელიც ახალგაზრდობაში, შვიონ, სტუდენტად კი არ ყოფილა.

მედაგოგებს ებრძაანთ ლექციები რუსულ ენაზე ჩატარებინათ, იმ ცრუ საბაბით, რომ სტუდენტები კარგად დაეფუძლებიან რუსულს და სწავლის დაშთავრების შემდეგ, საშუალება ექნებათ რუსეთში მუშაობისა. ამასაც არ დასჯერდნენ — უნივერსიტეტის საბჭოში ჩეკისტები შეიყვანეს. თბილისის უნივერსიტეტის მმართველობა ჩემს ჩაივლო ხელში.

როგორც ემიგრანტი ქართველების მიერ მიღებული ცნობები გვაუწყებს, ამ ცინკურმა კმედებებმა სტუდენტთა შორის დიდი რეაქცია და საშინელი აღშფოთება გამოიწვია. ამას აღელვებული ახალგაზრდობის დასაშოშინებლად თბილისის უნივერსიტეტში წითელი რაზმების შეხვლა მოჰყვა. ამობენ, შოკლულია 18 კაცი და დაქრალია სამოსაც შეიქ.

უველახათვის ცნობები უნდა გახდეს ამ მცირერიცხოვანი ხალხის ტანჯვა, მისი წაშება, მისი შეუღარეველი სიამავეც. განცვიფრებას რომ იწვევს.

დაუფიქრად იმ სიტუაცებს, რომელიც ბნელ ბროკერს (ხელგია) წარმოატყვა 1922 წლის 20 სექტემბერს ერთა ლიგის შედეგზე კომისიის მერვე სხდომაზე: „ქართული საკითხი არ ეკუთვნის იმ თეორიულ პრობლემათა რიცხვს, რომელიც შეიძლება გვერდზე გადავად. შარბალია, გინუამ უფრო არ ათხოვა მას, მაგრამ ეს საკითხი დღესაც დგას და უყოველთვის დაისმება“.

1926, სექტემბერი.

თავი I

ბატარა პრინციპული კონფლიქტი

„ბედის ამდენი უკუღმართობის მიუხედავად, ქართველებმა შეინარჩუნეს ძველი სახე და ეთნიკური ერთობა. ეს დისტურბდება იმ საგნებით, ამ ბოლო ხანებში სამარბებში რომ იპოვნეს არქეოლოგებმა. ისინი ჩვენ წელითარციებამდე მეორე საუკუნით თარიღდებიან. ქართველებმა მოახერხეს აგრეთვე საკუთარი ენის შეინარჩუნება“.

მისხმილ თამარაშვილი — „ქართული ეკლესია“

ბატარა, მაგრამ მამაცი ხალხის ქვეყანა — საქართველო — შავი ზღვის აღმოსავლეთით, კავკასიის ქედის სამხრეთ კალთაზე მდებარეობს. აღმოსავლეთით, კასპიის ზღვისაკენ მას დადგებიან და აწერბაიჯანი მყოფს. სამხრეთ-დასავლეთით კი ის ტერიტორია, რომელიც ერზერუმის (არზრუმის) და ტრაპიზონის რაიონების ჩრდილოეთით არის (ეს რეგიონი ანექსირებული იყო თურქების მიერ). ეს მიწა-წყალი ქართული უნდა ყოფილიყო ისევ. როგორც აღექსნადრობობის ჩრდილო-აღმოსავლეთით გაშლილი მცირე ზომის დაბლობი; ამასაც იგივე ბედი ეცნია. რაც არტვინის, არდვანის და არტანუჯის ოლქებს. ისინი თურქებმა დაიპყრეს 1921 წელს.

საუბრადღებოა აღინიშნოს: მარბალია, შეპოხსენებული ტერიტორიის მოხსნელობა დედასამშობლოს მოწყვეტეს, შეხლბანური რელიგია მიაღებინეს, მაგრამ მან მინც შეინარჩუნა ადითწესები, ენა, დამწერლობა. შეინარჩუნა ქართველობისათვის დამახასიათებელი ყველა ნიშანი, რელიგიის გარდა. ისინი დარჩნენ შვეთრად გაპოხბატულ ქართველებად.

რობაც ქართველების ეს რეგიონი ხასიათდება, იგივე შეიძლება ითქვას ეველა ქართველზე. მათი ქვეყანა ისე ხშირად იყო დაპყრობილი, ანექსირებული, გაძარცული, განადგურებული, ცეცხლში გადაბუგული, სიხლში დამბრტყალი, რომ საკვირველია, ამდგ განსაცდელში როგორ შეინარჩუნეს ხელუბლებლად წინჩვეულებანი, ენა, ეროვნული გრძობა, დაუცვლები მისწრაფება დამოუკიდებლობისაკენ. უფრო მეტად როგორ ახერხებდნენ უკუგადით დამპყრობელი — იყო ეს აღექსნადრეს არჩია თუ სპარტლები, მონღოლები თუ თათრები, არბები თუ ხაზარბები, ერთ მომენტში ბერბნებიც კი...

გავიხსენოთ: მარტო მონღოლებმა საქართველო 12-ქერ დაიპყრეს მათ შორის თემურ ღენგის შემოსევაც იყო, გახაკვირია, ისეთი მტრებიც კი, როგორც იუვენს მოხდლები, თათრები, თურქები პატვის ცემენდენ ქართველებს. ეს იმ დროს, როცა სხვა მეზობელი ხალხების მიმართ ზიზლით იუვენს გაბჭვალუბლი, სოცარია ქართველებისადმი ეს პატრვისცემა მათი ეველაზე დაუძინებელი მტრების მხრიდან.

ჩრდილოეთისაკენ ქართველები ჩვენს წელთ-აღრიცხვამდე მე-7 საუკუნეში დაიძრნენ. ისინი კავკასიის სამხრეთით დაშვიადრდნენ, ხადაც ამუამადაც ცხოვრობენ. ადრე კი შუამდინარეთის გვერდით სახლობდნენ. ქართველთა რიცხვი სამ მილიონს აღწევს. ისინი სლავურ რახს არ ეკუთვნიან. მათ ახლოლუტურად უცნობია სოავეები აქვთ. ასევე უცნობია მათი ენის წარმოშავლობაც. ამ მხრივ ისინი შეიძლება შევადაროთ ეტრუსკებს ხასკებსაც.

საქართველო ანტიკური ხანიდანაც ცნობილი იგი იმ ტერიტორიას შოიყავს. ადრე კოლხეთის სახელით რომ იცნობდნენ. ლეგენდის მიხედვით, სწორედ ამ კოლხეთში ჩამოვიდნენ ოქროს საწყმისის წასაღებად.

1. ეს რეგიონი სამეგრელოა. იგი ფოთის ჩრდილოეთით მდებარეობს. ბერბნები ფოთს ფაზისს უწოდებდნენ.

როგორც ყველა ლეგენდაში, არგონავტების მითშიც არის ზეშინაობების მარცვალი. ფინიკიელები მამაცი მერღვეაურები იყვნენ და კოლხეთს ეარგად იცნობდნენ. იგივე ხომადრებს ფლობდნენ; ხშირი მიმოსვლით გაცხოველებულ კომერციას აწარმოებდნენ. იქვე უძველესობდნენ ოქროს, ვერცხლს, კლას; ტყავს, წითელ ხაღებავს და ა. შ. ამ მხარეში ჩამოვიდნენ არგონავტები, ანუ ბერძენი კოლხეთის მეთვრელი პირველითანე სტუმრად.

საქართველოს ძლიერი დამპყრობლები ებრაელები. მათ შორის უნდა აღვნიშნოთ კირონი, რომელიც თავის არჩევანთან ერთად განადგურდა, დარიოსი, ალექსანდრე და მისი მხედართუტრისი აზონი. აზონი დამპყრობებს და მოსყვებს ქართველებმა. რომელებმა ნელ-ნელა მოაპყრეს ქართველების დამორჩილება. ვის არ ახსენს მითრიდატეს წაწარმელი ბრძოლები რომაელი ლეგიონების წინააღმდეგ, პომპეუსის ექსპედიცია იბერიაში (საქართველოში)?

უამრავი შეშინებისა და დაპყრობის, ქაოსისა და განადგურების (რაც თან ახლდა ამ შეშინების) მიუხედავად ქართველებმა, როგორც ზემოთაც ითქვა; შეინარჩუნეს საკუთარი ენა. ეს ნახევრად ხემბურთა ენა; რომლის ხარისხი უცხოისა და უმეტეობის ანტიკურობიდან მოდის. იგი ძალიან მდიდარია. არაფერი აქვს ხედავს აზურ ენებთან. სხვადასხვა დამპყრობების შედეგად ქართულ ლექსიკონში შევიდა არაუღიწიერების სპარსული; არასული და თურქული სიტყვები.

თავდაპირველად ქართველები ასირიულ გრატული ნიშნებს ხმარობდნენ. ჩვენი წილთაღრიცხვით მერვე საუკუნეში შეიქმნა სულთად ქართული დამწერლობა — 38 ასოიანი ორი ანბანი: „მხედრული“, რომელიც ფართოდ იმარტება და „საეკლესიო“. დღეს ორივე არსებობს.

38 წილს, იერუსალიმში, საქართველოში ქრისტიანული რელიგია შემოიტანა წმ. ნინო (ამ სახელი ღმერთად ყველა თავიანთი სცემს). ეს მონდა მირიანის შეფობის დროს (288-292). იგი საქართველოს პირველი ქრისტიანი მეთვრა. მან საქართველო სოციალური განვითარების მაღალ დონეზე აიყვანა. ხიზანთიანთან ადრე დამპყრობ-

ბული ურთიერთობა, ამ დროიდან მოყოლებული, კიდევ უფრო და უფრო ფართოვდა.

საქართველო მთლიანად ქრისტიანული ქვეყანაა. იგი, ყველაფრის მიუხედავად, ახეთადვე დაარტება. საქართველო ქრისტიანობის კუნძულივით მოხანს მუსლიმანური შეზობლებით — სპარსელებით და თურქებით — გარშემორტყმული. იგი იდგა ქრისტიანული, დანავლური კულტურის ნადარაჯოზე. როგორც ითქვა, აურაცხელმა და სხვადასხვა ჭურის მტრმა საქართველოს მრავალი განსადელი დაატეხა, მაგრამ ვერ განადგურა. თუ მრავალქერ დაუბუჩრათ, იგივე ფეხზე წამოხდგარა. მცირე თუ ხანგრძლივი ინტერვალების შემდგომ იხევ და-მოსუკიდებლობისათვის მიუღწევია.

ვახტანგ პირველის (446-489) მეფობის დროს ქრისტიანულმა რელიგიამ, მთლიანად ქვეყნის ცივილიზაციამ; თვალსაჩინო წარმატების მოიპოვა. ამ მონარქის მიმართ ხალხის მადლიერება გამოიხატა მრავალიცხოვან ლეგენდებსა და თქმულებებში. მათში ძნელი განარჩევია რეალობა და შეთხუელი ხაოცებანი.

ქართველები აქტიურად მოაწილებდნენ ჭვაროსნულ დამპყრობებში. უნდა გავიხსენოთ ერთი საუბრადღეობ ფაქტი: საქართველოს ერთერთ რეგიონში — ხევსურეთში — დღემაც იცვამენ ტანისამოსს, რომელიც ჭვაროსნეთი ტანსაცმელი მგავს. ამ ტანსაცმელის გულისპირზე ამოკარგულია ჭვარი, როგორსაც ჭვაროსნები ატარებდნენ.

ჭვაროსნული დამპყრობების შემდგ, მთელი შუასაუკუნეების შანძილზე, ყველა ქრისტიანთა შორის, მხოლოდ ქართველებს ჰქონდათ უფლება შეხულებყვენ იერუსალიმში გაშლილი დროშით. | მემ-ს საუკუნიდან საქართველო აღმავლობის გზაზე დგას, მე-12 საუკუნეში კი, თამარის მეფობის ხანაში, თავისი ბრწყინვალეების უმაღლეს საფეხურზე ადის. თამარი განასახიერებს ბრწყინვალე სამეფრო მეროიზმს და აღმინისტრაციულ ხიბრწინს.

1918 წლის მონაცემებით საქართველოს 80000 კმ<sup>2</sup> უჭირავს. ცხოვრობს სამ წილით 178058 კაცი. ამას თამარის ეპოქის საქართველო ოსტრქერ აღემატებოდა.

თურქეთი, სპარსეთი, ხაზრძენეთი ესწრაფოდნენ ამ ძლიერი ქვეყნისათან კავშირს.

თამარ მეფის ხანა ქართველებისათვის ოქროს ხანაა. ახევ უწყობდნენ. ამ შეფემ ქველმოქმედების დრმა კვალი დატოვა ყველა სფეროში — სამხედრო საქმიანობაში, ზელოვნებასა და ლიტერატურაში, მეცნიერებაში.

თარგმენს მშობი და ბაბაი ბატარამეხამა

(გაგრძელება იქნება)





ბასული წლის ოქტომბრის ავად-სახსენებელ დღეებში, როდესაც ირგვლივ გვხვდა იღვრებოდა და სისასტიკე შეფობდა, სრულიად შემთხვევით ხელში ჩამოვარდა ძველი საყმაწვილო ჟურნალი, სადაც რეზო ინანიშვილის მოთხრობა იყო დაბეჭდილი. „საცოდავი თრევები“ — ასე ერქვა იმ მოთხრობას. გლეხები, თრევებისაგან თავიანთი ბაღების დახაცავად, ხეებზე დოქებსა და სურებს კიდებენ ხოლმე. „თრევებს თურმე ვაშლებზე დაკიდებული დოქები და სურები ადამიანის მიერ კეთილი გულით შეთავაზებული ბინები ჰგონიათ“, მიდიან და გულუბრყვილოდ ებმებიან თიხის ხაფანგებში. განსაკუთრებული სიცხადით ბოლო აბზაცი შემორჩა მეხსიერებას: „ღამე აივანზე აღარ დამიძინია, შინ გავაშლევინე ლოგინი. შინ არ ისმოდა სახლის სახურავზე პაწაწინა თათებით დახტომისა და ვაშლის ტოტებისაკენ წაცუნცუნების ხმა“. ეს არის და ეს, არც ერთი ზედმეტი სიტყვა. მეორედაც გადავიკითხე ეს ორგვერდიანი ჩანაწერი და მომეჩვენა, რომ რუსთაველის პროსპექტზე ატეხილი ტყვიის ზუზუნის წამით გადაფარა ამ ტკივილამდე ახლობელმა,

„პაწაწინა თათებით დახტომისა და ვაშლის ტოტებისაკენ წაცუნცუნების ხმა“. ამ ერთი ბეწო მოთხრობაში დევს აუხსნელი ჯადო, რომელიც ასე უცხოა ჩვენი სასტიკი დროისათვის, რომელსაც შესწევს ძალა, მოათვინიეროს ჩვენს ამღვრულ სულებში ანაზღად გაღვიძებული მხეცი და დაგვაბრუნოს ადამის მოდგმის კეთილ ხაწყისთან.

ცხოვრებაში მე მას სულ რამდენჯერმე შევეხვდი. პირველივე შეხვედრისას გამოცა აშკარად გამოხატულმა შეხაბამისობამ მის გარეგნობასა და შემოქმედებას შორის. ჩვენი ნაცნობობა შესდგაკინოსტუდია „ქართული ფილმის“ სივრტის კვამლით გაბუღულ ოთახში, სადაც ბატონ რეზო თაბუკაშვილის მიერ დაარსებული მწერალთა შემოქმედებითი გაერთიანების წევრები იკრიბებოდნენ ხოლმე. ვაგლახ, ამ გაერთიანებამ კიდევ ერთი დიდ რეზო, დასწეულეული ქართული სულის კიდევ ერთი დიდი მოჭირნახულე დაკარგა, ხოლო ახალგაზრდა ქართველ მწერლებს კიდევ ერთი დიდი ქომაგი და პირუთვნელი შემფასებელი დააკლდათ.

საქართველოდან წავიდა კიდევ ერთი დიდი ქართველი, წავიდა გულმოკლული, წავიდა ისე, რომ ცრემლდამშრალმა საქართველომ ზეირიანად ვერც კი იტირა.

მსუბუქი იყოს თქვენთვის ჩვენი ბედკრული სამშობლოს მიწა.

ჩემი ცხოვრების უმძიმეს წუთებში, როცა სულს სასოწარკვეთა მოიცავს, მახსენდება ხოლმე „პაწაწინა თათებით დახტომისა და ვაშლებისაკენ წაცუნცუნების ხმა“ და მეჩვენება, რომ თქვენი კეთილი სული მეჩურჩულება იმედის სიტყვებს.

კობე ჯანდიერი

## მიასწოება

1.

**რობორც** ყოველი ჭეშმარიტი პოეტის, ირაკლი არ იყო სწორხაზოვანი ხასიათისა და ერთხაზოვან ქცევათა თუ გადაწყვეტილებათა კაცი.

მისი პიროვნების ერთგვარი ხირთულე იმ დროის ხირთულემ განსაზღვრა, რომელშიც ცხოვრება ბედმა არგუნა.

მაგრამ მისი ხასიათის საფუძველს დაბადებიდანვე ბუნებრივი სიკეთე რომ არ დაჰყოლოდა, ვეჭვობ, რომ ვაჟდლო წიქვილის იმ ქვებისათვის, რაც მის თავზე პერიოდულად დატრიალებულა 1926-დან (თბილისში მისი ჩამოსვლის წელი) 1992 წლამდე.

იმერეთის ძველ სამეფოში ის წარმატებული დიპლომატი იქნებოდა.

საერთოდ, იმერლების მოქნილ ხასიათს ყოველთვის აქონდა მიდრეკილება გონივრული კომპრომისისადმი. ეს მათი მოძრავი ბუნების არც ნაკლია და არც ღირსება. უბრალოდ, ახუთნი არიან იხინი უმრავლესობაში.

თანაც ახალგაზრდა ირაკლიმ გამოიარა პაოლოსა და მისი მეგობრების ზნეობრივი სკოლა და ბევრი რამ შეითვისა იმ გარემოცვიდან.

ოცდახუთითდე წლის რომ გახდა, ის უკვე სავსებით ჩამოყალიბებული პიროვნება და შემოქმედი იყო.

მთელი თავისი არსებობით ირაკლიმ თვალნათლივ დაამტკიცა, რომ მისი მსგავსი მოღვაწე ჩვენს რთული მოვლენებით აღსაყვ საზოგადოებრივ ცხოვრებას აუცილებლად სჭირდებოდა.

ვერავინ დამაჯერებს, რომ არ რგებოდეს ირაკლის სიკეთე, ვინც მისი შემოქმედების ორბიტაში მოხვედრილა — შორეული თუ ახლობელი, ქართველი თუ არაქართველი.

ცხოვრების სიბრძნე მის მარად ცვალებად საიდუმლოების ამოცნობაშია. ჩვენი სამოცდაათწლიანი ყოფისა და ყოფნის ერთ-ერთი საიდუმლო სიკეთის მწვავე უკმარობაში მდგომარეობდა.

საზოგადოების შეგნებულმა კლასობ.



რივმა გახლენამ ბევრი ბოროტება წარმოშვა.

ერთადერთმა და ვველასათვის აუცილებელმა იდეოლოგიამ, მთლიანად რომ ეწინააღმდეგებოდა დიდ ილიას გზას, ამ გახლენას კიდევ სიხსლის ძიებისა და სატანური ვერაგობის სინდრომი დაუმატა და ქართველობა თავისი ისტორიული განვითარების ბუნებრივ გზას ააცდინა.

იმ ხირთულეებზე ვაძობ, რომლებმაც ირაკლისა და ირაკლისათანა ხასიათის ადამიანთა აუცილებლობა წარმოშვა. მათ შორის ირაკლი ვველას დახანახად რჩეული იყო.

2

არ მინდა, რომ დითირაში გაშომივიდე. ჩვეულებრივ ადამიანზე ვწერ, რომლის არაჩვეულებრიობა ის არის, რომ პოეტი იყო.

ვევლა ჭეშმარიტი პოეტი თავისი არსებით არაჩვეულებრივი ადამიანია, არაორდინალური და წინასწარ განუჭვრეტელი. გალაკტიონი, გოგლა, ირაკლი... გალაკტიონმა 68 წელი იცოცხლა, გოგლამაც — 68, ირაკლიმ — 82.

ვასახელებ, ვისაც ახლოს ვიცნობდი და უკვე წავიდნენ.

ტიციანს და პაოლოს, სამწუხაროდ, ვერ მოვეხწარი, ბავშვი ვიყავი. ლადოსა და ომის დროს ომში დაღუპული ბიჭების თაობას ავცდი აგრეთვე ასაკის გამო.



ვრიშაშვილი, აშულერ-ვეროპული პოეზიის სინთეზატორი, ყველა ახაკში გვზიბლავდა. სიმონი უკვე გონისხიერ შემოქმედად მესახებოდა, თუმცა მის „განჯის დღიურს“ უახლესი ქართული პოეზიის ერთ-ერთ მშვენიერად ვთვლიდი. ალიოს, ვილარცა პიროვნებას, ფაქტობრივად, არ ვიცნობდი.

გალაკტიონი, გოგლა, ირაკლი... არ ვათანაბრებ მათ ბუნებრივ ნიჭიერებას და არც მის მასშტაბებს. ამჯერად პოეტთა სხვებთან ურთიერთობის წესი მაინტერესებს მხოლოდ.

გალაკტიონი — პოეტთა მეფედ გაჩენილი, პრაქტიკული ცხოვრების იმპროვიზატორი იყო. ის სხვაგან არსებობდა. როცა ვითომ მიწაზე ჩამოშვებოდა, მისთვის სულ ერთი იყო — პატარა ბიჭვებში მოხვდებოდა თუ თავის ტოლ კაცებში. უფრო მეტად ახალგაზრდებს ითმენდა. ირონიული დიმილით უხშენდა მათ გულწრფელ-გულუბრველო პირში ჭებებს. სიამოვნებდა, მაინც თავის საძვაროში რჩებოდა მიუხაფარი.

ბუხუნა გოგლა სულ სხვა ტიპი იყო. ამქვეყნიური წესი და იერა მასში უფრო მკვეთრად იყო გამოკვეთილი. პირდაპირი და შორეიდებელი, იგი, ჩვეულებრივ, უფრო იშვიათად ავლენდა თავისი სულის მუსიკას. ხოლო თუ გუნებაზე დადგებოდა, ჩვეულებრივ მჭევრმეტყველებდა ვითარცა ზევსი ბახუსის ტრაპეზზე.

ირაკლი... ირაკლი... ირაკლი...

ახლა მასზე ვსაუბრობ და ვცდილობ, შემძლებისდაგვარად, არც დავაკლო და არც გადავაჭარბო.

ახე მკონია, ირაკლი არახდროს ფიქრობდა, რას იტყოდნენ მასზე მომავლები. თუმცა ვვარაუდობ, რომ ეს არაბუნებრივი იქნებოდა შემოქმედი კაცისათვის. პოეტის რჩეულობასთან ერთად მას კონკრეტული მოღვაწის ნიჭიერება ამშვენებდა. იშვიათი იყო სხვა პოეტი, ისე რომ შორგებოდა შუამავალ-მომრიგებლის როლი ძალთამყრებელთა და საზოგადო ხეშმისთვის ანიშებულთა შორის. ამდენად, ერის სასარგებლო უამრავი

საქმე მის მხრებზე გადადიოდა მძიქონდა ეს შვი. მე ტვირთი. ხშირად არც დაუფასებიათ მისი ეს ურთულესი როლი. მის კულში რა ხდებოდა, ცოტამ თუ იცოდა.

ისე მეჩვენება, რომ ამ ბოლო ორმოცი წლის მანძილზე (რაც მას ახლოს ვიცნობდი) არ ყოფილა მნიშვნელოვანი საერთო-ეროვნული საქმე, ირაკლი რომ არ წაძლოლოდა ან მისთვის მხარი არ შეეშველებინა. არ ჩამოვთვლი ამ საქმეებს — თითქმის ყველასთვის ცნობილია, ხოლო ვინც აქამდე არ იცის, არც ყოფილა საჭირო, რომ სცოდნოდა...

გარეგნულად იოლი საამხანაგო და ადვილად ამვოლი კაცი იყო. ამგვარია საერთოდ კეთილი ადამიანი. მაგრამ მისი ბრძნული გონება თითქმის ავტომატურად სჭურვებდა ყოველი საკუთარი ან სხვისი ნაბიჯის ახლო თუ შორეულ შედეგს. ისიც სცდებოდა, როგორც ყველა ადამიანი, მაგრამ გაცილებით ნაკლებჯერ, ვიდრე სხვანი. ამიტომ არ უყვარდა ზოგ-ზოგს, ახე იღბლიანად რომ ზედავდა ერის ტვირთს თავისი ფართო მხრებით.

გაცხარებაც იცოდა და გულის მოსვლაც. ოღონდ არ შეეძლო ბოდმის გულში ჩადება, შენახვა და ტარება, უცბადვე იცლებოდა, ივიწყებდა, იმსუბუქებდა გულს. ხშირად უთქვამს ჩემთვის ბოდმიანი კაცის ცხოვრება აუტანელიაო. ამასაც კი კაცობის უნარი, მიხვედრი და შეგება უნდა, სხვათა შორის.

ოთხმოცი წელი და ცოტა მეტი გაუძლო ამ ქვეყნის ყაყანს.

ხშირად ჩუმად ელიშებოდა ამის გამგონებს.

ადამიანის ფიქრის გზა მიუწვდომელია:

ზოგჯერ მისთვისაც, ვინც უნებურად დაფიქრებულა და თვითვე გააკვირვებია ფიქირს შედეგი. მითუმეტეს მისთვის, ვინც სხვის ფიქრში ჩაწვდომას გაბედავს. მითუმეტეს პოეტის ფიქრში, მის ასოციაციითა უაღრესი მრავალფეროვნებით.

მაგრამ შედეგი ხელმისაწვდომია.



ირაკლის ფიქრთა შედეგი მისი პოეზიაა.

3

ვისაც პოეზია შინაგანად და შიგნიდან ესმის, ვის ყურთათვისაც ახლობელია მის სიმთა ჟღერა, მისთვის ლექსი, შიუხედავად მისი მოჩვენებითი ეფემერულობისა და უწონობისა, იხეთივე მატერიალური განსხვავებაა შემოქმედის სულისა და ფიქრის ძვრისა, როგორც ხუროთმოძღვრის შენობა, სკულპტორის ქანდაკება, დამდგმელის სპექტაკლი და მხატვრის სურათი.

ირაკლი ყოველთვის გულწრფელი იყო: მაშინაც, როცა კომბაინზე სწერდა, როცა ბელადზე თხზავდა, როცა კაპიტან ბუხაიძეს აღაპარაკებდა, როცა რუსთაველის ნაკვალეზზე დადიოდა. მას მოსახვენებლად და კარიერისთვის არაფერი შეუქმნია. ამგვარი უზნეობა მხოლოდ მათი ხვედრია, ვინც ყველა თავის ნაშოქმედარში გამორჩენას ელის. მადლობა ღმერთს, ირაკლის ამგვარი გამორჩენა და გამორჩენა ფიქრადაც არასოდეს მოუვიდოდა.

ათასჯერ ნათქვამია სხვის მიერ და მეც გავიმეორებ: პოეტების ქვეყანაში პოეტობა ძნელიაო, ე. ი. საქართველოში პოეტობა ადვილი არ არისო. სისულელეა ეს. თუ ვისმეს ჰკონია, რომ ხაფრანგეთი, ესპანეთი, იტალია, საბერძნეთი, პოლონეთი და სხვა ქვეყნები უფრო ნაკლებად არიან განთქმულნი მრავალსაუკუნოვანი პოეტური ტრადიციებით, ვიდრე ჩვენ ძალიან სცდება.

საქმე ისაა, რომ პოეტობა არც ძნელია და არც ადვილი. თუ პოეტად დაბადებული არ ხარ, ამდენად, ბუნებით ბოძებული განსაკუთრებული სულის წყობა და მისი გამოთქმის ნიჭი არ გაგაჩნია, რაც შენ სურვილზე არაა მხოლოდ დამოკიდებული, თავიც რომ მოიკლა, ვერას გახდები. სიყალბე იმ წამსვე შესამჩნევი ხდება, სიყალბეს ვერ დამალავ, ათიათაზობით გარიითმული სტრიქონიც რომ და-

ახვავო. ამას ადვილად გადასწონის და გააცამტვერებს ჭეშმარიტი პოეტის ერთი გაურითმავი სტრიქონიც — თერგი პბრის, თერგი ღრილატს, კლდენი ბანს ეუბნებიან! — გათავებულია საქმე...

ირაკლი პოეტად იყო დაბადებული და მანამდე ათი ათასჯერ შეტი პოეტი რომ გველოდა, ვიდრე გვავადა და მის დროს კიდევ ამდენივე პოეტს რომ ეღვაწა, ის მაინც პოეტად დარჩებოდა. ყველა ნამდვილი პოეტი ის უნიკალური მოვლენაა, რომელსაც, ვითარცა განუყოვრებელ პიროვნებას, განუყოვრებელი წვლილი შეაქვს ეროვნულსა და მსოფლიო პოეზიაში.

4

სხვა რომ არაფერი შეექმნა, სხვა რომ არაფერი გააკეთებინა, სხვა რომ არაფერი დაეტოვებინა, ირაკლი მარად უკვდავი იქნება ქართველთა შეხსიერებაში, როგორც ავტორი ღრმად ღირსეულ ფილოსოფიური ლექსთა ციკლისა „პალესტინა, პალესტინა“ და ამ ციკლის წარმტაცი მარგალიტისა — „ხმა კატამოთან“.

ეს ლექსი, ლექსი კი არა — კიშნი დიდებული ქართული ენისა — ყველა ქართველმა, დიდმაც და პატარამაც, ზეპირად უნდა იცოდეს რაფიელის „სამშობლო ხევსურისა“ და ღუტუ შეგვრელის „პატარა ქართველი-ს“ კვალად.

შეც და, ალბათ, სხვასაც შეგვაგრია. ლებს ხოლმე პოლოსადმი მიძღვნილი ლექსის ერთი სტრიქონის გახსენებისხ შენ, შენ დაეცი იმ წელს, როცა საქართველოზე კაენის სულის აღზევებამ გადისრიალა...

რა უბედური ხალხი ვართ ქართველები! დროდადრო, ჩვენი გრძელი ისტორიის მანძილზე პერიოდულად მოგვაკითხავს კაენის სული, აღზევდება ძმთამკვლელი ბოროტება, შეგვიპყრობს ეშმაკეული და დავერევით ერთმანეთს...

და ლოცულობს ხელაპყრობილი პოეტის, ო, არა ცმცხლი, ო, არა ცმცხლი, ო, არა ჭირის საყვირ-საკრავი; აყვა-

დეს მიწა, მშობელი ჩვენი, აყვავდეს მიწა, ჩვენი ხაფლავი...

ერთ ადრულ ლექსში ირაკლის წინასწარმეტყველურად შეუძახნია თავისთვის: ქვეყნის სატკივრით მე ვარ ჯანმრთელი, მე უნდა მოვკვდე ამ სატკივრებით.

მართლაც ხომ იხე მოხდა, რომ პოეტს გაუმწარეს სიცოცხლის უკანასკნელი დღენი და იგი სწორედ ქვეყნის სატკივარმა გაისტუმრა იმქვეყნად.

ჯერ კიდევ ძველად თქმულსა და მას შემდეგ ათისჯერ ნათქვამს მეც გავიშეორებდი—ჩემთვის, განა მკითხველთათვის: ხაობს ხალხისა და ქვეყნის სატკივარმა შთაგაგდოს ჯოჯოხეთს, ვიდრე ხაკუთარი აღზუვების წყურვილმა შეგინთოს გვენა...

ახე დაგვიბარეს ილიამ, აკაკიმ და ვაჟამ.

ამას გვასწავლიან ჩვენი დროის აწ უკვე წახული კლასიკოსები.

მათ შორისაა ნათელი კაცი ირაკლი აბაშიძე.

ამ მცირე გამოსათხოვარის ხათაურად აღებულია ირაკლის ლექსთა ერთ-ერთი ბრწყინვალე ციკლის ხახელი — „შიახლოება“.

ამით იმის მინიშნება მინდოდა, რომ, რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო, მსურდა შევახლოებოდი ირაკლის არა მთლიან პიროვნებას, — ეს შეტად რთულია,

ამას სჭირდება მთელი ტომი და შეუზღუდავი დრო, — არამედ მხოლოდ ხილუქტს, ერთგვარ მკრთალ ანარკელს იმისას, რასაც პოეტი და მოღვაწე რეალურ ცხოვრებაში წარმოადგენდა.

ეს ხილუქტი, ეს ანარკელი, ცხადია, პირობითია, სუბიექტურია.

მე ახე ვხედავდი, ხხვა, ალბათ, უფრო უკეთ, უფრო ღრმად და ყოველმხრივად ხედავს.

ღმერთმა ქნას, მომავალში ტომიც დაიწეროს ამ უადრესად კოლორიტულ ქართველ კაცზე, რომელიც იხვევ განუყოფელია თავისი დროისაგან, როგორც ის დრო მისგან.

მშვიდობით, უფროსო ძმავო და მეგობარო.

ყველანი მანდ ვიქნებით...  
სიყვარულისთვის — რომელსაც საქმით ვიზიდიდი ნაღდად

და არა ღალად,  
მე ვკრეფდი უფრო ჭირსა და ხახმილს,  
მე ვკრეფდი უფრო შურსა და ღალატს.

მაინც სიყვარულს ვრაცხ ნათესავად,  
გინდ უგუნურიც,

გინდ უმეცარიც —  
მგოსნის გოლგოთაც იქნებ ესაი,  
მაგრამ მგოსნის ხხნაც

მხოლოდ ეს არის...  
იანვარი 1992 წლისა.

**თენგიზ ბუაჩიძე**

გვენი მიხამარა: თბილისი, 380009, ზედა ქ. № 1. ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 29-55-81; მთავარი რედაქტიორის მადიდლე — 25-64-48; პასუხისმგებელი მდივანი — 25-64-88. განყოფილებები: 25-65-48, საკორექტორო — 25-64-88.

გადაეცა ასაწვობად 23.01.92 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 10.03.92 წ., ქალაქის ზომა 70x1081/16, ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10, პირობითი ფორმათა რაოდენობა 14, სააღრ, საგ თაბაბი 15,85, შეკვეთა 57, ტირაჟი 12.000.

საქორტველს ეტრნალ-გახუთების გამოცემლობა „სამშობლო“, 380009, თბილისი, 8, კანტავას, 14.  
Типография Грузинского журналистско-газетного издательства «Самшобло», 380009, Тбилиси, ул. М. Костава, 14



## შ ი ნ ა ა რ ს ი

### პროზა და კოეზია

3. გივი ვალულარია — ბედი არ გინდა?! მოთხრობა.  
დასასრული
30. ბაადურ ბალარჯიშვილი — ლექსები
36. კოტე ჯანდიერი — სიცარიელე. მოთხრობა
66. იშხარ კვიციანი — ლექსები
75. მარინე რჩაულიშვილი — გურამ რჩაულიშვილის  
ცხოვრება-შემოქმედებისათვის. გაგრძელება იქნება
123. ვახტანგ ღლონტი — ლექსები
128. კაბატა ბერიკაშვილი — ლექსები
131. ვაჟა გიგაშვილი — მოთხრობები

### წერილები

138. მანანა კვაჭანტირაძე — „ვარტის მამალი“ — დრო  
და სივრცე

### ისტორიის თეორი ფურცლები

152. რეზონ დიუბა — მოსკოვი და წამებული საპართ-  
ველო

### გამოსათხოვარი

156. კოტე ჯანდიერი — რევაზ ინანიშვილი
157. თენგიზ ბუაჩიძე — მიახლოება



ფანი 5 მან.

629/25

0502660 78286

საქართველოს  
სამხრეთ-აღმოსავლეთი  
საზღვაო სავაჭრო  
საზღვაო სავაჭრო

საღმომწერეთათვის 2 მან.

